

დ. კაპანაძე

ქართული ნუმისმატიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების საზინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სტუდენტებისათვის

902.9 (C41)

737 (47.922)

კ 241

წიგნში აღწერილია სამონეტო საქმე საქართველოში ძე. წ. VI საუკუნიდან 1833 წლამდე, როცა მოიპრა უკანასკნელი ქართული მონეტა — „ქართული თეთრი“.

ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მას ინტერესით გაეცნობა მკითხველთა ფართო წრეც.

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოში ფულის მოჭრის ისტორიას მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია და მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 130 წლის მანძილზე ამ საკითხის ირგვლივ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ასზე მეტი ნაშრომი გამოქვეყნდა (იხ. დართული ბიბლიოგრაფიული სია). მაგრამ ამ ნაშრომთა ნაწილი (განსაკუთრებით გასული საუკუნისა) დღეისათვის საკმაოდ მოძველდა; მეორე ნაწილი, რომელიც განსაზღვრული პერიოდით ან ცალკე მონეტით იფარგლება, ქვეყნდებოდა ფართო მკითხველისათვის მიუწვდომელ სპეციალურ ორგანოებში. ზოგიც, თუმცა ისე ბოლო დროსაა გამოქვეყნებული და შემაჯამებელი ხასიათისაა (ი. კარსტი, დ. ლენგი, დ. კაპანაძე), დღეისათვის უკვე საგრძნობ ხარვეზებს შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველწლიურად, ხან აქ, საქართველოში, ხან ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ (მოსკოვის, ლენინგრადის, ლონდონის, ბერლინის, ნიუ-იორკის კოლექციებში) ჩნდება დღემდე უცნობი მონეტები და მნიშვნელოვან ხარვეზებს ავსებს. ახალ-ახალი ცნობები ძირფესვიანად ცვლის სპეციალურ ლიტერატურაში ამა თუ იმ მონეტისა და მონეტათა მთელი ჯგუფების შესახებ დღემდე დამკვიდრებულ შეხედულებებს.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური თხრებისა ან სხვა ხასიათის მიწის სამუშაოების შედეგად გაჩნდა ნიმუშები, რომლებზედაც ადრე წარმოდგენაც არ გვქონდა. სახელმწიფო მუზეუმისათვის 1965 წ. პროფ. ე. პახომოვის მიერ შემკვიდრეობით დატოვებულმა კოლექციამ საგრძნობლად შეავსო ხარვეზები. ერთი სიტყვით, გამოზვეურდა დღემდე გაფანტული, ჩვენთვის მიუწვდომელი და ზოგჯერ სრულიად უცნობი მასალა.

მაგრამ ჩვენ არც ახლა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ სანამ ეს წიგნი დაიბეჭდება, არ აღმოჩნდება მონეტები, რომლებიც ქართული ფულის შესახებ რაიმე ახალს იტყვის ან ამ წიგნში გამოთქმულ მოსაზრებას შეცვლის.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და-

ცულია ძველებური ქართული ფულის მსოფლიოში საუკეთესო კოლექცია; იგი შეიცავს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალას. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი ბევრი ქართული მონეტა ამ მუზეუმში დღემდე არაა და მათი ძებნა და შესწავლა სხვაგან გვიხდება. მაგალითად, აქ არაა არისტარხ კოლხელის, ბაგრატ III, დავით კურაპალატის ვერცხლისა, „სომეხთა მეფე“ დავით აღმაშენებლისა და XIX ს. დასაწყისის დავით ბატონიშვილის სპილენძის მონეტები; კერძო პირს ეკუთვნის ვამიყ დადიანის უნიკალური ნიმუში, სუსტადაა წარმოდგენილი XI ს. ქართულ-ბიზანტიური, XV ს. პირველი ნახევრის დაკნინებული ნიმუშები და ა. შ. ეს მონეტები გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა კოლექციებში (ლენინგრადის ერმიტაჟში, მოსკოვის საისტორიო მუზეუმში, ბერლინში, ლონდონში, ნიუ-იორკში და სხვ.).

წინამდებარე წიგნი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმდიდრეს ფონდებს და ბევრ შემთხვევაში შევსებულია სხვა მუზეუმების მასალით. მაგრამ აქ თავმოყრილ ცნობებს ამომწურავი სისრულის პრეტენზია მაინც არა აქვს. ათეული წლების მანძილზე ფაქტობრივი მასალის დაგროვებისა და შესწავლის პროცესში სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ხარვეზების შევსებას ბოლო მაინც არ უჩანს. ასე მაგალითად, ამა თუ იმ კოლექციაში თავის დროზე აღნუსხული უიშვიათესი ქართული მონეტები ჩვენ ქვეყანაში მომხდარი მღელვარე მოვლენების გამო სადღაც გაქრა და მათი შესწავლა ჭერჭერობით შეუძლებელია; ორ თუ სამ ცალად ცნობილი, ტექნიკურად მდარედ შესრულებული ან სუსტად შემონახული ზოგიერთი მონეტა სათანადო ანალოგიების მოძებნამდე გაურკვეველი ან სადავო რჩება.

სამწუხაროა აგრეთვე, რომ შეუსწავლელი გვრჩება ერანისა და თურქეთის სამუზეუმო ფონდები.

ზემოაღნიშნული პირობების გამო ცხადი ხდება, რომ ამ წიგნში თავმოყრილი მასალა მომავალში აუცილებლად შეივსება.

წიგნს აღმოაჩნდება სხვა ნაკლიც, რომლის დაძლევა არც ახალ გამოცემაში მოხერხდა: სრული არაა ცნობები ქართული ფულის ტერმინების, ნომინალებისა და სამონეტო სისტემის შესახებ; საკმარისი არაა აქ მოტანილი მაგალითები ქართული ფულის მოჭრის ტექნიკის, ხელოსნობის და ხელოვნების შესახებ და სხვა ასეთი. „არც ერთი ქვეყნის წარსულის ეკონომიური ცხოვრების აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნება, სხვა არა იყოს რა, — განმარტავდა თავის დროზე აკად. ივ. ჭავჭავაძე, — ისეთი ძირითადი საკითხის შესწავლა, როგორცაა საქონელზე ფასების მოძრაობა, უამისოდ სრულიად შეუძლებელია“.

ეს განმარტება სამართლიანად გულისხმობს, რომ ძველებური ქართული ფულის მოჭრის ისტორია მოითხოვს ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხის

კომპლექსურ შესწავლასა და უზარმაზარი დამატებითი მასალის გაცნობა-ათვისებას. მაგრამ მეცნიერების თანამედროვე დონე იმდენად ამაღლდა და გაფართოვდა, ისეთი მდიდარი მასალა დაგროვდა, რომ თუნდაც ერთი რომელიმე დარგის ათვისებას თაობათა მონაწილეობა სჭირდება.

აღნიშნულის გამო წინამდებარე წიგნი იფარგლება მხოლოდ ძველ საქართველოში ფულის მოჭრის ისტორიით, მონეტათა ძირითადი ტიპების აღწერილობითა და ზოგიერთი ცალკე ვარიანტის აღრიცხვით. საკითხის უფრო ადვილი ათვისების მიზნით აქ მოცემულია საერთო ხასიათის განმარტებანი, დანტერესებული მკითხველი დამოუკიდებლად შეძლებს საგნის შემდგომ შესწავლასა და მასალის დამუშავებას.

ჯერჯერობით ამით ვკმაყოფილდებით, რადგან ქართული ფულის მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა, უამრავი თავისი წვრილმანი ვარიანტებით ერთ წიგნში ვერც მოთავსდებოდა. ქართული ნუმიზმატიკის მრავალტომეულის გამოშვება კი მომავლის საქმეა. ქართული ფულის ისეთ ჯგუფებს, როგორცაა, მაგალითად, კოლხური თეთრი, XII—XIII სს. ე. წ. საკრედიტო მონეტები (დემეტრე I—რუსუდანის ჩათვლით), XIII—XV სს. კირმანეული თეთრი ან XV ს. დაკნინებული ქართული მონეტები, სპეციალური გამოკვლევები სჭირდება. გარდა ამისა, ასე ჭარბად გამოყენებული მასალა წიგნს მხოლოდ გადატვირთავდა და გაართულებდა მის გამოყენებას.

ნაშრომში დასახელებულია ცალკე ვარიანტებიც. ვარიანტად ანუ სახესხვაობად ისეთი ნიმუში იგულისხმება, რომელიც ძირითად ტიპთან შედარებით რაიმე უმნიშვნელო გადახრას იძლევა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო და თითქმის შეუძინველ წვრილმანს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და დამატებითი მასალის გამოყენებით მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა შეუძლია. მაგრამ ყველა ასეთი წვრილმანის აღწერა, დაწვრილებითი გარჩევა და ანალიზი შორს წაგვიყვანდა და წიგნის მოცულობას გაზრდიდა. ამიტომ ვარიანტებს აქ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შევხებით.

მონეტების აღწერილობათა ნაწილი მოცემული გვაქვს ლაკონურად, რიგ შემთხვევაში მონეტის გამოსახულებანი ან ზედწერილები გადმოცემულია უბრალო სქემის სახით.

ძირითადი სამონეტო ტიპებისა და ზოგიერთი შესამჩნევი ვარიანტის გასაცნობად აღწერილობების გარდა ფოტორეპროდუქციების ტაბულებს წინ უძღვის თანამიმდევრობის მიხედვით შედგენილ აღწერილობათა და გამოსახულებათა სია.

ძველებური ქართული ფულის შესახებ მკითხველს მეტი წარმოდგენა რომ ჰქონდეს, ძირითად ტექსტს წინ უძღვის საერთო ხასიათის შესავალი ნაწილი. ელემენტარული ხასიათის განმარტებების გარდა, მოცემულია ცნობები სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინების, პირობითი ნიშნებისა და სხვა

ისეთი საჭირო მონაცემების შესახებ, რაც გაუადვილებს მკითხველს წიგნში მოცემული მასალის ათვისებას.

ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. დაინტერესებულ მკითხველს ქართული ნუმისმატიკის საკითხების უფრო ღრმად შესწავლაში ხელს შეუწყობს დართული ბიბლიოგრაფიული სია, სადაც მოხსენიებულია მთავარი ნაშრომები ამა თუ იმ ქართული მონეტის ან მონეტათა ჯგუფების შესახებ.

შენსვალი

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის დასაწყისიდანვე საჭირო გახდა შრომის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა. ბუნებრივია, ამას უნდა მოჰყოლოდა ამა თუ იმ საქონლის ღირებულების დამწესებელი საზომი ერთეულების დადგენა. ცნობილია, რომ ფასეულობათა თანამედროვე საზომი — ლითონის ფული, ანუ მონეტა თავისი გარეგნული სახით ყოველთვის ასეთი არ ყოფილა. მეცნიერებამ გზა გაიკვლია საუკუნეთა წყვედიადში და დაადგინა, თუ როგორი აღებ-შიცემა არსებობდა ამ სამი-ოთხი ათასი წლის წინათ და ღირებულების რა საზომები ყოფილა მიღებული იმ დროს.

როგორც ცნობილია, გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის განვითარების სხვადასხვა საფეხურები ყველა ხალხმა გაიარა. ამის მაგალითს წარმოადგენს სხვადასხვა გარემოების გამო საერთაშორისო ასპარეზზე არც ისე დიდი ხნის წინ გამოსული ქვეყნების კულტურული დონე. ზოგიერთ შორეულ კოლონიაში ახლაც ცხოვრობენ ტომები, რომლებიც ისევე მარტივად ვაჭრობენ, როგორც ვაჭრობდნენ ჩვენი წინაპრები ათასეული წლების წინათ. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის დაპირისპირებით შეიძლება შორეული წარსულის სურათის აღდგენა.

იჩვენება, რომ თანამედროვე ფულის ნიშნების მაგივრობას თავდაპირველად ასრულებდა სხვადასხვა საგანი, სახელდობრ, საწარმოო ან საომარი იარაღი, ტყავეულ-ბეწვეული, რქოსანი პირუტყვი და სხვ. ცნობილია, რომ უძველეს ხალხებში ლითონის ფულის გაჩენამდე მის მაგივრობას რქოსანი პირუტყვი ასრულებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ძველი რომაული ტერმინი „pecunia“ (ფულისა და პირუტყვის მნიშვნელობით) ძველი ქართული ტერმინის „ხვასტაგის“ შესატყვისი ყოფილა; ეს უკანასკნელიც ფულს, დოვლათს და, ამავე დროს, რქოსან პირუტყვს ნიშნავდა.

დოვლათს, ფულისა და შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აღსანიშნავად იმერეთში დღესაც იხმარება სიტყვა ხვადაგი, რომელიც ხვასტაგისაგან წარმოიშვა. სიტყვა „скот“ სლავებშიაც ფულს აღნიშნავდა, რუსულში „скотница“ არც ისე დიდი ხნის წინ ხაზინის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა, და შეიძლება შემთხვევითიც არ იყოს, ის გარემოება, რომ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ფულზე — ე. წ. „კოლხურ თეთრზე“ — სწორედ ხარის თავია გამოსახული. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეს გამოსახულება რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით გაჩნდა; არც ისე შორეულ წარსულში ჩვენ წინაპრებს ხარი გაღმერთებული ჰყავდათ მთვარის კულტთან დაკავშირებით.

ფასეულობის ზემოაღნიშნული საზომები, რა თქმა უნდა, თავის პირდაპირ

დანიშნულებას კარგად ვერ ასრულებდა: მათი დიდი ნაწილი დაუმუშავებელი იყო, ადვილად ზიანდებოდა; გარდა ამისა, გადატან-გადმოსატანადაც ძნელი და მოუხერხებელი იყო, ამიტომ მათი ღირებულებაც ძალიან მერყეობდა.

ყველაფერი ეს ნორმალურ ვაჭრობას აბრკოლებდა, რადგან ყველგან და ყველა პირობებში მომხმარებელი უპირატესობას აძლევდა ისეთ თანაბარფასიან საზომებს, რომლებსაც როგორც მთლიანობაში, ისე ნაწილებში ფასი არ უნდა დაჰკლებოდა. ყველა ამ პირობას ვაჭრობა-მრეწველობაში გაჩენილი ლითონი აქმაყოფილებდა და, თავისი შინაგანი ფასეულობის თვისებათა შედარებითი მუდმივობის გამო, საუკეთესო საზომად გადაიქცა; ლითონის ფულის გაჩენამ ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ახალი მიმართულება მისცა ადამიანთა ცხოვრება-საქმიანობას. მშვიდობიანი ცხოვრების ყველა მხარეში სულ ახალი ჩვეულებანი დამყარდა, დიდი ცვლილება განიცადა მიწათმოქმედებამ, ნადირობამ და ხელოსნობამ, შეიცვალა ომის ხასიათი, წესები და ხერხები.

მაგრამ ფულის ევოლუცია მაინც ძალიან ნელა მიმდინარეობდა, რადგან, სანამ პირველყოფილ საქონელ-ფულის ადგილს ლითონის ნამდვილი ფული დაიკვრდა, ამ უკანასკნელმა მრავალნაირი ცვლილება განიცადა. თავდაპირველად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, გაჩენილა ოქრო, რომელსაც უფრო ხშირად ხალასი ლითონის სახით ვხვდებით ბუნებაში. სხვა ლითონებთან შედარებით ოქრო, რა თქმა უნდა, უფრო იაფი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ, ვერცხლისა და სხვა ლითონების მოპოვებისა და წარმოების ათვისებისთანავე, ოქრომ, როგორც ძვირფასმა და კეთილშობილმა ლითონმა, თავისი შესაფერისი ადგილი დაიკავა.

პირველ ხანებში ლითონებსაც მხოლოდ საქონლის დანიშნულება ჰქონდა და ალებ-მიცემობაშიაც იხმარებოდა ზოდების სახით, ე. ი. იმ სახით, როგორც სადნობი ქურებიდან გამოდიოდა. თავდაპირველად ეს ნაკეთობები ფულს ისეთსავე ნაკლებდამაჩერებელ შემცვლელს, ე. ი. სუროგატს წარმოადგენდა, როგორც დანარჩენი ნატურალური ნაწარმი.

საქმის გაუმჯობესების პირველი შესამჩნევი ნაბიჯი იმაში გამოიხატა, რომ დაუმუშავებელი და უხეში სახით გამოშვებული ლითონის ამ ზოდებიდან თანდათან განსაზღვრული ფორმის, ზომისა და წონის ნაკეთობანი მზადდებოდა; ძველ ეგვიპტეში, მაგალითად, საფასურს ოქროს ბეჭდებით იხდიდნენ, სპარტაში — რკინის წყეპლებით, რუსეთში ვერცხლის მოგრძო ზოდებს ე. წ. გრიუნებს ხმარობდნენ, ფიჭობენ, რომ ჩვენი წინაპრები — ბრინჯაოს სამაჯურებს და ა. შ.

ანგარიშსწორების დროს პირველყოფილი ფულის ასეთი ნიშნები, ალბათ, წონით სარდებოდა, ვინაიდან ასეთი ნაკეთობანი, მიუხედავად მათი ხარისხისა, ყოველთვის არ შეიცავდნენ ლითონის საჭირო რაოდენობას, ანგარიშსწორებან დროს აუცილებელი ხდებოდა მათი დანაწილება, რაც ცხადია, უხერხულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული და ღირებულებათა ახალი საზომების გაცრეკელებას ართულებდა.

დროთა განმავლობაში ასეთ ზოდებსა და ნაკეთობას საჭირო ზომის ნაჭრების ჩამოკვეთა დასჭირდა, რასაც უკვე შემდეგი გაუმჯობესება — დადამდვის პროცესი, ე. ი. შტემპელის დასმა მოჰყვა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ლითონის ეს ნაჭრები მარტივად და უხეშად იდამდებოდა, მაგრამ ამ პროცესის

თანდათანობითი შერჩევისა და გაუმჯობესების შედეგად, თანდათანობითვე ათ-კისებულ იქნა რთულ და მხატვრულ გამოსახულებათა, შემდეგ კი. წარწერების გამოყენების ხერხებიც.

ჩვერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ სად და, სახელდობრ, რომელ ქვეყანაში გაჩნდა პირველი ასეთნაირად მოჭრილი ფული. ცნობები ამის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავდება. არსებულთაგან ყველაზე უფრო სანდო წყარო ორია: პირველი — მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა — არგოსის მეფე ფეილონს მიაწერს მონეტის შემოღებას (უნძულ ეგანაზე გამოშვებული დიდრაქმები კუს გამოსახულებით), მეორე წყაროა ძვ. წ. VI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის პეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ოქროსა და ვერცხლის პირველი მონეტები ლიდიაში მოჭრილა.

ორივე წყარო პირველი მონეტების შემოღების დროდ ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეს ასახელებს/ ფასეულობის ეს ახალი საზომი სწრაფად გავრცელებულა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ქალაქებსა და სახელმწიფოებში. საერთოდ გავრცელებული აზრით, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ბოსფორის სამეფოში მონეტები ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის დამლევს შემოუღიათ; ძველ ერანში — დარიოს პირველის (521—485 წწ.) დროს; ეგვიპტეში, ბაქტრიასა და ინდოეთში — ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულს; კართაგენელებს — არა უადრეს 400 წლისა; ძველ რომში კი. არსებული საჩუქნო მოსაზრებით, ეს ღონისძიება ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეზე ადრე ვერ გატარდებოდა.

ჩვენ ქვეყანაში, სახელდობრ, ძველ კოლხეთში საკუთარი მონეტა ძალიან ადრე გაჩენილა. კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა, უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღდება: ამიტომ იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მონეტაა. თავისი ტექნიკურ-მხატვრული შესრულებითაც კოლხური თეთრი იმდროინდელ საუკეთესო ნიმუშებს არაფრით არ ჩამოუვარდება. თავდაპირველად მონეტის სახელწოდება მის წონას გამოხატავდა და სიმძიმით მართლაც შეესაბამებოდა წონის, ნამდვილ ერთეულს. დროთა მსვლელობაში მონეტის წონა თანდათან კლებულობდა, სახელა კი. უცვლელი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა მონეტის დასახელებასა. ანუ ნომინალსა, და მის წონას შორის, ე. ი. მის ნამდვილ ღირებულებას — რეალს — შორის, სულ უფრო ღრმავდებოდა, იგი მაინც იძულებით ვრცელდებოდა. ასე დამორდა წონითი და ფულადი მნიშვნელობა ისეთ ერთეულებს. როგორცაა, მაგალითად, ბერძნული ტალანტი და დრაქმა (ქართულად ღრამა), ქართული დანგი, ინგლისური გირანქა, გერმანული მარკა და სხვა.

ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის ძველებურ მონეტებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ერთნაირი სახისა და მყარი, ხანგამძლე მასალისაგან დამზადებული ეს ნიმუშები თავის დროზე მეტად დიდი რაოდენობით მზადდებოდა, ადამიანის აუცილებელი თანამგზავრი იყო, ფართოდ ვრცელდებოდა საზოგადოებაში, სწრაფად გადადიოდა ხელიდან ხელში და პატრონს ხშირად იცვლიდა. თავის დროზე დიდი რაოდენობით დამზადებულა მონეტებიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია, მაგრამ ეს რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მისი უმცირესი ნაწილიც კი მნიშვნელოვან რიცხვს აღწევს. საბჭოთა კავშირის სამუხეუმო საცავებში ძველებური ფულის მარაგი მილიონებით განისაზღვრება,

ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მაგალითად, იგი ოთხმოცდაათ ათასს აღწევს.

ძველებური ფულის დიდმა რაოდენობამ თავისი არსებობა ხელოსნების ლუმელებში დაამთავრა, სადაც სამკაულებად და სხვადასხვა ნაკეთობად იქცა; ბრუნვა-მიმოქცევიდან გამოსული მონეტების უმეტესობას ძველადვე იყენებდნენ ახალი მონეტების მოსაჭრელად. მიუხედავად ამისა, მათი მცირე ნაწილი განადგურებას მაინც გადაურჩა და ჩვენამდე თავისი პირვანდელი სახით მოაღწია.

მონეტა, მცირე ზომის გამო, ხმარების დროს ხშირად იკარგებოდა, ზოგჯერ მას საგანგებოდ აბარებდნენ მიწას შეწირულებისა ან მიცვალბულის საკუთრების სახით. ზოგჯერ ლითონის ამ მცირე ფირფიტებს ადამიანი მიწაში მარხავდა ხიფათისაგან სიმდიდრის გადარჩენის მიზნით.

მიწაში ამნაირად მოხვედრილ მონეტებს პოულობენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში არქეოლოგიური გათხრებისა და ტაძრების, ციხე-სიმაგრეების და ყოველგვარ ნაგებობათა რესტავრაციისა ან დაშლის დროს; პოულობენ გზებისა და არხების გაყვანისას, სასანგრო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და მიწის დამუშავების დროს. შემთხვევით აღმოჩენილი ასეთი მონეტის უჩვეულო გარეგნობა, ბუნებრივია, ადამიანის ყურადღებას იპყრობს. ცოდნისმოყვარე ადამიანმა იგი სათანადო დარგის სპეციალისტს უნდა უჩვენოს ან მუზეუმში მიიტანოს.

მონეტებმა ძველთაგანვე მიიპყრო ადამიანის ყურადღება და ინტერესი, რამაც ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, სახელდობრ, ნუმიზმატიკის ჩამოყალიბებას. მეცნიერების დარგს, რომელიც ძველებური მონეტებისა და მედლების შესწავლას ემსახურება, ნუმიზმატიკას უწოდებენ. შედარებით სხვა დარგებთან ამ დისციპლინას არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნუმიზმატიკა XIV საუკუნეში აღმოცენდა, შეკრებითი პრაქტიკის გზით თანდათან ვითარდებოდა და XVIII საუკუნეში საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ დარგად იქცა.

მეცნიერების ამ დარგის სახელწოდება — ნუმიზმატიკა — წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან νόμισμα, რაც კანონიერი ანგარიშსწორების საშუალებას ანუ ფულს ნიშნავს; მონეტაც ლათინური სიტყვაა (moneta) და ფულის, ფასეულობის საზომს ნიშნავს. მრავალი მიზეზის გამო ნუმიზმატიკამ ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა არქეოლოგიაში. მონეტისა და მისი ამა თუ იმ ნიშნის (ზომა, წონა, ფორმა, ტიპი, გამოსახულება ან წარწერა, ლითონის ხარისხი, დამზადების ტექნიკა და მხატვრული გაფორმება) საშუალებით ხერხდება შორეულ წარსულში მომხდარი ფაქტების დადგენა; ამ მხრივ, მონეტა უტყუარი და ფასდაუდებელი ძეგლია. იგი არა მარტო ლითონისაგან დამზადებული ფულის ნიშანია, არამედ შორეულ წარსულში ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ამსახველი უძვირფასესი ფაქტიური, დოკუმენტური მასალაა.

2. მონეტაზე შერჩენილი ამა თუ იმ ნიშნის შესწავლის შედეგად დარწმუნებით შეიძლება მსჯელობა მრავალი მოვლენის შესახებ, მაგალითად, ამა თუ იმ ხალხის კულტურული განვითარება, სახელმწიფოს პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერება და ა. შ. ცნობებს ამ მოვლენებზე და იმ მიზეზებს, რომლებმაც მონეტის ესა თუ ის ცვლილება გამოიწვიეს, უკვე სხვა წყაროებიდან ვიგებთ.

მაგრამ მონეტის გამოსაცნობად მხოლოდ და მხოლოდ ნუმიზმატიკის ცოდნა საკმარისი არ არის. ნუმიზმატიკა მჭიდრო კავშირშია მეცნიერების მთელ რიგ სხვა დარგებთან. ნუმიზმატიკა განსაკუთრებით ახლოს დგას ისტორიასთან და, სავსებით ცხადია, რომ ისტორიის ცოდნის გარეშე კვლევითი მუშაობა ნუმიზმატიკაში ყოვლად შეუძლებელია. ლითონის წონითი ღირებულების მნიშვნელობის იგივეობით, ლითონის ღირებულების ურთიერთდამოკიდებულებით და სამონეტო სისტემით ნუმიზმატიკა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის ერთ-ერთი ობიექტია. იგი უკავშირდება მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორცაა, მაგალითად, ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ჰერალდიკა, მითოლოგია.

ნუმიზმატიკურა ძეგლების გულდასმითი შესწავლა და მომიჯნავე მასალებთან დაკვირვებით შედარება ხშირად ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა. ზოგიერთი მონეტა ხელოვნების ნიმუშადაც ჩაითვლება. მართალია, ქართული მონეტების ძირითადი ნაწილი ამ თვისებით არ ხასიათდება (თუმცა ზოგჯერ მათ შორისაც გვხვდება საუკეთესო ხელოვნებით შესრულებული ნიმუშები), სამაგიეროდ, ქართული მონეტები არსებით ცნობებს გვაწვდის ჩვენი ქვეყნის წარსულისა და კულტურული განვითარების ყველა საფეხურის შესახებ. მრავალსაუკუნოვანი განვითარების მთელ მანძილზე ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები ზუსტად და პირუთენელად ასახავს ჩვენი ქვეყნის გმირულ თავგადასავალს. უდავოა, ისეთ დაწერილებით ცნობებს, როგორცაა ხელნაწერები იძლევა, ძველი ფულა არ შეიცავს, სამაგიეროდ, მონეტა თავისუფალია ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი სუბიექტურობისაგან. ნუმიზმატიკური ძეგლების უპირატესობა ხასიათდება სათანადო ეპოქის სულისკვეთების სწორი და უტყუარი გადმოცემით.

ნუმიზმატიკური ძეგლები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ფულის ღირებულებისა და მონეტის გარეგნობის ცვლილებას, გამოვარკვიოთ, თუ რა მიზეზის გამო კლებულობს მონეტის წონა ან უარესდება ლითონის ხარისხი, ე. ი. მისი სინჯი. უკვე სხვა წყაროებიდან ვიგებთ, რომ ეკონომიური კრიზისით გამოწვეული მონეტის ასეთი გაფუჭება-გართულება, ესე იგი ნომინალის მიხედვით მისი რეალური ანუ ქეშმარიტი ფასის იძულებითი წესით უფრო ძვირად გავრცელება მომხმარებლის სტიქიურ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ იძულებით ღონისძიებას მოჰყვებოდა მოხმარების პირველი საჭიროების საგნებზე ფასების კატასტროფული ზრდა, ხალხის გაჭირვება და ზოგჯერ სისხლის ღვრაჲ. მაგალითად, XVII საუკუნეში მეფე ალექსი მიხეილის ძის მიერ სპილენძის მანეთიანების შემოღებამ რუსეთში დიდი აჯანყება გამოიწვია. თითქმის შეუძინეველი იყო მონეტის გაფუჭება მოჭრის ტექნიკის მიზეზით, რადგან აქ მონეტის უნებლიეთ გაფუჭებას ჰქონდა ადგილი.

მაგრამ მონეტას, ხშირად ფინანსური ღონისძიების შედეგად, სხედასხვა მეთოდის საშუალებით აშკარად ან ფარულად აკლებდნენ რეალურ ანუ ნამდვილ ღირებულებას: ამცირებდნენ სინჯს, წონას, იძულებით ცვლიდნენ მაღალი ღირებულების ლითონს უფრო იაფი ლითონითა და სხვა. ამ შემთხვევაში უკვე მონეტის განზრახ გაფუჭებას ჰქონდა ადგილი.

გათვალისწინებული იყო, მონეტათა განსაზღვრული რაოდენობა განსაზღვრული წონის ლითონიდან მოჭრილიყო. შეფარდებას ლითონის წონასა და მის-

ვან მოჭრილ მონეტათა რიცხვს შორის ქართულად სამონეტო რიგს ეწოდებთ (Монетная стопа).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალასი ოქროსა ან ვერცხლისაგან მოჭრილი მონეტები, ამ ლითონების სიბილის გამო, მალე ცვდება; ამიტომ კეთილშობილ რბილ ლითონებს სხვა, უფრო მტკიცე ლითონებს ურევენ (ჩვეულებრივ — სპილენძს). ასეთ შერეულ ლითონს ლიგირებულ ლითონს ეწოდებენ, სუფთა ლითონის რაოდენობას — სინჯს ან სინჯადობას, ხოლო შერეულ უცხო ლითონს — ლიგატურას.

დაკანონებული პროპორციის ზუსტი დაცვა ტექნიკურად ძნელი იყო და ამიტომ ლითონის სინჯადობა, ისევე როგორც მოჭრილი მონეტის წონა, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში მერყეობდა. მონეტის სინჯის ან წონის ამ მერყეობას რემედიუმით ეწოდება. საშემოსავლო, ანუ ფისკალური მიზნებით, ფინანსური ღონისძიების ჩასატარებლად ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ამ მეთოდს მიმართავდნენ და დაკანონებულ ნორმებთან შედარებით, მონეტას ან წონას აკლებდნენ, ან სინჯს, ანდა ზოგჯერ — ორივეს ერთად.

ბრუნებაში უშეებდნენ მონეტას, რომლის რეალური ანუ ნამდვილი ღირებულება ნომინალურზე, ე. ი. დაწესებულზე დაბალი იყო, ხოლო რეალური და ნომინალური ღირებულების განსხვავება ხელისუფლის შემოსავალს შეადგენდა.

მაგალითად, ჩვენში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, წონისა და სინჯის ამ შემცირებამ ერთხანს იმდენად კატასტროფული ხასიათი მიიღო, რომ XI საუკუნიდან მოკიდებული, ვერცხლის მონეტის წონამ ერთი საუკუნის მანძილზე სამი გრამიდან თითქმის 0,5 გრამამდე იკლო, ხოლო XII საუკუნეში სუფთა სპილენძად იქცა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ მონეტებს, რომლებსაც მხოლოდ ზოგჯერ ემჩნეოდა ვერცხლით დაფარვა. წარწერის საშუალებით ხშირად ვერცხლად ასალებდნენ. ქართული სიტყვა ვერცხლი ფრანგული argent-ის მსგავსად ნიშნავდა ვერცხლსაც და საერთოდ ფულსაც. ამიტომ, საფიქრებელია, რომ XII—XIII სს. სპილენძის ქართულ მონეტებზე აღბეჭდილი ეს სიტყვა სწორედ ფულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და არა ლითონისა. თუმცა ამ მოსაზრებას თითქოს ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ იმდროინდელ ზოგიერთ სპილენძის მონეტას ვერცხლის დაფერილობა შერჩა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სპილენძის მონეტები იძულებითი წესით ვერცხლის ფულის ღირებულებით საღდებოდა. მონეტის განზრახ გაფუჭება-გაუარესება აქ უკვე სრულიად აშკარად ტარდებოდა XII—XIII სს. ე. წ. ს ა კ რ ე დ ი ტ ო მ ო ნ ე ტ ო ს ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი გამოშვებით.

ქართული ნუმისმატიკური ძეგლების საშუალებით მონეტის გაფუჭების მრავალ ხერხს ვეცნობით; ვერცხლის წონა შესამჩნევად აკლდება არა მარტო XI საუკუნის მონეტას, არამედ შემდგომი დროის მონეტებსაც. XIII საუკუნეში სამონეტო საქმის დროებითი გამოსწორების შემდეგ, XIV საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე XVI საუკუნის ჩათვლით, ეს სურათი კვლავ შეიარდება; ორივე შემთხვევაში ვერცხლი სპილენძით შეიცვალა.

მონეტის ფართული გაფუჭების ხერხს, როდესაც მას განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ და სათანადო დამუშავების შემდეგ სპილენძის გულას მთლიანად ვერცხლის თხელ ფირფიტას აკრავდნენ, ჩვენი წინაპრები ძალიან ადრე გაეცნენ. ეს ე. წ. ს უ ბ ე რ ა ტ უ ლ ი მ ო ნ ე ტ ა დამახასიათებელია ქერ

კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის კოლხური თეთრის ზოგიერთი ნიმუშისათვის. XV საუკუნეში სულ უბრალო ხერხს ხმარობდნენ — სპილენძი-საგან მოჭრილ წერილ მონეტებს მხოლოდ ვერცხლით ფერავდნენ.

მონეტის წარწერები გვაუწყებს ცალკე მფლობელების სახელებს, სამფლობელოთა სახელწოდებებს, გვაცნობს ქალაქებსა და ქვეყნებს, სამეფო-საგვარეულო ანუ დინასტიური ხასიათის ცნობებს და, ამრიგად, ძვირფას მასალას გვაწვდის ქრონოლოგიისა და პოლიტიკური გეოგრაფიისათვის. ასეთივე ძვირფას ცნობებს შეიცავს ეს მასალა ხალხის კეთილდღეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და სავაჭრო გზების შესახებ.

მონეტის მოჭრა ძირითადად სახელმწიფოს, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების უპირატესობას შეადგენს და, ამრიგად, ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს გარეგან ნიშანს წარმოადგენს, რასაც სახელმწიფო სამონეტო რეგალია ეწოდება.

მოსკოვის დიდი მთავრების XIV—XV სს. მონეტებს, მაგალითად, პირდაპირ აწერია — „Печать великого князя“, რაც ნიშნავს, რომ ბეკდის, ე. ი. სიქის მფლობელი პირი, რომელსაც ფულის მოჭრის უფლება აქვს, ხელისუფალი არის; ამავე მონეტების მეორე წარწერა აფრთხილებს ყალბი ფულის მომჭრელს — „а кто подомыше, тот нудет осу“ (ე. ი. ვინც ხელისუფლის ნებართვის გარეშე ფულს მოჭრის, მას ხელს ან თავს მოაჭრიან).

აქედან აშკარა ხდება, რომ მონეტას, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთ გარეგან ნიშანს, ბუნებრივია, უნდა ეტარებინა და ფაქტიურად ატარებდა კიდევ იმ ხელისუფლების იდეებს, რომელსაც ემსახურებოდა. შეიცვლებოდა თუ არა ხელისუფლება, იცვლებოდა მონეტის გარეგანი ნიშნებიც, რადგან ფულის მოჭრის უფლებას უკვე სხვა ხელისუფალი ითვისებდა.

ზოგჯერ ამ უფლებას იჯარით კერძო პირებსაც აძლევდნენ. ასეთ შემთხვევაში მონეტის გამოშვების კონტროლს სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელენი ეწეოდნენ. როდესაც ფულს სახელმწიფო ან მოიჯარე ჭრიდა, მას ბლოკრებულ (დაკანონებულ) ფულის მოჭრას უწოდებდნენ. ზოგჯერ ფულის თავისუფალ მოჭრასაც ჰქონდა ადგილი; ყველა, ვინც ზარაფხანაში ძვირფას ლითონს მიიტანდა, დაკანონებული და განსაზღვრული სასყიდლით ფულს აჭრეინებდა თავისთვის. ჩვენში, მაგალითად, ვერცხლის ფულის მიმართ ასეთი წესი XVII—XVIII საუკუნეებში ყოფილა მიღებული; ხოლო სპილენძის მოჭრა ბლოკირებული იყო, რადგან ამ ლითონისაგან სახელმწიფოს დიდი შემოსავალი რჩებოდა.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში მონეტა მაინც სახელმწიფოში შემოდებული საერთო სახით, ანუ ტიპით იჭრებოდა. გამონაკლისს რომელიმე მოვლენის აღსანიშნავად მოჭრილი ან წარჩინებულთა რომელიმე ვიწრო წრისათვის საჩუქრად დასარიცხებელი მონეტები წარმოადგენდა. პირველ შემთხვევაში ასეთ მონეტას მემორიალურს (სამახსოვროს) უწოდებენ, მეორეში — დონატორს (სასაჩუქროს).

მონეტის წარწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მასზე აღბეჭდილი თარიღია, რომელიც მონეტის მოჭრისა ან მისი ტიპის დამტკიცების დროს აღნიშნავს. ასეთ თარიღს მრავალი უძველესი მონეტა შეიცავს. სავსებით ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის შესწავლისათვის ქრონოლოგიას, ანუ დროის განსაზღვრას; აშკარაა აგრეთვე ის დიდი როლი, რომელსაც ამ საქ-

მეში მონეტა ასრულებს. დროის აღრიცხვა საერთოდ პირობით მიღებული რომელიმე მომენტიდან ხდება, ამიტომ მონეტებზე აღბეჭდილი თარიღები ყველგან და ყოველთვის ერთნაირი არ იყო; რადგან ყოველ კულტურულ ერს ან სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული წელთაღრიცხვა ჰქონდა, მონეტებზეც სხვადასხვანაირ თარიღებს შევხვდებით. ზოგზე — ამა თუ იმ წელთაღრიცხვის მიმდინარე წელია აღნიშნული, ზოგზე ხელმწიფოს მმართველობის მიმდინარე წელიწადი, ან კიდევ ე. წ. „ინიციალური“, ანუ ტახტზე ასვლის თარიღი და სხვა მისთ.

ძველ საქართველოში საკუთარი წელთაღრიცხვა არსებობდა, რომელსაც ქორონიკონს უწოდებდნენ. თარიღის აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ხმარობდნენ ანბანის ასოებს, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქორონიკონს საფუძვლად უძევს 532-წლიანი ციკლი (დროის მონაკვეთი), ანუ მოქცევა. შუა საუკუნეების ქართველი ასტრონომები ქვეყნის შექმნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე ათ მოქცევასა და 284 წელს, ე. ი. 5604 წელს (532 X 10 + 284) ანგარიშობდნენ. ქორონიკონით წელთაღრიცხვა ჩვენში მხოლოდ 780 წლიდან ანუ XIII მოქცევიდან შემოიღეს და XIV მოქცევაშიაც ხმარობდნენ. მოქცევის წელიწადი ქორონიკონად იწოდება თანამედროვე ჩვენ წელთაღრიცხვაზე ქართული ქორონიკონის გადასაყვანად მოცემულ ქორონიკონს 780 ან 1312 უმატებენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოქცევასთან გვაქვს საქმე. ერთი მოქცევის დამთავრებისა და მეორის დაწყების დროს ანგარიში თავიდან იწყება და თარიღები ისეთივე რჩება, როგორც წინა მოქცევაში.

თითოეული რიცხვი პირობითი ასოს საშუალებით იწერებოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, ანბანის ასოების რაოდენობა მცირეა, რიცხვები კი მრავალი, ამიტომ გამოყენებული იყო ჩაწერის ისეთი სისტემა, რომელიც ასოების მცირე რაოდენობის საშუალებით სხვადასხვანაირი მრავალი რიცხვის გამოსახვის შესაძლებლობას იძლეოდა. ვისაც ქართული ქორონიკონი აინტერესებს, მას აუცილებლად დასჭირდება ქვემოთმოცემული ცხრილი, სადაც ანბანის ყოველ ცალკე ნიშანს დართული აქვს მისი რიცხვითი მნიშვნელობა*.

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
ათეულები 0	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	ყ
ასეულები 00	რ	ს	ტ	ჯ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები 000	ჩ	ც	ძ	წ	ც	ხ	ჯ	ჯ	შ
ათი ათასი 0000	ჭ								

* ძველი ქართული ანბანის ზოგიერთი ასო თანამედროვე ანბანში გაქრალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წ. VIII საუკუნიდან მოყოლებული ქართულ მონეტათა უმრავლესობა მაჰმადიანური წელთაღრიცხვით (ჰიჯრით) თარიღდება. ჰიჯრა შემოდებული იყო 622 წელს (მაჰმადის მექადან განდევნის თარიღი), იგი მთვარის კალენდარზეა აგებული. ისევე, როგორც ჩვენი მზის წელიწადი, მთვარის წელიწადიც 12 თვეს შეიცავს და, რადგან მთვარის თვე მზის თვეზე ხანმოკლეა, მუსლიმანური ყოველი ახალი წელიწადი სულ უფრო და უფრო ადრე იწყება. ჩვენი მზის 33 წელიწადი მუსლიმანური მთვარის 34 წელიწადს შეიცავს და ჰიჯრაც, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ თანდათანობით უახლოვდება ახალ წ. მაგალითად, ჰიჯრის 50 წელიწადი ახალი წ. 670 წელს უდრის; განსხვავება 620 წელია. ჩვ. წ. 1940 წ. კი 1359 ჰიჯრას უდრის; როგორც ვხედავთ, ამ თარიღებს შორის სხვაობა შესამჩნევად შემცირდა და უკვე 581 უდრის. ამრიგად, 1270 წლის მანძილზე, რომელსაც ამ ორ შედარებულ თარიღებს შორის გაუვლია, ჰიჯრა 39 წლით დასწევია ჩვენ წელთაღრიცხვას.

რადგან ჩვენ წელთაღრიცხვაზე ჰიჯრის ზუსტი გადაყვანა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, ჩვეულებრივ, სპეციალურ სინქრონულ ცხრილებს ხმარობენ. მაგრამ ამისთვის სულ უბრალო და მარტივი ფორმულების გამოყენებაც შეიძლება, რომლებიც სულ უბრალო არითმეტიკულ მოქმედებებს მოითხოვს.

პირველი — ჩვენთვის საჭირო ჰიჯრას (მაგალითად, 886) კუმატებთ 622 (ეს უკანასკნელი რიცხვი უცვლელია);

მეორე — საჭირო ჰიჯრას (ამ შემთხვევაში 886) 33-ზე გაყოფთ (ეს რიცხვიც უცვლელია), თუ ნაშთი გვრჩება (როგორც ამ შემთხვევაში), მას დამარგვალეთ;

მესამე — პირველ მოქმედებაში მიღებულ ჯამს (1508) ვაკლებთ მეორე მოქმედებაში მიღებულ ნაშთს (27), სხვაობა დაემთხვევა ჩვენი წ. თარიღს — 1481.

შემოკლებულ ფორმულას ასეთი სწრაფი ექნება: $(886 + 622) - (886:33) = X$, სადაც საჭიროებისამებრ, 886 ჰიჯრის ნაცვლად, სხვა საჭირო რიცხვის მოთავსება შეიძლება.

ახლა პირიქით, საჭიროა ჩვენი ე. წ. ევროპული თარიღის ჰიჯრაზე გადაყვანა: მაგალითად, გვინტერესებს, თუ რომელ ჰიჯრას უდრის თემურლენგის მიერ თბილისის აღების 1386 წელი? ამ შემთხვევაში შემდეგნაირად ვმოქმედებთ: 1386-ს ვაკლებთ 622-ს; მიღებულ ნაშთს (764-ს) ვამრავლებთ 100-ზე; ბოლოს მიღებულ შედეგს (76400-ს) ვყოფთ 97-ზე.

საბოლოოდ მიღებული რიცხვი აქაც ემთხვევა 788 ჰიჯრას და მოკლე ფორმულაც ასეთ სახეს მიიღებს:

$$\frac{(1386 - 622) \cdot 100}{97} = X$$

სურვილისამებრ, 1386-ის ნებისმიერი თარიღით შეცვლა შეიძლება.

XVIII საუკუნის ზოგიერთი და XIX საუკ. ყველა ქართული მონეტა თანამედროვე წელთაღრიცხვით არის აღბეჭდილი. პირველ შემთხვევაში თარიღი ციფრებით არის აღნიშნული, მეორე შემთხვევაში კი — ქართული მხედრული ანბანის ნიშნებით. თარიღს, რომელიც მონეტაზე ციფრებით ან სხვა რაიმე რიცხობრივი ნიშნებით არის აღნიშნული, პირდაპირი თარიღი ეწოდება; როდესაც მონეტას თარიღი არ ახლავს, მაგრამ მასზე აღნიშნულია სხვა ცნობა

(სახელი: რომელიმე ცნობილი ფაქტი ან გამოსახულება), რომელიც მონეტის გამოშვების დროს უჩვენებს, არაპირდაპირ თარიღად იწოდება.

ქართული მონეტების განსაზღვრულ ნაწილს სწორედ პირდაპირი თარიღი ახასიათებს, რის გამოც ეს მასალა ქრონოლოგიურად ადვილად განისაზღვრება. მაგრამ ლირებულების, ანუ ნომინალის განსაზღვრის მხრივ ქართული ნუმიზმატიკის ძეგლები ძნელი დასამუშავებელია, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენს მონეტებს საჭირო ცნობები არ ახლავს. ამის გამო წერილობით საბუთებში შემორჩენილი ამ ხასიათის ცნობების ზუსტი გარკვევა ხშირად მეტად ძნელი ხდება.

ნუმიზმატიკური ძეგლების გაცნობისას საქმე აუცილებლად საანგარიშო, ფულად და სამონეტო სისტემებთან გვექნება, რისთვისაც საჭიროა ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ საკითხებზე.

საანგარიშო სისტემას უწოდებენ სხვადასხვა ნომინალების ერთმანეთთან შეფარდებას; ფულად სისტემად იგულისხმება მონეტის მოსაპირეად ერთი ან რამდენიმე ლითონის გამოყენება, ხოლო სამონეტო სისტემად — მონეტებისათვის მიღებული ესა თუ ის წონითი ნორმები და სამონეტო ერთეულები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში XII საუკუნის მთელ მანძილზე და XIII საუკუნის პირველ მესამედში იჭრებოდა მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის მონეტები და, ამრიგად, შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ აყვავების ხანას უცნაურად ემთხვევა მისი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“.

XVII—XVIII საუკუნეებში ერანის ძირითადი სამონეტო ერთეული ვერცხლის აბაზი იყო და, რამდენადაც ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო მისი ვავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბუნებრივია, აქაც ბატონობდა ვერცხლის მონეტალიზმი, ოქრო იშვიათად გვხვდება, ხოლო სპილენძს, რომელიც დიდი რაოდენობით იჭრებოდა, მხოლოდ ხურდა ფულად ხმარობდნენ. ვერცხლის მონოპენტალიზმს ამ პერიოდის საქართველოში ადასტურებს ვანტანგ VI კანონთა კრებული, სადაც სპეციალური კარი (თეთრის გარიგებისა) სწორედ ვერცხლის მონეტის მოჭრას ითვალისწინებს.

მონეტებში გამოხატული ლირებულების ერთეულის საზომის დასადგენად თითოეულ ქვეყანას აქვს მთავრობის სათანადო დადგენილებანი. ზოგჯერ რიგი სახელმწიფოებისა ერთიანდება საერთო სამონეტო სისტემის მისაღებად. ასეთ შეთანხმებას, ანუ კონვენციას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, 1865 წელს საფრანგეთსა, იტალიასა, ბელგიასა და შვეიცარიას შორის. ამ კონვენციას შემდეგში არაოფიციალურად შეუერთდნენ ესპანეთი, საბერძნეთი და რუმინეთი. ასეთივე შეთანხმება 1872 წელს მოხდა სტოკჰოლმში, სადაც დანიას, შვეციასა და ნორვეგიას შორის დადებული იყო ე. წ. სკანდინავიის, ანუ ჩრდილოეთის სამონეტო კონვენცია.

არსებული ვითარებით ნაკარნახევი ანალოგიური ღონისძიებანი ტარდებოდა ძველადაც, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ფორმდებოდა სპეციალური კონვენციების სახით. საქმარისია, მაგალითად, აღენიშნოთ, რომ არაბებმა ისესხეს სასანური ერანისაგან ფულადი ერთეული — დრაჰმა, დაარქვეს მას ღირჰემი და გააერცვლეს მთელს აღმოსავლეთში, სადაც ამ სამონეტო სისტემამ რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც საუკუნეთა მანძილზე იარსება.

ნუმიზმატიკური მასალის შესწავლამ დაადასტურა, რომ ქართული სამო-

ნეტო სისტემა ჩვეულებრივ ყალიბდებოდა ამა თუ იმ პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებული სამონეტო სისტემის საფუძველზე. ამიტომ საერთაშორისო სისტემასთან ერთად დრო და დრო სამონეტო სისტემა ჩვენშიაც იცვლებოდა და ამასთან დაკავშირებით იცვლებოდა მონეტის გარეგანი სახე, მასზე აღბეჭდილი წარწერების შინაარსი და გამოსახულებათა სიუჟეტი.

ძველებური მონეტები თავისებურად გვამცნობენ ქვეყნის აღმავლობის ან დაცემა-დაქვეითების სხვადასხვა ეტაპებს. ამიტომ ყურადღების ღირსია არა მარტო მონეტის ძირითადი ტიპი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებით, არამედ მისი თითქოს შეუმჩნეველი წერილმანი ვარიანტებიც. ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო წერილმანებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მასზე აგებული სავარაუდო მოსაზრება, ანუ ჰიპოთეზა, დამატებითი მასალის დახმარებით, მტკიცე დებულებად ქცეულა. ამ წიგნში ყველა წერილმანის აღწერა და გარჩევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ასეთი ნიმუში გვაქვს მოტანილი.

დამახასიათებელია, მაგალითად, ქართულ-სასანურ დრამებზე მოთავსებულ გამოსახულებათა წერილმანი დეტალები, რომლებიც ამ მონეტების თარიღის დადგენის საშუალებას იძლევა (იხ. ქვემოთ).

უფრო საინტერესოა რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ორნამენტული ჩარჩოს თითქმის შეუმჩნეველი ხვეული. მხოლოდ სათანადო ანალოგიებთან შედარებისა და შესწავლის შემდეგ გამოძვდავდა ამ სულ უბრალო დეტალის ჭეშმარიტი დანიშნულება (იხ. ქვემოთ).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონეტის მოჭრის უფლება ხელისუფლებას, ე. ი. სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მონეტა, როგორც ხელისუფლების რეგალია, ე. ი. ერთ-ერთი მისი გარეგნული გამოვლინება, ამ ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად იცვლიდა თავის გარეგნულ სახესაც, — იცვლებოდა ემბლემები, სიმბოლოები, მეფე-მთავართა სახელები, წარწერათა შინაარსი და სხვა. მონეტა, რომელიც აქმაყოფილებდა ფართო მასების საჭიროებას, ამავე დროს ემსახურებოდა გაბატონებულ ხელისუფლებას არა მარტო როგორც შემოსავლის წყარო და სახელმწიფოში წარმოებული ფულადი მიმოქცევის საშუალება, არამედ, როგორც ამ ხელისუფლების იდეების გამტარებელიც. ქართული მონეტის ბრუნვის ოცდახუთსაუკუნოვანი პერიოდის გრძელ მანძილზე, ხელისუფლება, როგორც ცნობილია, არაერთხელ გამოცვლილა. ამიტომ, ბუნებრივია, ამ წიგნში აღწერილი მონეტები ერთფეროვანი და ერთნაირი არ იქნება.

ქართულწარწერიანი მონეტები ქართულ ნუმიზმატიკაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. გაცილებით მეტია ორენოვანი მონეტები, ე. ი. ისეთები, რომლებზედაც ქართული წარწერის გარდა, მოცემულია წარწერა სხვა ენაზე — უმთავრესად არაბულზე ან სპარსულზე. იგივე ითქმის მონეტაზე აღბეჭდილ ისტორიულ პირთა სახელებზე; მონეტები, რომლებიც მხოლოდ ქართველ მეფეთა სახელებს ატარებენ, შედარებით მცირეა. ქართველი მეფის სახელს უფრო ხშირად წინ უძღვის ან თან ახლავს ამა თუ იმ უცხო მპყრობელის (არაბთა ხალიფას, სელჯუკთა სულთნის, მონღოლთა ელჩანისა თუ სხვა) სახელი. წინამავალი მონეტების მსგავსად, ასეთ მონეტებს შეიძლება ო რ მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ა ნ ი მონეტა ვუწოდოთ.

რა ნიშნებით უნდა ვიხელმძღვანელოთ მონეტის წარმოშობის დადგენის დროს?

უპირატესობას ანიჭებენ ხოლმე ნიშანს, რომელსაც შეიძლება პოლიტიკური ვუწოდოთ, იმიტომ რომ მონეტის წარმოშობას ჩვეულებრივ განესაზღვრავთ მასზე აღბეჭდილი მფლობელის სახელით. მაგრამ არსებობს სხვა ასეთივე ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, რომელთა იგნორირება არ შეიძლება ასეთებისა:

1. ეკონომიური ფაქტორი, რაც გამოიხატება მონეტის მიმსგავსებაში (ტიპოლოგიურ, სტილისტურ, ფაქტურულ) იმ პროტოტიპებთან, რომლის მიბაძვითაც ის იჭრება. ასეთი მიწაბაძების მოჭრა ნაყარნახევი იყო ნაწილობრივ პოლიტიკური ან კულტურული ზეგავლენით, მაგრამ უფრო ხშირად წმინდა ეკონომიური მოსაზრებებით ხდებოდა. ამის შედეგად საკუთარ მონეტას ხშირად ეძლეოდა საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებული მონეტის გარეგნული სახე. ასეთი მონეტები ზოგჯერ მთლიანად იმეორებდა ძირითადი პროტოტიპის ყველა დეტალს.

2. გეოგრაფიული, ანუ ტერიტორიული ფაქტორი, როდესაც მონეტა განისაზღვრება მოჭრის ადგილით.

3. ეთნიკური ფაქტორი, როდესაც მონეტის კუთვნილება განისაზღვრება იმ ხალხით (მოსახლეობით), ვისთვისაც იჭრებოდა მონეტა.

ცალკეულ შემთხვევებში მონეტაში შერწყმულია ორი და ზოგჯერ სამი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საწინააღმდეგო ნიშანი.

ქართულ ნუმიზმატიკაში შეიძლება დავასახელოთ ასეთი მოჩვენებითი წინააღმდეგობის ჩამდენიმე მაგალითი. მაგალითად, ე. წ. რუსულ-ქართული მონეტების ყველა გარეგნული ნიშანი (წარწერის ენა, შინაარსი, მოჭრის ადგილი და სხვა), ისევე როგორც სხვა მაჩვენებლები (გავრცელების არე), მიუთითებს ამ მონეტათა ქართულ წარმოშობაზე. მაგრამ ერთი მცირე დეტალი — თარიღი, რომელიც აგრეთვე ქართულ ენაზეა (1804 წლიდან 1834 წლამდე), ამჟღავნებს მონეტის ჭეშმარიტ წარმოშობას. როგორც ვიცით, 1801 წლიდან საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის ნაწილად იქცა; ამის გამო, მიუხედავად წმინდა ქართული გარეგნული სახისა, ეს მონეტები უფრო რუსულ ნუმიზმატიკას მიეკუთვნება, ვიდრე ქართულს. მსგავსი მაგალითები მოიპოვება არა მარტო ქართულ ნუმიზმატიკაში: XIX საუკუნის პირველი ნახევრის ე. წ. რუსულ-პოლონურ მონეტებს თანაბარი საფუძველით თვლიან როგორც რუსულ, ისე პოლონურ მონეტებად.

არის აგრეთვე უსახელო, ანუ ანონიმური ქართული მონეტებიც, რომელთა წარწერებში საკუთარი სახელები არ მოიხსენიება. ასეთ მონეტად ვერ ჩაითვლება ე. წ. ქალაქური მონეტა, გამოშვებული ქალაქისა და არა სახელმწიფოს მიერ. ამნაირ მონეტებს ჩვენში უკვე ძველი წ. პირველ საუკუნეში კრიდნენ (ძველი დიოსკურია — ახლანდელი სოხუმი).

ეს ნიმუშები, ისევე, როგორც ცალკეული დამოუკიდებელი ფეოდალების მიერ მოჭრილი მონეტები (ვამიყ დადიანი, XIV საუკ., ყვარყვარე ათაბაგი, XV საუკ.), შეიძლება ავტონომიურ ან ფეოდალურ მონეტად მივიჩნიოთ.

ღროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მოჭრილ მონეტებს, თანამედროვე იურიდიული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დროებითი — სოკუპაციო მონეტა ეწოდება. აქ იგულისხმება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრილი მტრის ადმინისტრაციისა ან გარნიზონების მიერ მოჭრილი ნიმუშები. მაგალითად,

XVIII საუკ. პირველ ნახევარში, როდესაც ოსმალებმა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრეს, თბილისში ფული მოიჭრა აჰმედ მესამისა და შემდეგ მაჰმუდ პირველის სახელით; ან, პირიქით, XVIII საუკ. დამლევეს მეფე ერეკლეს მიერ დაპყრობილ განჯაში, მისი ნაცვლები რამდენიმე წლის განმავლობაში თბილური აბაზიანის მსგავს მონეტებს ქრიდნენ.

არსებითად ასეთივე საოკუპაციო მონეტად ჩაითვლება მასობრივი გავრცელების გამო ამა თუ იმ ქვეყანაში ფეხმოკიდებული და დაკანონებული უცხო ქვეყნის მონეტები. ასეთ მონეტას ზემოხსენებულისაგან განსხვავებით, ნ ა ტ უ რ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ს ანუ გაშინაურებულს უწოდებენ. ასეთი მონეტები ჩვენში ხშირია; მაგალითისათვის დავასახვლებთ რომის კეისარ ავგუსტის დენარსა და გოტარზეს პართელის დრაქმას, რომლებიც ჩვენში ფართოდ გავრცელდა ახალი წ. პირველ საუკუნეებში.

ნატურალიზებული მონეტა ვრცელდებოდა არა მარტო დაპყრობისა ან ძალდატანების გზით, არამედ ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის შედეგად. ამ გზით შემოსულ მონეტებს ზოგჯერ საკუთარ კონტრამარკას, ე. წ. დ ა მ - დ ა ს (დანაბეჭდს) არტყამდნენ და ამ მარტივი და იოლი ტექნიკური ხერხით უცხო მონეტას საკუთარ მონეტად აქცევდნენ. ეს ხერხი საქართველოში მიღებული იყო XII—XIII და XVIII საუკუნეებში.

ნატურალიზებული (გაშინაურებული) მონეტების გავლენით ხშირად მათი ადგილობრივი მიხაბაძეები ჩნდებოდა ხოლმე, რაც გამოწვეული იყო გაშინაურებული მონეტის უცხოეთიდან შემოზიდვის შეწყვეტით, ადგილობრივ მოსახლეთა შორის მათზე მოთხოვნილების ზრდითა და ადგილზე მსგავსი ნიმუშების გამოშვების აუცილებლობით. ასეთი ნიმუშები ჩვენში ძალიან ადრე გაჩნდა და შემდეგშიც იჭრებოდა. ფართოდ არის, მაგალითად, ცნობილი ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრე ლისიმახეს სტატერების მსგავსად მოჭრილი ოქროს მონეტები, ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში რომის კეისარ ავგუსტის დენარის მიხაბაძეები, VI—VII სს. სასანური დრამის მსგავსად მოჭრილი ქართლის ერისმთავართა ნიმუშები და სხვ.

ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების შეჯახებით გამოწვეული ასეთი მონეტების გაჩენა და მათი კუმშარიტი ხასიათი და წარმოშობა მშვენიერად ახსნა გამოჩენილმა ნუმისმატმა ა. ნ. ზოგრაფმა. მისი აზრით, ასეთი მიხაბაძეების გაჩენა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, საშინაო ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი მონეტის საერთაშორისო ბაზარზე გატანის მიზნით.

გვხვდება ისეთი მონეტებიც, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებებს ათავსებდნენ; ამ ნიმუშებზე წარწერის კვალიც არ ჩანს, რისთვისაც მათ, ჩვეულებრივ ა ნ ე პ ი გ რ ა ფ ი კ უ ლ ანუ მ უ ნ ჯ მონეტებს უწოდებენ. ასეთი მონეტები ქართულ ნუმისმატიკაში შედარებით იშვიათია.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მონეტა, — იშვიათი თუ ძალიან გავრცელებული, — მაინც თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელ რაიმე ახალსა და საყურადღებო ცნობას შეიცავს. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მონეტისადმი ინტერესის გამოჩენა, რომელიც რაიმე მიზეზის გამო იშვიათია და ამიტომ უფრო ძვირფასი, რა თქმა უნდა, მართებული არ არის. მეცნიერული ავალსაზრისით მონეტის, როგორც ისტორიული დოკუმენტის, მნიშვნელობა და ღირებულება ყოველთვის მისი იშვიათობით არ განისაზღვრება.

გავიხსენოთ აგრეთვე ნუმისმატიკურ ლიტერატურაში საერთოდ მიღებული ძირითადი და ელემენტარული ტერმინები და პირობითი ნიშნები.

ყველა მონეტას აუცილებლად ორი მხარე აქვს:

შუბლი ანუ avers (შემოკლებით Av ან I), სადაც ჩვეულებრივ თავსდება გამოსახულებათა ან წარწერათა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი.

ზურგი ანუ revers (შემოკლებით Rv ან II), სადაც მეორეხარისხოვანი წარწერები და გამოსახულებანია.

მონეტის აუცილებელი ნაწილია წიბო, რომელზედაც, ძალიან გვიან, სახელდობრ, XVI საუკუნეში ჩნდება პირველად წარწერები, უფრო ხშირად კი რაიმე მარტივი ნახატი (ნაქდევო, წერტილები, ბადე). ასეთი ნახატიანი წიბო საქართველოში მხოლოდ XIX ს-ში შემოიღეს.

მონეტის მოსაპრეოდ სხვადასხვა ლითონს ხმარობდნენ. ჩვენში მიღებული იყო ოქრო, ელექტრუმი (ოქროსა და ვერცხლის შენადნობი), ვერცხლი, ბილონი (სპილენძის დიდი რაოდენობის შემცველი დაბალხარისხოვანი ვერცხლი) და სპილენძი. ამ ლითონების აღსანიშნავად მიღებულია პირობითი ნიშნები, რომლებიც შესაბამისად შედგება ასოებისაგან ან მათი ლიგატურისაგან:

A (= aurum) — ოქრო; **R** (= argentum) — ვერცხლი; **AE** (= aes) —

სპილენძი.

მონეტის ღირებულებას განსაზღვრავს მისი ზომა და წონა, ამიტომ მონეტის აღწერის დროს ის აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

მონეტების ზომა ამ წიგნში ნაჩვენები არ იქნება, რადგან დართულ ტაბულაზე და ცალკე შემთხვევებში ტექსტში მოთავსებული გამოსახულებანი ნატურალური ზომისაა. ხშირად არ არის მოცემული აგრეთვე ამა თუ იმ ცალკეული მონეტის წონაც, რადგან საჭირო ცნობები მოთავსებულია ტექსტში.

მონეტის შუბლისა ან ზურგის მთელ სივრცეს მონეტის არე ეწოდება, ზედ მოთავსებულ წარწერას — ზედწერილი, მონეტის კიდზე მოთავსებულ წარწერას — გარშემოვლებული ზედწერილი.

მოვიყვანოთ აგრეთვე რამდენიმე ცნობასა და მაგალითს მონეტის იშვიათობისა და მეცნიერული ღირებულების შესახებ. გავრცელებულია შეხედულება, თითქოს რაც უფრო ძველია მონეტა ან რაც უფრო მეტად აქვს მას მოჭიდებული ჟანგი, მით უფრო იშვიათი და ღირებულია. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მონეტის ღირებულება მისი ისტორიული მნიშვნელობით, ხშირად მხატვრული თვისებებით და ზოგჯერ დაცულობითაც განისაზღვრება.

მონეტის იშვიათობა (შემოკლებით R) ფასდება ჩვენამდე მოღწეული ცალების რაოდენობით.

სხვადასხვა კოლექციებში დაცული ქართული ფულის განსაზღვრული რაოდენობა, სამწუხაროდ, დღემდე არ არის წესრიგში მოყვანილი. არის შემთხვევები, როცა რომელიმე მონეტა ამა თუ იმ მკვლევარს წლობით არ ხვდება, მეორისთვის კი ასეთივე მონეტა ათეული ცალების რაოდენობით არის ცნობილი. მაგალითად, XI საუკუნის ქართული მონეტები, რომლებიც მოსკოველ კოლექციონერს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეუძენია, მოსკოვის საისტორიო მუზეუმ-

ში ათეული ცალობით მოიპოვება, ჩვენთვის კი. და საერთოდაც, ასეთი ნაშუშები უაღრესად იშვიათია.

ძველებური მონეტის დაცულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კარგად შენახული ცალის საშუალებით წარწერებისა და გამოსახულებათა საჭირო დეტალების აღდგენა უფრო ადვილია. ამიტომაცაა, რომ კარგად დაცულ მონეტას ბევრად უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ასეთსავე, მაგრამ ცუდად დაცულ მონეტას.

მონეტას ძალიან ამშვენებს სიძველის ერთგვარი ელფერი, ე. წ. პატინა, იგი მონეტის ზედაპირს ფარავს და იცავს; ამიტომ მონეტის გაწმენდას სიფრთხილედ სჭირდება, რომ ეს ელფერი არ მოშორდეს.

ცნობილია, რომ სპილენძი ადვილად იუანგება. ამიტომ ამ ლითონისაგან მოჭრილი მონეტები უფრო ხშირად ზიანდება. შედარებით კარგად ინახება ვერცხლის მონეტები, გაცილებით უკეთესად — ოქროსი, რადგან ეს უქანასკნელი ლითონი თითქმის არაერთად ცვლილებას არ განიცდის გარეგანი ზეგავლენისაგან; როგორც უფრო ძვირფასი ლითონი ოქრო ბრუნვაშიაც ნაკლებად იზიარება.

როგორც აღვნიშნეთ, ე. წ. კოლხური თეთრის ზოგიერთი ვარიანტი ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში მოიჭრა და იგი სავსებით მართებულად მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მონეტად ითვლება. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ამას ჩაგვაცენეს იმ კულტურულ ხალხთა პირველ რიგებში, რომლებმაც პირველყოფილი ფული, ფული-საქონელი, ფულის ახალ ნიშნებზე — ჩენი თანამედროვე გაგებით — მონეტებზე შეცვალეს.

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენში მოჭრილი უქანასკნელი ლითონის მონეტა 1833 წლით არის დათარიღებული და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთარი ფულის მოჭრა საქართველოში თითქმის არ შეწყვეტილა. სრული უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ მოჭრის ხანგრძლივობითაც ჩვენს ქვეყანას უაღრესად საპატიო ადგილი უკავია.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო იმყოფებოდა კულტურულ სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ამბების სფეროში. ეს დასტურდება იმ ისტორიული, განსაკუთრებით კი ნუმისმატიკური ძეგლებით, რომლებითაც ასე მდიდარია ჩენი ქვეყანა. საქართველოში არ მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც წიაღს შემონახული არ ჰქონდეს შორეული წარსულის ლითონის ეს ძეგლები.

საქართველოს ისტორიული და ეკონომიური წარსული მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიულ მდებარეობასთან. აქ უხვად ილექებოდა ნუმისმატიკური მასალა და ჩენი ქვეყნის მიწის წიაღში აღმოჩენილი მონეტების თანამიმდევრობითი ცვლებადობა ზუსტად ასახავს აქ მომხდარ ისტორიულ მოვლენებსაც. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა მონეტები, რომლებსაც ახლავს ცნობები აღმოჩენის პირობებისა და ადგილის შესახებ.

ასეთ მონეტებს ჩენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათი აღრიცხვა, ანალიზი და შესწავლა, სამწუხაროდ, დღესაც ძალიან ფერხდება, მრავალი ფრიად საყურადღებო ცნობა აღურიცხავი რჩება და მეცნიერებისათვის სამუდამოდ იღუპება. ყოველი ასეთი ცალკეული მონეტისა და, მით უმეტეს, მონეტათა განძის აღმოჩენა ყოველთვის რაიმე ახალსა და მნიშვნელოვანს იძლევა.

ცალკეულ შემთხვევებში აღმოჩენილი მონეტები აუცილებლად უნდა დაეა-
ცილოთ სხვა მოხეტებისაგან და ზუსტად აღენიშნოთ შემდეგი საჭირო შოხა-
ცემები:

1. მოპოვების დრო, ადგილი და პირობები, 2. მონეტათა რიცხვი, 3. მათი
დაახლოებითი განსაზღვრა.

მაგრამ, რადგან მონეტის განსაზღვრისათვის სპეციალური ცოდნა საჭი-
რო. ამიტომ მონაპოვარის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს უახლოეს მხა-
რეთმცოდნეობის მუზეუმს და ცნობას დაერთოს ქალაქზე ფანქრით აღებული
რამდენიმე მონეტის ანაბეჭდი. რა თქმა უნდა, საუკეთესო ღონისძიება იქნება,
თუ ამ მონაპოვარს მუზეუმში მოვთავსებთ.

განძის მთლიანი შემადგენლობის შემოწმება და მისი არქეოლოგიური შეს-
წავლა ყოველთვის რაიმე ახალს იძლევა; ამიტომ, ასეთი ცნობის სათანადო და-
წესებულებებისათვის მიწოდება, ერთი მხრივ, მეცნიერებას დიდ სამსახურს
უწევს, ხოლო მეორე მხრივ, შეგნებულ მოქალაქის საპატიო და პატიოტუ-
ლი მოვალეობაა.

მონეტის აღმოჩენის ადგილსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამით სა-
მონეტო ტიპების გავრცელების ფრიად საინტერესო საკითხები ირკვევა. ამ სა-
ყურადღებო საკითხების შესწავლას ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის
(უმთავრესად სოფლის) მიერ შეგროვილი მასალაც. ეს კერძო ნუმიზმატიკურ
კოლექციებსაც ეხება, რომლებიც საკონტროლო მასალას წარმოადგენს ადგი-
ლობრივ აღმოჩენილი და აღრიცხული ცალკე მონეტებისა და ფულადი განძების
შესამოწმებლად და შესასწავლად. ამ მასალის საშუალებით შეიძლება დადგინ-
დეს — ადგილობრივია თუ შემოტანილი კერძო კოლექციებში თავმოყრილი
ესა თუ ის მონეტა.

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ყოველწლიურად უამრავი მონეტები ჩნდება,
რომლებიც ზოგჯერ უზო-უკვლოდ იკარგება. საქართველოს რუსუბლოკის
ოთხპილიონიანი მოსახლეობიდან ერთმა მეთათემაც მოქალაქეობრივი მოვალე-
ობა რომ შეასრულოს და მუზეუმისთვის თითო ცალი გადაარჩინოს, ნუმიზმა-
ტიკურ ფონდში თავმოყრილი ნიმუშების საერთო რიცხვი გამოითვლება ასეუ-
ლი ათასობითა და არა ათეული ათასობით. თავისთავად ცხადია, რომ ეს უძვირ-
ფასესი მასალა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლას.

ფულის მოჭრის ისტორია ძველ საქართველოში მჭიდროდაა დაკავშირებუ-
ლი ჩვენი ქვეყნის წარსულთან, ამიტომ ფაქტობრივი მასალა და ძირითადი სა-
მონეტო ტიპების აღწერილობა იმნაირად დავალაგეთ ამ წიგნში, რომ მტკიცე
დოკუმენტური ბაზის საფუძველზე მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა დამოუკი-
დებლად აითვისოს ეს საგანი.

წიგნში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ჩამოყალიბებული ნუმიზმატი-
კური მასალა მკაფიოდ ამჟღავნებს ერთმანეთისაგან გარეგნული და შინაგანი
თვისებებით განსხვავებულ სამონეტო ძირითად ჯგუფებს, რომლებიც საუკეთე-
სოდ შეესატყვისება ქართველი ერის ისტორიის ძირითად ეპოქებს. ქართულ
ნუმიზმატიკაში უცხოური სამონეტო ტიპების გამოყენება ხშირი მოვლენაა და
ეს გარემოება ქვემოჩამოთვლილ ძირითად ჯგუფების დასახელებაში ზოგჯერ
სათანადო ანარეკლს პოულობს. ქართული მონეტების ძირითადი ჯგუფებია:

1. კოლხური თეთრი,
2. ადგილობრივი ოქროს სტატერები,

3. ელინისტური პერიოდის მონეტები,
4. რომაული და პართული ყაიდის მონეტები,
5. ქართლის ერისმთავართა VI—VII სს. დრაქმები,
6. თბილისური დრაქმები VIII—XI სს.,
7. XI ს. ქართული მონეტები,
8. XII და XIII სს. პირველი მესამედის მონეტები,
9. მონღოლთა ბატონობის დროინდელი მონეტები,
10. XIII—XV სს. დასავლურ-ქართული ფული,
11. XIV—XVI სს. დაკნინებული ქართული ფული,
12. XVI—XVIII სს. თბილური მონეტები,
13. XVIII ს. მეორე ნახევრის უსახელო ვერცხლის ფული.
14. რუსეთთან შეერთების შემდეგ მოქრილი თბილური ფული.

ამა თუ იმ ჯგუფისა ან ცალკე მონეტის გავრცელება-იშვიათობის შესახებ საჭირო ცნობები მოთავსებულია ძირითად ტექსტში. ამ ცნობების შედგენისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმდიდრესი ნუმისმატიკური კოლექციით. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა ამ ცნობების შემოწმება და კონტროლი სხვადასხვა მუზეუმებში ან კერძო კოლექციებში დაცული დამატებითი მასალით. ამ მასალის შემოწმების დროს გამოირკვა, მაგალითად, რომ საქართველოს სახელმწიფო და გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში ქარბად წარმოდგენილი XV საუკუნის მეორე ნახევრის საბოლოოდ დაკნინებული მონეტები სხვა დიდრონ კოლექციებში სულ არ არის, ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვება. ან პირიქით, XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური მონეტები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ღარიბადაა წარმოდგენილი, მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ათეული ცალებით არის დაცული.

ძველი ქართული ფულის შესახებ გარკვეული და ნათელი წარმოდგენისა და ამ წიგნში მოთავსებული მასალის უფრო ადვილად ათვისების მიზნით მონეტათა აღწერილობას ისტორიული ხასიათის მოკლე ცნობები დაეურთეთ. ეს საგრძნობლად გავეიადვილებს სამონეტო ტიპების ცვლილებათა პირობების ახსნასა და გაგებას.

მონეტების აღწერილობის დაწყებამდე გავეცნოთ საქართველოში მეცნიერების ამ დარგის განვითარების მოკლე ისტორიას.

მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის სახით ნუმისმატიკა საქართველოში ას წელზე მეტი ხნის წინათ აღმოცენდა; მის ფუძემდებლად სამართლიანად მიჩნეულია ჩვენი თანამემამულე მის. ბარათაევი (ბარათაშვილი), რომელმაც 1844 წელს პეტერბურგში რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა თავისი კაპიტალური ნაშრომი საქართველოს სამეფოს ნუმისმატიკურ ფაქტებზე, რასაც მოკლე განმარტება-შენიშვნები ქართულ ენაზედაც დაურთო. თავისი შრომა მან დაიწყო ახ. წ. VI ს. ე. წ. „ხოსროიან-იბერიული“ მონეტებით და ამრიგად, გამოტოვა უძველესი ხანის მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

მ. ბარათაშვილზე ცოტა ადრე 1835—36 წწ. მ. ბროსემ ფრანგულ ენაზე გამოსცა გამოკვლევები ქართული მონეტების შესახებ.

ამ ორი მკვლევარის შრომებს მოსდევს ცნობილი არქეოლოგისა და ნუმიზმატის ი. ბართოლომეის სტატიები და შენიშვნები ქართული ფულის შესახებ.

ამ ნაშრომებმა ხელი შეუწყო მრავალი სადავო და გაურკვეველი საკითხის გადაჭრას, კერძოდ, ბართოლომეიმ პირველმა დასვა საკითხი და გამოთქვა მოსაზრება ქართულ ნუმიზმატიკაში ანტიკური პერიოდის მონეტების, იბერიის მეფე ფარსმანის მონეტის არსებობის შესახებ და სხვ.

XIX ს. შუა წლებში ქართული ნუმიზმატიკის უკანასკნელი გამოჩენილი მკვლევარი ფრანგი სწავლული ვ. ლანგლუა იყო, რომელმაც 1852 წ. და შემდეგ 1860 წ. ფრანგულ ენაზე დაბეჭდა საქართველოს მონეტათა სისტემატური მიმოხილვა.

ამის შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში ქართული ნუმიზმატიკის განვითარება რამდენადმე შეფერხდა; სწავლულები სპეციალურად აღარ ჩერდებიან ქართულ ნუმიზმატიკაზე და დროგამოშვებით ამა თუ იმ ცალკე საკითხს ეხებიან.

1910 წელს პეტერბურგში გამოდის ე. ა. პახომოვის ცნობილი წიგნი ქართული მონეტების შესახებ; ესაა ახალი ეტაპი ქართული ნუმიზმატიკის განვითარებაში. ზემოჩამოთვლილ შრომებთან შედარებით ეს წიგნი დიდ პროგრესს წარმოადგენდა და, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოცემის დღიდან ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგია. მკვლევარმა გაითვალისწინა წინამორბედთა შეცდომები და ნაკლოვანებები, ამომწურავად აღწერა მონეტათა ძირითადი სახეები, ტიპები და წერილმანი ვარიანტები; მონეტათა აღწერილობას მშვენივრად შესრულებული ფოტორეპროდუქციები დაურთო. მაგრამ ზოგიერთი ნაკლი ამ ნაშრომსაც გააჩნია, სუსტადაა წარმოდგენილი ანტიკური პერიოდი, მონეტების აღწერილობა მიყვანილია 1230 წლამდე და დროის დიდი მონაკვეთი XIII საუკუნიდან XIX ს-მდე ფაქტიურად დაუსრულებელი დარჩა. თავისი მეორე ნაშრომით — XVII—XVIII სს. თბილური სპილენძის მონეტების შესახებ — ე. პახომოვმა ნაწილობრივ შეავსო ეს ხარვეზი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ნუმიზმატიკის შესწავლის ამოცანები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კვლევითი მუშაობა ამ სფეროში აგებულ იქნა ახალ საფუძველზე. „სიძველეებით“ გატაცებულ წინა პერიოდის მეცნიერთაგან განსხვავებით, საბჭოთა მეცნიერები მიზნად ისახავენ ძველ მონეტათა შესწავლას საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. მონეტების კვლევითი-წარმოშობა, ისევე როგორც სამონეტო ტიპების ცვალებადობა, და გაჩენის მიზეზები იხსნება არა მარტო თვით ფაქტიური მასალის (მონეტებისა და ფულადი განძების) შესწავლით, არამედ ისტორიული ფაქტების ანალიზითა და ძველი ხელნაწერებისა და არქეოლოგიური გათხრების ახალ ცნობათა შუქზე.

1925 წელს გამოქვეყნდა აკად. ივ. ჯავახიშვილის წიგნი ქართული საფას-საზომების შესახებ, სადაც განხილულია წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე ზომა-წონის ერთეულები და მონეტები, ხელნაწერებში შემონახული სათანადო ტერმინები. წიგნში მოცემულია აგრეთვე ცნობები ამა თუ იმ მონეტის ხმარებაში შესვლის ვადების, ბრუნვის ხანგრძლივობის, მონეტათა ურთიერთშეფარდებისა და სხვა საკითხებზე.

აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართული ნუმისმატიკის საკითხებზე მუშაობს მეცნიერთა მთელი რიგი: ქვეყნდება პროფ. ს. კაკაბაძის სტატიები, მიძღვნილი უმთავრესად ძველ ქართულ ხელნაწერებში შემონახული ფულადი თანხებისა და ტერმინებისადმი, მისმა კრიტიკულმა შენიშვნებმა საქართველოში გამოქვეყნებულ ნუმისმატიკურ ნაშრომებზე და ამ დარგში საკუთარმა გამოკვლევებმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ნუმისმატიკის განვითარების საქმეში.

წარმატებით სწავლობს ნუმისმატიკურ ძეგლებს თ. ლომოური, რომელმაც შესწავლის ობიექტად უმთავრესად XII—XVI სს. მონეტები და მონეტათა განძები აირჩია. თ. ლომოურმა გამოავლინა მანამდე უცნობი სამონეტო ტიპები, დაადგინა XIII—XIV სს. მიჯნაზე ახალციხეში მოქმედი ახალი ზარაფხანის არსებობა, შესწორება შეიტანა ცალკეულ მეფეთა მმართველობის წლებში და სხვა.

კიდევ ერთი ზარაფხანის არსებობა დაადგინა აკად. გ. წერეთელმა შუასაუკუნეების ქართულ ქალაქ დმანისში.

პროფ. ს. მაკალათიას სტატიებში დაწვრილებით ფიქსირებულია ანტიკური პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ცალკეული მონეტები და თანხლები ინვენტარი.

აღსანიშნავია ეკონომისტების შრომები ამ დარგში: პროფ. ნ. ქოიავასი — რუსთაველის ეპოქის (XII—XIII სს.) სპილენძის და XVIII ს. ვერცხლის მონეტების შესახებ, პროფ. პ. გუგუშვილისა — ფულის ნიშნებისა და ფულის ბრუნვის შესახებ საქართველოში და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში. ეს შრომები თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია ძველი მონეტების შესწავლა ეკონომიურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

ქართული ნუმისმატიკის გამოჩენილ მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დავით ლენგი. 1955 წელს ნიუ-იორკში მან გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი წიგნი, რომელიც დაიწყო ძვ. წ. VI საუკუნის კოლხური თეთრით და დაამთავრა XIX ს. რუსულ-ქართული მონეტებით. 1958 წელს მანვე გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული უიშვიათესი ქართული მონეტები და მათ შორის დავით აღმაშენებლის უნიკალური სპილენძის მონეტა, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

წარმატებით მუშაობენ ქართული ნუმისმატიკის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები: თ. აბრამიშვილი, ირ. ჯალაღანია, გ. დუნდუა, რ. ქებულაძე და მ. ანთაძე. შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანა ქართული ნუმისმატიკის განვითარების საქმეში ამ წიგნის ავტორმაც.

კოლხური თეთრი

თავდაპირველად ქართველ ტომებს გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე ახლანდელ საქართველოს. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტერიტორიის საზღვრები სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ძველი კულტურული ცენტრები სამხრეთში თანდათან იშლებოდა და, დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა კოლხეთისა და შემდეგ იბერიის სახელმწიფოები, სადაც ქართველი ტომები დიდი ხნით აღრე ბინადრობდნენ. იბერთა ტერიტორია კავკასიონიდან მოკიდებული ტავრის ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო კოლხეთი — ტიბარანის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპირომდე. წინა აზიაში იმ დროს არსებულ ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის კოლხეთი, ისევე როგორც იბერია, ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად ითვლებოდა.

ამ შორეული პერიოდის იბერიის მონეტები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ კოლხეთის მონეტებმა ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია.

დასავლეთ საქართველომ უხვად შემოგვინახა კოლხური თეთრი; მრავალრიცხოვან ცალკეულ აღმოჩენათა გარდა აღრიცხულია მრავალი მოზრდილი განძიც, რომლებიც ათეულ და ზოგჯერ ასეულ ცალებსაც შეიცავს. შედარებით ნაკლებია უცხო ქვეყნებიდან შემოსული მონეტები.

აღმოსავლეთ საქართველოში, ე. ი. ძველი იბერიის შესატყვის ტერიტორიაზე კი სხვა სურათია: უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი მონეტები სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი, ხოლო ნიმუში, რომელიც ჯერჯერობით სავარაუდოდ შეგვიძლია ადგილობრივად ჩავთვალოთ, ორზე მეტი არ გვეგულება.

წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხური მონეტები ნამდვილად კოლხეთში იჭრებოდა და მათ კოლხელები ჭრიდნენ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება! არ ჩანს ეს თვით მონეტებზე იშვიათ შემთხვევაში მოთაფებული წარწერებიდანაც, მაგრამ მათი ქვეშარიტი წარმოშობა დასტურდება ისეთი უტყუარი საბუთებით, როგორცაა მონეტის გავრცელების არე, რომელიც ძველი კოლხეთის საზღვრებს არ სცილდება, განძების შემადგენლობაში ნამზადების აღმოჩენა და სხვა ასეთი ირიბი მონაცემები.

ამ მონეტების გავრცელების ძირითადი რაიონი, ერთი მხრივ, ტრაპიზონისა და სოხუმის, ხოლო მეორე მხრივ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ლიხის მთებამდე განსაზღვრება.

ამრიგად, გარდა სხვა მონაცემებისა, ამითაც მართლდება მონეტებისადმი მიკუთვნებული სახელწოდება—კოლხური თეთრი (КОЛХИДКА). კოლხური მონეტები დასავლეთ საქართველოში დღესაც ძალიან ხშირია, ხოლო მის საზღვრებს გარეთ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ჩნდება; ასეთი სულ ორი თუ სამი შემთხვევაა აღნუსხული.

კოლხეთში საკუთარი ფულის მოჭრის ფაქტი თავისთავად გულისხმობს აქ სახელმწიფოს არსებობას ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მაინც. მაგრამ კოლხური თეთრის ქართულ წარმოშობას ზოგიერთი მკვლევარი (ე. ა. პახომოვი, ა. ბ. ბოლტუნოვა) უარყოფს და მათ გამოშვებას შავი ზღვის სანაპიროს ბერძენ კოლონისტებს მიაწერს, რომლებსაც ცხოველი ვაჭრობა კქონდათ ადგილობრივ მოსახლე კოლხებთან. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება შემდეგი მოსაზრებანი:

1. კოლხური თეთრის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმდენად ფართოა, რომ ამაში მას ვერც ერთი უცხოური მონეტა ვერ შეედრება. ამ მხრივ მეტოქეობას უწევს მას მხოლოდ XII—XIII სს. თამარისა და რუსუდნის მონეტები, რომელთა ქართული წარმოშობა უდავოა.

2. კოლხური თეთრის გავრცელების არე და მისი სახესხვაობათა უჩვეულო სიმრავლე მიუთითებს არა მარტო ბერძნებთან კოლხების სავაჭრო კავშირზე, არამედ განვითარებულ ფულად მიმოქცევაზე უშუალოდ კოლხეთის ტერიტორიაზე. კოლხური თეთრის აღმოჩენათა დიდი უმრავლესობა ფიქსირებულია დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში და არა შავი ზღვის სანაპირო ნაწილში, ე. ი. გაცილებით შორს იმ ადგილებიდან, სადაც ვარაუდობენ ბერძნული სავაჭრო ქალაქების — პოლისების არსებობას.

3. კოლხური თეთრი მონეტათა ფრიად შემჭიდროებული გვფფია, რომელიც მკვეთრად არის გათიშული დანარჩენი მონეტებისაგან. ეს ფული ათასობით აღმოჩნდა საქართველოში იმ დროს, როდესაც მის საზღვრებს გარეთ კოლხური თეთრის სულ ორი თუ სამი ცალია ნაპოვნი; ბერძნებს რომ ექრათ ეს მონეტები, მათი გავრცელების არე გაცილებით ფართო იქნებოდა.

4. კოლხური თეთრისა და უცხოური მონეტების განძებში ერთმანეთთან შეხვედრის შემთხვევები უიშვიათესი მოვლენაა, რაც აგრეთვე მისი ადგილობრივი წარმოშობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

5. კოლხურ თეთრზე ადამიანის თავისა და აგრეთვე ხარის გამოსახულება ადგილობრივ ღვთაებებთან არის დაკავშირებული; ეს ადგილობრივი ტრადიციები, რომლებიც პირველ ბერძენ კოლონისტებს დახვდათ ძველ კოლხეთში, დამკვიდრდა კოლხურ მონეტებზედაც და დიდხანს შერჩა, რადგან მონეტის მონჭრელი ხელოსნები და ოსტატები კოლხები იყვნენ და არა ბერძნები, რომლებიც სწირად და სისტემატურად ცვლიდნენ მონეტებზე გამოსახულ სიუჟეტს.

6. აღნუსხულია შემთხვევა, როდესაც განძში კოლხურ მონეტებთან ერთად ჩაუმარხავთ მთლად გლუვი, უგამოსახულებო და უწარწერო ფირფიტა, ე. ი. მონეტის ნამზადი. ამრიგად, კოლხური თეთრი ბერძნებს რომ ექრათ, ისინი მონეტებთან ერთად ნამზადს არ შემოიტანდნენ.

შემაჯავებელი კოლხური მონეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და მათი სამონეტო ტიპებისა და ვარიანტების მრავალგვარობა სრულ უფლებას გვაძლევს. ეს მონეტები სავსებით დამოუკიდებელ და ცალკე სერიად გამოვეყოთ. მათ უმეტეს, რომ ამჟამად ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდგომი გამოკვლევა მონეტების ამ სერიას კიდევ უფრო გაამდიდრებს, უკანასკნელ ნაშრომებში კოლხური მონეტების სხვადასხვა ტიპის წარმოშობის მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები, აგრეთვე მათი ბრუნვის ხანგრძლივობაც უკვე დადგენილია. უპირველეს ყოვლისა შევჩერდეთ კოლხური თეთრის იმ ვარიანტზე, რომელიც უძველესა და ამავე დროს იშვიათიც.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღდება კოლხური თეთრის ერთ-ერთი მსხვილი ნომინალი — ვერცხლის დიდრაქმა (ორდრაქმიანი).

№ 1. მონეტის შ უ ბ ზ ე გამოსახულია მწოლიარე ლომი, რომელსაც პირდაღრენილი თავი მობრუნებული აქვს.

ზ უ რ გ ზ ე ჩაქდელულ კვადრატში მოთავსებულია მუხლმოდრეკილ ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა.

ამ ტიპის მონეტამ ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია; ცნობაში მოყვანილი ცალების რაოდენობა ათს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, მათ შორის ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავებული ვარიანტები შედარებით ხშირია. ამ მონეტებზე გამოსახული ფიგურები განსხვავებულია, მაგალითად, დაწოლილი ლომი ტანით ზოგჯერ მარცხნივ არის მიმართული (მარჯვნივ მობრუნებული თავით), ზოგჯერ კი ეს გამოსახულება შებრუნებულია პირიქით; მუხლმოდრეკილი, ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულება ხან ჯმუხი ტანისაა და ხელი იდაყვიდან აწეული აქვს ზემოთ, ხან უფრო ტანწერილი და კობტა მოყვანილობისაა, ხელი კი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ; ბრიტანეთის მუზეუმის ცალზე ადამიანის ფიგურა ცალ მუხლზეა დაჩოქილი და დანარჩენებისაგან ძალიან განსხვავდება. მონეტის ზურგზე ჩაქდელული კვადრატის ზომა სხვადასხვანაირია და ა. შ. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ თავის დროზე ამ სახის მონეტა საკმაო რაოდენობით უნდა მოჭრილიყო.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით მონეტის ზურგზე გამოსახული ზღაპრული არსება კოლხური ლეგენდაა, რომელიც ადგილობრივ მკვიდრობდა კოლხეთის სანაპიროებზე ჯერ კიდევ პირველი ბერძენი კოლონისტების გამოჩენამდე.

ამაზე უფრო გვიან, ალბათ უკვე ძვ. წ. მეხუთე საუკუნეში, ჩნდება მეორე ტიპის ასეთივე იშვიათი ვერცხლის დიდრაქმა.

№ 2. შ უ ბ ზ ე გამოსახულია ხაზიანი რკალით შემოვლებული ადამიანის თავის მარჯვენა პროფილი;

ზ უ რ გ ზ ე — მსგავსი, ოღონდ მცირე ზომისა და ერთიმეორის მიმართ დაპირისპირებული ადამიანის ორი თავის პროფილი, რომლებიც ჩაქდელულ სწორკუთხედებშია ჩასმული.

მაღალი ხარისხის ვერცხლისაგან მოჭრილი შემოაღწერილი დიდრაქმების წონა 8—11 გრამის ფარგლებში მერყეობს.

ამ ისედაც იშვიათი მონეტის უიშვიათესი ვარიანტია ცალი, რომელზედაც შუბლის გამოსახულება ისეთივეა, როგორც აღწერილზე, ხოლო ზურგზე ადამიანების თავების ნაცვლად ერთიმეორის მიმართ დაპირისპირებულია ხარისთავები; ეს ცალი, რომელიც ჩეხოსლოვაკელმა ნუმისმატმა ე. ი. პოხიტონოვმა გამოაქვეყნა, ამჟამად, სამწუხაროდ, დაკარგულია.

დაახლოებით ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული უნიკალური მონეტა, რომელიც ტაბლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშან-თვისებებით მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხურ მონეტებთან და ზულ ახალ ნომინალს — დრაქმას წარმოადგენს (წონა 5,52 გრ).

№ 3. ამ მონეტის შ უ ბ ზ ე გამოსახულია პირდაპირ მიმართული ლომის თავი;

ზ უ რ გ ზ ე — ჩაქდელულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარისთავი; ხარისთავიანი მორთულია მძივებით.

ამავე პერიოდით თარიღდება პროფ. ს. მაკალათიას მიერ აღმოჩენილი ახალი ტიპის კოლხური თეთრი — ნახევარდრაქმიანი (ტრიობოლი); მათი წონა 2,21—2,61 გრ შორის მერყეობს.

№ 4. შუბლზე — დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი;

ზურგზე — ჩაქდულ კვადრატში მოთავსებული რაღაც გაურკვეველი ცხოველის წინა ნაწილი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამი ცალის გარდა ერთი ცალი (წონით 1,66 გრ) 1968 წ. აღმოჩენილი იყო ქობულეთში არქეოლოგიური გათხრების დროს, ოღონდ აქ ლომის თავი მარცხნივაა.

ყველა ნიშნის მიხედვით, პირველი დიდრაქმის თანადროული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უიშვიათესი მონეტა, რომელიც ამ სერიის ახალ ნომინალს — ტეტრადრაქმას (ოთხდრაქმიანს) უნდა წარმოადგენდეს. ნორმასთან შედარებით, ამ ნიმუშის წონა საგრძნობლად დაკლებულია და 13,00 გრამს უდრის.

№ 5. შუბლზე — იშვიათი ხელოვნებითა და მხატვრობით შესრულებული დაღრენილი ლომის ისეთივე გამოსახულება, როგორც № 4 მონეტაზე, ოღონდ აქ გამოსახულება უფრო მოზრდილია და მარცხნივ არის მიმართული;

ზურგზე — ჩაქდულ კვადრატში მოთავსებული მარცხნივ გაქნებული ფაფარაყრილი რაში.

ამავე ტიპის კიდევ ერთი მონეტა წონით 12,72 გრ დატულია ბრიტანეთის მუზეუმში, ხოლო მესამე მონეტა, რომელზედაც ლომის თავი შებრუნებულია მარჯვნივ, ჰაავის მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს. აღმოსავლური ქვეყნების მითოლოგიაში მხეცთა მეფე — ფაფარაიანი ლომი მზის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ზემოაღწერილი მონეტები ყველანი უკლებლივ ხასიათდება ზურგზე მოთავსებული ჩაქდული კვადრატით, რომელიც უძველესი პერიოდის ნუმისმატიკური ძეგლებისათვის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება და ამრიგად, ძვ. წ. VI—V სს. თარიღდება.

ამის შემდეგ კოლხურ თეთრზე უკვე აღარ ჩნდება ჩაქდული კვადრატი — უძველესი მონეტებისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანი. აღარ იჭრება კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალებიც, ჩნდება კოლხურის წვრილი ნომინალი — ნახევარდრაქმიანი (ტრიობოლი), რომელიც საშუალოდ 2 გრამს იწონის. იგი შემდეგი სახისაა:

№ 6. შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავის მარჯვენა ისეთივე პროფილი, როგორც № 2-ით აღწერილ დიდრაქმაზე. ოღონდ გარშემოვლებული რკალი აქ ზოგჯერ ხაზიანია, ზოგჯერ წერტილოვანი.

ზურგზე გამოსახული ხარის თავი განსხვავდება № 3 დრაქმაზე მოთავსებულ ასეთივე გამოსახულებისაგან მხოლოდ იმით, რომ აქ ჩაქდული კვადრატი არ არის.

კოლხურ მონეტებზე მოთავსებულ ადამიანის თავის გამოსახულებას მეტწილად უმრავლესობა ადგილობრივ ღვთაებათა პანთეონს უკავშირებს და მიაწერს ცხოველთა და მხეცთა მფარველ ქალღმერთ დალის, რომელიც მთიარის კულტთანაც არის დაკავშირებული. ამას თუ გავიზიარებთ, № 2 დიდრაქმის გამოსახულებებს საინტერესო მნიშვნელობა მიეცემა: მონეტის შუბლზე გამოსა-

ხულ ადამიანის თავს სრული მთვარის განსახიერება მიენიჭება, ხოლო ზურგზე მოთავსებული უფრო მომცრო ზომის ასეთივე ორი გამოსახულება შეიძლება გაეიგივოთ ამავე მთვარის ფაზებთან (პირველი — ახალი მთვარე, ხოლო მეორე — მიღვეალი).

საფიქრებელია, რომ კოლხურ მონეტებზე გამოსახული ხარის თავიც ამავე ღვთაებას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ხარი სულ უკანასკნელ დრომდე დაკავშირებული იყო ჩვენში გავრცელებულ მთვარის კულტთან (ხარის რქების მოყვანილობის ნახევარმთვარესთან მსგავსების გამო).

ამ უკანასკნელმა მონეტებმა ჩვენამდე ძალიან დიდი რაოდენობითა და მრავალი სახესხვაობით მოაღწია; ჩვენში აღმოჩენილ ანტიკურ მონეტათა შორის ეს მონეტები ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია. ცნობაში მოყვანილი ამ მონეტების რაოდენობა უკვე 5000 ცალს აღწევს. ასე, მაგალითად, თუ მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ასეთები მხოლოდ 150-მდეა, ლენინგრადის ერმიტაჟში კოლხური ნახევარდრაქმიანები 1000-ზე მეტია, ქუთაისისა და ზუგდიდის მუზეუმის ამ მონეტათა მარაგი ასეული ცალებით გამოითვლება, პროფ. ე. პახომოვმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს თითქმის 600 ცალი უნაღერძა, სადაც უამისოდ 1700 ცალზე მეტი იყო.

კოლხური ნახევარდრაქმიანების წონითი მერყეობა (რემედიუმი) მეტად საგრძნობ გადახრებს იძლევა (1,2—2,6გრ). ერთნაირ გამოსახულებათა სხვადასხვაობაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი არქაული სტილი ყველგან შემორჩენილია, ძალიან მრავალრიცხოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ ცალკე შტამპების რიცხვიც თავის დროზე მრავალი ყოფილა. ვარიანტების ასეთი მრავალფეროვნება, დაწყებული მხატვრულად და ფაქიზად შესრულებული ცალებიდან, ვიდრე გამოსახულებათა უხეშად აღმოცემულ სქემამდე, საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ამ მონეტების მოჭრა ხანგრძლივი ყოფილა. ამ მოსაზრებას ვერცხლის სინჯის სხვაობაც აძლიერებს: უმრავლესობა შედარებით მაღალი ხარისხის ვერცხლისა იკრებოდა, თუმცა ზოგჯერ დაბალხარისხოვანი ლითონიც გვხვდება. აღნუსხულია აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კოლხური ნახევარდრაქმიანები სუბერატული აღმოჩნდა, ე. ი. სპილენძის გულას გარედან ვერცხლის თხელი ფირფიტა ჰქონდა გადაკრული.

უკანასკნელ დროს წამოიჭრა აზრი, რომ „ამ მონეტების გვერდით არსებობდა... უფრო წერილი ნომინალები“ (საქართველოს არქეოლოგია; თბილისი, 1959, გვ. 242). მაგრამ ეს მოსაზრება ფაქტობრივ მასალით არ დასტურდება. დაბლაგომის ქვევრსამარხში აღმოჩენილ მონეტას, რომელსაც ამ მოსაზრების ავტორი ემყარება, კოლხურ მონეტებთან საერთო არაფერი აქვს და საერთოდ ეს მონეტა ისეა გადასული, რომ მისი ტიპისა და წარმოშობის დადგენა შეუძლებელია.

ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით კოლხური ნახევარდრაქმიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოაღწერილ №№ 1, 2 და 3 ნომინალებთან. აქედან აშკარა ხდება მათ შორის არსებული ნათესაობა.

ძალიან იშვიათ შემთხვევაში კოლხურ ნახევარდრაქმებზე სხვადასხვა ბერძნული ასოები ჩნდება, მაგრამ მათი მნიშვნელობა და შინაარსი დღემდე გაურკვეველია. ყველაზე უფრო ხშირია ათეული ცალობით ცნობილი ნიმუშები, რომლებზედაც ზურგზე ხარის თავის ზემოთა და ქვემოთა MO ასოებია (იხ. № 7, ტაბულა I); შედარებით ნაკლებია ცალები, რომლებზედაც ხარის კისერთან მო-

თავსებულია ასო A (იხ. № 8, ტაბულა I); სულ რამდენიმე ცალადაა ცნობილი ნიმუშები, რომლებზედაც ადამიანის კისრის უკან O ასოა (ან დაფნის გვირგვინი?); ორ ცალადაა ცნობილი მოსკოვის საისტორიო და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების ნიმუშები ასო Φ-თი ხარის გამოსახულების ქვეშ და თითო ცალადაა ცნობილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნიმუში ასო Π-თი (იქ, სადაც ასო A-ს ათავსებენ) და ასო E ადამიანის პროფილის წინ. ბერძნულ ასოებიანი ნიმუშები სულ უკანასკნელ გამოშვებებს უნდა ეკუთვნოდეს და თარიღდება ძვ. წ. IV ს. მიწურულით.

ამ მოკლე წარწერათა მნიშვნელობის გახსნას მკვლევარნი სხვადასხვანაირად ცდილობენ: ზოგი მოჭრის ადგილს, ე. ი. რომელიმე ქალაქის სახელს ეძებს, ზოგი უკავშირებს ამ ასოებს რომელიმე ღვთაების ეპითეტს და ა. შ. მაგრამ ამ მოსაზრებებს დამაჯერებლობა აკლია და ეს საკითხი ღრმად ღია რჩება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კოლხური მონეტები წარმოდგენილია ძირითადად განძების სახით, რომლებიც ნაწილობრივ შერეული შემადგენლობისაა, ე. ი. კოლხური მონეტების გარდა განძში წარმოდგენილია რომელიმე სხვა, უკვე კარგად ცნობილი მონეტები ან ისეთი ნივთები (ჭურჭელი, სამკაული, მორთულობა), რომლებიც შედარებით ზუსტად თარიღდება და ამით კოლხურ მონეტათა ზოგადი დათარიღების საშუალებას იძლევა.

ტიპოლოგიური ნიშნებისა და წვრილმანი დეტალების მიხედვით კოლხური მონეტების დაჯგუფებისა და სათანადო ანალოგიების გამოყენების საშუალებით ირკვევა, რომ ე. წ. ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლების მოჭრა ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო, ხოლო უკანასკნელი მათი გამოშვებები დაახლოებით ასი წლის შემდეგ მომხდარა. ამრიგად, კოლხური ტრიობოლების მოჭრა ვარაუდით ერთ საუკუნეს ან ცოტა უფრო მეტს გრძელდებოდა, მაგრამ მათი ხმარება და ბრუნვა უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რადგან ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის სამარხებში მათი აღმოჩენის შემთხვევები ხშირად იყო აღნუსხული.

უკანასკნელ დროს აღმოჩენილი იყო ნიმუში, რომელიც № 6-ით აღწერილი კოლხური ტრიობოლის თითქმის სრული განმეორებაა. ტიპოლოგიურად მასთან ძალიან ახლოა, მაგრამ სტილისტური და სხვა სახის თავისებურებებით მისგან მკვეთრად განსხვავდება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეს მონეტა სპილენძისაა, მაშინ, როდესაც კოლხური თეთრის მოსაპრელად ძირითადად მაინც ვერცხლს იყენებდნენ; აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ადამიანის თავისა ან ხარის თავის გამოსახულებათა ირგვლივ ამ მონეტაზე რკალები შემოვლებული არ არის, რაც კოლხური თეთრის აუცილებელი ელემენტია. შეჰდეგ, — კოლხურ თეთრზე მოთავსებული ადამიანის თავის არქაიზებული გამოსახულებისაგან განსხვავებით, ამ მონეტის გამოსახულება აღმოსავლური ტიპის ინდივიდუალური ნაკეთებით ხასიათდება; თავიც დაფნის გვირგვინითაა შემკული, რაც ჩვეულებრივ კოლხურ თეთრს არ ახასიათებს.

ეს თავისებურებანი განსაკუთრებით შესამჩნევია ზურგის მხარეზე, სადაც ხარის გამოსახულება მონეტის საბრტყეზე ამობურცული მთლიანი რელიეფო კი არაა გადმოცემული, როგორც ეს კოლხურ თეთრზეა, არამედ — ბოლოებში წერტილებით დამთავრებული მკვეთრი რელიეფური ხაზებით; ხარის კისრის

მონაცემთა აქ შექმნილი არაა მძივებით, რაც ჩვეულებრივ კოლხურ თეთრს ახასიათებს; კოლხური თეთრისაგან განსხვავებით, სადაც ხარს მხოლოდ ერთი რქა უჩანს (მოცემულია პროფილში), ამ მონეტაზე გამოსახულია ორი რქა; ხარის რქებს შუა მოთავსებულია ბერძნული ასოები I Δ, რომელთა მნიშვნელობა განსნილი არ არის.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ხარის ყური ამ მონეტაზე ისევეა გადმოცემული, როგორც კოლხურ თეთრზე, ე. ი. კისრის ზევით არის აშვერილი, მაშინ როდესაც პანტიკაპეის სინქრონულ მონეტებზე ყური დაწვენილია კისერზე.

მართალია, ამ ფრიად საინტერესო მონეტის ქართული წარმოშობა საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ რადგან მსგავსი ნიმუში არცერთი ქვეყნის ძეგლებს შორის არ მოიძებნა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი აღმოჩენები ამ საკითხს დადებითად გადაჭრის.

აღვილობრივი ოქროს მონეტები

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კულტურულ სამყაროში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ძველი სპარსეთის დაპყრობის შემდეგ და მთელი რიგი ძღვევაშისი ლაშქრობების შედეგად, ევროპისა და აზიის რიგი სამფლობელოები მის სკიპტრის ქვეშ ერთ უზარმაზარ იმპერიად გადაიქცა. ამის შედეგად, სავაჭრო გზებიც გაერთიანდა, გაფართოვდა ვაჭრობის მასშტაბები და სათანადოდ გაიზარდა ფულის ნიშნების მოთხოვნილება. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება კოლხური თეთრის ბრუნვიდან ვაჭრობის ნიშნები და სულ სხვა ყაიდის ფულის გაჩენა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინანდლებსაგან: პირველ ყოვლისა, იცვლება მონეტის ლითონი, — ახლადგაჩენილი მონეტები უკვე ოქროსაა ან ელექტრუმის; შემდეგ — ძირფესვიანად იცვლება აგრეთვე მონეტის ტიპი და ფაქტურა. ხმარებაში შემოსული ეს ოქროს მონეტები ალექსანდრე მაკედონელისა ან მისი მემკვიდრე ლისიმახეს ოქროს სტატერების განმეორებაა, რომლებიც მანამდე გავრცელებული იყო მთელ იმდროინდელ კულტურულ სამყაროში. თავდაპირველად ამ მონეტებს „ბარბაროსულ მინაბაძებს“ უწოდებდნენ, შემდეგ „კავკასიურ მინაბაძებად“ სცნეს. მაგრამ მათი წარმოშობა მაინც გაურკვეველი იყო და მთელი რიგი საკითხები ღიად რჩებოდა; არ იყო, მაგალითად, დადგენილი:

1. ამ მინაბაძთა გავრცელების არე, 2. მათი გაჩენის დრო, 3. ბრუნვის ხანგრძლივობა, 4. წარმოშობა და 5. მათზე მოთავსებულ გამოსახულებათა შინაარსი.

საქართველოს მიწა-წყალზე ამ მონეტათა მრავალრიცხოვანმა აღმოჩენებმა და ქართული არქეოლოგიის უკანასკნელმა მიღწევებმა ამ კითხვაზე ამჟამად დადებითი პასუხი გასცა.

1. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მონეტების აღმოჩენის სახსრებით სარწმუნო შემთხვევები უკანასკნელ დროს იმდენად გაზარდა, რომ მათი გავრცელების არე სახსრებით გარკვეულ მოხაზულობას ღებულობს და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ემთხვევა, რომელიც ძველად კოლხეთსა და ნაწილობრივ იბერიას ეკავა. მაგრამ ამ, შედარებით მცირე ტერიტორიაზედაც კი სხვებით განკერძოებული ორი რაიონია, სადაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მონეტათა ორი ჯგუფი ვრცელდებოდა: ალექსანდრე მაკედონელის სტატერების

მინაბაძეები ძირითადად იბერიის დასავლეთ მთიან ხაწილში ჩნდება (ძველი შორაპნის ირგვლივ), ხოლო ლისიმახეს სტატერების მინაბაძეები — დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

მსოფლიოს ყველა მუზეუმში თავის დროზე აღრიცხულ ორივე კატეგორიის ამ მინაბაძეებს თავი რომ მოეუყაროთ, მათი საერთო რაოდენობა 130 ცალს არ გადააცილებს. აღსანიშნავია, რომ აქედან 80-მდე ჩვენი რესპუბლიკის მუზეუმებზე მოდის (68—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია, 4 — ქუთაისისა, ორ-ორი — ცაგერისა და გორის, თითო-თითო — სოხუმისა, მესტიისა და ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში). ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული 37 ცალიდან მეტი წილი ალბათ ჩვენ მიწა-წყლიდანვეა გატანილი. ცნობილია, რომ 1917 წლამდე ეს მუზეუმი, რომელიც იმ დროს „საიმპერატორო მუზეუმად“ ითვლებოდა, „სიძველეებით“ ძალიან ინტენსიურად მარაგდებოდა. ამ კოლექციიდან ოთხ ცალს, მაგალითად, დართული აქვს ცნობა ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მათი აღმოჩენის შესახებ. მაგრამ ეს სავსებით კანონზომიერად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავლურ-ქართული კულტურული წრე მოიცავდა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიან ნაწილს მდინარე თერგის დასავლეთით. საინტერესოა, რომ ალექსანდრეს სტატერების მინაბაძეთა გავრცელების არე ამ ბოლო ხანებში თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ ფართოვდება. ეს მონეტები აღმოჩენილია ქარელის რაიონის სოფელ ახრისში, გორში, მცხეთაში და თიანეთთან; მთიანი საქართველოს პუნქტები, სადაც ამ კატეგორიის მინაბაძეები აღმოჩენილი (კლდეეთი, ღებეი, ჭიორა, ილეში, ვაჩევი, ოზჩა, ვანი, ბორი), იმ შორეულ დროს იბერიის საზღვრებში შედიოდა და ამრიგად მონეტების წარმოშობაც იბერიას უნდა მიეკუთვნოს. მაშასადამე, ის სახელწოდება, რომელიც ამ კატეგორიის მინაბაძებს ამ ოციოდე წლის წინათ მიეცა, შესაძლებელი ხდება და ტერმინის — „კოლხური სტატერის“ ნაცვლად უნდა შემოვიღოთ ტერმინი „იბერიული სტატერი“.

რაც შეეხება ლისიმახეს სტატერების მინაბაძეთა გავრცელების არეს (შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი), რომელიც ძველი კოლხეთის ტერიტორიას ემთხვევა, აქ არაფერი შეცვლილა და ამ მონეტათა კოლხური წარმოშობა ექვს არ იწვევს, ამიტომ ამ კატეგორიის მინაბაძეთა სახელწოდება — „კოლხური სტატერი“ სავსებით მართებულია და უცვლელი რჩება.

მსგავსი მინაბაძეების მცირე რაოდენობა საზღვარგარეთულ მუზეუმებშიაც არის აღნუსხული, მაგრამ ასეთები სიძველეთა საგნების ვაჭრობის შედეგად მოხვდებოდნენ აქ, რაც XIX—XX სს. განსაკუთრებით შეეხო აღმოსავლური ქვეყნებიდან ძველებური მონეტების დასავლეთში გაზიდვას. მტკიცედაა, მაგალითად, ცნობილი, რომ ნიუ-იორკის ნუმისმატიკური ასოციაციის მუზეუმში ორი ცალი საქართველოდან ჩამოუტანიათ.

2. სპეციალური კვლევითი მუშაობის შედეგად უკანასკნელ დროს დადასტურდა, რომ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს ე. წ. ორიგინალური სტატერები დასახელებული ისტორიული პირების სიკვდილის შემდეგაც იჭრებოდა. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ელინისტური სამყაროს რიგ სახელმწიფოებში ამ ორი მფლობელის სახელით აღბეჭდილი „ორიგინალური“ სტატერების მოქრა ძვ. წ. III—II საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და მათი მინაბაძეების პირველი საფეხურები ჩვენში, სახელდობრ, ძველ კოლხეთში დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნეში გაჩენილა.

პირველი ასეთი სტატერი, რომელზედაც აღბეჭდილია სხვა წყაროებიდან უცნობი კოლხეთის ბასილევსი აქის სახელი, თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით არაფრით არ ჩამოუვარდება პროტოტიპს: წონა არ ცილდება ძვ. წ. III საუკუნის კლასიკური სტატერებისათვის დაკანონებულ ნორმას, მასალად გამოყენებულია მაღალხარისხოვანი ოქრო, ზედწერილი გადმოცემულია ბერძნული სწორი მართლწერით, მკაფიოდ და შეურყვინელად, ხოლო გამოსახულებანი შესრულებულია მაღალი მხატვრული ოსტატობითა და ხელოსნობით. ამ სახელით აღბეჭდილი სტატერი ჯერჯერობით მხოლოდ ორი ცალია ცნობილი: პირველი, რომელიც ასიოდე წლის წინათ ტრაპიზონის მიდამოებში აღმოუჩენიათ, დაკულია პარიზის მუზეუმში. ხოლო მეორე, რომელიც აგრეთვე ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე არის ნაპოვნი (სოფ. კინჩხა, წულუკიძის რაიონი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა. ვიძლევი ამ უიშვიათესი ნიმუშის მოკლე აღწერილობას:

№ 9. 8,45 გრ. მონეტის შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის მარჯვენა პროფილი;

ზურგით: ტახტზე მჯდომ ქალღმერთ ათენას გამოსახულება. მარჯვნივ და მარცხნივ — ბერძნული წარწერა: „მეფე აქი“, გამოსახულების ქვეშ — სამითია.

რა კავშირი აქვს ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებულ ამ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მონეტას კოლხურ ნუმიზმატიკასთან?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ორივე ცნობილი მონეტა აღმოჩენილია ძველად კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრებში შემავალ ტერიტორიაზე, შემდეგ, საერთოდ ცნობილია, რომ მტკიცედ შემორჩენილი საკუთარი ან გეოგრაფიული სახელები ხშირად წყვეტენ სადავო საკითხს ამა თუ იმ მხარის მოსახლეთა წარმოშობის შესახებ. ამიტომ ის გარემოება, რომ მონეტაზე აღბეჭდილი აქის სახელი შერჩენილი ყოფილა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს (უმთავრესად სამეგრელო და აფხაზეთი) მოსახლეთა შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ცნობილია აგრეთვე, რომ თანამედროვე სოხუმს, აფხაზურად აყუა ჰქვია, მეგრელები აყუჯიხას, ე. ი. აყუს ციხეს უწოდებენ; ეს სახელწოდება ქართულშიც ყოფილა გავრცელებული. მაგალითად, იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ 1737 წელს რუსეთში გაგზავნილ რუკაზე სოხუმი აყუთა აღნიშნული. ე. ი. ისევე, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ 1925 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე.

შესანიშნავი მხატვრობით და მაღალი ტექნიკური ხელოსნობით შესრულებული ეს სტატერი დროთა მსვლელობაში სულ უფრო და უფრო უწესდებოდა და დეგრადაცია-გადაგვარების პროცესს განიცდიდა, რაც, რა თქმა უნდა, თანდათანობით ხდებოდა, მაგრამ თანდათანობით ამ გაუხეშების ყველა საფეხური, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა, საერთო სტილისტური მსგავსებით ერთმანეთთან მჭიდრო ნათესაობასაც ამჟღავნებს.

ცხადია, რომ კლასიკური სტატერებისა და მათ შემდეგ გაჩენილი უხეში, მცირეწონიანი და დაბალხარისხოვანი მინაბაძეების ერთდროული ბრუნვა-მიმოქცევა ყოველად შეუძლებელი იქნებოდა. ეკონომიური კანონების მიხედვით, ბაზარზე მდარე მონეტებს გაჩენისთანავე სრულწონიანი და მაღალხარისხიანი მონეტა ბრუნვიდან ქრება (განძალ იქცევა). აქედან ცხადია, რომ გაუხეშებულა მინაბაძეებს ბრუნვის დროც შესაბამისად უფრო გვიანაა ხავარაულებელი.

3. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში წარმოებულ აჩქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ მინაბაძების ერთ-ერთი ჯგუფის ბრუნვის ხანგრძლივობაც გამომკვლავნდა. გახსნილი იყო სამარხები, სადაც ჩვენი წ. II საუკუნის სრულიად გარკვეულ რომაულ მონეტებთან ერთად აღმოჩენილი იყო ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძებიც. მონეტათა ასეთი კომბინაცია მეორდება მცხეთის მავზოლეუმის კომპლექსში და ოჩამჩირის რაიონში ნაპოვნ განძში, სადაც ჩვენი წ. II საუკუნის რომაულ მონეტებთან ერთად უკვე ლისიმახეს სტატერების მინაბაძი აღმოჩნდა. სამარხების ინვენტარისა და განძის შემადგენლობაში ამ მინაბაძების არსებობა უკანასკნელი მონეტების დათარიღების საშუალებას იძლევა. ამრიგად, რადგან ამ მინაბაძის პირვანდელი ნიმუშები ძვ. წ. III საუკუნეში გაჩენილა, ხოლო უკანასკნელი გაუხეშებული ნიმუშები ჩვენი წ. II საუკუნის მონეტებთან ერთად ჩნდება, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ამ მინაბაძებს ხანგრძლივი ბრუნვა-მიმოქცევის პერიოდი ჰქონია. ასეთ მოსაზრებას ხელს უწყობს ამ მინაბაძების სახესხვაობათა განსაკუთრებული სიმრავლე და მათი წონისა და ლითონის სინჯის მრავალნაირობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ მინაბაძების ასეთი დიდი რაოდენობა და სახესხვაობათა სიმრავლე დროის რომელიმე მოკლე მონაკვეთში გამოშვებულიყო.

ალექსანდრე მაკედონელის ე. წ. „ორიგინალურ“ სტატერებს და მათ ადგილობრივ უხეშ მინაბაძებს საკმაოდ ხანგრძლივი ბრუნვის უნარი ჰქონია. ამის საინტერესო მაგალითს იძლევა მცხეთის აჩქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა.

1951 წლის მაისის შუა რიცხვებში, მცხეთაში სვეტიცხოვლის გალავნის მახლობლად, ერთ-ერთი სახლის სარდაფის გაფართოების დროს აღმოჩენილი იყო ძველადვე გაძარცვული ორფერდასახურავიანი სამარხი. სამარხში დარჩენილი მიწის გაცრის დროს მოპოვებული იყო ინვენტარის მცირე ნაშთები და სხვა მონეტებთან ერთად ალექსანდრე მაკედონელის ე. წ. „ორიგინალური“, საუკეთესოდ შენახული სტატერი.

ავგუსტ კეისრის რომაული დენარის და გოტარზეს პართელის დრაქმის ამ სამარხში აღმოჩენა უეჭველყოფს, რომ სამარხი I საუკუნეზე ადრე არაერთარ შემთხვევაში არ დათარიღდება. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ დროს ჩვენში უკვე ხმარებაში იყო ალექსანდრეს სტატერების უხეში და გაცილებით უფრო მსუბუქი მინაბაძები. ამიტომ გაუგებარი რჩება, რომ ალექსანდრე მაკედონელის უყუენწო და გაუხეშრეტაი (ე. ი. სამკაულად გამოუყენებელი) „ორიგინალური“ სტატერი თითქოს ამ დროს ცოცხალ და ხმარებაში გავრცელებულ მონეტად გვევლინება.

4. უშუალოდ დამადასტურებელ ცნობებს ჰეშმარიტი წარმოშობის შესახებ ეს მინაბაძები არ შეიცავს. ამის შესახებ არც სხვა რაიმე კონკრეტული ცნობა არსებობს. ანალოგიურ შემთხვევებში, საერთოდ, მონეტის გავრცელების რაიონთა და ამა თუ იმ ქვეყანაში აღმოჩენილი მონეტების რაოდენობით ხელმძღვანელობენ და ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევენ. მასალა, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, შესაძლებლობას იძლევა უფრო მეტად დაეკონკრეტოთ საკითხი, ვიდრე ეს დღემდე იყო. ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ მეცნიერთა ნაწილი ამ მიბაძევებს „კავკასიურ ტიპს“ ან „სპეციფიკურ კავკასიურს“ უწოდებდა. ხოლო რადგან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამ მონეტათა აღმოჩენის შემთ-

ხვევები ძალიან გახშირდა, მათი ქართული წარმოშობის საკითხიც უდავო გახდა. ამ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი უკანასკნელ დროს მომრავლდა და ამ მიზნაძეპსაც სათანადო დასახელება მიეცათ.

როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერთა მინაბაძები აღმოჩენილია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძველად იბერიას ეკავა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1951 წლის ივლისში მცხეთის რკინიგზის სადგურთან ცოტაოდენ დაშორებით აღმოჩენილი თლილი ქვით ნაშენი სამარხი — ნაგებობა — მავზოლეუმი.

მიუხედავად იმისა, რომ მავზოლეუმი ძველადვე გაუძარცვიათ, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ინვენტარის ნაშთები და განსაკუთრებული შინაარსისა და ზომიერის ნუმისმატიკური მასალა, რომელიც მონეტათა რამდენიმე ჯგუფს შეიცავს:

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების 5 ადგილობრივ მინაბაძს, რომლებსაც ახლდა ამ მონეტათა მოყვანილობის, ზომისა და წონის ოქროსივე გლუვი ფირფიტა;

შემდეგ დავსახელებთ ჩვ. წ. I საუკუნის ოქროსივე 4 რომაულ აურეუსს და ამავე დროის ავგუსტ კეისრის საუკეთესოდ შემონახულ ერთ ვერცხლის დენარს.

განსაკუთრებული სიჭარბით იყო წარმოდგენილი ძვ. წ. I საუკუნის პართული ვერცხლის დრაქმები, რომლებიც აქ 51 ცალი აღმოჩნდა.

დაბოლოს, მხოლოდ ორი ცალი იყო პონტოს მეფე პოლემონ II, ჩვენი წ. I საუკუნის, გადასული ვერცხლის დრაქმა.

სამონეტო კომპლექსი თავისთავად რომ მნიშვნელოვანია ეს აშკარაა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აქვე აღმოჩენილი ორივე მხრიდან გლუვი ოქროს ფირფიტა, რომელიც ძალიან ჰგავს მონეტის ნაშაბდს. ეს ხომ ამ მინაბაძთა იბერიული წარმოშობის საუკეთესო დასტურად უნდა ჩაითვალოს.

ადგილობრივი სტატერების მიბაძვითი ხასიათი საეხებით აშკარაა. აშკარაა აგრეთვე, რომ ამ მონეტების პროტოტიპებს ანუ „მოდელებს“ ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახეს სტატერები წარმოადგენენ.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ რაიონში ვრცელდებოდა ესა თუ ის მონეტა და რომელი სტატერი იყო მიღებული პროტოტიპად, ალექსანდრე მაკედონელისა თუ ლისიმახეს, ამ მინაბაძთა ჯგუფიც სრულიად დამოუკიდებელ და განსხვავებულ ორ კატეგორიად იყოფა — იბერიულ და კოლხურ სტატერებად. ყოველი ცალკე ვარიანტის აღწერილობა ძალიან შორს წაგვიყვანდა და არცაა საჭირო, რადგან ძირითადი სქემა ყველას ერთნაირი აქვს.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იბერიული სტატერი შემდეგი სახისაა:

№ 10. მონეტის შუბლი: ადამიანის თავის პროფილის გოუნქმებული გამოსახულება. ირგვლივ სხვადასხვანაირად განლაგებული მსხვილი წერტილები.

ზურგე: გამარჯვების ღვთაების ნიკას ასეთივე უხეში გამოსახულება; ზედწერილების ნაცვლად აქაც მსხვილი წერტილებია.

ამ მონეტების წონითი რემედიუმი 1 გრამიდან 5,5 გრამამდე მერყეობს; ლითონის ხარისხიც, ანუ სინჯი სხვადასხვანაირია. დამახასიათებელია ამ მონე-

ტათა უმრავლესობის წიბო. რომელიც ჩაქუჩით დატყეპნილ-დაფევილსა ჰგავს და ისეთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მონეტა ბეჭედშია ჩასმული და ჩარჩილული. როგორც ამ უქანასკნელი ნიშან-თვისებით, ისე, უფრო იშვიათ შემთხვევაში, უამისოდაც ამ ტიპის იბერიული სტატერები შედარებით დიდი რაოდენობითაა ჩვენამდე შერჩენილი (ცნობაში დაახლოებით 80 ცალამდეა მოყვანილი); მაგრამ აბსოლუტურად მსგავსი ვარიანტი ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვხვედრია. აღწერილის გარდა, ტაბულაზე მოყვანილი გვაქვს ამ მონეტის კიდევ სამი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშის გამოსახულება (იხ. №№ 11, 12 და 13).

ლისიმახეს სტატერების მინაბაძებს, აწუ კოლხურ სტატერებს ზემოაღნიშნული ნიშან-თვისება უკვე აღარ ახასიათებს. ამ მონეტების წიბო ჩვეულებრივია. იბერიული სტატერებისაგან განსხვავებით, აქ უკვე მინაბაძის ყოველნაირ საფეხურებს ვხედავთ: მხატვრულად და ფაქიზად შესრულებული № 9-ით აღწერილი სტატერიდან მოყოლებული, ვიდრე უხემ და პრიმიტიულ სქემამდე. მაგრამ პროტოტიპის ძირითადი მოტივი და სქემა ყველა საფეხურზე უცვლელად არის შერჩენილი და მათ შორის მჭიდრო კავშირი არ წყდება. ვიძლევი ამ მონეტის ძირითადი ტიპის აღწერილობას:

№ 14. შუბლი: ადამიანის თავის პროფილი, რომელიც შემდგომ საფეხურებზე თანდათანობით გადაგვარებას განიცდის.

ზურგე: ტახტზე მჯდომ ქალღმერთ ათენას გამოსახულება აქაც თანდათანობით უხეშდება და სქემად იქცევა. ტახტის ქვეშ მოთავსებულია სამთითა.

ამ კატეგორიის მინაბაძების რაოდენობა თითქოს ნაკლებია, ვიდრე ადრე აღწერილი მინაბაძები, მაგრამ მათი ვარიანტების რიცხვი გაცილებით მეტია. (იხ. მაგ., №№ 15—17). თითქმის ყველა მათგანს ახასიათებს გამაერთიანებელი დეტალი — ტახტის ქვეშ გამოსახული სამთითა. ხოლო შუბლზე გამოსახულ ადამიანის თმაში ხშირად ჩაქსოვილია ფრინველების ფიგურები. ამ დეტალის კონკრეტული დანიშნულება დიდხანს გაუგებარი რჩებოდა, მაგრამ კლდეეთის არქეოლოგიური თხრების დროს მოპოვებული თავსამკაულის წყალობით ამჟამად გახსნილად უნდა ჩაითვალოს. ინტერესს მოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ანალოგიური თავსამკაული აღწერილი აქვს ბერძენ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს, რომელიც მათ ხელისუფლების ერთ-ერთ გარეგან ნიშნად ევლის.

თავისებურია ამ მონეტის ვარიანტი, რომელიც დანარჩენებისაგან იმით განსხვავდება, რომ ზურგზე მოთავსებული ტახტზე მჯდომ ღვთაება ათენას გამოსახულება (როგორც ეს დამახასიათებელია ამ კატეგორიის მინაბაძებისათვის) აქ სულ სხვა ღვთაების გამოსახულებითაა შეცვლილი (იხ. № 18). აღსანიშნავია, რომ ეს გამოსახულება უცვლელად მეორდება ერთ-ერთ მომდევნო უდავოდ ქართული წარმოშობის არისტარხ კოლხელის მონეტაზე (იხ. № 21). ეს გარემოება, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან საბოლოოდ ადასტურებს ამ მინაბაძების კოლხურ წარმოშობას. ხოლო, რაც მთავარია, ამ მონეტებზე გამოსახული ღვთაება ძალიან კარგად უდგება იმ ქანდაკებას, რომელიც აღმართული ყოფილა ქალაქ ფასიდში (ახლანდელი ფოთი) და აღწერილი ჰქონდა შავი ზღვის სანაპიროებზე მოგზაურობის დროს II საუკუნის რომაელ ისტორიკოს არიანეს.

მონეტების წონითი რემედიაში აქ უფრო მკვეთრია: 1—7 გრამის ფარგლებში მერყეობს; მოსაპრელად გამოყენებული ლითონის ხარისხიც სხვადასხვა სინჯისაა. თუმცა ძირითადად მაღალხარისხოვანი ოქროსია, მაგრამ ლითონის ნაირნაირობას აქაც ადგილი აქვს და ზოგჯერ, ძალიან იშვიათ შემთხვევებში, ვერცხლის ნიმუშებიც კი გვხვდება.

ლითონის ღირსების ასეთი სხვადასხვაობა, მონეტაზე მოთავსებულ გამო-სახულებათა თანდათანობითი გაუხეშება და წონის დაკლება, რა თქმა უნდა, რაღაცა საერთო მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საფიქრებელია, რომ მონეტების გადაგვარება გამოწვეული იყო გამოშვების დროის ხანგრძლი-ვობით, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ მონეტებს სხვადასხვა სამფ-ლობელოებში ჰქრიდნენ.

ტაბულაზე მოთავსებულია კოლხური სტატერების კიდევ სამი სანიმუშო ნაირნაირის გამოსახულება (№№ 15—17), რომლებიც მონეტის თანდათანობითი გადაგვარების დამაჩერებელ სურათს იძლევა.

ელინისტური პერიოდის მონეტები

ზემოაღწერილ მონეტებთან ერთად ჩვენში იჭრება სრულიად განსხვავე-ბული ტიპის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებიც. ვერცხლის პაწაწა მონე-ტა, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი, უკვე კარგა ხანია, რაც მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოხვდა. ეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნიმუში სულ რამოდენიმე ცალად არის შემონახული და, სამწუხაროდ, ისე ცუდადაა დაცული (გაცვეთილ-გადასული), რომ წარწერის ფრაგმენტი მხო-ლოდ ერთმა ცალმა შეინარჩუნა. იმასაც სხვადასხვანაირად კითხულობენ და ამ წაკითხვის ირგვლივ დღემდე გააფთრებული კამათია. ამ მონეტის წონა 1,03 — 1.65 გრ შორის მერყეობს.

№ 19. მონეტის შ უ ბ ზ ე გამოსახულია ადამიანის თავის მარჯვე-ნა პროფილი კბილანა გვირგვინით.

ზ უ რ გ ზ ე: მარჯვნივ მიმართული ხარის თავის გამოსახულება გა-ურკვეველი მონოგრამით წინ და ბერძნული ზედწერილის ფრაგმენტით: ზემოთ „ბაზი...“ (ე. ი. მეფე) და ქვემოთ — „საულ...“

სახელის შემცველი ასოებიდან გარკვეულად იკითხება პირველი სა-მი, ხოლო მეოთხეს ზოგი კითხულობს როგორც Π, ზოგი M-ის ნაწილად მიიჩნევს.

ჭერ კიდევ ასიოდე წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა ა. გულშმიდტმა ეს მონეტა მიაკუთვნა კოლხეთის მეფე საულაქს და ძვ. წ. II საუკუნით და-ათარადა. მას მეორე მკვლევარი საულე გამოეხმაურა. მაგრამ შემდეგ ასეთი გან-საზღვრა მივიწყებას მიეცა და ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ა. ვ. ორენშიკოვმა მონეტაზე აღბეჭდილი სახელი მიაკუთვნა სკვით საულაქს, რომელმაც ძვ. წ. 108 წელს ბოსფორის სახელმწიფოში (შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) ყმათა აჯანყება მოაწყო და რამოდენიმე თვის მანძილზე სახელმწიფოს თვითონ განაგებდა.

ეს მოსაზრება გაბატონებული იყო სულ ბოლო დრომდე, მაგრამ უკანასკ-ნელ დროს ამ მონეტის კოლხური წარმოშობის მომხრეთა რიცხვი კვლავ მოშ-

რაველდა და თავისი თეორიის დამადასტურებლად სადავო ნიმუშის რიგი ნიშან-თვისებანი მოჰყავთ.

ა. ვ. ორეშნიკოვი, მაგალითად, თვითონ აღიარებს, რომ საე(მაკის) სამფლობელო „სადავო კავკასიის სანაპიროზე, შეიძლება კოლხეთშიაც“ იმყოფებოდა. ე. ა. პახომოვი ამ ცნობას აღრმავებს და ამბობს, რომ ამ მონეტების აღმოჩენათა შემთხვევები „აფხაზეთის ტერიტორიაზე“ უნდა ვეძიოთ.

ტიპოლოგიური და ფაქტურული ნიშნებით ეს მონეტა საოცრად ენათესავება № 6-ით ზემოაღწერილ ჩვეულებრივ კოლხურ ნახევარდრაქმიანს. ნათესაობა იმდენად მჭიდროა, რომ მოსკოვის საისტორიო მუზეუმში გაცნობისას ეს სადავო ნიმუში და ოციოდე კოლხური ნახევარდრაქმიანი ერთად რომ გამოიტანეს, გარჩევას საკმაოდ დიდხანს მოვუწდით.

წონითი მონაცემებიც, ერთი მხრივ, უახლოვდება ჩვეულებრივი კოლხური ნახევარდრაქმიანის წონას, ხოლო მეორე მხრივ, უდგება არისტარხ კოლხელის დრაქმის (აღწერილია ქვემოთ, № 21) წონის ნახევარს.

ამ სადავო მონეტისა და № 6 კოლხური თეთრის ზურგზე მოთავსებულ გამოსახულებათა შორის (ხარის თაე) განსაკუთრებული ტიპოლოგიური ნათესაობაა, ხოლო ამავე მონეტის შუბლზე მოთავსებული ადამიანის თავის (კბილანა გვირგვინით) ზუსტი განმეორება არისტარხ კოლხელის № 21 დრაქმაზე, ცხად-ჰყოფს შედარებული მონეტის ნათესაობასა და მონეტათა გამომშვეები ცენტრის ერთიანობას.

მონეტაზე აღბეჭდილი სახელი — სავლაცი დღესაც არის შემონახული აფხაზეთის მოსახლეთა შორის საელაჰის სახით. ამ სახელს კოლხეთთან დაკავშირებით იხსენიებს პლინიუსიც; მართალია, სავლაცი, რომელზედაც რომაელი ისტორიკოსი მოგვითხრობს, გაცილებით ადრე მოღვაწეობდა, მაგრამ ეს ცნობა გვიდასტურებს, რომ ამ სახელის მატარებელი კოლხეთის მეფე — არსებობდა. სავლაცის სახელი შავლეგის ფორმით ქართულ ფოლკლორში დღესაცაა შერჩენილი.

მნიშვნელობას მოკლებული არაა ის გარემოება, რომ, როგორც რუსმა ნუმისმატმა კ. გოლენკომ დაადგინა, აღწერილი მონეტის გარდა, ამავე სავლაცს კიდევ ორი სამონეტო ტიპი უჭირა: ერთზე შუბლის მხარეს გამოსახულია ადამიანის თავი კბილანა გვირგვინით, ხოლო ზურგზე — ელვები. მეორეზე კი, — შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავი კბილანა გვირგვინით, ზურგზე — როდოსის ვარდი.

სკვითი სავმაკი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, სულ რამდენიმე თვე განაგებდა ბოსფორის სამეფოს და საეკეოა, რომ ამ მოკლე ხნის მანძილზე რამდენიმე სამონეტო ტიპის მოჭრა მოესწრო.

ზემოჩამოთვლილ მოსაზრებათა გამო, ეს მონეტები, რომელთა კოლხურ წარმოშობას ზოგიერთი მკვლევარი დღესაც უარყოფს, ჩვენი აზრით, კოლხ სავლაცს უნდა მიეკუთვნოს. თუმცა, ისიც უნდა ვეღიაროთ, რომ საეიხის საბოლოო და კატეგორიული გადაწყვეტისათვის საჭიროა ისეთი ცალის მოძებნა, რომელმაც მეფის სახელი გარკვეულად შეინარჩუნა.

სამწუხაროდ. მეცნიერთა ხელში ამ უიშვიათესი მონეტებს სულ რამდენიმე ცალი მოიპოვება, ისიც ისეთ უიმედო მდგომარეობაში, რომ აღწერილ მონეტათა დამაკმაყოფილებელი ფოტოგადაღება ეერ ხერხდებოდა და მთარეპროდუქციები სათანადო შთაბეჭდილებას არ ტოვებს. საწუხაროა,

რომ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ასეთი მონეტა საქართველოს მუზეუმში არ მოიპოვება.

ამრიგად, მკითხველი, ალბათ, კარგად მიხედვება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქვეშარტების აღდგენაში ისეთი ნიმუშის აღმოჩენას, რომელმაც შეინარჩუნა მთლიანი ზედწერილი, ან თუნდაც წარწერის ის ფრაგმენტი, რომელიც დაგვეხმარებოდა სახელის სწორ ამოკითხვაში.

ნუმისმატიკური ფაქტებით დასტურდება, რომ ვერცხლის მონეტების გარდა კოლხეთის ტერიტორიაზე სპილენძის მონეტებიც იჭრებოდა.

ეს მონეტა ე. წ. საქალაქო პროლუქციის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს; მისი წონა. შემოწმებული ცალების მიხედვით, მერყეობს 1,37—4.43 გრ შორის, ზომაც მტკიცე ნორმებს არ იცავს და, ამრიგად, შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში სხვადასხვა ნომინალებთან გვექონდეს საქმე. მონეტის გარეგნული სახე შემდეგია:

№ 20. მონეტის შუბლზე გამოსახულია ტყუპი ძმების დიოსკურების ორი ქული, რომლებსაც ზემოთ ვარსკვლავები უზის. ზოგიერთ ცალზე ვარსკვლავები ექვსსივნიანია, ზოგზე კი — რვასივნიანი.

მონეტის ზურგზე ცენტრში გამოსახულია კვერთხი; მის ორთავე მხარეს განლაგებულია ბერძნული ზედწერილი, რომელიც შეიცავს სამ სტრიქონად დაწყობილ ახლანდელი სოხუმის ძველ სახელს — დიოსკურიადო.

შედარებით გავრცელებული ეს მონეტა ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება და მის გამოშვებას მითრიდატე პონტოელს მიაწერენ. ზოგიერთი მკვლევარი ამ მონეტის გამოშვებას უკავშირებს მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობას, როდესაც ზოგიერთი დამორჩილებული პოლისის გულმოსაგებად გამარჯვებულმა მეფემ ავტონომიის მინიჭებასთან ერთად ფულის მოჭრის უფლებაც მიუბოძა. აღსანიშნავია, რომ მონეტა სპილენძისაა, დაპყრობილ ქალაქებს ვერცხლის ფულის მოჭრის უფლება ამ დროს არ ჰქონდა და უსახელო, — გამარჯვებული ან დამორჩილებული მფლობელის სახელი ზედ არ არის.

ამ მონეტასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ახლანდელი სოხუმის (კუხუმის) სახელწოდებას მკვლევარნი აწარმოებენ სიტყვა ჩხუმისაგან, რაც აფხაზურად ტყუპებს ნიშნავს (И. А. Орбели, „Город Близнецов Диоскуров“. Журнал Министерства народного просвещения. Май 1951 г., стр. 195—215).

საინტერესოა აგრეთვე, რომ დიოსკურიულ ზემოაღწერილ მონეტაზე მოთავსებული ტყუპი ძმების თავსაბურავების გამოსახულება ზუსტად მეორდება შარვაშიძეების (აფხაზეთისა და სოხუმის მთავრები) საგვარეულო ღერბზე.

ცნობილმა რუსმა ნუმისმატმა ა. ორენიკოვმა თავის დროზე დიოსკურიულ მონეტად მიიჩნია კიდევ ერთი ვარიანტი, რომელზედაც ერთ მხარეზე გამოსახული ყოფილა წვერ-ულვაშიანი მამაკაცის პროფილი, ხოლო მეორეზე — გაქვნიებული ორი ცხენის წინა ნაწილი (ე. წ. პროტომა) და ქვემოთ ბერძნული წარწერის ფრაგმენტი „დიოს (კურიადოს?)“.

უეაროვისეულ კოლექციაში თავის დროზე დატული ეს ერთადერთი ცალი ამჟამად თვალს მოეფარა, ახლანდელი მისი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის, ხოლო, რადგან მსგავსი ნიმუში აღარსად გვეგულება, ამ მონეტის შე-

სახებ ა. ორენიკოვის განსაზღვრა-აღწერილობის გარდა სხვა საბუთი არ არსებობს.

ფაქტიური მასალით დასტურდება აგრეთვე, რომ ძველ კოლხეთში ვერცხლის ფულის მოჭრა დიდხანს გრძელდებოდა. მართალია, ასეთმა ნიმუშმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია, მაგრამ მაღალი მხატვრობითა და დიდი ოსტატობით შესრულებულ ამ ნიმუშზე შერჩენილია ძვირფასი ცნობები. როგორც გამოშვების ადგილისა და თარიღის, ისე გამომშვების შესახებ. ვიძლევიტ ამ უიშვიათესი ვერცხლის დრაქმის მოკლე აღწერილობას.

№ 21. ზომა=21—22 მმ; წონა 3,25—3,75 გრ შორის მერყეობს.

მონეტის შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავის მარჯვენა პროფილი კბილანა გვირგვინით.

ზურგზე — მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალღმერთი კოშკისებური გვირგვინით თავზე, გაწვდილ მარცხენა ხელში რაღაცა მრგვალი საგნით. ირგვლივ ბერძნული ზედწერილი განლაგებული შემდეგნაირად: მარჯვნივ, გამოსახულების წინ — „არისტარხი“, მარცხნივ ქალღმერთის ზურგს უკან — „მმართველი“ და ქვემოთ, ორ სტრიქონად „კოლხეთისა (წელსა) თორმეტსა“.

აქ მოთავსებული თარიღი არისტარხ კოლხელის მმართველობის მეორე ტე წელს აღნიშნავს და ძვ. წ. 52/51 წელს უდრის. თარიღი საუკეთესოდ უდგება ჩვენს ქვეყანაში ამ დროს მომხდარ დიდმნიშვნელოვან ამბებსა და განთქმული რომაელი მხედართმთავრის პომპეუსის ლაშქრობას პონტოს მეფე მითრიდატე VI და მისი მოკავშირე ქვეყნების (მცირე აზიისა და კავკასიის) წინააღმდეგ.

ასეთი ტიპის მონეტა დღემდე სულ ხუთ ცალად იყო ცნობილი (ლენინგრადის ერმიტაჟში — ორი, ბერლინის, პარიზისა და სმირნის მუზეუმებში — თითო-თითო). მაგრამ სადღაც სოხუმის მახლობლად მისი მოპოვების შესახებ ცნობა მხოლოდ ერმიტაჟის ერთ-ერთ ცალს ახლავს. სულ ახლახანს კიდევ ერთი ცალი ბრიტანეთის მუზეუმს შეუძენია და დანარჩენებთან შედარებით ისე კარგად არის შემონახული, რომ მასზე მოთავსებულ გამოსახულებათა შესახებ მსჯელობა უფრო თავისუფლად შეიძლება.

მაგალითად, მონეტის შუბლზე გამოსახულ ადამიანის თავს ზოგჯერტი მკვლევარი (კიონე, ო. რეტოვსკი) რეალისტურად შესრულებულ არისტარხის პორტრეტად თვლიდა; ზოგი (ფრანგი მეცნიერი ბაბელონი, ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დ. ლენგი) პელიოსს (აპოლონს) მიაწერდა; ზოგიც (ინგლისელი მეცნიერი ჯენკინსი) ამ გამოსახულებაში პომპეუსის სახის ნაკვთებს ხედავდა.

ეს უკანასკნელი მოსაზრება ქვემარტებასთან უფრო ახლო უნდა იყოს და მართო იმიტომ კი არა, რომ მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებას პომპეუსთან ნამდვილად მსგავსება აქვს, არამედ იმიტომაც, რომ იმ პირობებში, რომელშიც იმ დროს კოლხეთი იმყოფებოდა, დაქვემდებარებული მმართველის მონეტაზე დიდი რომის უზენაესი მფლობელის პორტრეტი უნდა მოთავსებულიყო.

გაუგებარი რჩებოდა მონეტის ზურგზე მოთავსებული ღვთაების გამოსახულებაც: პროკეპ-ოსტენი და კიონე, მაგალითად, ფიქრობდნენ. რომ ეს

გამოსახულება კოლხეთისა ან მდინარე ფასისის (ახლანდელი რიონი) განსახე-
რება; ინგლისელი ნუმიზმატი ჯენკინსი უპირისპირებს ამ გამოსახულებას ადა-
მიანთა ბედ-იღბლის ლეთაება ტიქეს.

*ბრიტანეთის მუზეუმის ცალზე მკაფიოდ ჩანს გამოსახულების დეტალი, რო-
მელიც დახმარებას გვიწევს ამ სადავო საკითხის გადაწყვეტაში, — ტახტზე
მჯდომ ქალღმერთს მარცხენა ხელში უკავია მრგვალი საგანი (ისევე, როგორც
№ 18-ით აღწერილ კოლხურ სტატერზე), რომელიც მთელ კომპოზიციასთან
ერთად შესანიშნავად უდგება II საუკუნის რომაელი ისტორიკოსის ფლავიუს
არიანეს მიერ დატოვებულ აღწერილობას. შავი ზღვის ხანაპიროებზე მოგზაუ-
რობის დროს არიანე ქალ. ფასიდსაც (დღევანდელი ფოთი) ეწვია და აქ მისი
ყურადღება მიიპყრო ფასიანელთა ქალღმერთის ქანდაკებამ, რომელსაც ის რო-
მაელთა ქალღმერთ რეიას ადარებს. მისი სიტყვით, ქალაქ ფასიდის შესასვლელ-
თან აღმართულია ადგილობრივი ქალღმერთის ტახტზე მჯდომი ქანდაკება და,
როგორც რომაელთა რეიას, ხელში წინწილაკი (დაირა?) უკავია. ა.ეთი განმარ-
ტების შემდეგ ჩვენი მონეტის ზურგზე მოთავსებული ტახტზე მჯდომი გოგონა,
რომელსაც ხელში მრგვალი საგანი უჭირავს, სავსებით გასაგები უნდა იყოს.

სამუშუაბროა, რომ მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობების შემცველი ეს
უაღრესად იშვიათი მონეტა ჩვენი ქვეყნის კოლექციებში არ მოიპოვება და
კველა ცნობილი ცალი ძალიან დაშორებულია სამშობლოს ფარგლებს.

რომაული და პართული უაიღის მონეტები

ახალი წელთაღრიცხვის პირველი სამი-ოთხი საუკუნის ქართულ ნუმიზმა-
ტიკას ერთგვარი ხარვეზი ახასიათებდა და ზემოაღწერილ ადგილობრივ სტატე-
რების გარდა ჩვენში მოქრილი სხვა რომელიმე მონეტა არ ჩანდა. ეს, ალბათ,
რომაელთა აგრესიის გაძლიერებითა და კოლხეთის დასუსტებით აიხსნება. და-
სავლეთსა და აღმოსავლეთს შორის (ერთი მხრიდან — რომი, ხოლო მეორე
მხრიდან — ჯერ პონტოსი, შემდეგ კი პართიის სახელმწიფოები) ატეხილი ბრძო-
ლა გამოწვეული იყო იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდოთ ამიერკავკასიის დასავლეთი
ნაწილის სტრატეგიული პლაცდარმი და დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზა. ეს
გზა სწორედ ჩვენ მიწა-წყალზე გადიოდა დამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს
ჯერ კიდევ სტრაბონი იძლეოდა. ისტორიკოსი იუწყება, რომ ჩინეთისა და ინ-
დოეთის საქონელი ჯერ ოქსუსით (ახლანდელი მდინარე ამუდარია) იგზავნე-
ბოდა გირკანის (კასპიის) ზღვაზე, აქედან მდინარე კირით (მტკვარი) და მის
მომდევნო ოლქებით ევქსინის (შავ) ზღვაში გადაჰქონდათ. რომელი ისტო-
რიკოსი პლინიუსიც ამავე გზის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლე-
ვა და გეოგრაფიულ დასახელებებთან ერთად (როგორცაა, მაგალითად, ზემო-
დასახელებული ფასიდი, ახლანდელი ფოთი) აღნიშნავს სხვადასხვა პუნქტებს
შორის მანძილსა და ამ მანძილის გასავლელად საჭირო დროს.

ამ სავაჭრო გზის მნიშვნელობის შესახებ უფრო სრულ წარმოდგენას მი-
ვიღებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ შორეულ დროს მდინარე ამუდარია
ერთვოდა კასპიისა და არა არალის ზღვას, ხოლო მდინარეები საერთოდ და-
კერძოდ მტკვარი უფრო დიდი და წყალსავსე იყო და ეს მნიშვნელოვნად აად-
ვილებდა ინდოეთიდან დასავლეთ ქვეყნებში მოგზაურობას.

ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართული ორიგინალური მონეტის არსებობა უშუალო ნუმისმატიკური ფაქტებით ჭერჭერობით არ დადასტურებულა. მაგრამ ზოგიერთი წერილობითი წყარო ამ შესაძლებლობაზე მიგვიითითებს და ასეთი მონეტის გამოჩენის იმედს იძლევა. ასე მაგალითად, ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი აზორკ და არმაზელის გამოსახულებიან მონეტაზე მოგვითხრობს და ამბობს, რომ მასზე ქართულად ეწერა „ჩვენ ორთა საპატივემოდ“.

უფრო საინტერესოა ნუმისმატ ბართოლომეის ცნობა ერთი სპილენძის მონეტის შესახებ, რომელიც სტილისტური ნიშნების მიხედვით ჩვ. წ. I—II საუკუნეებს მიაკუთვნა. ეს მონეტა შემდეგი სახისაა:

შ უ ბ ზ ე გამოსახულია ორი ლომი; ერთი დგას, ხოლო მეორე მარჯვნივ გარბის და თავი პირველისკენ აქვს მობრუნებული. ირგვლივ ძნელად გასაკრევევი წარწერის კვალია.

ზ უ რ გ ზ ე — მეომარი შუბითა და ფარით.

ბართოლომეიმ ეს წარწერა ქართულად მიიჩნია და კითხულობდა როგორც „მფ ფრსმნ“ (ე. ი. „მეფე ფარსმან“). ამ მონეტის ანაბეჭდი მან მ. ბროსეს გაუგზავნა, რომელმაც გადამწყვეტი დასკვნებისაგან თავი შეიკავა.

როგორც თვითონ მონეტა, ისე მისი ანაბეჭდი, სამწუხაროდ, დაკარგულია და, რადგან შემდგომში მსგავსი აღარ აღმოჩენილა, მის არსებობას ახლა ექვემდებარება აყენებენ.

პროფ. ე. პახომოვს, მაგალითად, ასეთი მონეტის არსებობა შეუძლებლად მიიჩნია იმ მიზეზის გამო, რომ მსგავსი მას პირადად არასოდეს არ შეხვედრია. მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზის გამო ასეთი მონეტის არსებობაზე ხელის აღება დაუსაბუთებელია თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, ქართულ ნუმისმატიკაში ბევრი ისეთი ნიმუში აღმოჩნდა, რომელიც თავის დროზე არც ე. პახომოვს და არც სხვა მკვლევარს უნახავს.

უკანასკნელი არქეოლოგიური და ნუმისმატიკური აღმოჩენების შემდეგ აპდროინდელი ეროვნული ხასიათის მონეტის არსებობა გაცილებით უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ეს ნახევარი საუკუნის წინ გამოიყურებოდა. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ დროს იბერიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ადვილი მოსალოდნელია ისეთი მონეტის არსებობა, რომელზედაც აღბეჭდილი იქნებოდა „რომის კეისრისა და ხალხის მეგობრის“, იბერიის განთქმული მეფე ფარსმანის სახელი. ამრიგად, ბართოლომეის ცნობას დიდი ყურადღებით უნდა მოვეყიდოთ, რადგან ახალი ასეთი ცალის აღმოჩენა ქართულ ნუმისმატიკას საგრძნობ ხარვეზს შეუვსებს.

აღმოსავლეთისაკენ რომაული ექსპანსიის გავრცელებასთან დაკავშირებით, რომაულმა მონეტამ ჩვენ და მეზობელ ქვეყნებში ფართო გავრცელება მიიღო. რესპუბლიკური პერიოდის რომაული მონეტების აღმოჩენათა შემთხვევები ჩვენს მიწა-წყალზე შედარებით იშვიათი მოვლენაა, მაგრამ საიმპერატორო მონეტები პირველივე საუკუნიდან მასობრივად ჩნდება. განსაკუთრებულად გავრცელებულია კეისარ ოქტავიანე ავგუსტის (ძვ. წ. 27—ახ. წ. 14 წლები) დენარები: საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში არ მოიძებნება არც ერთი კუთხე ან სოფელი, სადაც ასეთები არ აღმოჩენილიყო. ამ ვერცხლის მონეტის მოკლე აღწერილობა ასეთია:

№ 22. შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, რომლის გარშემო შესაფერისი ლათინური ზედწერილი იუწყება კეისრის სახელსა და ტიტულს:

ზურგზე კეისრის ნაწვილები გაიოზ და ლუცი პირდაპირ დგანან და ფარებზე და შუბებს ეყრდნობიან. გამოსახულების ირგვლივ შესაბამისი ლათინური ზედწერილია.

ამ დენარების ასეთმა ფართო გავრცელებამ გამოიწვია მათი გაშინაურება და ხანგრძლივი მიმოქცევა, რის შედეგად ისინი გვიანდელ სამარხებშიაც ჩნდება. აღნუსხულია უკვე ოცზე მეტი შემთხვევა, როდესაც ეს დენარები II და ზოგჯერ III საუკუნის მეორე ნახევრის მონეტებთან და ინვენტართან ერთად იყო აღმოჩენილი. ასეთი კომპლექსი იმის მაჩვენებელია, რომ ავგუსტ კეისრის დენარს ძალიან ხანგრძლივი ბრუნვის უნარი ჰქონია. განუწყვეტელი დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ გვიან სამარხებში აღმოჩენილი ავგუსტ კეისრის სახელით აღბეჭდილი დენარები კარგად არიან დაკული, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი დამარხვამდე არც ისე დიდი ხნით ადრე ყოფილან მოჭრილი. ეს მონეტები I საუკუნეში რომ მოექრათ, სამასი წლის ხმარების შედეგად ასე კარგად ვერ შეინახებოდა.

აღმოსავლეთ ქვეყნებში ამ სამონეტო ტიპის უაღრესი გავრცელების გამო ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მათ სპეციალურად კრიდნენ აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის. მაგრამ ვინ კრიდა ამ მონეტებს და სად, ეს საბოლოოდ დადგენილი არაა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ჩვენში ამ დენარების გარედან შემოტანა შეწყდა, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ შეჩვეულ მონეტებზე მოთხოვნილება წამოაყენა, ჩვენში ადგილობრივ მოჭრილი მინაბაძების მოჭრა დაიწყო.

მინაბაძების პირველი საფეხურები ბევრად არ შორდება ორიგინალს და თითქმის არ განსხვავდებოდა მისგან. მაგრამ დროთა მსვლელობაში მინაბაძი სულ უფრო და უფრო განიცდიდა დეგრადაციას და მისი უკანასკნელი, უკიდურესად გადაგვარებული ცალეები უაღრესად პრიმიტიულსა და უხეშ სქემად იქცნენ. საფიქრებელია, რომ თავის დროზე ეს მინაბაძი მრავალი ათეული წლის ზანძილზე იჭრებოდა და დიდი რაოდენობით უნდა შემორჩენილიყო. ამიტომ ამჟამად მათი შედარებითი იშვიათობა ძნელი ასახსნელია. დართულ ტაბულაზე მოთაესებულია ოთხი ასეთი მინაბაძის გამოსახულება (იხ. №№ 23 — 26), რომლებიც თანდათანობით გადაგვარებისა და გაუხეშების სურათს იძლევა.

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე აღნუსხული სამონეტო აღმოჩენები ფრიად დამაჯერებელ სურათს იძლევა იმ მეტოქეობის შესახებ, რომელსაც ერთმანეთს უწევდა რომაული დენარი და პართული დრაქმა საქართველოში უპირატესობის მოსაპოვებლად. რომაულ დენართან შედარებით, პართული დრაქმის გავრცელების არე თითქოს უფრო ვიწროა და დასავლეთ საქართველოში ისე ხშირად არ ჩანს (დამახასიათებელია, რომ იბერიული სტატერებისა და პართული დრაქმის გავრცელების არე ერთმანეთს ემთხვევა), მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ის იმდენად ხშირია, რომ ძნელი სათქმელია უპირატესობა ავგუსტის დენარს თუ გოტარზესის დრაქმას მიეცეს. ამიტომ, ავგუსტ კეისრის დენარის მსგავსად, გოტარზესის დრაქმაც ნატურალიზებულ მონეტად უნდა ჩაითვალოს. უფრო გვიანდელ მონეტებთან და ინვენტართან ერთად ამ დრაქმების აღმოჩენათა შემთხვევები ისევე ხშირია და გვიანდელ სამარხებიდან ამოღებუ-

ლა ცალები ისევე კარგადაა დაცული, როგორც შემოხსენებული დენარები, ამიტომ ესენიც ჩვენი წ. პირველი სამი საუკუნით თარიღდება. ხანგრძლივ ხმაურებაში მყოფ ამ ვერცხლის დრაქმის მოკლე აღწერა ასეთია:

№ 27. მონეტის შუბლზე გამოსახულია წერტილოვანი რაკლით შემოვლებული გოტარზესის მარცხენა პროფილი;

ზურგზე — ტახტზე მჯდომი არშაკ I, რომელსაც ხელში დაქიმული მშვილდი უკავია. ირგვლივ ბერძნული (უფრო ხშირად დამახინჯებული) წარწერაა. დამახასიათებელია, რომ ΑΡΣΑΚΟΥ-ს სახელის ნაცვლად მრავალ მონეტაზე ΑΡΙΑΝΟΥ არის აღბეჭდილი.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის აღმოჩენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ ზოგიერთი სამონეტო კომპლექსი არკვევს ვოტარზესის გაშინაურებული დრაქმების წარმოშობის საკითხსაც. აღსანიშნავია, რომ მცხეთის შემოხსენებული მავზოლეუმის კომპლექსი რომის კეისრების ვიტელიუსისა და ვესპასიანეს აურეუსებს შეიცავდა და, ამრიგად, ამ ძეგლის დათარიღება ახ. წ. 69 წელზე უფრო ადრე შეუძლებელია, რადგან დასახელებულმა პირებმა ამ დროს დაიწყეს მოღვაწეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მავზოლეუმში აღმოჩენილი პართული დრაქმების სიმრავლის მიუხედავად, გოტარზესის დრაქმა აქ სულ არა ჩანს. რადგან გოტარზესმა თავისი მოღვაწეობა 51 წელს, ე. ი. თითქმის 20 წლით ადრე მოათავა, მისი სახელით აღბეჭდილ დრაქმებსაც ამ დროს გასავალი უნდა ჰქონოდა ჩვენში. ამრიგად, მისი დრაქმები, რომლებსაც ძველ იბერიაში III საუკუნემდე ჰქონია გასავალი, ჩვენში პირველად მხოლოდ I საუკუნის ბოლოს გაჩენილა. ეს გარემოება იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ისევე, როგორც ავგუსტ კეისრის დენარების ნაწილი, ეს დრაქმებიც ადგილობრივ პროდუქციას უნდა წარმოადგენდეს.

პართული დრაქმების დიდ უმრავლესობაზე აღბეჭდილია ბერძნული ზედწერილები, რაც აიხსნება შემდეგი მიზეზებით: პართელთა სახელმწიფოში ხელისუფლების ცენტრალიზაცია სუსტად იყო განვითარებული და ამიტომ პართელთა ძალაუფლების ქვეშ მოქცეული ქვეყნები ზოგჯერ სრული სუვერენული უფლებებით სარგებლობდნენ; ეს გარემოება ხელს შეუწყობდა ზოგიერთ დამორჩილებულ ქვეყანაში საკუთარი ფულის მოჭრას, მით უმეტეს, რომ პართულ მონეტებს სხვადასხვა ზარაფხანებში ჰჭრიდნენ. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ შორის ერთი ზარაფხანა ქართული ყოფილიყო.

მაგრამ დღეისათვის ფაქტობრივი მასალა საკმარა ჩაოდენობით არ მოგვეპოვება და ამიტომ, ე. წ. გოტარზესის დრაქმის გარდა, რომელიმე სხვა მონეტის გამოყოფა ჭერჯერობით ვერ ხერხდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პართულ მონეტათა შორის ჩნდება ცალები, რომლებიც ჩვეულებრივი მონეტებიდან მკვეთრად განსხვავდებიან გამოსახულებათა უხეში შესრულებით და ზედწერილების დამახინჯებით. ეს უკვე საბუთს იძლევა, მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ მასალას და ვიფიქროთ, რომ ამგვარ მონეტებს შორის როდისმე მოიკებნება ქართული წარმოშობის ნიმუშიც.

ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟისა და მოსკოვის საისტორიო მუზეუმის ფონდებში დაცულია III საუკუნის რომაული ოქროს მინაბაძთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მათი წარმოშობის საკითხი დიად რჩებოდა, — მათი აღმოჩენის ადგილის შესახებ საჭირო ცნობებიც კი არ არსებობს. მაგრამ, როდესაც ორმოციოდე წლის წინათ კასპის რაიონის სოფ. ალაიანში ერთი ასე-

თი მინაბადი აღმოჩნდა, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ა. ნ. ზოგრაფმა კონკრეტულად დასვა საკითხი მისი ადგილობრივი წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ. ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ასეთი ტიპის მინაბადთა აღმოჩენები იმდენად გახშირდა და ახლად აღმოჩენილ ამ მასალას იმდენად დამახასიათებელი ნიშნები ახლავს, რომ ამ მონეტათა ქართული წარმოშობის შესახებ უფრო მეტი სითამამით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

სოფ. ალაიანში აღმოჩენილი რომის კეისარ ნუმერიანის (283—284 წწ.) აურეუსის მსგავსად მოჭრილი „ბარბაროსული“ მინაბადი ნაპოვნი იყო კონსტანტინე I (308—337 წწ.) ოქროს მონეტასთან ერთად. მაშასადამე, ეს მინაბადი IV საუკუნის ფულად მიმოქცევაში მონაწილეობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ქალ. ცხინვალში შემთხვევით წააწყდნენ სამარხს, სადაც მდიდარ ინვენტართან ერთად ზუსტად ასეთივე მინაბადი აღმოჩნდა. დამახასიათებელია, რომ III—IV სს. ამ მინაბადთან ერთად აღმოჩენილი იყო აევუსტ კეისრისა და გოტარზესის მონეტები.

1942 წელს ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (რკინიგზის სადგურ სუფსასთან) შემთხვევით აღმოაჩინეს სამარხი ძალიან მდიდრული ინვენტარით, II—III სს. კესარიული ვერცხლის მონეტებით, რომის კეისარ ტაციტუსის (275—296 წწ.) ოქროს მონეტით და რომაული აურეუსის გაურკვეველი მინაბადით. როგორც შემდგომში გამოირკვა, ამ მინაბადის შუაგული ვერცხლისა აღმოჩნდა, რომელსაც ოქრო მხოლოდ გარედან ჰქონდა გადაკრული.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშიცაა შემოსული სოფ. ვაშლოვანში შემთხვევით ნაპოვნი რომის კეისარ ვალერიანუსის (253—260 წწ.) აურეუსის მინაბადი.

გაცილებით უფრო შინაარსიან მასალას იძლევა არქეოლოგიური ექსპედიციები: 1940 წელს არმაზისხევის № 3 ქვის სამარხში მდიდრულ ინვენტართან, აევუსტ კეისრის დენარებთან, გოტარზესის დრაქმასთან და რომის კეისრების — გორდიანესა (238—244 წწ.) და ფილიპეს (244—249 წწ.) ოქროს მონეტებთან ერთად ნაპოვნი იყო ფილიპეს (244—249 წწ.), ტრაიანე დეციუსის (249—251 წწ.) და ჰოსტილიანეს (251 წ.) აურეუსების მინაბადები. კომპლექსი დამახასიათებელია აევუსტის დენარებისა და გოტარზესის დრაქმების სიციცხლის ხანგრძლივობის დასადასტურებლად; გაოცებას იწვევს ოქროს მონეტათა სიმრავლე და მათ შორის ოთხი მინაბადისა, ხოლო, რაც მთავარია, ფილაზე კეისრის აურეუსების მინაბადები ერთი წყვილი სიქებითაა მოჭრილი (რადგან სიტყვამ მოიტანა, ნუმერიანის მინაბადებიც ერთნაირი სიქითაა მოჭრილი).

1966 წლის თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. თრანის მახლობლად წარმოებულ თხრის დროს აღმოაჩინა ნეკროპოლი, რომელიც ინვენტარის სიმდიდრითა და მონეტათა სიმრავლით არმაზისხევის განთქმულ სამაროვანს უახლოვდება. ერთ-ერთ სამარხში III საუკუნის რომის აურეუსთან და აევუსტის და გოტარზესის ვერცხლის მონეტებთან ერთად ნაპოვნი იყო რომაული აურეუსების ორი მინაბადი: ერთი — ფილაზე კეისრისა, ზუსტად ისეთივე, როგორც არმაზისხევეში აღმოჩნდა, ხოლო მეორე — რომის კეისარ კომოდისა (180—192 წწ.).

დაბოლოს, 1967 წ. თიანეთის რაიონის სოფ. სიმონიანთხევეში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით ნაპოვნი აევუსტ კეისრის აურეუსის ადგილობრივი მინაბადიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

ამრიგად, ჩვენს ხელთაა უკვე შეიძლება შემთხვევა ე. წ. „ბარბაროსული“ აურეულების საქართველოს მიწა-წყალზე თერთმეტი ასეთი მონეტის აღმოჩენისა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. თრანში აღმოჩენილ კომოდის მინაბადის ზურგისა და სოფ. სიმონიანთხევეში ნაპოვნი ავგუსტის მინაბადის შუბლის მოსაჭრელად გამოყენებულია ერთი და იგივე სიქა. ეს კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ ავგუსტ კეისრის მონეტებს II საუკუნის მიწურულში ბრუნვის უნარი ჰქონია.

დასახელებული ორი მონეტისა და აგრეთვე ფილიპესა და ნუმერიანის მინაბაძთა მოსაჭრელად ერთი და იგივე სიქების გამოყენება და ტიპების განმეორება, აშკარას ხდის, რომ ზარაფხანა, სადაც ამ მონეტებს ქრიდნენ მათი ჩაფლვის ადგილიდან სადაც ახლო უნდა ყოფილიყო. მხატვრული გაფორმებისა, ტექნიკური შესრულებისა, ლითონის სინჯადობისა და წონის სიმცირის მხრივ ადგილობრივ აღმოჩენილი ეს მინაბაძები რამდენადმე ჩამოუვარდება რომაულ პროტოტიპებს.

ამ მინაბაძების შესწავლა სულ ახლახანს დაიწყო, მაგრამ ჩვენს ხელთ უკვე საკმარის ხელსაყრელი მასალაა. იმედი უნდა ვქონიოთ, რომ ადგილობრივი აურეულების საკითხი გაცილებით უფრო მალე გადაწყდება, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს სტატერების მინაბაძთა ქართული წარმოშობა საამისოდ ჩვენს ხელთ სათანადო ანალოგიებიც მოიპოვება და მასალაც წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება. ახლა უკვე ანალოგიური ნიმუშების აღმოჩენის შემთხვევებს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და უფრო დაკვირვებით შევისწავლოთ როგორც უშუალოდ მონეტები, ისე მათი აღმოჩენის პირობები.

ამ მინაბაძების დაწვრილებით აღწერა სათანადო შედეგს არ მოგვცემს, რადგან ზედწერილები იმდენად არის დამახინჯებული, რომ მათი ამოკითხვა შეუძლებელი ხდება, ხოლო რომაული პერიოდის მონეტების განსაზღვრისათვის ამას გამომწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მინაბაძების ამა თუ იმ კეისრის მონეტებთან დაპირისპირება მოხერხდა მხოლოდ ტიპოლოგიური ნიშნების მსგავსებით და ამიტომ ცალ-ცალკე აღწერილობის ნაცვლად ვიძლევი მონეტის სქემატურ მონაცემებს:

შ უ ბ ზ ე — კეისრის თავის გამოსახულება, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს დამახინჯებული ლათინური ზედწერილი.

ზ უ რ გ ზ ე — სხვადასხვა ხასიათისა და მოტივის გამოსახულებანი სათანადო ლათინური, ამ შემთხვევაში დამახინჯებული ზედწერილით.

ტაბულაზე მოთავსებულია III საუკუნის რომის კეისრების — ფილიპეს, ჰოსტილიანეს, ვალერიანესა და ნუმერიანის აურეულების მინაბაძები (№№ 28, 29, 30 და 31), რომლებიც წინა ანალოგიების მსგავსად შეიძლება ადგილობრივ, ან უკეთ, იბერიულ აურეულებად მივიჩნიოთ.

ქართლის ერისმთავართა VI—VII საუკუნეების ღრამები

შინაგანი კრიზისისა, გამუდმებული ომებისა და ე. წ. წებარბაროსთა“ ხშირი თავდასხმების შედეგად რომის იმპერია თანდათან სუსტდებოდა და მალე ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, ორ სახელმწიფოდ დაიშალა. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოცენდა ბიზანტია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც უზარმაზარი რომის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა, წარმატებით ებრძოდა ძველ მოქიშპეებს აღმოსავლეთ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში თავისი გავლენის დასამყარებლად. ბიზანტიასაცა და მის მოწინააღმდეგეს სასანელთა ერანს კარგად ესმოდა, რომ ქართველთა მიწა-წყლის დაპყრობა და ამ უაღრესი მნიშვნელობის პლაცდარმის ხელში ჩაგდება დიდ ზიანს მიაყენებდა მეტოქეს.

ბრძოლა VII საუკუნემდე გაგრძელდა და ორივე მხარე საქართველოს იტყუებდა. საქართველოს საზღვრები განუწყვეტლივ ირღვეოდა და VI საუკუნისთვის ბიზანტიამ და ერანმა თავიანთი გავლენის სფეროებად გაიყვეს: პირველს — დასავლეთი საქართველო, ხოლო მეორეს მისი აღმოსავლეთი ნაწილი ერგო.

ქართულ ნუმისმატიკაში არსებული ხარვეზი, რომელიც სწორედ აღნიშნულ ხანას ემთხვევა, უეჭველია, ამ პოლიტიკური ბრძოლით აიხსნება. მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე III საუკუნის პირველ ნახევარში უშუალოდ საქართველოს საზღვრების მეზობლად ჩნდება სასანიანთა ძლიერი მონარქია, რომელიც წარმატებით განაგრძობდა ჯერ კიდევ აქემენიდების დროს წამოწყებულ ერანის გაძლიერებისა და გაფართოების საქმეს.

სასანელები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მათი გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებს და სასტიკად ახშობდნენ ერანის ძალმომრეობისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების ყოველ ცდას. თავდაპირველად აღმოსავლეთი საქართველო ერანის ვასალი იყო, ხოლო შემდეგ VI საუკუნიდან დამოუკიდებლობა სავსებით დაკარგა და ძალაუვნებურად მონაწილეობდა დაუსრულებელ ომებში, რომელსაც ერანი აწარმოებდა.

V—VI საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი იბერიის მეთაურობით თავგამოდებით ებრძვის ერანსა და ბიზანტიას ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული გაერთიანებისათვის. ხანგრძლივ ბრძოლაში სასანურმა ერანმა სავსებით გამოფიტა თავისი მოქიშპე — ბიზანტია, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონაც იმდენად დაუძლურდა, რომ კვლავინდებურად ვედარ შეძლო დაპყრობილი ქვეყნების მეთვალყურეობა. ამის შედეგად VI საუკუნის ბოლოსთვის ერანელთა ძალაუფლება საქართველოში შესუსტდა და ამრიგად, საქართველოს საშუალება მიეცა თავიდან მოეშორებინა უცხოელ დამპყრობთა უღელი.

ქუცხოელთა მიმე ბატონობამ და მსხვერპლმა, რომელც ქართველმა ხალხმა თავისი გასათავისუფლებლისათვის გაიღო, იერ შეაყენა ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ეერ შეანელა მისი პრიოლია დამოუკიდებლობისათვის. ბოლოს და ბოლოს VI საუკუნის დამლევისათვის ქართველმა ხალხმა შეძლო საქარაველოს სასელმწიფოებრიობის აღდგენა. ქაქერად ქართული სასელმწიფოებრიობა ფეოდალური საზოგადოებრივი წყობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა.

(ეროვნული თვითშევიენის თანდათანობითი გამოფხიზლებსა და რამოქცილებლობს საღვლის ბრძოლის ყოველი ეტაპი შესანიშნავად აისახა ამრორონდელ ნუმისმატიკურ მასალაში. ამ დროს ჩვენში გავრცელებულ სასანიანთა საერთო საწვლმწიფოებრივი მონეტის შუბლზე ყოველთვის მოთავსებულია მეფის გამოსახულება, ხოლო ზურგზე — ეცესლთაყენისმცემელ სასანელთა ემბლემა — საყურთხვეველზე ავიზვიზებული ეცესლა. რომელსაც ორი შვიარაღებული მცველი დარაჯობს. სასანელთა ეს სასელმწიფოებრივი-ერელიგურა ემბლემა, რომელიც თავიდანვე გაჩნდა მათ მონეტებზე, ბოლომდე — მათი დაცემის დღემდე შემორჩა.//

VI საუკუნის დამლევს ქართულ მონეტაზე, რომელიც ზემოაღწერილი სასანური მონეტის ძირითად ტიპს და წონას (2,5—3,5 გრამის ფარგლებში) ინარჩუნებს, ჭერი ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, ჭერის ნიშანი ჩნდება, რომელსაც მონეტის შუბლზე მეფის მხარს ზემოთ ათავსებენ (იხ. ტაბულა № 32). საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი წინაპრებისათვის ეს ქრისტიანულ-რელიგიური სიმბოლო იმ დროს ეროვნულ ემბლემასაც წარმოადგენდა და ქართულ მონეტაზე მისი გაჩენა აუცილებლად პოლიტიკური ნიშნულობის გაბედული ნაბიჯი იყო. შემდეგ მონეტის ზემო ნაპირის კიდზე მეფის გამოსახულების ზემოდან ქართული ასოები ან ქართული მთავრების სახელების მათქმელებელი (ერისმთავარნი—გურგენი, ვახტანგი და სხვ.) მონოგრაჰმები ჩნდება (იხ. ტაბულა №№ 33—34).)

ქართველთა დამოუკიდებლობის განმტკიცება უფრო შესამჩნევად მეღაენდება მას შემდეგ, როდესაც ქართული ეროვნულ-რელიგიური ემბლემა — ჭარი მონეტის ყველაზე შესამჩნევ ადგილს იკერს. ეს ის ადგილია, რომელსაც სასანელები განსაკუთრებით დარაჯობდნენ და სადაც საუკუნეთა მანძილზე მათთვის ღვთაებრივი კოცონი გიზვიზებდა. და აი, სწორედ იქ, საყურთხვეველზე, ჩვენმა წინაპრებმა საყურთხვეველი ემბლემა — ჭარი აღმართეს (იხ. ტაბულა № 35). მაგრამ არც ეს იქმარეს, ერისმთავარმა სტეფანოზ I ქართული ასომთავრული ნიშნებით მონეტის კიდებზე დაქარაგვა თავისი სახელი (იხ. ტაბულა № 36), ხოლო მისმა მომდევნო მთავარმა სტეფანოზ მეორემ ეს სახელი უკვე ვერც აღ და ასეთივე ქართული წარწერით მოთავსა მონეტის ენტრში, მეფის გამოსახულების გვერდით (იხ. ტაბულა № 37). ამ ორუკანასკნელ მონეტაზე ჭარი ამაყად არის აღმართული საყურთხვეველზე. V—VI ს. შექმნილ პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში ქართულ-სასანურ მონეტაზე ჭერის გაჩენა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩითთავი.

ამრიგად, ნუმისმატიკური ძეგლების წყალობით ჩვენ თვალწინ იმდნება ფრიად მჭერამეტყველი და ამაღლებული სურათი, რომელიც ერთი მხრივ, საქართველოს ძლიერი და უღმობელი მტრის თანდათანობით შესუსტებას, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული შეგნებისა და პატრიოტიზმის გაღი-

ძებნას მოწმობს. ყველაფერი ეს ისე აშკარად მელაენდება, რომ იძლირონდელ მონეტებს ე. ნახსოვით პირველ ეროვნულ-ქართულ მონეტებად თვლის.

(ამ ქართულ-სასანურ მონეტათა სერიიდან უმთავრესი სამი ჭგუფის გამოყოფა შეიძლება:

1. ჭგუფი I. უსახელო მონეტები, რომლებზედაც აღბეჭდილია ქრისტიანული, რელიგიურ-ეროვნული სიმბოლო — ჭვარი.

2. ჭგუფი II. მონეტები, რომლებზედაც ქართლის ერისმთავართა სახელები დაქარაგმებულია ქართული ასოებით ან ამ ასოების ლიგატურით, ხოლო რელიგიურ-ეროვნული სიმბოლო დარჩენილია ერანული, — მონეტის ზურგზე გამოსახულია ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა.

3. ჭგუფი III. მონეტები, რომლებზედაც ერისმთავარი სტეფანოზის სახელი ვრცელი დაქარაგმებით ან სრულად არის აღბეჭდილი ქართულადე და ეროვნულ-რელიგიური სიმბოლო — ჭვარი აღმართულია საკურთხეველზე, ესე იგი იქ, სადაც სასანურ მონეტებზე ჩვეულებრივ გამოსახულია წმინდა ცეცხლი.)

თავის მხრივ თითოეული ეს ჭგუფი ცალკე ვარიანტებიდან შედგება. რადგან ამ ვარიანტების ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვიყვანდა, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ მესამე ჭგუფის VII საუკუნით განსაზღვრა-დათარილება უთანხმოებას არ იწვევს და ამიტომ ყველაფერი, ჩასაც ამ მონეტებზე ქვეით ვიტყვი, მხოლოდ პირველ ორ ჭგუფს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ მონეტებს თარიღი უზის, ის სანდოდ ვერ ჩაითვლება, რადგან დამახინჩებულია და მონეტაზე გამოსახული მეფის მმართველობის ამა თუ იმ წელს აღნიშნავს.

მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ მონეტებზე გამოსახული მეფის გამოცხადებამ მკვლევართა შორის უთანხმოება გამოიწვია.

მართალია, გამოსახული მეფე ყველამ ერთხმად პორმიზად მიიჩნია (ამას თვითონ მონეტები მოწმობენ, რომლებზედაც ფალაური ზედწერილია მოთავსებული: „პრმ-ფზუ“ ე. ი. „პორმიზ უაეგუსტოესი“), მაგრამ სახელდობრ რომელ მათგანს — მესამეს თუ მეოთხეს მიეცეს უპირატესობა, ეს საკითხი დაეას იწვევდა.

ქართულ-სასანური მონეტის დათარიღებისას ორი აზრი შეიქმნა: მკვლევართა იმ ნაწილმა, რომელმაც ჩვენი მონეტები პორმიზდ III-ის (457—458 წწ.) ღრამების მინაბაძებად ცნო, V საუკუნით დაათარია და შესაბამისად ეახტანგ გორგასალსა და გურგენ მეფეს მიაკუთვნა; მეორე ნაწილმა კი მონეტაზე გამოსახული მეფე პორმიზდ მეოთხედ (579—590 წწ.) მიიჩნია, ეს მონეტები VI საუკუნის მიწურულით დაათარია და ამავე დროის უცნობ ქართლის ერისმთავრებს მიაკუთვნა. ამრიგად, ამ მონეტების განსაზღვრის საკითხი სადავოდ რჩებოდა.)

პირველი დათარიღება უფრო დამაჩერებლად გამოიყურებოდა იმიტომ, რომ მას საფუძვლად მარტივი დებულება ედო — რა საკიროა უცნობი ერისმთავრების ძიება იქ, სადაც ისტორიისათვის მტკიცედ დადგენილ, V საუკუნისა და VI საუკუნის დასაწყისის მეფეებს — ეახტანგ გორგასალსა და გურგენს ვიცნობთ? მით უმეტეს, რომ მონეტებზე სწორედ ეს სახელებია მოთავსებული.

ამრიგად, ამ, მართლაც გასაჩვენევი, მონეტების განსაზღვრა-დათარიღების

საქოთხის გადასაჭრელად საჭირო გახდა ისტორიული ქოსის რუგებისა და სხვა მიწმაცხურთა ფაქტების ერთმანეთთან დაპირისპირება.

(რა თქმა უნდა, არავის ეჭვი არ შეჰპარია, რომ ამ სერიის ქართული მონეტება სასანური მონეტების უდავო მონაბაძეობა და იმ დეტალებს იძლეობს, რომლებიც სასანურ მონეტებს ახასიათებს). სწორედ ასე მსჯელობდნენ ძველი მეკლევიანი, როდესაც სასანურსა და ჩვენს მონეტებზე აღბეჭდილ მეფეს გამოსახულებათა შორის მსგავსებას ეძებდნენ. მაგრამ მთელი ეურაულების მხოლოდ ამ მიმართულებით გამახილება საკითხს ვერ კრიდა.

აწკარად ჩანდა, რომ ადამიანის გამოსახულებათა შორის მსგავსების შენახებ მსჯელობა იქ, სადაც ეს გამოსახულება უბრალო და უხეშ სქემად იქცა, ძნელია. ამ მსგავსებას არამც თუ პროტოტიპსა და მის მონაბაძს შორის, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში პორმიზდ IV ორიგინალურ დრაქმებს შორისაც ურთქვენიო.

საჭირო გახდა, ახალი, უფრო იოლი გზების ძიება, უფრო დამაყრებელი საბუთების გამოხაზვა და, ამასთანავე, აუცილებელი პირობის შესრულება, — ეს საბუთები და ნიშნები თვით მონეტებზე უნდა მოგვენახა. ჩვენთვის საინტერესო მონეტების ის მხარე, რომელზედაც მეფის გამოსახულება არის მოთავსებული, ნუმისმატიკაში ამომწურავი სისრულით გამოიყვალეს; მეორე გვერდისთვის კი სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ მისი შესწავლა იყო საჭირო.

ამან მართლაც ძალიან საინტერესო შედეგები და უტყუარი საბუთები მოგვცა.

ამ დეტალების მოკლე ანალიზი მოყვანილი გვაქვს იმ მიზნით, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ზოგიერთ მონეტის ამა თუ იმ წიგრილმანს.

1. სასანურ დრაქმებზე გამოსახული საყურთხევის ტიპი და ფორმა ხოსრო I-მდე (531—579 წწ.) მუდამ მოცემულია ორსამ საფეხურიან კვარცხლებზე დამყარებული სადა სვეტის სახით. საყურთხევის ასეთი ტიპი შერჩენილია ხოსრო I-ის ადრინდელ მონეტებზე, მაგრამ მისივე დანარჩენ მონეტებზე ეს სვეტი ქრება და ვერტიკალური ლერძით იცვლება. საყურთხევის ასეთი ტიპი სასანურ მონეტებს ბოლომდე შერჩათ და ასეთსავე საყურთხეველ ქართულ-სასანურ დრამებზედაც დაფინახავთ.

2. მაზდიზმის წმინდა სახევეი სასანურ მონეტებზე ფრიალ მნიშვნელოვანი დეტალია; თამამად ითქმის, რომ ეს მოსახვევი თითქმის ყველა მონეტაზეა გამოსახული, უმთავრესად კი საყურთხევის სვეტზეა შებმული. ისევე, როგორც სხვა დეტალები, ეს მოსახვევი თანდათან სქემატურ სახეს ღებულობს, მაგრამ ყოველთვის გასაგები რჩება. ხოსრო I-მდე ეს მოსახვევი საყურთხევის სვეტზე იმნაირად არის შებმული, რომ მისი ბოლოები მუდამ ქვემოთყენ არის დაწვეებული; ხოსრო პირველის მონეტებზე ეს მოსახვევი დროებით ქრება; მაგრამ უფრო გვიანდელ მონეტებზე კვლავ ჩნდება, მხოლოდ მისი ბოლოები უკვე ზემოთყენ არის აფრიალებული. ამნაირად გამოსახული მოსახვევი თითქმის ყველა მომდევნო მონეტაზეა შერჩენილი.

მოსახვევის ასეთივე გამოსახულებას ქართულ-სასანურ ყველა მონეტაზე ეხებათ. მაგრამ ამან ზოგიერთი მეკლევიანი შეცდომაში შეიყვანა, — ბოლოებ-

აფრიკელთა მოსახვედით შემკული საკურთხეველის ღერო ვათ „ფიგურულ“ ღეროდ მოიჩინეს.

აღსანიშნავია, რომ ეს დეტალი შესულია ქართულ-ხერონმოძღვრების იმდროინდელ აკრძალვებში. ხუროთმოძღვრება მ. ჩხიკაძემ თავაზიანად მოაწვრთნა წილნის ტაძრის ორნამენტალური მორთულობის ჩანახატი, რომელიც იმეორებს სტეფანოს I მონეტის ზურგზე გამოსახული საკურთხეველის მოხატულობას, ხოსრო II მონეტაზე გამოსახული მეფის გვირგვინის ზედა მორთულობას ღა სხვ.

3. საკურთხეველის მცველები, რომლებიც პირველად შაბერ I-ის (238—260 წწ.) მონეტებზე ჩნდება, მაყურებლის მიმართ მუდამ პროფანით დგანან (უმთავრესად პირით ცეცხლისაკენ). მცველების ასეთი მდგომარეობა მკაფიოდ ჩანს ისეთ მონეტებზეც, როგორცაა კავადისა და ზანმასპის მონეტები, რომლებზედაც გამოსახულებანი უხეშ სქემად შეიყვანა. ასე გრძელდება ხოსრო I-მდე (531—579). მისი მეფობის დასასრულს მცველებს მდგომარეობა შეუცვალეს და ცეცხლის მიმართ გვერდით, ხოლო მაყურებლისათვის პირდაპირ დააყენეს. მცველების ასეთი მდგომარეობა სასანურ მონეტებს ბოლომდე შერჩა და ამ სახითვე გადავიდა ქართულ-სასანურ დრამებზე.

4. დაბოლოს მცველების შეიარაღება, რომელსაც ფეროზამდე (458—488 წწ.) ხან შუბები, ხან მახვილები შეადგენს, მცველებს ყოველთვის საპატიო ე. ი. საყარაულო მდგომარეობაში უყავიათ. ფეროზისა და მასი უახლოესი მეგობრების დროს ე. ი. 499 წლისათვის მდგომარეობა ძირითადად იცვლება, მცველებს იარაღი სულ აღარა აქვთ, მათი თავისუფალი ხელები, ლოცვის ექსტაზში აპყრობოდა წმინდა ცეცხლისაკენ. მაგრამ იმავე ხოსრო I-ის უკანასკნელ მონეტებზე ეს იარაღი ისევ ჩნდება მახვილების სახით, რომლებიც მცველებს სულ ახალ მდგომარეობაში — ქვემოთ ფეხებს შარის დაშვებულ უყავიათ და ორივე ხელით ზედ ეყრდნობიან; ამნაირი იარაღითა და ასეთი სახით იყავნ მცველები წმინდა ცეცხლს სასანიანთა დაეკავა და ანალოგიური სურათი იხატება ქართულ-სასანურ დრამებზედაც.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი სრული დამაჩერებლობით გვიდასტურებს, რომ ხოსრო I-ის (531—579 წწ.) დროს მონეტის ზურგის გამოსახულებებში მომხდარი ცვლილებები ზუსტად აღიბეჭდა ქართულ-სასანურ დრამებზედაც; უდავოა, რომ ასეთი ტიპის მონეტა თავდაპირველად ერანში წარმოიშვა და მხოლოდ შემდეგ გადმოვიდა ჩვენში. ამჟამად, რომ ქართულ-სასანური დრამების მხოლოდ 531 წლის შემდეგ მოიჭრებოდა და რადგან მათზე პორმიზდის სახელია აღბეჭდილი, იგი პორმიზდ IV (579—590 წწ.) იქნება; მასმასამდე, ეს მონეტები 579 წლის, ე. ი. მისი გამეფების შემდეგ იჭრებოდა. ხოლო ვახტანგ გორგასალი და გურგენი ამ დროს უკვე აღარ იყვნენ.

(რადგან სტეფანოსის სახელით აღბეჭდილი ქართული დრამები, როგორც ეს დამტკიცდა, ხოსრო II-ის (593—628 წწ.) დრამების დეტალებს იმეორებს, ამჟამად ხდება, რომ თუ ქართულ-სასანური მონეტების პირველი ორი ჯგუფი VI საუკუნის უკანასკნელი ოცწლედით თარიღდება, მაშინ სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები VII საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ.)

ამ ფრიად საინტერესო მონეტების განსაზღვრა-დათარიღებაში ძვირფასი სამსახურის გაწევას კიდევე ერთი დეტალი შეძლება, რომელიც ჯერჯერ

რობით შეუსწავლელი დარჩა. მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება იმ ვარაუდებს, რომ ქართულ-სასანურ მოსტებზე მოცემული შედგენილები დამახინჯებულია, მაგრამ ეს დამახინჯება ყველგან ერთნაირია და ერთმანეთთან ყველგან მსგავსებას აქვს, იქნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში ფალაური შედგენილების დამახინჯებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ფალაური დამწერლობის რაღაც ახალ სახეობასთან.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში სასანური მონეტა როგორც ცალკე ერთეულებს, ისე საკმაოდ მოზრდილი განქების სახით უპირადად რაოდენობითა ჩნდება. აქაბი ისტორიკოსი ტაბარი გვაუწყებს, რომ 607—608 წლებში ირანის სახელმწიფო შემოსავალი 420 მილიონ დრამს შეადგენდა (დასავლეთ საქართველოში ამ დროს ბიზანტიელები მბრძანებლობდნენ და ამიტომ სასანური მონეტა აქ ძალიან იშვიათად ჩნდება).

და აი, სასანურ მონეტათა ამ უზარმაზარი რაოდენობიდან ქართულ-სასანური დრამების ცნობაში მოყვანილი საერთო რაოდენობა ორმოცდა ორ ალფინეს, ამიტომ სათქმელია, რომ ქართულ-სასანური მონეტების გამოშვება გამოწვეული იყო ხელისუფლების ერთ-ერთი რეგალიის განხორციელებას მტკნარით და არა ვაჭრობაში გასაყრელებლად. აქედან ცხადდება, რომ ამ საყურადღებო სერიის ყველა მონეტა ერთობლივ დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი მათი ტიპი ან სახეობა უწყალოდ უნდა იქნას.

ამ უიშვიათესი მონეტების ცნობაში მოყვანილი საერთო მარაგი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი სამონეტო ტიპები	წინა კოპიები	ცნობაში მოყვანილი ცალკის რაოდენობა					სულ	გამოსახ. №№
		საქართველო	სსრკ-ს ცენტრალური	საბჭოთა	საბჭოთა	პროვინციული		
ანონიმური, ჯერათ მონეტის შებლზე	2,9—3,6	4	—	1	—	—	5	32
გურჯინისა	2,7—2,9	2	2	1	—	—	5	33
ვახტანგის	3,0—3,0	1	—	—	—	—	1	34
ჯავახოსის (?)	2,73	—	1	—	—	—	1	
ანონიმური, ჯერათ საყრდენი	2,5—3,2	3	—	2	—	—	5	35
სტეფანოს I	2,90	—	1	—	—	—	1	36
სტეფანოს II	2,15—3,3	3	4	2	1	1	11	37
სულ		13	10	6	1	1	31	

რადგან ლიტერატურაში მოხსენებული სტეფანოს II ათიოდე ცალი აღარსად ჩანს, დათქმებულია, რომ ისინი ზემოჩამოთვლილ მუხებში შესრულებულია.

თავისთავად ცხადია, რომ ამ სერიის მონეტები, რომელთა საერთო რიცხვი არსებითად 30 ცალს არ აღემატება, უაღრესად დიდ იშვიათობას წარმოადგენს და ყოველი ახლად აღმოჩენილი ცალი ნამდვილი შენაძნეა იქნება შეცნობისათვის.

ბიზანტიის იმპერიისა და სპასნიანთა მონარქიას შორის სანგრძლივ ქიშპობასა და გაუთავებელ სასტიკ ბრძოლას ბოლო მოუღო არაბთა ბატონობამ. ჩვ. წ. VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა: აქ მოსახლე მომთაბარე ტომები გაერთიანდნენ ბრწყინვალე მხედართმთავრისა და რელიგიური მეთაურის მუჰამედის წინამძღოლობით, რიგი მეზობელ ქვეყნები დაიპყრეს და ერთიანი სახელმწიფო შექმნეს. მუჰამედის უშუალო მემკვიდრეებმა, დასავლეთი და აღმოსავლეთი მეზობლების კულტურის ათვისების შედეგად, არაბთა სახელმწიფო უფრო გაათავართვეს და გააძლიერეს. ოდესღაც უძლეველი სასანური ერანი ახლად მოკლენილი სასტიკი მტრის წინაშე დაემხო და არაბეთის უბრალო პრაოინციად იქცა. საუკუნეობრივი ბრძოლით დასუსტებულმა და გამოფიტულმა ბიზანტიამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება ძლიერ შეძლო და იძულებული გახდა ხელი აეღო მრავალ განზრახვებზე და, კერძოდ, საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე. საქართველოშიც სულ მალე მიიქცია ახალი დამპყრობლის ყურადღება.

ახლად შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური პირობების შედეგად, ჩვენში რიგი ნახევრად დამოკიდებული სამფლობელოები ჩამოყალიბდა. დაქსაქსულ-დაქუცმაცებულ საქართველოს წინანდელზე უფრო მეტად გაუქირდა შემოსეულ უცხოელთა მოგერიება, რადგან სწორედ ამ დროს მას სამი მეტად მძლავრი მტრის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა: ჩრდილოეთიდან ხაზარებმა ემუქრებოდნენ, სამხრეთ-დასავლეთიდან ბიზანტიამ ავიწროებდა, ხოლო აღმოსავლეთიდან — ახალი, საშინელი მტერი, — არაბთა სახელმწიფო.

დასავლეთ საქართველოში არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, ხოლო გაუთავებელ ბრძოლაში დაუძლურებული აღმოსავლეთ საქართველო არაბთა მსხვერპლი გახდა. დანარჩენი ისტორიული ცნობებიც რომ უარყოფთ, მონეტის სულ ახალი, საკუთრივ არაბული ყაიდით მოჭრილი ნიმუშები გვიმტკიცებენ, რომ VIII საუკუნის დაწყებისათხავე ჩვენში ახალი წესები მყარდება და ძალიან მტკიცედ იკიდებს ფეხს.

თავდაპირველად არაბები ბიზანტიური ოქროს და სასანური ვერცხლის მონეტებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ საკუთარ ფულზე. პირველ არაბული მონეტები სასანური ყაიდით იჭრებოდა, რადგან ამ მონეტას საერთაშორისო ბაზარზე ხალისით იღებდნენ. საკუთრივ არაბული, მუსულმანური სახის მონეტის შემოღება მხოლოდ ომაიანთა გვიანდლობის მეხუთე ხალიფა აბდულ მელიქ-იბნ მირვანის (ქარის 65—86 წწ. უღრის 685—705 წლებს) დროს მომხდარა. პირველი ხალიფური მონეტება უსახელო იჭრებოდა, ხალიფას სახელი მონეტებზე გაჩნდა აბასიანთა გვიანდლობის მესამე ხალიფას დროს (775—785 წწ.). ასე გრძელდებოდა 946 წლამდე, როდესაც ბუიდელების მიერ ბაღდადის აღებისა და ხალიფების მიერ საერო ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ მონეტაზე უკვე დამოუკიდებელ ამირათა სახელები იწოდებოდა.

ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი არაბული ყაიდის თბილური ღრამა 85 ჰიკრით (= 704/705 წლები) არის აღბეჭდილი. ამრიგად, ეს ნიმუშიც აღრიცხულ ომაიანთა მონეტების კატეგორიას ეკუთვნის. ჩვენში შემოღებულ ასეთ ღრამაზე, რომელიც ახლ. მუსლიმანური სარწმუნოების სიმბოლოს ატარებს, თარიღის გარდა აღბეჭდილია მოჭრის ადგილიც — თბილისი. ომაიანთა დროინ-

დელი ამ უნიკალური თბილური დრამის გამოსახულება ტაბულაზე ეერ მოგ-
ყავს, რადგან, სამწუხაროდ. ამ მონეტის ასაბეჭდილი კი არა გვაქვს (დღე სასა-
მულო ოპამდე ეს მონეტა ბერლინის მუზეუმში იყო დატული). ამ მონეტის
შემდეგ თითქმის საუკუნენახევრიანი ხარვეზია: IX საუკუნის შუა წლებამდე
აბასიანთა დროინდელი თბილური მონეტები ჭერჭერობით ცნობილი არ არის.
სოლო ამ დროიდან, მართალია, ზოგჯერ ხანგრძლივი ხარვეზებით, ასეთი დრა-
მები შედარებით ხშირად იჭრება. ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი ასეთი მო-
ნეტის თარიღი XI საუკუნის დამდეგს აღწევს.

ამ ხნის განმავლობაში თბილურმა დრამამ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი
ცვლილებები განიცადა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მონეტა პირველად
უსახელო იყო, შემდეგ აბასიანთა გვარეულობის ხალიფათა სახელები ჩნდება,
დაბოლოს, იმის შემდეგ, რაც ხალიფას ხელისუფლება შეირყა და აღმოსავ-
ლეთ სახალიფოს ნანგრევებზე მრავალი წვრილი სამფლობელოები (სამიროე-
ბი) ჩამოყალიბდა, X საუკუნის მეორე ნახევრის თბილურ დრამაზე ხალიფას
სახელის გვერდით, ჭაფარიანთა გვარეულობის თბილისის ამირათა სახელებიც
ჩნდება. საქართველოს დედქალაქი უკანასკნელებმა თავის სამეკვიდრო სამფ-
ლობელოდ აქციეს.

1953 წ. გაზაფხულზე ძველი თბილისის ერთ-ერთ სააღმშენებლო უბანზე
მეტეხის წიღის მახლობლად აღმოჩნდა თბილისის ამირა ალი იბნ ჭაფარის
მონეტათა მონრდელი განძი. ამ განძის ზოგიერთ ცალეზე შერჩენილია თა-
რილი პიჯრის 418 წელი (= 1027/28 წწ.). ამრიგად, რადგან იმავე ალი იბნ ჭა-
ფარის 386 პიჯრით (996 წ.) მოკრილი ვერცხლის მონეტაც არის ცნობილი,
მისი მმართველობის ხანგრძლივობა არა ნაკლებ 31 წლით განისაზღვრება.

ხსენებული განძის მონეტები 386 წ. პიჯრით დათარიღებულ და, საერთოდ
წინა პერიოდის თბილურ დირჰემებისაგან მკვეთრად განსხვავდება. არაბული
ტიპის დირჰემი თუ აქამდე მრავალი მოყვანილობის ლითონის ფირფიტისაგან
იჭრებოდა, ამ განძის მონეტათა უმრავლესობა დამზადებულია სხვადასხვა ზო-
მის, წონისა და ფორმის ფირფიტებისაგან. ამრიგად, ამ განძის მონეტები იძ-
ლევა საქართველოს მიწა-წყალზე ე. წ. „უწესო კედვის“ პირველსა და ყველა-
ზე ადრინდელ მაგალითს.

აღსანიშნავია, რომ ამ განძის მონეტები მოკრილია ბრინჯაოს ფირფიტე-
ბისაგან, რომლებიც ისე სკლად ყოფილა დავერცხლილი, რომ მიწაში დიდი
ხნის ყოფნისა და გაწმენდის დროს მძლავრი ქიმიური რეაქტივების გამოყენე-
ბის მიუხედავად სრულებით არ შეცვლილა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე
ალი იბნ ჭაფარის 386 წ. პიჯრით (= 996 წ.) დათარიღებული დრამა 59 სინჯის
ვერცხლისაგან არის მოკრილი, ხოლო მისი პაპის 434 წ. პიჯრის (= 954/955 წწ.)
თბილური დირჰემის დასამზადებლად გამოყენებული იყო მალასარისხოვანი
ვერცხლი. ამრიგად, ჩვენ თვალწინ იშლება ამდროინდელი თბილური მონეტის
რეალური ღირებულების თანდათანობითი დაცემის ძალიან დამახასიათებელი
სურათი.

გამოირკვა, რომ ალი იბნ ჭაფარის ჩვენთვის უკვე ცნობილი ორი სამონე-
ტო ტიპის გარდა (პიჯრის 386 და 418 წწ.) არსებობს კიდევ ერთი მისივე ნიშ-
ში. ინგლისელმა მეცნიერმა დავით ლენგმა გამოაქვეყნა ჩრდილო ამერიკის შე-
ერთებული შტატების ნუმისმატიკური ასოციაციის დირჰემი. რომელიც თარ-
ლის შერჩენილი ნაწყვეტების მიხედვით პიჯრის 404 ან 414 წელს (= 1013/14
ან 1023/24 წწ.) ყოფილა მოკრილი. ⁴

მონეტების კატასტროფული გაუარესება. ე. ი. მისი რეალური შინაარსის ნომინალური ღირებულებისაგან დაშორება მარტო ზემოდასაყლებული ნიშნის მიხედვით არ მტკიცდება; ეს ჩანს მონეტათა დამზადების შედარებით ძვარე ტექნიკიდანაც. ეს იმის მანიფესტაციაა, რომ ქართველი ხალხის მძლავრი გამათავისუფლებელი მოძრაობისა და თბილისის საამიროს ალყის შემორტყმის შედეგად აქ გაჩნდა გაჭირვება და ეკონომიური კრიზისი. ქართული სამელობელობით გარშემორტყმული თბილისის საამირო მოკეცა სრულ ეკონომიურ იზოლაციაში, თანდათან დასუსტდა და მალე დაეცა კრდეს.

თბილური დრამების შუბლზე, მონეტის შუაგულში, საერთოდ შემოღებული წესის მიხედვით, მოთავსებულია მუსლიმანური სიმბოლო — „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა. არ ჰყავს მას თანაზიარი“: ამ წარწერას ზოგჯერ რომელიმე მფლობელი სახელეც ახლავს. როგორც წესი, ცენტრალურ ზედწერილს გარშემოვლებული აქვს ზედწერილი, რომელიც გვაძლავს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს (პიჯრით). თავის მხრივ, ამას ზოგჯერ მეორე გარშემოვლებული ზედწერილი მოჰყვება — ყურანის ერთ-ერთი საგალობელი (სურა).

დრამის ზურგზე ცენტრში მოთავსებულია წარწერა: „მუჰამედ მოციქული ალაჰისა“, რომელსაც ხშირად ხალიფას ან რომელიმე სხვა მფლობელის სახელი ახლავს; აქაც ეს ცენტრალური ზედწერილი მუდამ შემოვლებულია მეორე ზედწერილით, რომელიც ყურანის ერთ-ერთ სურას გადმოგვცემს. ყველა წარწერები შესრულებულია არაბულად.

თბილურ-არაბული დრამები უკლებლივ იშვიათია, ცნობაში მოყვანილი და უკანასკნელ დრომდე გამოვლინებული ასეთი ნიმუშების რაოდენობა — 50 ცალსაქ არ აღწევდა, მაგრამ უკანასკნელ-დროს-ეს მასალა მომრავლდა განსაკუთრებით 1953 წ. თბილისში მეტეხის ხილთან აღმოჩენილი განძის წყალობით. ამ მონეტათა იშვიათობის შესახებ ზოგად წარმოდგენას ქვემოთყვანილი ცხრილი იძლევა:

თარიღი		წარმოების წელი	ას-ანდელი ადგილსაქოვული							საერთო რაოდენობა
თარიღი	წელი		საქონი	საქონი	საქონი	საქონი	საქონი	საქონი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ო მ ა ი ა ნ თ ა გ ე ა რ ე უ ლ ი ბ ა ს

65	704/705	2,78			1	—	—	—	1	
----	---------	------	--	--	---	---	---	---	---	--

ა ბ ბ ა ს ი ა ნ თ ა . . გ ე ა რ ე უ ლ ი ბ ა ს

210	625/26	?	—	—	—	—	—	—	1	1	33
248	862/63	4,36	1	1	—	—	—	1	2+1	1	
250	864/65	3,0-მდე	—	—	—	—	—	3	1	1	
287	890/900	—	—	1	—	—	—	—	1	1	
294	906/907	2,6-3,2	5	1	1	—	—	3	7+1	1	
297	909/910	3,3	—	1	—	—	—	—	1	1	
298	910/911	3,24	—	1	—	—	—	—	1	1	
304	916/917	3,2	—	—	—	—	—	1	1	1	
307	919/20	?	—	—	—	—	—	1	1	1	
311	924/24	2,0	—	1	1	—	—	1	2	3+1	
312	924/25	2,6-2,43	3	1	2	—	—	3	5	1	
314	926/27	?	—	—	—	—	—	1	2+1	1	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
330	941/42	—	—	—	—	—	1	—	1	40
331	942/43	2,75—3,04	4	—	—	—	—	1	4+1	
ჯ ა ფ ა რ ი ა ნ თ გ ე ა რ ე უ ლ ო ბ ი ს ა :										
ა) მ ა ნ ს უ რ ი ბ ნ ჯ ა ფ ა რ ი ს ა :										
342	953/54	3,53	—	1	—	—	—	—	1	41
343	954/55	2,62—3,15	2	1	—	—	—	—	3	
ბ) ჯ ა ფ ა რ ი ბ ნ მ ა ნ ს უ რ ი ს ა :										
364	974/75	2,78—3,5	1	1	—	—	—	—	2	42
366	976/77	2,67	—	1	—	—	—	—	1	
367	977/76	2,76	1	1	—	—	—	—	2	
370	980/81	2,1—3,04	—	2	—	—	—	—	2	
გ) ა ლ ი ი ბ ნ ჯ ა ფ ა რ ი ს ა :										
386	996/97	3,36	1	—	—	—	1(0)	—	2	43
404	1013/14	4,12	—	—	—	1	—	—	1	
418	1027/23	0,12—5,23	412	3	—	—	—	—	415	44
			430	17	5	1	9	17	462+17	

აღმოსავლეთი ხალიფატის ომაიანთა გეარეულობის დროს გამოშვებულია ერთადერთ ცალად ცნობილი თბილურ-არაბული დრამა მოჭრილი 85 ჰიჯრის წელს (=704—705), რომელიც მ. ბარათაშვილისეული კოლექციის სხვა მონეტებთან ერთად ბერლინის მუზეუმს გადაეცა; ამ უნიკალური ვერცხლის მონეტის წონა 2,78 გრ უდრის.

მეორე ჩვუფის მონეტები მოჭრილი აბასიანთა გეარეულობის მმართველობის დროს ცნობილია ჰიჯრის 210 წლიდან (=825/826 წწ.) ჰიჯრის 331 წლამდე ჩათვლით (=942/943 წწ.).

ყველა ეს მონეტა მაღალი სინჯის ვერცხლისაა და მათი წონა 2,70—4,36 გრ შორის მერყეობს. არაბობის დროს თბილისში მოჭრალი სპილენძის ფელსი ან ოქროს დენარი ჩერქეზობით აღმოჩენილი არაა.

მესამე ჩვუფის თბილური დრამები ჯაფარიანთა გეარეულობის ადგილობრივი ამირების სამი თაობის წარმომადგენლებს ეკუთვნის: მანსურ იბნ ჯაფარის ჰიჯრის 342 (=953/54 წწ.) და ჰიჯრის 343 (=954/55 წლებისა); ჯაფარ იბნ მანსურის ჰიჯრ. 364 (=974/75), 366 (=976/77), 367 (=977/976) და 370 (=980/81) წლებისა და ალი იბნ ჯაფარისა — ჰიჯრის 386 წლისა (=996/99 წწ.), (საქართველოს სახელმწ. მუზეუმის უნიკუმი, იხ. № 43). ჰიჯრის 404 წლისა (=1013/1014 წწ.), (ნიუ-იორკის მუზეუმის უნიკუმი) და ჰიჯრის 418 წლისა (=1027/1028 წწ.), რომელიც ასეული ცალებით იყო წარმოადგენილი 1953 წლის თბილისის ზემოაღნიშნულ განძში და საქართვე. სახ. მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენს.

ამ ჩვუფის მონეტათა წონითი მერყეობა ძალიან მკვეთრია, X საუკუნის მეორე ნახევრისთვის ეს განსხვავება თუ მხოლოდ 2,1 გრამიდან 3,5 გრამამდე იძლეოდა, XI საუკუნის მეორე მესამედისათვის 0,25 გრამიდან 5,23 გრამამდე

დე მერყეობს. რაც მთავარია, ეს უკანასკნელი ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის მონეტების უწყისოდ მოჭრის პირველი შემთხვევაა.

დაახლოებით ამავე დროს ეკუთვნის საინტერესო სამონეტო ტიპი, რომელიც ერთი შეხედვით მოგვაგონებს საერთოდ ცნობილ არაბულ დირჰემს. ამ უცნაური მონეტის ლითონის სინჯადობა შედარებით ჭერ კიდევ მაღალია, მაგრამ წონა და ზომა მკირდება. უსეშდება წარწერები და ამ გაუხეშებულ ზედწერილების ზოგიერთი ნიშანი შეცვლილია. ქართული ასომთავრულით (იხ. № 45). აქედან იმ დასკვნას ვადგებით, რომ არაბულ დამწერლობაში გამოუღებელი ამ მონეტების მომჭრელი ხელოსანი ქართველი უნდა ყოფილიყო და მისთვის უცნობი არაბული ნიშნები მშობლიური ქართული ასოებით შეცვალა. ინტერესს მოკლებული არაა ის გარემოება, რომ ერთ-ერთ ასეთ ნიმუშზე (დაცულია ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ნუმისმატიკის ასოციაციის ნიუ-იორკის მუზეუმში) არაბულად აწერია თბილისის სახელი. ეს მონეტა გამოქვეყნებული აქვს ინგლისელ მეცნიერს დაეით ლენგს, რომელმაც ის ბაგრატ III მიაკუთვნა.

მაგრამ ამ მონეტის შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს; პროფ. შ. მესხიას აზრით, ამ ტიპის მონეტა უნდა მოჭრილიყო თბილისში „კომუნისდამავარი წყობილების“ დროს, ე. ი. XI ს. მეორე ნახევარში. თავისთავად ორიგინალურსა და მახელოვონიერ ამ მოსაზრებას მონეტის ტიპოლოგიური ნიშნები და სათანადო ნუმისმატიკური მონაცემები ეწინააღმდეგება:

ა. ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით ეს მონეტა ენათესავება X ს. მიწურულის არაბულ დირჰემებს და, რაც მთავარია, ბაგრატ III მონეტის თითქმის სრული ასლია (აღწერილია ქვემოთ, № 46);

ბ. XI ს. დასაწყისისთანავე ვერცხლის მონეტის წონამ კატასტროფულად დაეცა განიცადა და 3,5 გრამიდან ამავე საუკუნის ბოლოსთვის 0,5 გრამამდე შიდაწია. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ბაგრატ IV, გიორგი II და დაეით აღმაშენებლის მომდევნო განაკვეთში აღწერილი მონეტები;

გ. მონეტათა სინჯის თანდათანობითი დაეცემა ასეთსავე სურათს იძლევა. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის X ს. მიწურულს დრამები თუ კიდევ ვერცხლისა იყო, XI ს. ოცდაათამ წლებში მონეტის მოსაჭრელად უკვე ბრინჯაოს იყენებენ. ხოლო ჩვენს სადავო მონეტებში კი ჭერ კიდევ შედარებით მაღალი ხარისხის ვერცხლისაა.

დ. „კომუნისდამავარი წყობილების“ დროინდელ თბილისში მუსლიმანური მოსახლეობა ქარბობდა და აქ მოჭრილი მონეტების ზედწერილებს, განსაკუთრებით კი ალაჰისა და მამადის სახელებს, რა თქმა უნდა, არ დაამახინჯებდნენ.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო ჩვენ ისევე დ. ლენგის განსაზღვრას ეუბრუნდებით და ამ სადავო მონეტას X—XI სს. მიკნით ვათარილებთ.

არსებითად, ამ მონეტის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს ბაგრატ მესამის (975—1014 წლები) ჭერჭერობით მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი დრამა.

ამიტომ, თუმცა დასახული კლასიფიკაციის მიხედვით, ბაგრატის მონეტა ერთნაირი საშეფოს არსებობს ხანის მონეტათა შორის უნდა მოთავსებულიყო, მაგრამ სტილისტური და ტიპოლოგიური ნიშნებით ისე მკვიდროდ არის

დაკავშირებული არაბული ტიპის დრაქებთან. რომ ამ ჩვეულებას მისი მოხუცებულ მისიანეფონილი იქნებოდა.

№ 46. ვერცხლი. წონა — 1.76 გრ.

მონეტის შუბლი: ცენტრალური არაბული ზედწერილი — „მუჰამედ მოციქული აღმასია“ — შემოკლებულია დაქარაგმებული ქართული ასომთავრული ზედწერილით: „ქრისტე აღიღე ბაგრატ აფხაზთა მეფე“;

მონეტის ზურგი: ცენტრალური სამსტრიქონიანი და მის ირგვლივ გარშემოვლებული არაბული ზედწერილი დამახინჯებულია.

დანარჩენ თბილურ-არაბულ დრამებთან შედარებით, ბაგრატ ქენამის ზემოდწერილი მონეტის წონა თითქმის ერთიორად შემცირებულია და, ალბათ, ბაგრატის მეფობის სულ უქანასკნელ პერიოდს ეკუთვნის: ე. ი. ეს მონეტა უკვე XI საუკუნის დასაწყისში უნდა მოქრილიყო, როდესაც, როგორც ამაში შემდეგ დაერწმუნდებით, ვერცხლის ქართული მონეტის წონამ კატასტროფულად დაიკლო.

ტაბულაზე მოთავსებული ამ უნიკალური მონეტის ფოტორეპროდუქცია მოცემულია ანაბეკილიდან, რომელიც მოგეაწოდა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟმა. გასულ საუკუნეში თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი ეს მონეტა აქ ცნობილ ნუმიზმატ ი. ბართოლომეის გაუგზავნია.

VIII საუკუნემდე კულტურული სამყაროს სავაჭრო გზები დაყოფილი იყო სხვადასხვა მოქიშე მძლავრ სახელმწიფოთა შორის; არაბთა იმპერიის დაარსებისთანავე ეს გზები გაერთიანდა და საოცარ სიგრძეს, განშტოებასა და განვითარებას მიაღწია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის საერთაშორისო საქონლის ბრუნვა არაბების ღრის შეუჩერებლვ ეთარდებოდა და ეს განვითარება საქართველოსაც შეეცყო.

ამის კვალი ნუმიზმატიკასაც ემჩნევა. ფულის ნიშნები ჩვენს ქვეყანაში კვლავ იღეჭება და იმდროინდელი მონეტები მის ნადავში უხვად მოიპოვება. აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპას შორის დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის შედეგად, დრამების მძლავრი ნაკადი დასავლეთსა და ჩრდილო ქვეყნებს მოედო, აქ ამ მონეტათა განძების აღმოჩენა დღესაც ხშირი მოვლენაა. განძების შემადგენლობაში საქართველოში მოქრილი მონეტებიც გვხვდება. ამგვარი აღმოჩენები აღნუსხულია საქართველოსაგან ისეთ შორეულ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, კურსკის, ტულის, მინსკისა და ბალტიის ზღვის სანაპირო ოლქები.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა არაბი ისტორიკოსის იბნ ხორდადბეს ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ აფხაზეთის სამეფოს (საქართველოს უმეტესი ნაწილი) ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი ხარაჯი IX საუკუნის შუა წლებში 200 ათას დრამას უდრიდა. მეორე ისტორიკოსის იბნ-ხუკალის ცნობით, 955—956 წლებისათვის ეს ხარაჯი საგრძნობლად გაიზარდა და 750 ათას დრამას მიაღწია. აქედან შეიძლება დაეასკენათ, რომ, რადგან ერთი საუკუნის მანძილზე გადახდის უნარიანობა ასე გაზარდილა, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობაც ალბათ შესაბამისად გაუმჯობესებულა. აღსანიშ-

ნაეია, რომ 836—851 წლებში არაბეთის სახელმწიფო წლიური შემოსავლის ოდენობა 190 მილიონ დრამას უდრდა.

თბილურ-არაბული დრამების შესახებ ცნობების შემცველი წესხა გვიჩვენებს, რომ ქართულ-სასანური მონეტების მსგავსად არაბების დროს თბილისში მოჭრილი დრამებიც ძალიან მცირე რაოდენობით იჭრებოდა მაშინ, როდესაც საკუთრივ არაბული დრამების ემისია განსაკუთრებული სიჭარბით ხასიათდება.

XI საუკუნის ქართული მონეტები

არაბთა ხალიფატის დასუსტების პირველმა ნიშნებმა შეცხრე საუკუნიდან იჩინეს თავი. სწორედ ამ დროიდან ჩვენ წინაშე უცხოელთა ბატონობისაგან თავის დაღწევის საშუალება ეძლევა. იწყება ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს სხვადასხვა წერილი სამთაეროების გაერთიანებისა და მთლიანი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ საქმის თაოსნობა და ხელმძღვანელობა ამჯერად წილად ხვდა ტაო-კლარჯეთს, რომელსაც ძველი კოლხეთის ტერიტორიის ნაწილი ეკავა. ეკონომიური და პოლიტიკური პირობები ამ დროისათვის იმდენად შეიცვალა, რომ შესაძლებელი გახდა საქართველოს მთლიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა. ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული საქმის ინიციატორები ბაგრატიონთა სამეფო გეარგულობის წარმომადგენელი იყვნენ. უკვე ბაგრატ მესამე (975—1014 წწ.) შეძლო სამეფო ხელისუფლებობისათვის თითქმის მთელი საქართველოს დამორჩილება. გამოჩაღის მხოლოდ თბილისის საამირო წარმოადგენდა, რომელიც ამ დროისათვის ქართველთა სამფლობელოების რკალში იყო მოქცეული. სახელოვანმა მეფე დავით აღმაშენებელმა 1123 წ. მუსლიმანები აქედანაც განდევნა და მისი დედაქალაქი თბილისი საქართველოს დაუბრუნა.

X საუკუნის დამლევისათვის, როდესაც არაბთა ძლიერება საზოლოდ შესუსტდა, ქართველებს ამოსუნთქვისა და ბიზანტიასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საშუალება მიეცათ. შექმნილი პირობები ძირფესვიანად ცულის პოლიტიკურ სიტუაციას და ერთმორწმუნე ბიზანტიასთან აღდგენილი ურთიერთობა ქართულ მონეტაზედაც თავის დაღს სტოვებს: მონეტაზე ქრება მუსლიმანური და კვლავ ჩნდება ქრისტიანულ-რელიგიური ემბლემები — ქვარი ან ღვთისმშობლის გამოსახულება (უკანასკნელი ბიზანტიური მონეტებთან განსხვავებით); წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ქართულია. ეს წარწერები შეიცავს ქართველ მეფეთა სახელებს და მათ ბიზანტიურ ტიტულებს. თუმცა ამ მონეტებს თარიღი უკვე არ ახლავს, მაგრამ ამ სარეზის შევსება ბიზანტიური ტიტულებს საშუალებით სერხდება, რადგან უკვე სხვა წყაროებიდან ცნობილია, თუ როდის მიიღო ან როდის შეიცვალა ესა თუ ის ბიზანტიური ტიტული ამა თუ იმ მეფემ.

ამდროინდელი მონეტები ყველა უკლებლივ განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ აქ მხოლოდ ისეთებს აღწერთ, რომლებიც ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურად განსხვავდება.

ახსენებული სერიიდან ყველაზე უფრო ადრინდელი ვერცხლის მონეტა ტაო-კლარჯეთის მფლობელს დავით კურაპალატს ეკუთვნის და სულ რამოდენიმე ცალადაა ცნობილი.

№ 47. წონა — 3,1—3,50 გრ.

W

მონეტის შუბლზე წერტილოვანი რკალით შემოვლებული ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილია, რომელიც ქარაგმების განსნის შემდეგ ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე დაეით“;

ზურგზე: ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართულია ჭვარი, რომელსაც ტრეტებს შორის მოთავსებული აქვს ტიტულის აღმნიშვნელი მთავრული ასოები „კურაპალატი“. ეს ბიზანტიური ტიტული მონეტის შუბლის ზედწერილის გაგრძელებას წარმოადგენს.

მონეტას თარიღი არ ახლავს და მისი განსაზღვრისათვის მხოლოდ სახელი და ტიტული რჩება. დათარიღებისათვის დახმარებას გვიწევს მონეტის წონა, ტიპი, ფაქტურა და განსაკუთრებით აღმოსაყდრეთ ევროპაში ქალ. შვანში (მაკლბურგი) 1853 წელს აღმოჩენილი განძის შემადგენლობა. განძი ძირითადად შედგებოდა XI საუკუნის პირველი წლებით დათარიღებული ევროპული მონეტებისაგან, რომლებთანაც ერთად ზემოაღნიშნული მონეტაც აღმოჩნდა. რადგან განძის შემადგენლობა XI საუკუნის პირველ წლებს არ სცილდება და ამაზე გვიან ვერ ჩაიმარხებოდა, ცხადი ხდება, რომ მონეტაზე აღბეჭდილი სახელი ამავე დროსა და ამდროინდელ ისტორიულ პირს უნდა მიეკუთვნებოდეს. ასეთი მხოლოდ დაეით კურაპალატი იქნებოდა. ამიტომ აღწერილი მონეტაც 1001 წელზე გვიან ხანით ვერ დათარიღდება, რადგან, როგორც ცნობილია, დაეით კურაპალატი სწორედ ამ დროს გარდაიცვალა.

შემდეგი, მნიშვნელოვნად შეცვლილი, სამონეტო ტიპი უკვე ბაგრატ IV (1027—1072 წწ.) ეკუთვნის:

№ 48. წონა — 1,56 გრ.

მონეტის შუბლზე: ორმაგი რკალით შემოვლებული ღვთისმშობლის წელსწვევითი გამოსახულება, რომელსაც ორივე მხრიდან სხვადასხვანაირად განლაგებული ბერძნული ზედწერილი „წმინდა ღვთისმშობელი“ ახლავს.

ზურგზე: მონეტის კიდურებზე განლაგებულია ასომთავრული ნიშნებით გადმოცემული ქართული ზედწერილი „ქრისტე აღიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“, რომლის გაგრძელება — „და ნოეელისიმოსი“ — მოთავსებულია ცენტრში სამსტრიქონად.

ბაგრატის სახელს ამ მონეტაზე ნოეელისიმოსის ბიზანტიური ტიტული ახლავს (ამ ტიპის მონეტა მხოლოდ ორ ცალადაა ცნობილი); აღწერილისაგან განსხვავებით ბაგრატ IV მეორე სამონეტო ტიპს ცენტრალურ რკალში მოთავსებული აქვს სევასტოსის ტიტული. ამიტომ ამ სახესხვაობას უკვე აღარ აღწერთ, დაეკმაყოფილებით ტაბულაზე მოყვანილი მისი გამოსახულებით (№ 49) და აღვნიშნავთ, რომ ეს სახეობაც კულ ხუთ ცალად არის ცნობილი.

შემდეგი სამონეტო ტიპი თავისი სტილისტური, ტიპოლოგიური და ფაქტურული ნიშნებით მკვეთრად განსხვავდება XI საუკუნის დანარჩენი ქართული მონეტებისაგან. მაგრამ ჩვენ საჭიროდ მივიჩნით მისი აღწერილობა და მოკლე განმარტებანი სწორედ ამდროინდელ მონეტებთან ერთად მოგვეყვანა.

ოციორდ წლის წინათ პროფ. ე. პანომოვის პირად კოლექციაში გავეცანი ერთ უცნაურ სპილენძის მონეტას. იმ დროს ერთადერთ ცალად ცნობილი ეს მონეტა თითქმის განგებ მრგვალი მოყვანილობისა და ნორმალური ზომა-

წონისა აღმოჩნდა. ყიდლევნი ამ მონეტის ფოტორეპროდუქციას და აღწერილობას.

№ 50. მონეტა სპილენძისაა, ზომა — 16 მმ, წონა—5,48 გრ.

შუბლის ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ბანი შემოვლებული ხაზიანი რკალით. რკალის გარეთ კიდევებზე განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „სახელითა ღვთისათა“.

მონეტის ზურგზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი დამახინჯებული ისე უხეშად, რომ მისი ამოკითხვა ვერ ხერხდება.

მონეტის ცენტრში მოთავსებულ ასომთავრულ „ბანს“ არავითარი კავშირი არა აქვს თარიღთან, რადგან ის მოხედებოდა 782 ან 1314 წელს და ამ დროისათვის მონეტა სრულიად შეუფერებელია და არავითარ დამახასიათებელ ნიშნებს არ ატარებს. უფრო მართებულია, რომ ეს ნიშანი სახელის და კერძოდ, ბაგრატის ინიციალად მივიჩნიოთ.

ამიტომ მონეტის ჩვეულებრივი ზომა-წონის, ნორმალური მოყვანილობის და ზედ ამოკვეთილი ზედწერილის შინაარსის მიხედვით ეს ნიმუში XIV საუკუნით დათარიღდა და ბაგრატ V (1360—1393 წწ.) მიეკუთვნა. ასეთ განსაზღვრას იმ დროს დანარჩენი სპეციალისტებიც იზიარებდნენ.

XIV საუკუნით ამ მონეტის დათარიღების საკითხი პირველად საეპოქო გახდა 1956 წელს, როდესაც ერევანში ყოფნის დროს სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში სრულიად შემთხვევით წავაწყდით ფანქრით შესრულებულ ანაბეკსს, რომელიც გადაღებული იყო ასეთივე, ოღონდ უკვე უწესოდ მოჭრილი მონეტიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის ასე უწესოდ მოჭრილი მონეტები დამახასიათებელი იყო მხოლოდ XII და XIII საუკუნის პირველი ოცეულისთვის.

ეჭვი გაძლიერდა, როდესაც ორიოდ წლის შემდეგ ამავე ტიპის უწესოდ მოჭრილი მონეტები ე. პახომოვის კოლექციასაც შემომემატა (იხ. №№ 50 და 50 ა).

ხოლო, როდესაც ცნობილი გახდა 1959 წელს აღმოჩენილი ერთი განძის შემადგენლობა, გამოაშკარავდა, რომ ბაგრატ მეხუთისადმი ამ მონეტების მიკუთვნება არ შეიძლება. ეს განძი, აღმოჩენილი ქალ. დარუბანდის კომუნარების ქუჩაზე არხის გაყვანის დროს, ძალიან დამახასიათებელია თავისი შემადგენლობით და მონეტების უზარმაზარი რაოდენობით. განძი, რომელიც 150 კილოგრამს აჭარბებს, შეიცავს XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის ილდიგიზიდურ, შარვანულ, დარუბანდის მელიქებისა, სელჯუქურ და ქართულ სპილენძის მონეტებს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ჩჯუფში ზემოაღწერილი ტიპის რამოდენიმე მონეტაც ერია და, მაშასადამე, ისევე, როგორც განძის დანარჩენი მონეტები, XIII საუკუნის დასაწყისზე გვიან ვერ დათარიღდება. გარდა ამისა ცნობილია, რომ უწესოდ მოჭრულ მონეტებს ამის შემდეგ უკვე აღარ უშვებდნენ.

აშკარაა, რომ მონეტის ცენტრში მოთავსებული ასომთავრული „ბანი“ თარიღად ვერ ჩაითვლება და ბაგრატის ინიციალს უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ მონეტა XII საუკუნის ახლო ხანს ეკუთვნის და იმ ისტორიულ პირს უნდა მიეწეროს, რომელიც XII საუ-

კუნეში ან უფრო ადრე მოღვაწეობდა. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო შესაფერი ბაგრატი IV (1027—1072 წწ.) იქნება, მაგრამ აქამდე ცნობილი იყო, რომ მისი მონეტები მხოლოდ ვერცხლისა და ბიზანტიურ ყაიდაზე იჭრებოდა (ვლახერნის ღვთისმშობლის გამოსახულებით შუბლზე და ასომთავრული ზედწერილით ზურგზე).

რაც მთავარია, გავრცელებული შეხედულებით საქართველოში სპილენძის ფულის მოჭრა მხოლოდ XII საუკუნიდან დაიწყო. აი რას ამბობს ამის შესახებ პროფ. ე. პახომოვი: „До сих пор (ე. ი. XII საუკუნემდე, დ. კ.) мы имели дело исключительно с серебром: ни одной медной монеты, битой в Грузии как грузинами, так и мусульманами, до нас не дошло, но с начала XII века дело резко меняется, и на протяжении ста с лишним лет мы имеем только одну медь“.

თავის მეორე ნაშრომში ე. პახომოვი ამ აზრს ოდნავ არბილებს: ეხება რა მუსლიმანურ ვერცხლის ღირქემს, რომელიც შექმნილი პირობების გამო ვეღარ ასრულებდა საერთაშორისო მონეტის დანიშნულებას, ამბობს, რომ XI საუკუნის დაწყებისთანავე მუსლიმანური ღირქემი „...теряет не только постоянство пробы и веса, но и формы, превращаясь в неправильные, плоские, довольно толстые кусочки самого низкопробного серебра, переходящего постепенно в медь, лишь слегка сдобренную серебром. К XII веку металла этой монеты переходит в чистую медь“.

მასხადადე, საქართველოში სპილენძის ფულის გაჩენას პირველ შემთხვევაში ე. პახომოვი უფარდებს XII საუკუნის დასაწყისს, ხოლო მეორე შემთხვევაში — უკვე XI საუკუნის მიწურულს.

ის არც იმას უარყოფს, რომ საქართველოში სპილენძის მოჭრა XII საუკუნემდე „быть может и производился, но вероятно в очень малых количествах: находки новых пладов могут пополнить этот пробел“.

შორსმკვრეტელი მეცნიერის ამ უკანასკნელ განცხადებას შესანიშნავად ეხმაურება თბილისში აღმოჩენილი განძის შემადგენლობა, რომელზედაც უკვე საუბარი გვქონდა. 1953 წ. მეტეხის ციხის ძირთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აფეთქებული მეჩეთის მოედნის მოსუფთაების დროს, საძირკვლის ქვეშ აღმოჩენილი იყო საკმაოდ მოზრდილი ფულადი განძი, რომელიც თითქმის მთლიანად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა.

მონეტებზე შერჩენილი ზედწერილების ფრაგმენტებისა და ზოგ შემთხვევაში თარიღების ნაწყვეტების საშუალებით გაირკვა მომჭრელის სახელი (თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი ამირა ალი იბნ ჯაფარი), მოჭრის ადგილი (თბილისი) და მონეტების გამოშვების დრო (418 ჰიჯრა = 1027/1028 წწ.). ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ამ განძის მონეტებმა უკვე დაკარგეს აქამდე მიღებული კანონზომიერი მოყვანილობა, — თავისი სიმრგვალე. ისინი შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის ფირფიტებზეა მოჭრილი, მათი წონა 0,12 — 5,23 გრ შორის მერყეობს და, ამიტომ სიქის ანაბეჭდი ზედ მთლიანად ვერ თავსდება, რაც ძალიან ართულებდა ზედწერილების ამოკითხვას.

უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მონეტების დასამზადებლად გამოყენებული იყო ოქროსფერი ბრინჯაო, რომელიც თავის დროზე ისე სქლად ყოფილა დავერცხლილი, რომ მიწაში ხანგრძლივი ყოფნისა

და წმენდის დროს ქიმიური მძლავრი რეაქტივების ზეგავლენის მიუხედავად, დღემდე ვერცხლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამრიგად, ამ განძში თავმოყრილი ნიმუშები ნათლად ამჟღავნებენ მონეტის გაუარესების იმ საფეხურებს, რომლებზედაც ე. პასოშოვი მიგვიითთა. ხოლო დარუბანდის განძში შემაჯალი სპილენძის ქართული მონეტები, ასომთავრული „ბანი“ ცენტრში, გაუარესების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს. აღნიშნულის გამო, როგორც გარეგნული ნიშნების მიხედვით, ისე ზედწერილის შინაარსით ეს მონეტა მხოლოდ ბაგრატ IV უნდა მიეკუთვნოს.

ბაგრატ IV-ის შემკვიდრე და მისი ძე გიორგი მეორეც ბიზანტიური ტიპის მონეტებს ქრის, ხოლო ზემოაღწერილისაგან განსხვავებით, მისი მონეტები გადაკვარებისა და გაუარესების პროცესს განიცდის. გიორგის მმართველობის 17 წლის მანძილზე მისი მონეტა სულ უფრო და უფრო უხეშდებოდა და წონაში კლებულობდა. თარიღი არც ამ მონეტებზეა მოცემული, მაგრამ მისი დაახლოებითი დადგენა მონეტებზე აღბეჭდილი ბიზანტიური ტიტულების შენაცვლების მიხედვით ხერხდება: ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კეისაროსის ტიტულების თანამიმდევრობითი გაჩენა საგრძნობლად აადვილებს ამ საკითხის გადაჭრას. [აღსანიშნავია მხოლოდ, რომ გიორგი მეორის მონეტათა გარშემოვლებული ზედწერილი დამატებით ცნობებს შეიცავს და შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე, აღიდე გიორგი — აფხაზთა და ქართველთა მეფე“. იცვლება ღვთისმშობლის გამოსახულების გვერდით მოთავსებული ბერძნული ზედწერილიც, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „დედა ღვთისა ვლადქერნის“. რადგან ბაგრატის მონეტისაგან საჭირო განმასხვავებელი ყველა ნიშანი მოხსენებული გვაქვს, გიორგი II მონეტას დაწერილებით აღარ აღწევრთ და ტაბულაზე მოთავსებული № 51 გამოსახულებით დაეკმაყოფილებით.

ვლადქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მონეტის მოჭრის უკანასკნელი მაგალითია დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) ფული, მაგრამ მისი ზურგის გამოსახულებაში შეტანილია შესამჩნევი ცვლილება:

№ 52. წონა — 0,51 — 0,87 გრ.

მონეტის შ უ ბ ლ ი: ზემოაღწერილი მონეტების მსგავსი ღვთისმშობლის გამოსახულება აქ უფრო გაუხეშებულია;

ზ უ რ გ ი: ცენტრში წერტილოვანი რკალით შემოვლებული და წერტილებითვე მორთული ჭვარია, რომლის ირგვლივ გარშემოვლებული ქართული ზედწერილის მხოლოდ ნაწილია შერჩენილი „ქრისტე, აღიდე დავით მეფე და...“.

ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ოთხი ასეთი მონეტა, მაგრამ სამწუხაროდ, გარშემოვლებული ზედწერილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არცერთ მათგანს არ შერჩა. განსაკუთრებით დაზიანებულია წარწერის ბოლო, სადაც, ალბათ, ტიტული უნდა ყოფილიყო მოთავსებული, მაგრამ სახელდობრ რომელი — ამის თქმა ძნელია. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ აქ სევასტოსის ტიტული ყოფილა; ამ ვარაუდს ხელს უწყობს უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ახალი ტიპის მონეტის წარწერა.

№ 53. წონა — 0,78 გრ.

მონეტის შ უ ბ ლ ი: ზემოაღწერილისაგან უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება.

ზ უ რ გ ი: მონეტის კიდურებზე განლაგებულია ასომთავრული წარწერა: „ქრისტე ადიდე დავით აფხაზთა მეფე“, რომლის გაგრძელება: „და სევასტოსი“ მოთავსებულია ცენტრში.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი XI საუკუნის მანძილზე მუსლიმანთა ხელში იყო და ხსენებული მონეტების გამოშვები ზარაფხანა სადღაც სხვა ადგილას უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ ზარაფხანის ადგილი ჯერ დადგენილი არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ქუთაისში იყო.

სრულიად განმარტოებით დგას ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის პროფ. დავით ლენგის მიერ 1957 წელს გამოქვეყნებული დღემდე უცნობი და უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე უნიკალური სპილენძის მონეტა, რომელიც აგრეთვე დავით აღმაშენებელს უნდა მიეკუთვნოს.

№ 54. წონა — 10,73 გრ.

მონეტის შ უ ბ ლ ი: გამოსახულია მთელი ტანით, პირდაპირ მდგომი, სამეფო სამოსელში გამოწყობილი პირი, რომლის გვერდით მოთავსებულია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა: „დავით მეფეა“.

მონეტის ზ უ რ გ ი ს ცენტრში მოთავსებულია ჯვარი. გარშემოვლებული ასომთავრული წარწერით, რომელიც ქარაგმის გახსნის შემდეგ იკითხება ასე: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ასეთივე შინაარსის წარწერა, ოღონდ უკვე ვრცლად გაშლილი, მოთავსებულია დავით აღმაშენებლის საალამო ჯვარზე (დაცულია ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). საკვირველია, რომ საუცხოოდ შემონახული და საკმაოდ დიდი ზომის ეს მონეტა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ამ ასი წლის წინათ მოხვედრილა, უყურადღებოდ და მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი რჩებოდა. უფრო საოცარია, რომ ამ მონეტის მეორე ცალი აღარსად და კერძოდ საქართველოში აღარა ჩანს.

თარიღი მონეტაზე აღნიშნული არ არის, არც მეფის მამის სახელია ან მისი ბიზანტიური ტიტული, მაგრამ მისი დათარიღება ისევ წარწერის შინაარსით ხერხდება.

ცნობილია, რომ 1123 წელს სომხეთის დედაქალაქის ანისის „ურჯულოებისაგან“ განთავისუფლებისა და საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა „სომეხთა მეფის“ ტიტული მიისაკუთრა. ცნობილია აგრეთვე, რომ სახელოვანი მეფე 1125 წელს მიიცვალა. ამრიგად, მონეტის მოჭრის დრო ამ უკიდურეს თარიღებს შორის თავსდება და, მაშასადამე, სულ ორი წლის ფარგლებით განისაზღვრება.

აღწერილ მონეტათა გარდა დავით აღმაშენებელს, როგორც ირკვევა, მუსლიმანური ყაიდის მონეტებიც უჭრია, მაგრამ ამის შესახებ საუბარი უკვე შემდეგ განაკვეთში გვექნება.

XI საუკუნის ბიზანტიური ტიტულების შემცველი მონეტა, რომელიც დავით დიდი კურაპალატის დროს სამ გრამზე ცოტა მეტს იწონიდა, ერთი საუკუნის მანძილზე გადაგვარებისა და წონის დაცემის პროცესს განიცდის; დავით აღმაშენებლის დროისათვის მისმა წონამ თითქმის ერთი ხუთად დაიკლო. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მონეტის გაუარესების ასეთი პროცესი მარტო საქართველოსთვის არ ყოფილა დამახასიათებელი, — სწორედ ამ დროს იგივე ხდება ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში.

აღმოსავლეთ ქვეყნებში ამ დროს გავრცელებულ და საყოველთაოდ ცნობილი ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“ სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ყოფილა განმარტებული და საგანგებოდ შესწავლილა, მაგრამ ამის შესახებ საერთო აზრი შემუშავებული არ არის: ზოგი ამტკიცებს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლური ქვეყნების ვერცხლის საბადოების გამოფიტვის შედეგია, ზოგი ამ აღმოსავლური მონეტის დასავლეთ ქვეყნებში და ჩრდილოეთში მასობრივ გაზიდვას უკავშირებს, ზოგიც თურქ-სელჯუქთა მომთაბარე ტომების შუა აზიიდან სპარსეთისაკენ მოძრაობას აბრალებს. მაგრამ არცერთი ეს მოსაზრება საკმარის დამაჯერებლობით დამტკიცებული არ არის და ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური მოვლენის ნამდვილი მიზეზი ჭერჯერობით გარკვეულად ვერ ჩაითვლება.

ამდროინდელი ქართული ვერცხლის მონეტების საერთო რაოდენობა ას ცალს ძლივს აღემატება; ამიტომ, მათი განსაკუთრებული იშვიათობის გამო, მოვიყვანთ ამა თუ იმ ტიპისა ან ვარიანტის შესახებ საჭირო ცნობებს (ოღენობა, ახლანდელი ადგილსამყოფელი და ა. შ.).

თავისთავად ცხადია, რომ ბაგრატ IV სპილენძის მონეტები და დ. ლენგის მიერ გამოქვეყნებული დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა ქვემოთ ჩამოთვლილ სიაში შეტანილი არ იქნება, რადგან მეფის სახელს აქ არ უძღვის მისი ბიზანტიური ტიტული და ისინი სრულიად განცალკევებით დგანან.

დავით კურაპალატის ცნობილი სამი მონეტიდან თითო ცალი და ცუღია ლენინგრადის ერმიტაჟში, ბერლინისა და შვერინის მუზეუმებში.

ბაგრატ IV ცნობილი 7 ვერცხლის მონეტიდან ნოველისიმოსის ტიტულით აღბეჭდილი თითო ცალი ლენინგრადის ერმიტაჟში და მოსკოვის საისტორიო მუზეუმშია; სევასტოსის ტიტულით სამი ცალი მოსკოვის საისტორიო მუზეუმშია და თითო ცალი ერმიტაჟსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ქართულ-ბიზანტიურ მონეტათა რიცხვში შეტანილი არა გვაქვს ბაგრატ IV ახალი ტიპის სპილენძის ნიმუშები, რომლებიც დღეისათვის ცნობილია 9 ცალად (6—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სამი—დარუბანდში).

გიორგი II 90 ცნობილ მონეტიდან ნოველისიმოსის ტიტულით აღბეჭდილი ერთადერთი ცალი მოსკოვის საისტორიო მუზეუმშია;

სევასტოსის ტიტულით — მოსკოვის საისტორიო მუზეუმში 8 ცალია. სამსამი ცალი ლენინგრადის ერმიტაჟში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია; ერთი ცალიც — ბრიტანეთის მუზეუმში.

კეისაროსის ტიტულით აღბეჭდილი მონეტები ყველაზე მრავალრიცხოვანია: 60 ცალი მოსკოვის საისტორიო მუზეუმშია, ოთხ-ოთხი — საქართველოს სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმებში და ორ-ორი ცალი—ერმიტაჟში, ბერლინში და სოხუმში.

დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა სულ ექვსი ცალია: სევასტოსის ტიტულით აღბეჭდილი ორივე ცნობილი ცალი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია და ჭვრის გამოსახულებიანი — ერთი ლენინგრადის ერმიტაჟშია და სამიც — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. კიდევ ერთი დაზიანებული და გაურკვეველი მონეტა, რომელსაც პირობით დავით აღმაშენებელს მიაწერენ, ბერლინის მუზეუმშია.

ამრიგად, ამ მონეტათა სერიის ცნობილ 107 ცალიდან 73 მოსკოვის საისტორიო

ტორიო მუზეუმშია, 9—ლენინგრადის ერმიტაჟში, 13—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, 5—ლონდონში, 4—ბერლინში, 2—სოხუმში და ერთი შევრინში. ვიმეორებთ, რომ ბაგრატი IV სპილენძის მონეტები და ბრიტანეთის მუზეუმში დაცული დავით აღმაშენებლის უნიკალური სპილენძის მონეტა სრულიად განმარტობით დგას და ამ სიაში შეტანილი არ არის.

მკაფიო წარმოდგენას ცნობაში მოყვანილ ქართულ-ბიზანტიური მონეტების შესახებ ქვემოთმოყვანილი ცხრილი იძლევა:

მონეტაზე აღბეჭდილი სახელი და ტიტული	მონეტის გამოშვების დრო	ახლანდელი ადგილსამყოფელი								სულ	გამოსახულ. აგზე
		მოსკოვის მუზეუმი	საქართველოს სახ. მუზეუმი	ერმიტაჟი	ბრიტანეთის მუზეუმი	ბერლინის მუზეუმი	სევა მუზეუმი	სოხუმი	სულ		
დავით კურაპალატი	1001 წლამდე	—	—	1	—	1	1	—	3	47	
ბაგრატი IV ნოველისიმოსი	1040—1060	1	—	1	—	—	—	—	2	48	
„ სევასტოსი	1060—1072	3	1	1	—	—	—	—	5	49	
გიორგი II ნოველისიმოსი	1072—1081	1	—	—	—	—	—	—	1	—	
„ სევასტოსი	1072—1081	8	3	5	1	—	—	—	17	51	
„ კეისაროსი	1081—1089	60	4	7	4	2	—	2	79	—	
გაურკვეველი	—	—	—	—	—	1	—	—	1	—	
დავით აღმაშენებელი	1089—1125	—	3	1	—	—	—	—	4	52	
ამავე მონეტის ვარიანტი	1089—1125	—	2	—	—	—	—	—	2	53	
		73	13	16	5	4	1	2	114		

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მოსკოვის საისტორიო მუზეუმში დაცული 73 მონეტა წარმოადგენს მთლიანი განძის კომპლექსს, რომელიც გასულ საუკუნეში საქართველოს მიწა-წყალზე ყოფილა აღმოჩენილი და აქედან მოსკოვში გაგზავნილა. განძის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის მონეტები არა ჩანს; მასასადამე, განძი ჩაფლული ყოფილა მის გაშეფებამდე. ამრიგად, თუ მოსკოვის მუზეუმის მასალას ანგარიშში არ ჩაეთვლით, ცნობაში მოყვანილი ცალების საერთო რაოდენობა 35 ცალსაც არ მიაღწევს. აქედან აშკარა ხდება ამ მონეტების უაღრესი იზვიათობა და მათი უდიდესი მეცნიერული ღირებულება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყანამ, რომელმაც ბაგრატი III-დან დაწყებული დავით აღმაშენებლით მოთავებული საუკუნეხახევრის მანძილზე საკუთარ ვერცხლის ფულს ჰკრიდა, მონეტების მხოლოდ ეს მცირე მარაგი შეინარჩუნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი მონეტები სადღაც მიჩქმალულ მდგომარეობაშია, მაგრამ პატრონს წარმოდგენაც არა აქვს, რამდენად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ამ ცივ ფირფიტებს და რა ხალისით შეიძენდა მათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელსაც ამ მიზნისათვის გადადებული აქვს დიდი თანხა.

XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მესამედის მონეტაჟი

ეგრეთ წოდებული ჯვაროსნული ომები, მიმართული აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ, გამოწვეული იყო რომის პაპის, ევროპის ფეოდალებისა და ვაჭართა ინტერესების განსახორციელებლად. მთავარი თავისი ძალები და ყურადღება მუსლიმანებმა გადაიტანეს ევროპული კოალიციის არმიებთან ბრძოლაზე და უკვე ვეღარ ახერხებდნენ მოსაზღვრე ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგურად შევიწროებას. მუსლიმანთა ხშირმა შემოსევებმა საგრძნობლად იკლო და ამან არსებითად შეამსუბუქა ქართველების მდგომარეობა, რომლებსაც თავისუფალი ამოსუნთქვისა და ძალების მოკრებისათვის მეტი საშუალება მიეცათ.

საქართველოსა და აქამდე მისთვის ნაკლებად ცნობილ სახელმწიფოთა შორის (გენუა, ვენეცია), რომლებსაც უკვე ჩასახულმა ევროპულმა კაპიტალიზმმა „ჯვაროსნული ომების“ მეშვეობით ფართოდ გაუღო კარი აღმოსავლეთისაკენ, ახალი და მკიდრო კავშირი მყარდება. ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწიეს ამ დროს ცენტრალური ხელი-სუფლების გაძლიერების საქმეში.

სახელმწიფოებრივი ძლიერების მოპოვება იმდენად გარეშე მტრებთან (თურქ-სელჯუქნი, ბიზანტია) ძლევამოსილი ბრძოლის შედეგად არ მოხდა, რამდენადაც საკუთარ ქვეყანაში ფეოდალური აზნაურობის სეპარატიზმის წინააღმდეგ წარმატებით წარმოებული ბრძოლის წყალობით.

განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წარმატებანი ამ საქმეში დავით აღმაშენებელმა მოიპოვა, ხოლო მისმა უახლოესმა მემკვიდრეებმა ეს საქმე ღირსეულად განაგრძეს. თამარის მმართველობის დროს (1184—1213 წწ.) ფეოდალური საქართველო მთელ წინა აზიაში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. იგი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში და თავის საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. განსაკუთრებით საინტერესოა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა სახელმწიფოს გარდაქმნის სფეროში.

ცნობილია საქართველოში მოგზაური არაბი ისტორიკოსის ალ ფარიკის ჩანაწერები, სადაც განათლებული არაბი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებლის რეფორმები სახელმწიფოს ფინანსურ მხარესაც შექხებია. მან მნიშვნელოვანი ახალი ღონისძიებანი ფულად-სამონეტო საქმიანობაშიაც ჩაატარა და, ისტორიკოსის მოწმობით, ახალი ტიპის ფული მოკრა, რომელზედაც ერთ მხარეზე ხალიფასი და სულთნის სახელებია აღბეჭდილი, ხოლო მეორეზე — ალაჰისა და მისი მოციქულისა (მაჰმადის); თვითონ დავითის სახელი მონეტის კიდევებზე იყო მოთავსებული.

სახელოვანი მეფის მმართველობის დროს ბრწყინვალედ დამთავრებულმა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესმა და, ამასთან დაკავშირებით, სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური გზის არჩევამ, რომელიც მუსლიმანურ მეზობლებთან უფრო მკიდრო კავშირის დამყარებაში გამოიხატა, სათანადო კვალი დააჩნია ქართული მონეტის გარეგნობას. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევამდე ე. ი. თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე მთელი სამონეტო, ფულადი და საფინანსო სის-

ტემა ძირფესვიანად იცვლება. XI—XII სს. საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას, ე. წ. „ოქროს ხანას“ უცნაურად უპირისპირდება მისი ნუმისმატიკის „სპილენძის ხანა“; „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც უკვე XI საუკუნის დაწყებისთანავე მთელ წინა აღმოსავლეთს მოედო, არც საქართველოს ასცდა და მალე ისიც მეზობლების მაგალითს მიჰყვა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XII საუკუნის დასაწყისიდანვე მეზობელი ქვეყნების მსგავსად საქართველომ ვერცხლის ფულის მოჭრა შეწყვიტა და სპილენძზე გადავიდა. გამოირკვა, რომ ვერცხლის კრიზისი ჩვენში ყველაზე გვიან დაწყებულა და ადრე დამთავრებულა. ვერცხლის მონეტა ჩვენში სპილენძით რომ არ შეცვლილიყო, რომელიც იძულებით „ვერცხლად“ საღებობდა, საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანილი ძვირფასი ლითონის მარაგი მალე გამოილეოდა და სახელმწიფო ხაზინა დაზარალდებოდა.

დავით აღმაშენებლის დროინდელი მონეტა, რომელიც ალ ფარეკმა აღწერა, ჯერჯერობით მოძებნილი არ არის და ფაქტიური მასალით არ დასტურდება, მაგრამ პროფ. ე. პახომოვის სხვა მონეტებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა ნიმუში, რომელიც ამ სახელოვან მეფეს უნდა მიეკუთვნოს. „უწესოდ“ მოჭრილი ეს უნიკალური ნიმუში შემდეგი სახისაა:

№ 55. ზომა—14×23 მმ; წონა — 6,09 გრ; საინვ. № 4076.

მონეტის შუბლზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელსაც შემდეგი ფრაგმენტები შერჩა: „მეფე მეფეთა, /მახვილი მესისია,/ დავით...“ მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებული გაურკვეველი ნიშანი, გარშემოვლებული ხაზიანი რკალის ფრაგმენტი და ირგვლივ განლაგებული ზედწერილის ნაშთი.

ზურგზე და ც სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი ფრაგმენტები „მუჰამედ (?), /სულთან უმადლესი/ ბარქ...“, რომელსაც მარჯვნივ შერჩა გარშემოვლებული ზედწერილის ნაშთები.

მონეტას შერჩენილი არა აქვს თარიღი, აკლია მეფის მამის სახელი, მაგრამ გარკვეული დროისათვის მისი მიკუთვნება შესაძლებელი გახდა მონეტის სპეციალური დამუშავებისა და სულთნის სახელში შემავალი პირველი ოთხი ასოს გამოვლინების შემდეგ. ეს ასოები შესანიშნავად უდგება სულთან ბარქიარუქის (1094—1104 წწ.) სახელს, რომელიც დავით აღმაშენებლის თანადროული სელჯუკთა მფლობელ-მბრძანებელი იყო.

არანაყოლები საფუძველი გვაქვს დავით აღმაშენებელს მივაკუთვნოთ შემდეგი სახის „წესიერად“ მოჭრილი სპილენძის მონეტა:

№ 56. წონა მერყეობს 1,50—3,50 გრ შორის.

მონეტის შუბლზე მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული გვირგვინოსანი მხედარი. გამოსახულების ორივე მხრიდან — ასომთავრული **დ** და **რ**, რომლებიც დავითის სახელის დაქარაგმებას წარმოადგენს.

ზურგზე სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „მეფე მეფეთა, /დავით გიორგის ძე,/ მახვილი მესისია“.

მონეტის შუბლზე მოთავსებული მეფის სახელი ზოგჯერ ერთი ასო **დ**-ით არის გადმოცემული. მკვლევართა უმრავლესობა (ე. პახომოვი, თ. ლომოური, ა. ბიკოვი) ამ მონეტას ულუ დავითს, გიორგი ლაშას ძეს მიაკუთვნებენ, მაგრამ მოსაზრებანი, რატომ უნდა მიეცეს უპირატესობა დავით აღმაშენებელს

(გიორგი II ძეს). მოყვანილი გვექნება XIII საუკუნის მონეტათა აღწერილობის დროს.

XI — XII სს. მიჯნაზე მონეტის ტიპი, გარეგანი სახე და მოყვანილობა მკვეთრად იცვლება: აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას, თავის სიმრგვალებს, მონეტა კარგავს; ამიერიდან ფულის ნიშანი შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ამიტომ, ზშირაა შემთხვევა, რომ ამ ფირფიტის სიმკირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდება. თავდაპირველად წინა აღმოსავლეთის სხვა მეზობელ ქვეყნებში შემოღებულმა ამ წესმა ჩვენშიაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. საფიქრებელია, რომ უწესოდ მოჭრილ ასეთ მონეტებს აღებ-მიცემის დროს ლებულობდნენ უკვე წონისა და არა თვლის ანგარიშით.

ვიდრე დავით აღმაშენებლის ამნაირი უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა აღმოჩნდებოდა, საკითხი, თუ როდის იყო შემოღებული ეს წესი ერთგვარ ყოყმანს იწვევდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა და მერყეობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, დემეტრე პირველის დროიდან დაწყებული, და რუსუდანის მეფობაში მომხდარ ფულის ახალ რეფორმამდე, ე. ი. საუკუნეზე მეტე ხნის მანძილზე, ეს ე. წ. „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძის მონეტა განუწყვეტლივ იჭრება საქართველოში.

მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისაგან მოჭრილი ამდროინდელი ქართული მონეტის გამოსახულებანი და წარწერები შესამჩნევად იცვლება: თავდაპირველად უპირატესობა არაბულ ზედწერილებს ეძლეოდა, ქართულს — სულ უმნიშვნელო ადგილი ეთმობა (დემეტრე პირველისა ან გიორგი მესამის სახელის ინიციალი); გამოსახულებათა ნაცვლად ჩნდება ორნამენტები, ვარდულუბი და სხვ.

დემეტრე პირველის დროს რამდენიმე სამონეტო ტიპი იჭრება, მაგრამ ძირითადი სქემა არსებითად ერთია.

№ 57. სპილენძი სხვადასხვა ზომისა, წონისა და ფორმის

მონეტის შუბლი: ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული დონი, რომელიც დემეტრეს სახელის ინიციალს წარმოადგენს. ზემოთ და ქვემოთ არაბული ზედწერილია: „მეფეთა მეფე“, ირგვლივ რკალი და გაურკვეველი არაბული ზედწერილი.

ზურგით: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მაჰმედ ბენ მუჰამედისა“. ირგვლივ გაურკვეველი არაბული ზედწერილი.

ბევრად ნაკლები რაოდენობითაა ცნობილი დემეტრეს ასევე უწესოდ მოჭრილი, მაგრამ უკვე სხვა ტიპის სპილენძის მონეტა:

№ 58. მონეტის შუბლი: რვაკუთხედ ფიგურიან ჩარჩოს ცენტრში ასომთავრული დონი. ჩარჩოს გარეთ განლაგებული არაბული წარწერა: „მეფეთა მეფე, მახვილი მესიისა“ სტილიზებულია და ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს;

ზურგით: ზუთღერძიანი ვარდულის შინაგან ბუდეებში მოთავსებული არაბული წარწერა გვამცნობს არაბთა ხალიფას ალ მუჰთაფი ლიამრ ალლაჰის (1136—1160 წწ.) სახელს, ხოლო გარეგან ბუდეებში არა-

ბულივე ზედწერილი — სელჯუკთა სულთნის ღიას ედღინ მასუდის (1133 — 1152 წწ.) სახელს.

დემეტრე I დანარჩენი ვარიანტები აქ აღწერილი არა გვაქვს.

ცნობილია, რომ დემეტრე პირველის ძე და გიორგი მესამის უფროსი ძმა დავითი ჩვენ ქვეყანას სულ რამოდენიმე თვე განაგებდა და, ალბათ ამიტომ, მისი მონეტები ჭერჯერობით უცნობია. მაგრამ ასეთი მონეტების აღმოჩენა მოსალოდნელია მით უმეტეს, რომ დავითის სახელით აღბეჭდილი ზემოაღნიშნული სპილენძის მონეტის გარდა ნაპოვნია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მონეტები, რომლებიც ზედწერილების შემდგომ შევსებასა და შესწავლას მოითხოვს. შესაძლებელია, რომ მასალის შესწავლის შემდეგ წინასწარი მოსაზრება გამართლდეს და ჭერ შეუსწავლელი ეს მონეტები სწორედ ხსენებულ ისტორიულ პირს მიეკუთვნოს. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ჭერჯერობით იმ მიზეზით ძნელდება, რომ ცალკებს, რომელიც ამჟამად ჩვენს ხელთაა, ზედწერილის მცირე ნაწილები შერჩა და მტკიცე დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

გიორგი მესამის უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტები ორი ტიპისაა: პირველი — დემეტრეს ზემოაღწერილი მონეტის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით, ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ასომთავრულადვე. ამიტომ ამ მონეტას არ აღწვერთ და ტაბულაზე მოთავსებული № 59 რეპროდუქციით დაკმაყოფილდებით.

გადავდივართ გიორგი III-ის ასევე უწესოდ მოჭრილ სხვა ტიპის სპილენძის მონეტის აღწერილობაზე:

№ 60. მონეტის შუბლი: ხვეული ხაზებისაგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებულია გიორგის ასომთავრული ინიციალი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“;

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: ხალიფას სახელი: „ალ მუქთაფი ლიამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“.

XII საუკუნის ქართულ მონეტაზე უცხო მფლობელთა სახელების გაჩენასა და არაბული წარწერის ხმარებას ზოგიერთი მკვლევარი ქართველ მეფეთა ამ მფლობელებისაგან დამოკიდებულებით ხსნიდა.

აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა ეს მოსაზრება უარყო და განმარტა, რომ ეს ღონისძიება გამოწვეულია მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში ქართული ფულის გავრცელების მიზნით. ქართველ მეცნიერს ეთანხმებიან და მხარს უჭერენ რუსი ნუმისმატი ა. ბიკოვი და ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დ. ლენგი.

ამდროინდელი ქართული ფულის არაბული ზედწერილი თავისი გარეგანი ფორმალური ნიშნებით მკვეთრად ეწინააღმდეგება მის შინაარსს: „მეფეთა მეფის“ მედიდური ტიტული და „მესიის მახვილის“ (ე. ი. ქრისტიანობის მცველის) ამაყი ეპითეტი თითქმის ხაზგასმით ამცნობს მუსლიმან მეზობლებს, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ ქართველი ბაგრატიონები, ვისთან აქვთ საქმე ქართველების მტერსა თუ მოკეთეს. თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტებზე ეს ტიტულები და ეპითეტები უფრო მედიდურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ რეალურ მდგომარეობას ასახავს.

ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ უკვე XIII ს. შუაწლებში, როდესაც მონ-

ლოლებმა საქართველო გათელეს, დიდი თამარის შვილიშვილი დაეით ნარინი იძულებული ხდება მოათავსოს თავის მონეტაზე „დიდი ყაანის მონის“ დამამცირებელი ეპითეტი.

უწესოდ მოჭრილი მონეტის გამოშვება და ამ მონეტებისათვის უჩვეულო ფორმის მიცემა იმ ვერცხლის კრიზისის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მაგრამ მალე უწესოდ მოჭრილ მონეტებთან ერთად ჩნდება კანონზომიერი მრგვალი მოყვანილობისა და დაახლოებით ერთი ზომისა და წონის მონეტები, რომლებიც როგორც ეტყობა ვერცხლის დრამის მაგივრობას სწევდა.

გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი დაეითის სახელით აღბეჭდილი და 56 ნომრით აღწერილი მონეტა მხედველობაში თუ არ მივიღეთ, პირველი ასეთი, უკვე წესიერად მოჭრილი სპილენძის მონეტა გიორგი მესამის დროს ჩნდება, რომელსაც ასეთი გარეგნობა აქვს:

№ 61—62. მონეტის შუბლი: სამეფო სამოსელში გამოწყობილი გიორგი მესამე მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დონიჭმემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე გაწვილ ხელზე შევარდენი უზის. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად — გი) და 394 ქორონიკონს (1174 წელს უდრის).

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე მეფეთა, /გიორგი ძე დემეტრესი,/ მესიის მახვილი“.

ამ მონეტის ქართული ზედწერილის ასოთა განლაგება კომპოზიციურად დაკავშირებულია გამოსახულებასთან და, ალბათ, ამიტომაც, რომ მეფის სახელის აღმნიშვნელი ასოები გადმოცემულია მხედრული ნიშნებით და მეორდება ასომთავრული მონოგრაფიით.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მესამის ეს მონეტა ქართულ ნუმიზმატიკაში მხედრული დამწერლობის პირველ მაგალითს იძლევა. გარდა ამისა, კვლავ ჩნდება თარიღი, რომელიც XI საუკუნის მეორე მესამედის შემდეგ ქართულ მონეტებზე აღარ თავსდება, მაგრამ ეს თარიღი უკვე ქართული ქორონიკონითაა აღნიშნული და მოჭრისა და გამოშვების დროს კი აღარ აღნიშნავს, არამედ თვით მონეტის ტიპის დამტკიცების დროს: ე. ი. ყოველგვარი შესაძენევი ცვლილებების გარეშე იმავე თარიღის შემცველი მონეტა ზოგჯერ ამა თუ იმ მეფის მფლობელობის მთელ მანძილზე იჭრებოდა.

ასეთი წესიერი და უწესო მონეტების პარალელური გამოშვება წარმოებდა გიორგი მესამის დროიდან მოკიდებული რუსუდანის მმართველობაში მომხდარ სამონეტო რეფორმამდე, და ორივე ნიშნულს თამარისა და ლაშა გიორგის მონეტებს შორისაც შევხვდებით.

საფიქრებელია, რომ წესიერად მოჭრილი მონეტები, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი საშუალო წონა და მრგვალი მოყვანილობა ჰქონდა, „დრამის“, ე. ი. ვერცხლის ფულის ფუნქციას ასრულებდა და აღებმიცემობის დროს გადიოდა თვლისა და არა წონის ანგარიშით. ეტყობა მათ შეცვალეს მიმოქცევიდან გამქრალი ვერცხლის ფული. ეს თითქოს დასტურდება იმდროინდელი წერილობითი წყაროებით.

მაგალითად, მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, რომ გიორგი III „წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და

საუნჯეთმან დაფარა პირი ველადა და მთათა, ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი, რომელ თითო ტყვესა დრამად, გინა ფუჟად მომყიდველი გამსყიდველობდეს“. „დრამა“ (მუსლიმანური ღირებუმი), როგორც ცნობილია, ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, მაგრამ ამ დროს არც ჩვენში, და არც წინააღმოსავლეთის ქვეყნებში ვერცხლის მონეტა არ იჭრებოდა; ამრიგად, გასარკვევი ხდება, თუ რომელ „დრამაზეა“ აქ ლაპარაკი?

IX—X სს. აღმოსავლურ ქვეყნებში არსებობდა ვერცხლის მონეტის „დახურდავების“ ძალიან ორიგინალური ხერხი, — მცირე ნომინალები რომ შემოაკლდებოდათ, ვერცხლის მონეტას თანაბარ ნაწილებად ჰკრიდნენ. ქართული ფულის ამნაირი წესით „დახურდავება“, როგორც ეტყობა, XIII ს. შუაწლებამდე შერჩენილა; მუზეუმში დაცულია ორ ან ოთხ თანაბარ ნაწილად გაჭრილი თამარისა და რუსუდანის წესიერად მოჭრილი ცალები. ის გარემოება, რომ მონეტების ჩამონაჭერი ადგილები და „ნახევრიანებისა“ და „მეოთხედების“ დანარჩენი ნაწილები თანაბრად არის დაფარული ეანგით, მოწმობს, რომ მონეტების დაჭრა ძველადვე მომხდარა. თამარ დედოფლის მონეტის ერთ-ერთი ასეთი „მეოთხედი“ მოპოვებული იყო 1960 წლის რუსთავეის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (საველე დავთრ. № 1865).

მონეტათა ნაწილებად დაყოფის ჩვეულება პირველად შემოღებული იყო არაბეთში, ყოველ შემთხვევაში, არაბული დრამების განქმეში ამნაირად „დახურდავებული“ ცალები შედარებით ხშირი მოვლენაა.

მეფეთა მეფე გიორგი მესამის მმართველობის დასასრულს, როდესაც მან სრულიად ახალგაზრდა თავისი ქალწული თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა და ტახტზე აიყვანა, ეკუთვნის უწესოდ მოჭრილი შემდეგი ტიპის სპილენძის მონეტა:

№№ 63, 64, 65. მონეტის შუბლი: გრეხილორნამენტოვანი ნასკეებით გამოყვანილი ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში გიორგის სახელის-დაქარაგმებული ასომთავრული ორი ნიშანია — „გ-ი“. ვარდულის გარეგან ბუდეებში ასომთავრულივე ზედწერილია: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“;

ზურგი: ასეთივე, ოღონდ რვაბუდიანი, ვარდულის ცენტრში თამარის ასომთავრული ინიციალია ან მისი სახელის სხვადასხვანაირი დაქარაგმება — „თრ“, „თბრ“ ან „თმ“. ვარდულის გარეგან რვა ბუდეში მოთავსებულია ასომთავრულივე ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“.

ეს მონეტა, რომელზედაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერებია, ქართულ ნუმიზმატიკაში ამ მხრივ ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს და იმდროინდელ სხვა ნიმუშებთან შედარებით, ნაკლები რაოდენობით არის შემონახული. განსაკუთრებით იშვიათი და საინტერესოა ამ ტიპის დიდრონი ცალები, რომლებმაც გარშემოვლებული ზედწერილების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები შეინარჩუნეს. ზედწერილების სწორი შინაარსის აღდგენა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილად ხერხდება, თუ ვადაჩენილია ზედწერილის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მონეტას თარიღი არ ახლავს და, რადგან გიორგის სახელის მქონე თამარის თანამედროვე სამი ისტორიული პირია (მამა, პირველი მეუღლე და ძე), მონეტის ზუსტი განსაზღვრა და ამა თუ იმ გიორგისადმი მიკუთვნების საკი-

თსი ერთხანს აზრთა სხვაობას იწვევდა. უმრავლესობა დედოფლის პირველი მეუღლის — გიორგი რუსის მომხრე იყო, მაგრამ ზოგიერთი ნაშანი და ანალოგიების ანალიზი, სათანადო მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ამ მონეტის მომჭრელის და ქვეშეშარიტი ინიციატორის პიროვნება. ასეთად ამჟამად ცნობილია თამარის მამა, მეფეთა მეფე გიორგი მესამე.

ამ მოსაზრებას პროფ. ე. პახომოვი არ იზიარებდა, მაგრამ ეს განსაზღვრა იმდენად აშკარა და ნათელია, რომ მისი უარყოფა უმიზნოა. იქ, სადაც თამარი მხოლოდ „მეფე და დედოფლად“ არის ნახსენები, შეუძლებელია, რომ მის მეუღლეს გიორგი რუსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ prince consort-ი იყო, „მეფეთა მეფის“ პრეტენზიები ჰქონოდა.

სხვათა შორის ამას თითონ ე. პახომოვი კარგად გრძნობდა, რადგან ამ მონეტის აღწერისას შუბლის (ე. ი. მთავარ) მხარეს უთმობდა თამარს, ხოლო მეორე მხარეს — გიორგის, რომელიც მას დედოფლის მეუღლედა ჰყავს მიჩნეული. ამრიგად, აქ უპირატესობა პირველსა და არა მეორეს ეძლევა.

დამატებითი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ მოყვანილი გვექნება ქვემოთ სათანადო ანალოგიების აღწერის დროს.

უშუალოდ თამარის სახელით აღბეჭდილი უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა შემდეგი ტიპისაა:

№№ 66—67-ა. მონეტის შუბლი: წნული ორნამენტოვანი ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია თამარის ხელრთვა. ორნამენტის გარშემო დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილია: „სახელითა ღეთისაითა იქნა ქედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407“ (= 1187 წ.);

ზურგე: ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი დიდებული, /შეენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, /თამარ, ასული გიორგისა, / მესიის თაყვანისმცემელი, /განადიდოს ღმერთმან ძლევეანი მისნი“; ირგვლივ რკალი და არაბულადვე გარშემოვლებული მეორე ზედწერილი: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

მონეტის ცენტრში ჩასმული ამ სახის ხელრთვა — ვენზელი ძალიან ჰგავს ეანის სახარებაზე მოთავსებულ დედოფლის საკუთარ ხელის მოწერას; საქართველოს ბეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ამ სახარებიდან ამოღებული ფაქსიმილეს პირი მოყვანილი გვაქვს აქვე შესაღარებლად.

ასეთივე ტიპის სხვა ვარიანტებზე ათავსებენ 430 ქორონიკონს (= 1210 წელი).

საერთოდ, ეს სამონეტო ტიპი მეტად გავრცელებულია. ცნობაში მოყვანილი ამ მონეტების საერთო რაოდენობა ათასებით გამოითვლება და შესაბამისად ამისა ვარიანტების რაოდენობაც სათანადოდ მრავალრიცხოვანია. ზოგი მათგანი ხშირი და გავრცელებულია, ზოგიც მხოლოდ რამდენიმე ცალად არის ცნობილი. მაგალითად: ორნამენტული ჩარჩოს ნასკეების რიცხვი ჩვეულებრივ ექვსია, ხოლო შვიდი ან რვანასკვიანი იშვიათობას წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ასეთი „რვანასკვიანი“ ვარიან-

ტის სახესხვაობა ზურგზე მოთავსებული გარშემოვლებული სულ სხვა შინა-არსის ზედწერილით; ჩვეულებრივი ზედწერილის ნაცვლად, რომელიც თამარს ადიდებს, ეს ზედწერილი იტყობინება, რომ „ღირჰემი“ მოჭრილია „ხუთას ოთხმოცდა სამ წელსა“ (იხ. № 68-ა), ე. ი. იმავე 1187 წელს. სულ ორ ან სამ ცალად არის ცნობილი მონეტები, რომლებზედაც არაბული ზედწერილის მე-5 სტრიქონზე ნაცვლად „განადიდოს ღმერთმან ძღვეანი მისნი“ აღბეჭდილია „განამტკიცოს ღმერთმან მისი ღირსება“ და ა. შ.

ამ სამონეტო ტიპის ვარიანტთა დიდი რაოდენობა სავსებით ბუნებრივია: მონეტის გამოშვების ტირაჟი, ე. ი. მოჭრილი ცალების რაოდენობა, ყველა ნიშნის მიხედვით, დიდი ყოფილა და მათ დასამზადებლად სათანადო რაოდენობის სიჭებეც (შტამპები) მზადდებოდა. უეჭველია, რომ ყოველივე ასეთი შტამპის ანუ სიჭის დამზადების დროს ყოველ ცალკე შემთხვევაში უკვე გამოყენებულ ძველ სიჭასთან შედარებით ესა თუ ის გადახრა ზდებოდა. ადგილის დაზოგვის მიზნით, ყველა ამ წერილმან ვარიანტს აქ უკვე აღარ აღწერთ.

ასეთსავე უწესოდ მოჭრილ მონეტათა ჩგუფს ეკუთვნის ქერჭერობით ერთადერთ ცალად ცნობილი ნიმუში ბარათაშვილისეული კოლექციიდან;



რადგან ეს ცალი ჩვენთვის მიუწვდომელია, გამოვიყენებთ ამ სპილენძის მონეტის ყოფილი მესაკუთრის წიგნიდან ცნობილსა და აქ მოცემულ მონეტის სურათსა და აღწერილობას

მონეტის შუბლი: ხუთი ნახევარწრისაგან შემდგარ ფიგურიან ჩარჩოში სამი ასომთავრული ნიშანია: „თრდ“, ე. ი. „თამარ“. ზემოთ მომცრო ზომის ჯვარია.

ზურგი: მონეტის მთელ არეზე დაბნეულია მსხვილი წერტილები. თამარის სახელის გარდა, თუ რა ცნობას შეიცავს მონეტის შუბლზე მოთავსებული სამი ასო (თამარ-დავით, თამარ დედოფალი თუ თამარ დიდი), ეს საკითხი ჯერ გაურკვეველი რჩება.

ფულის ორნაირი წესით პარალელურად მოჭრის ჩვეულებას თამარიც განაგრძობდა და წესიერად მოჭრილი სპილენძის მონეტათა ძალიან დიდი რაოდენობა დაგვიტოვა.

№ 69. მონეტის შუბლი: ცენტრში მოთავსებულია ნაკეთი, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს უნდა წარმოადგენდეს; მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულად დაქარაგმებული თამარის და დავითის სახელები. კუთხეებში ასომთავრულად გადმოცემული ქორონიკონი 420, რომელიც 1200 წელს უდრის.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, /შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა. /თამარი, ასული გიორგისა/, მესიის თაყვანისმცემელი“.



მონეტის შუბლზე მოთავსებული ნიშანი, რომელსაც მკვლევარნი სხვადასხვანაირად ზნინდნენ, მეორდება უკვე შემდგომ მოჭრილ ქართულ მონეტებზედაც (რუსუდანის დრამა, დემეტრე მეორისა და დავით VII სპილენძი). მაგრამ საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთივე ნიშანი ამოკვეთილია ამავე

დროის სამიჯნო სვეტებზე. ერთ-ერთი ასეთი სვეტის ნახატი მოყვანილი გვაქვს აქვე შესადარებლად.

საქირა აღინიშნოს, რომ კიევის სამთავროს XI საუკუნის ვერცხლის მონეტებზე ამოკვეთილ ანალოგიურ ნიშანს რუსი მეცნიერები უპირისპირებენ მთავართა საგვარეულო ნიშანს, რაც საბუთს იძლევა, ჩვენს მონეტაზე აღბეჭდილი ნაკვეთი ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მივიჩნიოთ.

საინტერესო და შინაარსიანია მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული ზედწერილი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თამარს ახსენებს და აღიღებს. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა შორის მშვიდობა და სიყვარული სუფევდა და დედოფლის მეუღლე, დავით სოსლანი ამ დროს უკვე ტახტის მემკვიდრე ლაშა გიორგის მშობელი იყო, ის აქ სრულებით არ არის მოხსენიებული. აქედან აშკარა ხდება, რომ თუ თამარის მეორე მეუღლეს დავით სოსლანს, რომელთანაც ის სრულ თანხმობაში იყო, საქართველოს მეფისა და დედოფლის თანასწორობის პრეტენზია არ ჰქონია, მისი პირველი მეუღლე ამაზე ვერც იოცნებებდა. ამრიგად, ცხადია, რომ თამარისა და გიორგის სახელით აღბეჭდილ მონეტაზე მოხსენიებული გიორგი, რომელიც „მეფეთა მეფედ“ არის აღიარებული, რა თქმა უნდა, თამარის მეუღლე არ იქნებოდა.



ამავე სამონეტო ტიპის ვარიანტი, რომელსაც თარიღი არ ახლავს, უკვე იშვიათობას წარმოადგენს და, ვინაიდან აღწერილ მონეტისაგან მხოლოდ ზემოაღნიშნული დეტალით განსხვავდება, ტაბულაზე მოთავსებულ № 70 გამოსახულებას აღწერილობა დართული არ ექნება. ამ უკანასკნელი მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული ზედწერილი სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვების გადატანის ორ ვარიანტს იძლევა.

1924 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინში აღმოჩენილი იყო თამარისა და დავითის სახელით აღბეჭდილი მონეტების ვეებერთელა განძი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩააბარეს, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის მთელ ნუმისმატიკურ კოლექციასთან ერთად ეს განძიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. განძი შეიცავდა 1200 წლით დათარიღებულ 2759 და 116 უთარიღო მონეტას. ამ განძის აღმოჩენამდე ასეთი უთარიღო მონეტები სულ ორიოდე ცალად იყო ცნობილი.

ერთიმეორისაგან შესამჩნევად განსხვავებული სამონეტო ტიპების გამოშვებას გიორგი ლაშაც განაგრძობს. უწესოდ მოჭრილი მისი სპილენძის მონეტები თამარის მონეტების მსგავსად იჭრებოდა.

№ 71—72. მონეტის შუბლი: წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ზედწერილი: „გიორგი ძე თამარისი“. ჩარჩოს შემოვლებული აქვს ისეთივე ზედწერილი, როგორიც თამარის ზემოაღწერილ უწესოდ მოჭრილ 430 ქორონიკონიან (= 1210 წელი) მონეტას.

ზურგე: ცენტრში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე მეფეთა, /შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, /გიორგი ძე თამარისა, / მესიის მახვილი“, რომელსაც გარშემოვლებული

აქვს რკალი, ხოლო რკალს გარეთ სპარსული ზედწერილი: „სახელთა უწმინდესის ღვთისა იჰედა ესე ვერცხლი წელსა 430“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მონეტის ზურგზე მოთავსებული გარშემოვლებული ზედწერილი, — უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ვადმოცემულია სპარსულად და არა არაბულად; ამას მკვლევარნი მიაწერენ სპარსულ კულტურასთან დაახლოებას. შემდეგ, ეს ზედწერილი შეიცავს ქართული ტერმინის „ვერცხლის“ ექვივალენტურ სპარსულ სიტყვას, რომელიც აგრეთვე მონეტის ვერცხლის შინაარსს მიუთითებს. დაბოლოს, აქ მოთავსებული თარიღი ქორთონიონსა და არა ჰიკრას იხსენიებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მონეტა ქართული მოსახლეობისათვის იჭრებოდა.

ძალიან იშვიათ შემთხვევაში ჩნდება ცალები, რომლებზედაც გარშემოვლებული სპარსული ზედწერილი ჰქონდა, ხოლო ცენტრალური არაბული ზედწერილის სიტყვები სხვანაირად არის განლაგებული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კიდევ ერთი ფრიდ ორიგინალური ვარიანტია დაცული, რომელსაც აკლია არა მარტო გარშემოვლებული არაბული ზედწერილები (ზურგზე), არამედ ქართული — შუბლზედაც (იხ. № 73).

ფრიად საინტერესოა ნიმუში, რომლის შუბლის მხარეს თამარის „ხელთვა“ მოთავსებული, ხოლო ზურგზე — ისეთივე ზედწერილი, როგორც ზემოაღწერილ № 71 მონეტაზე, ე. ი. ცალი მხრიდან მონეტა თამარს იხსენიებს, ხოლო მეორე მხრიდან — მის მემკვიდრესა და თანამოსაყდრეს.

ეს ალბათ იმით უნდა ავსხნათ, რომ თამარის № 66-ა მონეტის ზოგიერთი ვარიანტი და ლაშა გიორგის № 71 სამონეტო ტიპი 1210 წელს იჭრებოდა ერთსა და იმავე ზარაფხანაში და მუშაობის დროს ხელოსნებმა სიქები არიეს.

ამნაირივე იშვიათობას წარმოადგენს ამ ტიპის ე. წ. „ფიგურული ცალები“, ე. ი. მონეტები, რომლებსაც მოჭრამდე განსაკუთრებულ და განსაზღვრულ მოხაზულობა-კონტურს აძლევდნენ, მაგალითად: ნალისა, ფრინველისა, თევზისა, შუბის პირისა და სხვ. (იხ. მაგალითად, № 73-ა). „ფიგურაინი“ ცალები ჩვეულებრივ სპილენძის მოზრდილი ფირფიტებისაგან მზადდებოდა (უწესოდ მოჭრილი თამარისა და ლაშა გიორგის მონეტების წონა 1,5—200 გრ შუა მერყეობს).

ლაშა გიორგის სახელით აღბეჭდილი უწესოდ მოჭრილი მონეტებიც ძალიან ხშირია; ამ მონეტათა ცნობაში მოყვანილი საერთო რაოდენობა აქაც ათასებით განისაზღვრება.

პარალელურად, მაგრამ გაცილებით ნაკლები რაოდენობით, ამ მონეტებთან ერთად ჩნდება მისივე წესიერად მოჭრილი შემდეგი სახის სპილენძის ნიმუშები:

№ 74. მონეტის შუბლი: ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი: „ქ. გიორგი მე/ფისა, თამარის ძი/სასა, ჭავა/ზთ უფლისა“.

ზურგით: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე უმაღლესი, /შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, /გიორგი ძე თამარისა, /მახვილი მესიისა“.

ასეთივე წესიერად მოჭრილ მონეტათა კატეგორიას ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ლაშა გიორგის უნიკალური მონეტა:

№ 75. წონა — 5,60 გრ, დიამეტრი — 23 — 24 მმ.

მონეტის შუბლი: მთელი ტანით პირდაპირ მდგარი გვირგვინი

ნოსნის გამოსახულება აღმით მარჯვენა ხელში და გაურკვეველი საგნით — მარცხენაში. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ შერჩენილია რამდენიმე ასომთავრული ნიშანი, რომელიც ასე იკითხება: „გიორგი ძე თამარისა... ოცდა ათს“ (ქრონიკონსა 430=1210 წელს).

ზ უ რ გ ი: ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული წარწერა: „წელსა ექვსას ექვსსა“ (=1209/1210). ფურცლებს შორის სეგმენტებში მეორე არაბული ზედწერილია: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა“. ირგვლივ რკალი.

მონეტაზე მოთავსებული მეფის გამოსახულება თითქმის მთლიანად გადაღებულია წინა პერიოდის ბიზანტიური მონეტებიდან და, რადგან ანალოგიური გამოსახულება ტრაპიზონის საკეისროს ფულზე ჩნდება მხოლოდ XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში, გამოდის, რომ სამონეტო ტიპი ჯერ ჩვენში გაერცელდა და მხოლოდ შემდეგ — ტრაპიზონში. ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან დაგვირგვინდება მომავალში ერთ-ერთი სამონეტო ტიპის წარმოშობისა და ვინაობის ახსნის დროს.

ლაშა გიორგის მონეტებს ახასიათებს ერთი ფრიალ საინტერესო დეტალი: თავის შთამომავლობის აღსანიშნავად ის ახსენებს თამარის ე. ი. დედისა და არა მამის სახელს. ასეთივე წარწერა მეორდება რუსუდანის მონეტებზედაც, რის შემდეგ ეს ორიგინალური და, რამდენადაც გვახსოვს, მსოფლიო ნუმიზმატიკაში უნიკალური მოვლენა ქრება.

გიორგი III, თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტებს ძალიან ფართო გაერცელება ჰქონია: ამ მონეტების ცალკეული ცალები ისევე, როგორც ფულადი განძები, უხვად ჩნდება საქართველოს მიწა-წყალზე, მის ყმადნაფიც ქვეყნებისა და ზოგჯერ მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზედაც კი.

საფიქრებელია, რომ ისევე, როგორც გიორგი III დროს, თამარისა და ლაშა გიორგის დროინდელი, წესიერად მოჭრილი მონეტებიც ვერცხლის დრამის მაგივრობას ასრულებდნენ. ყოველ შემთხვევაში 1218 წლით დათარიღებული კათალიკოს ეპიტაქსის წარწერა ანისის ტაძარზე გვიმოწმებს, რომ „თბილურ დრამებს“ სავალდებულო მიმოქცევის უფლება ჰქონია.

ნუმიზმატიკური მასალის ქრონოლოგიური თანამიმდევრობა რომ არ დაირღვეს, აქვე შევეხებით მონეტას, რომელიც არც გარეგნულად და არც შინაარსით ქართული არ არის, მაგრამ მასზე აღბეჭდილია უცხო მფლობელის სახელი, რომელმაც ჩვენს წარსულზე წარუხოცელი კვალი დასტოვა და ყველა ნიშნას მიხედვით ფულს თბილისის ზარაფხანაში ჰკრიდნენ. ამიტომ ქართულ ნუმიზმატიკასთან ამ ნიმუშს მჭიდრო კავშირი აქვს.

ცნობილია, რომ რუსუდანის მმართველობა ჩვენი ქვეყნისთვის ბედკარული გამოდგა: ჯერ კიდევ მონღოლთა საბედისწერო შემოსევამდე ბაგრატიონთა აყვავებული სახელმწიფოს საფუძვლები ჯალალ ედდინის მოულოდნელმა თავდასხმამ შეარყია.

მონღოლთა ძლევამოსილი შეტევის შედეგად, საკუთარ სამშობლოდან განდევნილმა ზვარაზმის უფლისწულმა ჯალალ ედდინმა თავისი ლაშქრის ნარჩენით სპარსეთი დაიმორჩილა და ბოლოს, საქართველოს საზღვრებს მოადგა, დაიპყრო მთელი მისი აღმოსავლეთი ნაწილი თბილისითურთ და რუსუდან დედოფალი მთელი სამეფო კარით იმერეთს განდევნა. გამარჯვებულ მტერს ხელთ ჩაუეარდა უზარმაზარი დავლა და, როგორც ჩანს, მთელი სახელმწიფო

ხაზინა. რომელიც საკუთარი მონეტების მოსაჭრელად გამოიყენა; ხელში ჩა-
ვარდნილი ქართული ფულის მთელი მარაგი ქალალ ედდინმა ზარაფხანაში ხე-
ლახლა გადაამუშავა და ქართულ მონეტებზე ახალი სიქის დარტყმის საშუა-
ლებით საკუთარ მონეტად აქცია.

გავრცელებული აზრით, ქალალ ედდინის მონეტების გადაჭედვის დროს
მხოლოდ უწესოდ მოჭრილ ქართულ მონეტებს იყენებდნენ; წესიერად
მოჭრილი მონეტები ამისათვის არ უხმარიათ. მაგრამ უკანასკნელ დროს საქარ-
თველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული ნიმუშებით ირკვევა, რომ თუმცა
ქალალ ედდინის სამონეტო პროდუქცია ძირითადად უწესო მონეტებიდან
არის გადაჭედილი, მაგრამ იშვიათ შემთხვევებში წესიერად მოჭრილი, კერ-
ძოდ გიორგი III-ის და თამარის მონეტებიც გადაჭედილა (საქართველოს სა-
ხელმწიფო მუზეუმის საინვ. №№ 2871—2873). ვიძლევი ამ ფართოდ გავრცე-
ლებული სპილენძის მონეტის აღწერილობას:

№ 76. მონეტის შ უ ბ ლ ი: შემორკალული ორსტრიქონიანი არა-
ბული ზედწერილი: „სულტანი /უზენაესი“ შემოვლებულია მეორე არა-
ბული ზედწერილით: „იქედა ესე დირჰემი წელსა ექვსას ოცდასამსა“
(= 1226 წელს);

ზ უ რ გ ი: შემორკალულა ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:
„ქალალ ად დუნია/ ვედდის“ შემოვლებულია მეორე არაბული ზედწე-
რილით: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი
და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალალ ედ-დინის სიქის ქვეშ შერჩენი-
ლია ლაშა გიორგისა ან თამარის ფულის დაუზიანებელი წარწერების ნაწყვე-
ტები. იშვიათ შემთხვევებში ჩნდება გიორგი მესამისა და დემეტრე პირველის
მონეტის დეტალებიც.

ცნობილია, ქალალ ედდინის მონეტის იშვიათი ვარიანტი, რომელზედაც
შუბლის გარშემოვლებული ზედწერილი გადანაცვლებულია მონეტის ზურგზე
და პირიქით (იხ. ტაბულაზე მოცემული №77 გამოსახულება; საქართველოს სა-
ხელმწიფო მუზეუმის საინვ. №№ 2874, 4193).


საქართველოში ქალალ ედდინის თარეშმა დიდხანს არ გასტანა. სულ
მალე იგი საქართველოდან გააძევეს და რუსუდან დედოფალი თავისი კარით
თბილისს. დაუბრუნდა. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, სამი წლით ადრე, რუ-
სუდანის დროს მონეტის მოჭრის საქმიანობაში ორი შესამჩნევი ცვლილება
ხდება: 1. შეწყდა უწესოდ მოჭრილი მონეტების გამოშვება და 2. ამის შემ-
დეგ, სულ მალე, ვერცხლის ფულიც გაჩნდა.

მართალია, ეს ე. წ. „წესიერად“ მოჭრილი მონეტა დაკანონებულ ზომასა
და წონას მტკიცედ არ ინარჩუნებდა და ზოგჯერ კუთხოვანი ფირფიტებიდანაც
კი მზადდებოდა, მაგრამ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი ამ ახ-
ლადშემოდებულ პრინციბს არ არღვევს. ის გარემოება, რომ რუსუდანის სპი-
ლენძის ნიმუშები ზოგჯერ კუთხოვანი, არასწორი მოყვანილობის ფირფიტი-
დანაა გამზადებული და წონითო რემედიუმში საგრძნობლად მერყევი-
ა (1—16 გრ), ალბათ იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში ფულის მოსაჭრელ
მასალად ძველ, უწესოდ მოჭრილ და ხმარებიდან გამოსულ მონეტებს იყენებ-
დნენ (მაგალითად, საინვ. №№ 3335—3337). ამ სპილენძის მონეტის გარეგნუ-
ლი სახე ასეთია:

№ 78. მონეტის შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ასომთავრულად რუსუდანის დაქარაგმებული სახელი — რსნ, ხოლო ორნამენტის ბუდეებში შემოკლებითი თარიღია „ქორონიკონ-სა 447“ (= 1227 წ.).

ზუგო: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, /შვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, / რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი, / განადიდოს დემეტრთან ძლევანი მისნი“. ირგვლივ რკალია.

საინტერესოა ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, სწორედ რუსუდანის დაქარაგმებული სახელის ზემოთ მოთავსებული მცირე ზომის ხვეული, რომელსაც მკვლევარნი სხვადასხვანაირად ხსნიდნენ, — ე. პახომოვი, მაგალითად, ფიქრობდა, რომ აქ შენიღბული მუსლიმანური ფორმულაა. მაგრამ ხვეულის ჭეშმარიტი დანიშნულება გაიხსნა, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა უნიკალური დრამა დამახასიათებელი დეტალებით (აღწერილი გვექნება ქვემოთ № 83-ით). გამოირკვა, რომ ისევე, როგორც თამარის მონეტაზე, მოთავსებულია დედოფლის „ხელოთვა“; ამრიგად, აქაც რუსუდანის „ფაქსიმილესთანა“ გვაქვს საქმე, რომელიც მის სახელში შემავალ ყველა ასოს შეიცავს. დამაჯერებლობისათვის ქვემოთ მოყვანილია ამ ცენტრალური „ხვეულის“ ჩანახატი და მისი სრული გახსნა:



ამ ტიპის მონეტა ისეთი დიდი რაოდენობით ყოფილა გამოშვებული, რომ ცნობაში მოყვანილ სახესხვაობათა დაწვრილებით აღწერას სპეციალური წიგნი დაჭირდებოდა. მხატვრულად და ფაქიზად შესრულებული ნიმუშებიდან მოკიდებული, ვიდრე უხეშად და ზოგჯერ ბარბაროსულად დამახინჯებულ ცალეხამდე, ეს უზარმაზარი მასალა მონეტის ნაკეთობის ყველა საფეხურს შეიცავს. ყოველივე ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თარიღი, რომელიც პირველად მონეტაზე 1227 წელს გაჩნდა, უცვლელად რჩება რუსუდანის დედოფლობის ბოლომდე და სულ უკანასკნელ მის მონეტებს ისეთივე თარიღი უზის, როგორც პირველს. საფიქრებელია, რომ ზოგიერთი უხეში ნიმუში მინაბადის სახით სადმე საქართველოს საზღვრებს გარეთ იჭრებოდა, ან იმდროინდელი კერძო ფალსიფიკატორების პროდუქციას წარმოადგენდა. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოგიერთი ცალი (საინვ. № 1979, 3331—3332) აშკარად იმდროინდელი ნაყალბია. ამ ჯგუფის რამდენიმე სხვადასხვაგვარ ვარიანტს მაინც დავასახელებთ: ჩნდება ოქროსფერი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული (და არა მოჭრილი) ცალები, ას.უ. ნ. ქორონიკონში ხშირად შებრუნებულია, თარიღში დაშვებულია შეცდომა და 447 ქორონიკონის ნაცვლად ამოკვეთილია 437 ქორონიკონი (= 1217 წ.), ე. ი. თარიღი, რომელიც ლაშა გიორგის მეფობას ეკუთვნის. ტაბულაზე მოცემულია ერთ-ერთი ასეთი სანიმუშო ვარიანტის გამოსახულება № 79.

მრავალი მოყვანილობის ლითონის ფირფიტას სიქა ხშირად აქაც სწორად არ უდგებოდა და, ასეთ შემთხვევებში მონეტაზე აღბეჭდილი ორნამენტი ან წარწერა მონეტის კონტურის გარეთ რჩებოდა. რუსუდანის სპილენძის მონეტისათვის ასეთი შემთხვევები ძალიან დამახასიათებელია და ცალეები, რომლებმაც სიქა მთლიანად შეინარჩუნეს, შედარებით იშვიათია.

ზემოთ უკვე ნათქვამი გეჰონდა, რომ თითქმის ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ქართული ვერცხლის ფული არ იჭრებოდა და ხელახლად მხოლოდ რუსუდან დედოფლის დროს გაჩნდა. მეზობელ აღმოსავლურ ქვეყნებში ამავე დროს გაჩენილი ვერცხლის დირჰემის მსგავსად, ჩვენში ამ დროს შემოდებული დრამის ნორმალური წონა 2,35 — 2,70 გრ შორის მერყეობს და მაღალი სინჯის ვერცხლისაგან იჭრება. რუსუდან დედოფლის დრამის ძირითადი ტიპი შემდეგნაირია:

№ 80. მონეტის შუბლი: ქრისტეს წელზევითი შარავანდედიანი გამოსახულების ირგვლივ რკალია, რომლის გარეთ განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისაითა იქედა ქორონიკონსა 450“ (= 1230 წ.).

ზურგი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, რომელიც მოგვაგონებს თამარ დედოფლის 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ამოკვეთილ ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს, მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „რ-ს-ნ-“ (ასომთავრულით). ირგვლივ გარშემოვლებულია არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, შეენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

მრავალნაირ ვარიანტად წარმოდგენილი ეს დრამები სხვადასხვანაირი წვრილობანი, მაგრამ დამახასიათებელი ნიშნებით განსხვავდება. გვხვდება გარშემოვლებული ქართული ზედწერილის სიტყვების სხვადასხვანაირი დაგარაჟმება, ორნამენტული ჩარჩოს სახის უმნიშვნელო შეცვლა და სხვ. (იხ. მაგალ., №№ 81, 82). ასეთი ვარიანტების გამოსახულებანი მოთავსებულია დართულ ტაბულაზე. ამ ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ათიოდე წლის წინათ შემოსული უნიკალური ცალი, რომელიც შემდეგი სახისაა:

№ 83. წონა 2,50 გრ, საინვ. № 7804.

მონეტის შუბლი: ზემოდწერილ მონეტისაგან განსხვავებით ქრისტეს თავის ირგვლივ მოთავსებული შარავანდედი რკალს გარეთ გაღის და ჰყოფს გარშემოვლებულ ზედწერილს, რომლის შინაარსი შეცვლილია შემდეგნაირად: „სახელითა ღვთისაითა ქედაი ვეცხლი ქორონიკონსა 450“ (= 1230);

ზურგი: ცენტრში ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანია, რომელიც თამარის № 69 მონეტაზე აღწერეთ, მაგრამ აქ ამ ნიშნის შუა ბუდე გაფართოებულია და შიგ მოთავსებულია რუსუდან დედოფლის სახელის ყველა ასოს შემცველი რთული მონოგრამა. გარშემოვლებული არაბული ზედწერილი უცვლელი დარჩა.

რუსუდან დედოფლის № 78 სპილენძის მონეტის ორნამენტში ჩაქსოვი.

ლი „ხვეულის“ გახსნაში და ქემპარიტი დანიშნულების გაგებაში დიდი დახმარება გაგვიწია ზემოაღწერილი დრამის ზურგზე მოთავსებულმა მონოგრაფამ და თ. ბარნაველის მხარდაჭერამ.

ამ დრამის ვარიანტთა სიმრავლის მიუხედავად, უშუალოდ თვითონ ნიმუშები არც ისე ხშირად ჩნდება და საკმაო იშვიათობას წარმოადგენს. ბევრად უფრო იშვიათია ორიოდ ცალად ცნობილი ამ მონეტის წილაღები — ნახევარდრამიანები, რომლებიც აღწერილისაგან განსხვავდება შესაბამისად მცირე ზომითა და წონით (1,25—1,30 გრ) და მონეტის შებლისა და ზურგის გარშემოვლებული ზედწერილის უქონლობით (იხ. № 84 ტაბ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საინგ. №№ 1575 და 2022).

დანარჩენ წვრილმან ვარიანტებს უკვე აღარ აღწერთ და ზემოთ მოყვანილი მაგალითებით დაეკმაყოფილდებით.


ქართული ნუმიზმატიკის ეს მონაკვეთი დაუსრულებელი დაგვრჩებოდა, ეგრეთ წოდებული დამღების შესახებ რამდენიმე მოკლე ცნობა რომ არ მოგვეყვანა. ქართულ ფულზე ეს დამღები ანუ კონტრამარკები, როგორც ირკვევა, თამარის დროს გაჩნდა და განსაკუთრებით რუსუდანის მეფობის დროს გავრცელდა.

სპეციალურად დამზადებული პუნსონის საშუალებით მონეტაზე დანაბეჭდის ანუ კონტრამარკის დარტყმა, ე. ი. მონეტის რაიმე მიზნით დადამღვა უძველეს დროიდანვე იყო მიღებული. სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ასეთი დამლადაკრული ძველი ბერძნული და რომაული მონეტები საკმაო რაოდენობით არის გადარჩენილი. დამღის დაკვრა ბიზანტიურ აღრინდელ და სასანურ მონეტებზე უკვე ნაკლებად არის მიღებული, ხოლო ომაიანთა და აბასიანთა არაბეთში ეს ჩვეულება გავრცელებული არა ჩანს. მონეტის დადამღვას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: ან წინამორბედების მიერ გამოშვებულ და უკვე ბრუნვიდან გამოსულ, ასე ვთქვათ, „მკვდარ“ მონეტას (რომელსაც თავის დროზე უდამღოდაც განსაზღვრული ფასი ჰქონდა) ამ უბრალო ხერხით აცოცხლებდნენ და ბრუნვის უნარს უბრუნებდნენ, ან უცხოურ მონეტას დამღავდნენ საკუთარი ფულის ნიშნად გამოსაცხადებლად, ან მონეტის რეალური ღირებულების ნომინალის ასაწევად და იძულებითი კურსით გასაღების მიზნით. ცხადია, რომ წმინდა ეკონომიური მოსაზრებებით გამოწვეული დადამღვის ეს მარტივი და უბრალო ხერხი საგრძნობლად ამცირებდა ახალი მონეტის გამოშვების ხარჯებსაც.

XII საუკუნის დასასრულს ჩვენში შემოღებული დადამღვის წესი მონეტათა ორივე ჯგუფზე ვრცელდება: უწესოდ მოჭრილი მონეტებისათვის ერთი სახის პუნსონებს ხმარობდნენ, ხოლო წესიერად მოჭრილი მონეტებისათვის — მეორე სახისას. დარღვევა ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდებოდა და, ალბათ, უბრალო ტექნიკური მიზეზებით აიხსნება. ძველ საქართველოში მონეტათა დადამღვის ხმარების ქრონოლოგიური ჩარჩოების აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ეს ჩვეულება ხანგრძლივი არ ყოფილა; უმთავრესად დადამღულია თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტები. დემეტრე პირველის, გიორგი მესამისა და დავით ნარინის მონეტების დადამღვის ძალიან იშვიათი შემთხვევები, ალბათ, იმავე ტექნიკური მიზეზებით აიხსნება.

მონეტის დადამღვის შემოღება საყოველთაოდ დაკავშირებულია რაიმე კრიზისთან და ეკონომიური მეცნიერების კვლევის საგანს შეადგენს. ვინაიდან

ქართულ ნუმისმატიკაში ეს საკითხი არსებითად დღესაც გაურკვეველ მდგომარეობაშია, მის დაწვრილებით განხილვას არც ჩვენ შევეუდგებით. საჭიროდ ვთვლით მხოლოდ აღენუსხოთ ამ დამღების სახეობანი და მოვიყვანოთ მოკლე



ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი როდის და, სახელდობრ, რა მონეტაზე ჩნდება. მოგვყავს ამ დამღების ჩანახატები და მათი მოქმედების გავრცელება. №№ 1, 2, 8 და 9 დამღები მხოლოდ უწესოდ მოჭრილი თამარის 1187 წ. და 1210 წ. მონეტებზე გვხვდება; სხვა სახის დამღები ამ მონეტებზე ჯერ არ აღნუსხულა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ძალიან იშვიათ შემთხვევაში № 9 დამღა დემეტრე პირველისა, გიორგი III და გიორგი მესამისა და თამარის (ერთად) სახელით აღბეჭდილ უწესოდ მოჭრილ მონეტებზედაც გვხვდება და. როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, შეგვხვდა ერთხელ ლაშა გიორგის წესიერად მოჭრილ მონეტაზედაც („ჩაეახთ უფლის“ ტიტულით), რომელიც საერთოდ არ იდამღებოდა.

№№ 3—7 დამღები მხოლოდ თამარისა და დავით სოსლანის სახელით აღბეჭდილ, წესიერად მოჭრილ მონეტებისთვის ყოფილა განკუთვნილი; № 6 დამღა უდავოდ რუსუდანის სახელის დაქარაგმებას წარმოადგენს; ეს დამღა შედარებით იშვიათად იხმარებოდა და ყოველთვის თამარისა და დავითის უხეშად შესრულებულ ნიმუშებზე. ამავე მონეტებზე №№ 7 და 10 დამღების შემთხვევა მხოლოდ თითოჯერ არის აღნუსხული.

სომხეთში, გარნისის გათხრების დროს ნაპოვნი იყო თამარისა და დავით სოსლანის წესიერად მოჭრილი მონეტა უცნობი, არაბულწარწერიანი დამღით. წარწერა ჯერჯერობით ამოკითხული არ არის, ამიტომ დამღის გამოსახულება მოყვანილი არაა.

№ 7 დამღის გამოყენების ფაქტი ამჟამად ჩვენ არ მოგვეპოვება, მკვრამ ამ ორმოციოდე წლის წინათ ენახეთ თამარისა და დავითის მონეტა, რომელზედაც აღნიშნული დამღა მკაფიოდ ჩანდა. სამწუხაროდ, სულ უბრალო მიზეზის გამო ამ მონეტის შექმნა ვერ მოხერხდა და ეს ნიმუში ახლა გამქრალია. ხოლო № 10 დამღიანი მონეტა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია. თამარისა და დავითის უქორონიკონო მონეტებზე ძირითადად № 3 დამღაა, ხოლო უფრო იშვიათ შემთხვევაში №№ 4 და 5-იც არის. საერთოდ, თამარისა და დავითის წესიერად მოჭრილი მონეტები ზოგჯერ დაუდამღავიც რჩებოდა.

№№ 8 და 9 დამღები ძალიან ხშირია ლაშა გიორგის უწესოდ მოჭრილ მონეტებზე, რომლებზედაც მხოლოდ ერთხელ, როგორც გამოჩაკლისი, № 1 დამღაც შევნიშნეთ. მაგრამ ეს უკანასკნელი დამღა უცნაურად გამოიყურება, რადგან თვითონ მონეტაც იმდროინდელი ფალსიფიკატორების ნახელავი უნდა

იყოს (იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საინვ. № 214). ამიტომ ეს შემთხვევა ტიპიურ მაგალითად ვერ ჩაითვლება.

ამ საეპეო შემთხვევის გარდა ლაშა გიორგის მონეტები №№ 1—2 დამლით აღარ შეგვხვდრია. ამიტომ აშკარაა, რომ ეს დამლები მხოლოდ თამარ დედოფლის უწყსოდ მოჭრილ მონეტებისთვის ყოფილა განკუთვნილი და ამავდროსვე შემოღებული.

რუსუდან დედოფლის მონეტებზე ხშირია დამლები №№ 10 და 11, რომლებიც ძალიან იშვიათ შემთხვევაში დავით ნარინის სპილენძზედაც ჩნდება; მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა შეიძლება იმითაც ავხსნათ, რომ დავით ნარინის მონეტის მოსაჭრელად რუსუდანის მონეტა იყო გამოყენებული. ასეთივე შემთხვევას უნდა მივაწეროთ რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტაზე № 2 დამლის გაჩენა (საქართველოს სახ. მუზეუმის საინვ. № 3175). რუსუდანის ვერცხლის დრამებზე ზოგჯერ მოთავსებულია № 10 დამლა. უცნაურია, რომ დრამაზე მოთავსებული ეს დამლა ზოგჯერ მონეტის მოჭრის შემდეგ კი არ არის დარტყმული, არამედ ამოჭრილი ყოფილა სიქაზე მონეტის დანარჩენ დეტალებთან ერთად. მონეტის მოჭრამდე სიქაზე ასეთი წინასწარი დამლის დამზადების დანიშნულება სრულად გაუგებარია.

ხშირად ერთი და იგივე მონეტა ორი სხვადასხვანაირი დამლით ინიშნებოდა. ეს დამლები ან ერთიმეორეს ეხებოდა, ან, თუ მოპირუაპირე მხარეებზე მოდიოდნენ, ერთიმეორეს სრესდა და ეუუადა. ამ შემთხვევებში შესაძლებელი ხდება დამლების ხმარებაში შემოღების თანამიმდევრობის დადგენა, რადგან უფრო გვიან შემოღებული დამლა, ბუნებრივია, უფრო აღრინდელს ზემოდან აწევბოდა.

დამლების შესახებ, არსებითად, აქ მხოლოდ ზოგადი ცნობები გვაქვს მოყვანილი, რადგან ზოგიერთი მათგანის დანიშნულება და შინაარსი ჯერ კიდევ გაუხსნელი და გაუგებარი რჩება. მაგალითად, №№ 1, 2, 7, 10 და 11 დამლები, რომლებიც სრულიად გარკვეულ ქართულ ნიშნებს შეიცავენ, დღემდე აუხსნელია; გაუგებარია აგრეთვე № 4 დამლა, სადაც შეერთებულია ქართული დონი და არაბული სინი; რას ნიშნავს № 8 რთული ორნამენტო, რომელიც მთლიანად შესულია რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტის ნახატში, არც ეს არის გარკვეული; № 9 დამლას რომ დავაკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ ის ზემოხსენებული ორნამენტის ცენტრში მოთავსებული ხვეულის განმეორებაა და, მამსადაძვე, რუსუდანის ვენზელის სტილზხაციას წარმოადგენს.

საინტერესოა ამ უკანასკნელი დამლის დანიშნულებისა და შინაარსის გახსნის ისტორია; ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ ფრანგმა ნუმისმატმა ვ. ლანგლუამ ეს დამლა რუსუდანის „შიფრად“ მიიჩნია, მაგრამ არაერთარი ახსნა გარდა იმისა, რომ ამ დამლის ნახატი რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ორნამენტის ნაწილია (იხ. № 78 მონეტის ორნამენტის ცენტრში მოთავსებული ხვეული), მას არ მოუყვანია დამაჭერებლად. ბედნიერ შემთხვევას ადგილი რომ არ ჰქონოდა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს რუსუდან დედოფლის № 83 უნიკალური დრამა რომ არ შეეძინა. ამის ახსნას ალბათ ვერც წვენ შევძლებდით.

ქართული კონტრამარკებით უცხო მონეტების დადამღვის შემთხვევები შედარებით ხშირი მოვლენაა. ირკვევა, რომ XII და XIII საუკუნეებში ჩვენში გავრცელებული სელჯუკური, შარვანული, ილდიგიზიდური და ბიზანტიური

სპილენძის მონეტათა გარკვეული ნაწილი №№ 8—11 დამღებით არის აღბეჭდილი.

ასეთია საერთოდ ძალიან მოკლე და ზოგადი ცნობები XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დამდეგის ქართულ მონეტებზე დარტყმული დამღების შესახებ. ამ დამღების შინაარსის გახსნა, მათი მნიშვნელობის განმარტება და დანიშნულების გარკვევა ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ეს განაკვეთი მთავრდება მონღოლთა შემოსევის წინა პერიოდში მოჭრილი მონეტებით.

მონღოლთა გატარების დროინდელი ქართული ფული

XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში მონღოლთა შემოსევამ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებასა და პოლიტიკურ ზრდას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა. საქართველო ჯერ უშუალოდ დიდ ყაენებს ექვემდებარებოდა, ხოლო შემდეგ, 1256 წლიდან სპარსეთის ელჩანთა გავლენის სფეროში მოექცა და უარეს პირობებში ჩაეარდა. თითქმის ორნახევარი საუკუნის მანძილზე იბრძოდა ქართველი ერი თავისი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და კულტურის შესანარჩუნებლად.

ჩრდილოეთით დიდმა რუსეთმა, ხოლო სამხრეთით იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერმა საქართველომ საგრძნობლად შეასუსტეს მომთაბარე დამპყრობლების ევროპაზე შეტევა და ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს დასავლეთის ქვეყნებს. მაგრამ ქართველ ერს ამ თავგანწირულმა ბრძოლამ უდიდესი ზიანი მიაყენა... საქართველო ახალ ისტორიულ გარემოცვაში მოექცა, რის შედეგად მისი პოლიტიკური სიძლიერე დაეცა და მისი ეკონომიური კეთილდღეობა და კულტურული ზრდა დიდი ხნით შეფერხდა.

იმ პრისხანე მოვლენებმა, რომლებიც იმ დროს ჩვენ ქვეყანას თავს დაატყდა. წარუხოციელი კვალი დატოვეს საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნობა და ზედწერილების შინაარსი; ამდროინდელი ქართული მონეტა განსაკუთრებული სიმართლითა და სიწრფელით გადმოგვცემს ტრაგედიას, რომელიც ჩვენმა ერმა განიცადა XIII—XIV საუკუნეებში; არანაკლები სიმძლავრით მეღავნდება ჩვენი წინაპრების გმირული სიდიადე და მათი თავგანწირული, შეუპოვარი ბრძოლა ღირსებისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად.

შესაბამისად ახლად შექმნილი პირობებისა, იწყება პარალელური, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და სრულიად განსხვავებული მონეტების ორი სერიის გამოშვება.

1. ეროვნული ხასიათის მონეტებისა, რომლებზედაც ქართველ მეფეთა სახელებია აღბეჭდილი და

2. უცხო ნიშნების ყაიდაზე საქართველოშივე მოჭრილი და უცხო მფლობელთა სახელებით (ჯერ ჩინგიზიდთა, ხოლო შემდეგ ჰულაგუიდთა) აღბეჭდილი მონეტებისა, მუსლიმანური ან მონღოლური წარწერებით. მიუხედავად ასეთი უცხო გარეგნობისა, ეს მონეტები მაინც თავისებური ქართული იერით ხასიათდება.

მონეტათა ეს ორი ძირითადი სახე, რომლებიც ჯერ კიდევ საქართველოს გაყოფამდე გაჩნდა, XIII საუკუნის მთელ მანძილზე იჭრებოდა, ხოლო ზოგიერთი მათი ტიპი XIV საუკუნეში გადავიდა. ამრიგად, საქართველოს გაყოფამდე შემოღებული ეს წესი შემდეგშიც მტკიცედ დამყარდა.

არსებითად ორი სხვადასხვა სერიის მონეტათა ერთ განაკვეთში გაერთიანება დასახული სქემის ერთგვარ დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ ეს გამოწვეული იყო მასალის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შენარჩუნების მიზნით. სხეანაირი განლაგება ხშირ განმეორებებს გამოიწვევდა და საგნის ათვისებას საგრძნობლად გაართულებდა.

რუსულან დედოფლის დრამების შემდეგ ჩნდება ასეთივე ზომისა და წონის დრამები, რომლებზედაც მხოლოდ მუსლიმანური ზედწერილებია. თბილისში მოჭრილი პირველი ასეთი მონეტა დათარიღებულია 637 ჰიჯრით (=1239/40 წწ.). თარიღისა და მოჭრის ადგილის (თბილისი) გარდა მონეტის შუბლზე არაბული ზედწერილია: „ყაან სამართლიანი“. დამახასიათებელია, რომ თვითონ ყაანის სახელი მონეტაზე აღნიშნული არ არის. აქვე მოცემულია მოზიდული მშვილდის გამოსახულება. მონეტის ზურგზე მუსლიმანური სიმბოლოა არაბულად: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი, მოციქული ალაჰისა“ (იხ. ტაბ. № 85—86).

ხუთი წლის შემდეგ, კერძოდ, ჰიჯრის 642 წელს (=1244/45 წწ.) თბილისური დრამის ტიპი იცვლება: ზემოაღწერილი დრამის ზომა, წონა და ძირითადი ელემენტები უცვლელი რჩება, ოღონდ მშვილდს აქ სცელის გაქვნივლულ ცხენზე მჯდომი მშვილდოსნის უფრო რთული გამოსახულება, რომლის ზემოთ მოთავსებულია თურქული ზედწერილი: „(ულულ) მანგილ ულუს-ბეკ“ (ე. ი. „ულუს-ბეკი დიდი მონღოლის სახელით“). ზურგზე არაბულად—ისეთივე მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო, როგორც ზემოაღწერილზე (იხ. ტაბ. № 87).

მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი მონეტების უმრავლესობას ცუდად შემორჩა, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ საკმაოდ იშვიათ მონეტებს, თბილისის გარდა სხეაგანაც, სახელდობრ, განჯაში, ნახჭევანსა და სხეა ქალაქებშიც ჭრიდნენ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მომდევნო 643 ჰიჯრით დათარიღებული მესამე ტიპის უსახელო დრამა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცალად არის ცნობილი, წონა — 2,61 გრ.

№ 88. შ უ ბ ლ ი: ორი პარალელური ხაზისაგან შემდგარი ექვსსხივიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავის ცენტრში — ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ყაან სამართლიანი“.

ზ უ რ გ ი: სამსტრიქონიანი არაბული რელიგიური სიმბოლო ისეთივეა, როგორც ზემოაღწერილ ორ ცალზე. ეს ზედწერილი მოთავსებულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომელიც შემოვლებულია რკალით. რკალსა და ჩარჩოს შორის შექმნილ სეგმენტებში არაბულად: „იჰედა თბილისს, წელსა ექვსას ორმოცდა სამსა“ (=1245/46 წწ.).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილ სამ მონეტაზე აღბეჭდილი ამ სახის მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო (სადაც მუჰამადის სახელია მოხსენებული) XIII საუკუნის თბილისურ მონეტისათვის გამოწვევის წარმოადგენს.

მეორე ტიპის დრამასთან ერთად, უკვე სულ სხვა სახის სპილენძის მონეტაც ჩნდება;

№ 89. მონეტის შუბლი: ცენტრში ასომთავრული ასო დონისა და თანის შეწიადებული დაქარაგმება დავითის სახელს წარმოადგენს; ირგვლივ მოთავსებულია არაბულ-სპარსული ზედწერილი: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა, დავით მეფე“;

ზურგის: ასეთივე არაბულ-სპარსული ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: „ქალაქსა დმანისს, /ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან/ (წელსა) ექვსას ორმოცდა ორსა“ (=1244/1245 წლები).

ამ მონეტის შუბლის ქვედა ნაწილში ხშირად 445 ქორონიკონია მოთავსებული, რომელიც 1245 წელს უდრის და ზოგჯერ ამავე მონეტის ზურგის მხებუთე სტრიქონზედაც მუსლიმანური თარიღის გვერდით მეორდება. უკანასკნელ შემთხვევაში თარიღი ხშირად შებრუნებით არის ნაჩვენები.

სამი წლის შემდეგ სახელდობრ 645 ჰიჯრას (=1247/1248 წწ.) ასეთივე ტიპის მონეტას უკვე თბილისის ზარათუხანაც უშვებს, მაგრამ ქართულ ქორონიკონს აქ აღარ ათავსებენ. ზემოაღწერილისაგან ეს მონეტა მხოლოდ დასახელებული ნიშნებით განსხვავდება (მოჭრის ადგილი — თბილისი, თარიღი—ჰიჯრის 645, ქორონიკონი არ ახლავს), ამიტომ მას უკვე აღარ აღვწერთ და ტაბულაზე მოთავსებული № 90 გამოსახულებით დავეკმაყოფილებით.

დავით ნარინის სპილენძის მონეტის მოსაჭრელად ხმარებიდან გამოსულ მონეტებსაც იყენებდნენ. ზოგჯერ დავით ნარინის სიქის ქვეშ შევნიშნავთ რუსუდან დედოფლის მონეტის გადარჩენილ დეტალებს. ამიტომაცაა, რომ დავით ნარინის სპილენძის მონეტათა წონითი რემედიუმი შესამჩნევ გადახრებს იძლევა. ალბათ ამავე მიზეზით აიხსნება, რომ დავითის ზოგიერთ ნიმუშზე № 10 დამლას შევნიშნავთ; ეს იმითმაც ხდებოდა, რომ ახალი სიქა საკმარისი სიმძლავრით არ დასწოლია ძველ მონეტას და დამლა დაუზიანებელი რჩებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოებაც — დავით ნარინის სახელით თბილისში მოჭრილ მონეტებთან შედარებით დმანისში მოჭრილი მისივე მონეტები საერთოდ უფრო სრულწონიანი და ტექნიკურადაც უკეთ დამუშავებული ჩანს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია ამ მონეტის საინტერესო ვარიანტი, რომელსაც თარიღი სულ არა აქვს. ეს ცალი ეტყობა გამონაკლისს წარმოადგენს. ზედწერილის („ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან“) ქვემოთ, იქ, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის ჰიჯრით გადმოცემული თარიღია მოთავსებული, არის ორნამენტი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მონეტის წარწერები საერთოდ დაუდევრადაა შესრულებული და იმდენად დამახინჯებული, რომ იმის გარკვევა, მონეტა დმანურია თუ თბილური — ძნელია. შესაძლებელია, რომ ეს მონეტა რომელიმე სხვა ზარათუხანაში მოიჭრა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მონეტა იმდროინდელ ნაყალბევს წარმოადგენდეს. უკანასკნელ ვარაუდს ისიც უწყობს ხელს, რომ ცნობილია იმდროინდელი აშკარად ყალბი ცალები.

ქართული ქორონიკონით აღბეჭდილია დავით ნარინის ვერცხლის დრამებიც, რომლებსაც მხოლოდ თბილისის ზარათუხანა ჰყრიდა.

ვიძლევიტ ამ შედარებით იშვიათი მონეტის აღწერილობას:

№ 91. მონეტის შუბლი: გვირგვინოსანი მხედრის გამოსახუ-

ლება მარჯვნივ. ზედა ნაწილში — დავითის სახელის შეწიალებული და-
ქარაგმება, ქართული ასომთავრულით 467 ქორონიკონი (=1247) და
ექვსკიმიანი ვარსკვლავი.

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „ძალითა
ღვთისათა, / მონა გუიუქ/ ყაენის მთავრობისა, / მეფე დავითი“. ზედწერილის
გვერდით მარჯვენა მხარეს სპარსულადევა მოჭრის ადგილი: „იჰედა თბი-
ლის“.

ქართულ მონეტაზე გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულების გაჩენას სა-
კითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს და ამას სპეციალური შესწავ-
ლა ჰქონდა. ამ გამოსახულებას ჩვენ ვხვდებით XII საუკუნის მეორე ნახევ-
რიდან სელჯუკურ მონეტებზე, ეს მოტივი მეორდება XIII საუკუნის სელ-
ჯუკურ, კილიკიურ, მონღოლურ, ქართულ მონეტებზე. საგანგებოდ და ხაზგას-
მით აღენიშნავთ, რომ ისევე, როგორც ლაშა გიორგის № 75 მონეტაზე მსჯე-
ლობის დროს იყო, ცხენოსნის ანალოგიური გამოსახულება ჩვენში ჩნდება ვა-
ცილებით უფრო ადრე, ვიდრე ტრაპიზონის საკეისროს XIV საუკუნის მონე-
ტებზე.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტი სითამამით დავს-
ვათ საკითხი, რომ ის სადავო მონეტა (№ 56), რომელსაც მკვლევართა უმრავ-
ლესობა მიაწერს ულუ დავითს, თავდაპირველად დავით აღმაშენებელს შე-
მოუღია და მხოლოდ შემდეგ გამოიყენეს ეს მოტივი სელჯუკებმა.

თუ გავიხსენებთ, რომ დავით აღმაშენებელმა № 55 მონეტა გამოუშვა,
რომელიც გარეგანი ნიშნებით და ზედწერილის შინაარსით მისივე დანარჩენ
მონეტებს არ ემსგავსება, ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ მას ორიგინა-
ლური ნიმუშების მოჭრაც შეეძლო.

დავით ნარინის შედარებით იშვიათი ამ დრამების ვარიანტებიდან აღსა-
ნიშნავია ქართული ზედწერილისა და მონოგრამის სხვადასხვანაირი განლაგე-
ბა; ძალიან იშვიათ შემთხვევაში მხედარი მეფის გამოსახულება მიმართულია
მარცხნივ და არა მარჯვნივ (იხ. № 92) და ა. შ.

ამ მონეტის წონითი მერყეობა (2, 40—2,70 გრ) რუსულად დედოფლისა
და იმდროინდელი სელჯუკური დრამების წონას უახლოვდება. აღსანიშნავია,
რომ უკანასკნელი მონეტები ხშირად გამოყენებულა დავითის დრამების მო-
საჭრელად — ახალი ქართული სიქის ქვეშ ზოგჯერ შეინიშნება სელჯუკთა სუ-
ლთნის ქეიხოსრუ მეორის (1236—1245 წწ.) დრამის დეტალები.

თბილური დრამის ასეთივე წონა ნარინის თანამოსაყდრე ულუ დავითის
იშვიათმა ვერცხლის მონეტებმაც შეინარჩუნა, ხოლო ეს უკანასკნელი სამო-
ნეტო ტიპი საფუძვლიანად შეცვლილია. ქართული წარწერები აქ მთლიანად
ქრება და ამ მონეტების გარეგნული სახე ძალიან მოგვაგონებს სელჯუკურ
დრამებს, რომლებსაც გადაჭედვის მიზნით ამ შემთხვევაშიც ხმარობდნენ.

№№ 93—94. მონეტის შ უ ბ ლ ი: ოთხსტრიქონიანი სპარსული
ზედწერილი: „ძალითა ღვთისათა, / მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა, / წელ-
სა ექვსას / ორმოცდაათსა“ (=1253—1254 წლები);

ზ უ რ გ ი: სპარსულადევი ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: „დავით
მეფე / ძე გიორგისა / ბაგრატიონისა, / იჰედა თბილისს“.

ასეთივე დრამები ჰიჯრას 651 და 652-შიაც იჭრებოდა.

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მონეტათა ზედწერილების

წინა პერიოდის მონეტებთან შედარება ფრიად საინტერესო სურათს იძლევა: თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანიის მონეტებზე მოთავსებული ზედწერილები ხასიათდება ამაყი ტიტულებითა და მედიდური ეპითეტებით, მაშინ, როდესაც მათი უახლოესი მემკვიდრენი, განსაკუთრებით დავით ნარინი, დამამცირებელი ეპითეტით კმაყოფილდებიან.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ისიც, რომ ულუ დავითის თანამოსაყდრე, მისი შამიდაშვილი და მოსახელე — ნარინი არაფერს ამბობს თავის ძეობაზე. ალბათ იმიტომ, რომ ის სელჯუქთა უფლისწულის (მოლის ედინი, ტოდრულ შაჰის შვილი) ძე იყო, მაშინ, როდესაც ულუ დავითი ხმამაღლა აღიარებს, რომ იგი გიორგი ლაშას ძეა და საყოველთაოდ აცხადებს ქართველ ბაგრატიონებისაგან შთამომავლობას.

საკითხი ულუ დავითის სპილენძის მონეტის შესახებ დღემდე სადავო რჩება. ნიშუში, რომელიც 56 ნომრითა გვაქვს აღწერილი და მიკუთვნებულია დავით აღმაშენებლისადმი, სპეციალისტთა უმრავლესობამ უნდობლად მიიღო. აი რას ამბობენ ისინი ამის შესახებ:

1. გვარგვინოსანი მხედრის გამოსახულებიან ამ სადავო სპილენძის მონეტას საერთო არაფერი აქვს ბიზანტიური ტიპის უდავოდ დავით აღმაშენებლის №№52—53 მონეტებთან. არც ფაქტურით, არც გამოსახულებით და არც რაიმე სხვა ნიშნით სადავო მონეტა დავით აღმაშენებლის დროს არ შეეფერება;

2. ამ სადავო მონეტის უახლოესი ანალოგია რუმის სელჯუქის ქეიხოსრუ I (1192—1200 წწ.) სპილენძის მონეტაა, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ჩვენი სადავო მონეტის პროტოტიპად;

3. სადავო მონეტაზე მოთავსებული ამაყი ტიტული და მედიდური ეპითეტა უბრალო ანარეკლია ჯერ კიდევ დემეტრე I დროიდან დამკვიდრებული ტრადიციისა. ამიტომ, რადგან ეს ზედწერილი მოთავსებულია სპილენძის მონეტაზე. რომელიც განუთვნილი იყო შინაური ბაზრისთვის და გარეთ არ გადიოდა, დავით ულუსადმი მისი მიკუთვნება სავსებით მისაღებია და ვერ ჩაითვლება ხელშეშლელ საბუთად, რომ ის XIII საუკუნით დავათარიღოთ. მით უმეტეს, რომ ულუ დავითის ევრცხლის მონეტა, რომელიც უკვე საგარეო ბაზრისთვის იჭრებოდა სულ სხვა ხასიათის ზედწერილებს ატარებდა. აქ გარკვეულადაა ნათქვამი, რომ ულუ დავითი ყაენის ვასალია და მხოლოდ მისი წყალობითა და ნებით ახორციელებს სამონეტო რეგალიას.

მაგრამ ამ მოსაზრებებს უპირისპირდება შემდეგი ფაქტები:

1. ფრანგი მეცნიერი ვ. ლანგლუა არც კი დაიკვივებულა, რომ ეს მონეტა დავით აღმაშენებელს ეკუთვნის, რადგან მას უნახავს ცალი, რომელმაც სათანადო თარიღის ნაწყვეტები შეინარჩუნა. მართალია, ამჟამად ეს ცალი თვალს მოეფარა და რადგან მსგავსი შემდგომ მკვლევართ არ შეხვედრია, ვ. ლანგლუას ცნობა და განსაზღვრა ეკვის ქვეშ დარჩა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მკვლევართა უმრავლესობამ ულუ დავითს მისცა უპირატესობა, მაგრამ უკვე ამის შემდეგ გაჩნდა ცალები, რომლებმაც თითქოს თარიღისნაირი ფრაგმენტები შეინარჩუნეს. სამწუხაროდ, ეს ფრაგმენტები იმდენად დაზიანებული და გადასულია, რომ თარიღის დაახლოებითი აღდგენაც არ შეიძლება. მაგრამ ამის შემდეგ ვ. ლანგლუას ცნობა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

2. თვითონ მონეტა თავისთავად ისეთ ნიშნებს შეიცავს, რომ დავით აღმაშენებლის უყოყმანოდ თავიდან აცილება, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარ-

რი აკეთებს, მეტი რომ არ ვთქვათ. — ნაადრევია. აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მონღოლთა ძალმომრეობის პირობებში დავით ნარინის სპილენძისა და ვერცხლის მონეტები ისევე, როგორც ულუ დავითის ვერცხლის დრამა დამამკირებელი ეპითეტებითაა აღბეჭდილი. მნიშვნელობას არაა მოკლებული ის გარემოებაც, რომ ჩამოთვლილი სამი მონეტის ზედწერილები გადმოცემულია სპარსულად. ხოლო სადავო მონეტის არაბული ზედწერილები ისეთი შინაარსისა, რომელიც მხოლოდ XII საუკუნეს შეეხება.

3. ცნობილია, რომ როდესაც რომელიმე სადავო მონეტის განსაზღვრადათარიღება რთულდება, ჩვეულებრივ ამ საკითხის დადგენა განძის შემადგენლობის საშუალებით ხერხდება ხოლმე. როგორც წესი, ყოველი განძი სამი ნაწილისაგან შედგება: მისი მთავარი ნაწილი, ე. წ. ძირითადი ბირთვი წარმოდგენილია ისეთი მონეტებით, რომლებიც განძის ჩამარხვის დროს ჯერ კიდევ „ცოცხალ“ ფულს წარმოადგენდა, ე. ი. მონეტებს, რომლებსაც ბრუნვის უნარი დაკარგული არ ჰქონდა.

განძის მეორე ნაწილი წარმოდგენილია ცალკე ერთეულებით, აღრინდელი მონეტებით, რომლებიც ჩამარხვის დროს მოძველებული იყო. მაგრამ არც ხმარებიდან გამოსულა. ასი და ზოგჯერ უფრო მეტი წლით ერთმანეთისაგან ამ ორი ნაწილის დაშორება ამდროინდელი განძებისათვის სრულიად ნორმალური მოვლენაა.

განძის მესამე ნაწილიც მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია ისეთი ცალკეებით, რომლებიც ჩამარხვის დროს შემოდიოდა ხმარებაში და ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ბუნებრივია, რომ ეს მონეტები განძის ძირითად ბირთვს ძალიან არ შორდება.

ჩვენი სადავო მონეტის დასათარიღებლად ასეთი განძის აღმოჩენა მხოლოდ ერთხელაა ფიქსირებული. მაგრამ ეს შემთხვევა იმდენად დამახასიათებელი და მაჩვენებელია, რომ მასზე საგანგებოდ შეეჩერდებით:

1953 წელს სოფ. არტაშატთან (სომხეთშია) აღმოჩენილი განძი შეიცავს შემდეგ მონეტებს:

განძის ძირითადი ბირთვი წარმოდგენილია 1136—1191 წწ. შორის მოქრილი 159 მონეტით (ილდიგიზ ათაბაგისა, სულთან არსლან იბნ ტოლრულისა, ყიზილ არსლანისა და სულეიმან სინჯარის სულთნისა):

აღრინდელ ნაწილში შედის XI საუკუნის ბიზანტიური და ერაყის სულთან ლიას ედ დინ მასუდ II (1133—1152 წწ.) თითო მონეტა;

განძის გვიანდელი ნაწილი წარმოდგენილია 1200 წელს მოქრილი თამარის სამი და ილდიგიზიდ აბუბექრის (1191—1210 წწ.) ერთი მონეტით.

აღვლი უნდა მოვეუძებნოთ კიდევ ერთ ცალს, რომელიც ამ განძის შემადგენლობაში შედის: ეს ჩვენი სადავო მონეტაა. ულუ დავითს რომ მივაკუთვნოთ, მაშინ მას განძის შემადგენლობიდან თითქმის ნახევარსაუკუნით ნოვწყვეტთ, ხოლო ხარეზი 1210 წლიდან (თამარისა და აბუბექრის დროიდან) ულუ დავითამდე განძში თავისუფალი აღმოჩნდებოდა. ამრიგად, სავსებით გასაგები ხდება, რომ ამ სადავო მონეტის ჭეშმარიტი ადგილი განძის აღრინდელ ნაწილშია და, მაშასადამე, დავით აღმაშენებლის დროს უახლოვდება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი მოსაზრებანი დამაჯერებლობას მოკლებული არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ საბოლოო

და გადაწყვეტ სიტყვას იტყვის ისეთი მონეტა, რომელმაც ვ. ლანგლუს მიერ შემჩნეული დეტალი შეინარჩუნა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მონეტის აღმოჩენაში ამ სტრიქონების მკითხველიც დაგვეხმარება.

თანამოსაყდრე ორ დავითს მიეკუთვნება კიდევ ერთი ვერცხლის მონეტა. რომელიც ძალიან იშვიათია (სულ ათიოდე ცალად არის ცნობილი). მონეტაზე მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერებია და ტიპოლოგიურად ემსგავსება წინა პერიოდის ბიზანტიურ მონეტებს. საჭიროა აქაც დავიხსოვოთ, რომ ანალოგიური სამონეტო ტიპი მეზობელ ტრაპიზონულ ნუმისმატიკაში მხოლოდ 30—35 წლის შემდეგ გაჩნდა. მაშასადამე, ეს უკვე შესაძლებელია, როდესაც ტრაპიზონში სამონეტო ტიპის შექმნას მრავალი წლით ადრე ამავე ტიპის ქართული მონეტა უსწრებს. ვიდრეც ამ ვერცხლის მონეტის აღწერა-ლობას.

№ 95. მონეტის შუბლი: მთელი ტანით პირდაპირ მდგომი ორ მეფე. მათ შორის აღმართულია ალამი. გამოსახულებათა გვერდით, მონეტის კიდეებზე დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი: მარცხნივ — „დავით მეფე“, მარჯვნივ — „მეფეთა მეფე დავით“;

ზურგი: გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი გვერდით მოთავსებული ასომთავრული ზედწერილით: მარცხნივ — „ღღი“, მარჯვნივ — „ღთსი“, ე. ი. „ღედაი ღვთისაი“.

ამ მონეტის პროტოტიპს ვ. ლანგლუა თავდაპირველად XI საუკუნის ბიზანტიურ მონეტებში ეძებდა, რის შედეგად დავით აღმაშენებელს მიაკუთვნა („Numismatique de la Géorgie...“, გვ. 17, ტაბ. 1, № 10). მაგრამ შემდგომ შეკვებულ და გადაკეთებულ თავის ნაშრომში („Essai de classification...“, გვ. 92, ტაბ. VII, №№ 9 და 10) შესწორების შეტანა დააპირა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა და მონეტა ბაგრატ V მიაკუთვნა.

მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა ყაიდაზე მოჭრილ ამ მონეტას თარიღი არა აქვს, ამ თარიღის დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. მონეტა იმ დროს უნდა მიეკუთვნოს, როდესაც აჯანყების შემდეგ დასავლეთ საქართველოში თავშეფარებული დამარცხებული გვირგვინოსანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები 1261 წლამდე ერთად განაგებდნენ ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილს. მონეტის წონაც (2,3 — 2,9) ნორმალურია XIII საუკუნის ვერცხლის მონეტისათვის.

აღნიშნული მონეტის შესამჩნევ ვარიანტს ერთადერთ ცალად ცნობილი ნიმუში წარმოადგენს, რომელზედაც ქართული ზედწერილი და გამოსახულებანი დამახინჯებულია (იხ. № 96).

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სამონეტო ტიპების ხშირხშირი შეცვლა იწყება, — 652—659 ჰიჯრას (=1254—1261 წწ.) თბილისის ზარაფხანა უშვებს მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილ დრამებს, ხოლო 652—654 ჰიჯრას (=1254 — 1257 წწ.) — ასეთივე ტიპის და ამავე სახელით აღბეჭდილ სპილენძის ფელსებს. აღსანიშნავია, რომ მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილი ეს სამონეტო ტიპი მხოლოდ თბილისში იჭრებოდა, საერთოდ კი მისი სახელით აღბეჭდილი სხვა ტიპის მონეტები სხვაგან იშვიათად ჩანს.

მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი თბილური ვერცხლის დრამის სახე ასეთია:

№ 97. მონეტის შუბლი: მორკალურ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მანგუ ყაენი/უმალღესი/სა-

მართლიანი“. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე აღნიშნულია მოჭრის ადგილი — თბილისი;

ზ უ რ გ ი: რკალისა და კვადრატის ასეთსავე შერწყმის ცენტრში — სამსტრუქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: „არ არს ღმერთი გარდა ღმერთისა მხოლოისა არ ჰყავს თანაზიარი“. აღსანიშნავია, რომ მუჰამადი აქ ნახსენები აღარ არის. სეგმენტებში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც. მანგუ ყაენის სახელის შემცველი თბილური სპილენძის ფელსები ისეთივეა, როგორც მისი ღრამები, ამიტომ ამ მონეტას უკვე აღარ აღწერთ და მხოლოდ მის №98 რეპროდუქციას მოვიყვანთ.

მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილი ღრამები და ფელსები ისევე, როგორც უფრო ადრინდელი სხვა მონეტები, გაცილებით ადრე იჭრებოდა, ვიდრე საქართველოს გაყოფა მოხდებოდა.

დამახასიათებელია, რომ ამ მონეტების ზედწერილები ხასიათდება ერთგვარი თავისებურებებით. ხოლო ზოგიერთ ცალზე უხეშად არის დამახინჯებული. ერთ-ერთი ასეთი ნიმუში აშკარად დამახინჯებული არაბული ზედწერილებით 1950 წელს ნაპოვნი იყო ბორჯომის მახლობლად და ადგილობრივ სამხარეთმცოდნეო მუზეუმს გადაეცა.

ამ დროიდან შემოღებული მონეტის ზუსტი და ორიგინალური დათარიღების ჩვეულება XIII საუკუნის მთელ მეორე ნახევარში გაგრძელდა და XIV საუკუნის მიჯნამდე მიაღწია; მაგრამ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ეს თარიღი მონეტის კიდეებზე (გარეგან სეგმენტებში) თავსდება და, რადგან ზოგჯერ სიქა მონეტის დისკოს არ ემთხვეოდა, წარწერის სწორედ ეს ნაწილი მთლიანად არ გამოდიოდა. ზემოაღნიშნულისა და იმის გამო, რომ კიდეზე განლაგებული ზედწერილი ჩვეულებრივ უფრო მალე ცვდება, სრულთარიღიანი ამდროინდელი ღრამები საკმაო იშვიათობას წარმოადგენს.

მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილი ზოგიერთი სპილენძის მონეტა დეტალებით სრულიად არ განსხვავდება მისივე ღრამებისაგან. ამიტომ შესაძლებელია, რომ ასეთი ცალები ვერცხლით დაფერვის უბრალო ხერხით ღრამებად საღებოდა და იმდროინდელი ფალსიფიკატორების ნამუშევრის ნიმუშს წარმოადგენს. არაა გამორიცხული ისიც, რომ ასეთ მონეტებს ფისკალური მიზნებით უშუალოდ ხელისუფლება უშვებდა.

მანგუ ყაენის სახელით მოჭრილ მონეტებს მისდევს უსახელო (ანონიმური) ე. წ. „ყაანურები“, რომლებიც ორ სახეობად არის ცნობილი; 1-ლი ტიპის გერცხლის „ყაანური“ ასეთია:

№ 99. მონეტის შუბლი: რთული გრეხილგვომეტრიული ექვსკიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში არაბული ორსტრუქონიანი ზედწერილია: „ყაან/სამართლიანი“;

ზ უ რ გ ი: შემორჩალულ ოთხკუთხედიურიან ჩარჩოში, ამდროინდელი თბილური ღრამებისათვის დამახასიათებელი არაბული ზედწერილი — რელიგიური სიმბოლო, რომელიც მუჰამადის სახელს არ შეიცავს. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე — მოჭრის ადგილი (თბილისი) და დაწვრილებითი თარიღი.

ჩვენამდე მოღწეული ცალების მიხედვით, 1-ლი ტიპის „ყაანურები“

მეორე ტიპის „ყაანურები“ ზემოაღწერილი № 99 მონეტის ზურგის დეტალებით განსხვავდება: სეგმენტებში აქ მოთავსებულია ორნამენტი, ხოლო თარიღმა ადგილი იკვალა და რელიგიური სიმბოლოს პირველსა და მეორე სტრიქონს შუა მოჰყვა. თარიღი მომცრო არაბული ნიშნებით არის გადმოცემული და 663—678 ჰიჯრის (=1264—1280 წწ.) რომელიმე ერთ-ერთ წელს შეიცავს (იხ. № 100).

მანგუ ყაენის დრამების მსგავსად, „ყაანურიც“ თარიღის დაწვრილებით ცნობებს შეიცავს: აღნიშნულია წელი, თვე და ზოგჯერ რიცხვიც კი. მაგრამ მთლიანად შერჩენილი წარწერები აქაც იშვიათობას წარმოადგენს, რადგან ეს საჭირო ცნობა ან მონეტის კიდეზეა მოთავსებული, ან უფრო წვრილი შრიფტით არის მოცემული და ადვილად იშლება.

გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით „ყაანურების“ მსგავსი სპილენძის ფელსებიც იჭრებოდა, რომლებსაც, როგორც შეუსწავლელ მასალას, ჯერ არ აღწერათ; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გადარჩენილი ცალგზის საერთო რაოდენობის სიმციარის მიუხედავად, ტიპების რაოდენობა აქ უფრო მეტი ჩანს (იხ. მაგალ., №№ 101 და 102).

ზემოაღწერილი სპეციფიკური მონეტები ზუსტად ასახავენ იმ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც თავიდანვე დამყარდა ქართველებსა და მონღოლებს შორის. თვით სამონეტო ტიპების ხშირი ცვლა ურთიერთდამოკიდებულებაში ამჟღავნებს ერთგვარ ცვალებადობას და მერყეობას, ხოლო მონეტათა ზედწვრილების შინაარსის ისეთი ფორმის არჩევა, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა, გვიჩვენებს თუ როგორ უწყევდნენ დამპყრობლები და დაპყრობილები ერთმანეთს ანგარიშს.

პირველი თბილური უსახელო დრამა (№ 85) მოჭრილი XIII საუკუნის ორმოციანი წლებისათვის, იხსენიებს მხოლოდ დიდი ყაენის ტიტულს; სახელი აქ არცაა მოსალოდნელი, რადგან მონღოლთა კარზე ამ დროს უთანხმოება და ბრძოლა აყო ატეხილი. 1244/45 წლებში ამ დრამას ცვლის ულუს ბეკის ე. ი. მონღოლთა მხედართმთავრის (№ 87) და შემდეგ ვარსკვლავის გამოსახულებიანი (№ 88) დრამები. სამივე თბილური სამონეტო ტიპის მოჭრას ეტყობა ახორციელებდა ადგილობრივი მონღოლური ადმინისტრაცია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ მონეტებზე მოთავსებული მუსლიმანური სიმბოლო შეიცავს მუჰამედის სახელს.

მაგრამ ამავე 1244/45 წლებში უკვე დმანისში, და არა თბილისში, იწყება დავით ნარინის სახელით აღბეჭდილი (№ 89) სპილენძის მონეტის გამოშვება. რადგან თვითონ დავით ნარინი მეფობაზე იარლიყის მისაღებად ამ დროს იმყოფებოდა შორეულ ყარაყორუმში, მონეტას ალბათ საქართველოში დარჩენილი მისი მომხრენი და დედამისი რუსუდან დედოფალი ჰქრიდა. მონეტაზე დავითი „დიდი ყაენის მონად“ არის აღიარებული. ყარაყორუმიდან დაბრუნების შემდეგ, სახელდობრ 1247/48 წწ. სპილენძის (№ 90) მონეტასა და ვერცხლის (№ 91) დრამას დავით ნარინი უკვე თბილისში ჰქრის. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აქ ამ დროს უკვე გარდაცვლილი გუიყ ყაენია მოხსენიებული.

საგულისხმოა ისიც, რომ ნარინის თანამოსაყდრედ და საქართველოს უფროს მეფედ დანიშნული ლაშა გიორგის ძე — ულუ დავითი დრამების მოჭრას მხოლოდ 1253 წლიდან იწყებს (№ 93), ე. ი. „უმცროსი“ მეფე ნარინ დავითის

მონეტებზე გაცილებით უფრო გვიან. თავისთავად უცნაური ამ ფაქტსათვის დამაჯერებელი ახსნა ჯერ მოძებნილი არ არის. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ულუ დავითის დრამებზე მოხსენიებულია საქართველოდან საგრძნობი მანძილით დაშორებული დიდი მანგუ ყაენი და არა მონღოლთა ხელისუფლების რომელიმე ადგილობრივი წარმომადგენელი, რომელსაც საქართველოზე მბრძანებლობის პრეტენზია ჰქონდა.

1256 წლიდანაც კი, როცა სპარსეთის ელხანები საქართველოს უშუალო მბრძანებლად იქცნენ და მონეტებზე საქართველოს მეფის სახელი დროებით გაქრა, მდგომარეობა ამ მხრივ უცვლელი დარჩა: 1254 წლიდან 1260 წლამდე იჭრება მონეტები „დიდი სამართლიანი მანგუ ყაანის“ სახელით (№№ 97—98); ხოლო 1259 წ. მისი გარდაცვალების შემდეგ ეიდრე 1280 წლამდე კვლავ უბრუნდებიან უსახელო მონეტის გამოშვებას და ქრიან ე. წ. „ყაანურებს“. რომლებზედაც აღნიშნულია „სამართლიანი ყაანის“ ტიტული (№№ 99—100).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ იმდროინდელ თბილურ მონეტათა გარკვეული ნაწილი გამოირჩევა წარწერების ზოგიერთი დამახასიათებელი უსწორობით. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მონეტაზე აღბეჭდილი მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო ისეა ფორმულირებული, რომ მაჰმადის სახელს არ შეიცავს. ამ ფორმულით, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ორივე მხარის რელიგიურ იდეოლოგიას (როგორც მუსლიმანებისა, ისე ქრისტიანების). სხვათა შორის, ზოგიერთი ევროპელი ქრისტიანი მფლობელი სარგებლობდა ჯერ კიდევ XII საუკუნის პირველ ნახევარში.

ამრიგად, მონეტების წარწერები ზუსტად ასახავს იმ მტკიცე წინააღმდეგობას, რომელსაც ქართველები უწევდნენ მონღოლთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს და დიდი ყაენის მოადგილეს სპარსეთში, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს დამორჩილებას. სპარსეთის ელხანის სახელი ქართულ მონეტაზე მხოლოდ დაახლოებით 1280 წლიდან ჩნდება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ქართულ მონეტას ისეთი განმასხვავებელი ნიშნები აქვს, რომ მისი ქართული წარმოშობა თვალნათლივ ჩანს: ჩვეულებადქცეულ მუსლიმანურ სარწმუნოებრივ სიმბოლოს ქართველები უპირისპირებენ ქრისტიანულ ლოცვას, რის შედეგად ქართულ მონეტაზე აღბეჭდილი უცხოური ზედწერილის მიუხედავად, ასეთები მკაფიოდ გამოირჩევა სინქრონული უცხო სხვა მონეტებისაგან.

680 ჰიჯრის დაწყებისთანავე (=1281/82 წწ.) მონეტის ტიპი კვლავ იცვლება, ჩნდება ფრიალ თავისებური და ორიგინალური ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის დრამები, რომლებმაც XIV საუკუნის მიჯნამდე მოაღწიეს.

№ 103. მონეტის შუბლი: აბაყა ელხანის (1265—1282) სახელის შემკეელი ოთხსტრიქონიანი მონღოლური წარწერა.

ამ სახელის გარდა ასეთ მონეტებზე გვხვდება აჰმედის (1282—1284), არღუნის (1284—1291), ქელათუსი (1291—1295), ბაიდუსი (1295) და ყაზან ყაენის (1295—1304) სახელებიც.

ზურგი: შემორკალულ კვადრატში ოთხ სტრიქონად განლაგებულია არაბულად გადმოცემული ქრისტიანული ლოცვა: „სახელითა მამისაითა, და ძისაითა, და სულისა წმინდისაითა, ღვთისა ერთისა“ და

ქრისტიანულივე ემბლემა — ჯვარი. დაწვრილებითი თარიღი აქაც კვადრატსა და რკალს შორის დარჩენილ სეგმენტებში თავსდება.

ახერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმში (ქალ. ბაქო) დაცულ ერთ-ერთ ასეთ დრამაზე სეგმენტში მოთავსებულია არაბული წარწერა: „იქვედა თბილისს“.

აჰმედის სახელით აღბეჭდილ დრამებზე ჯვრის ნიშანი ვარსკვლავით შეიცვალა, რასაც იმას მიაწერენ, რომ ჰულაგუიდებიდან მან პირველმა მიიღო ისლამი. ამის შემდეგ ელხანთა სახელებს არაბულად 'იმეორებენ მონღოლური ზედწერილის შემდეგ. აჰმედის მეშვიდრეთა სახელით აღბეჭდილ დანარჩენ დრამებზე ჯვრის ნიშანი კვლავ ჩნდება. ამ დრამების ორი ვარიანტის რეპროდუქცია მოთავსებულია ტაბულაზე 104 და 105 ნომრით.

XIII საუკუნის მეორე ნახევრის აქ ჩამოთვლილი დრამების წონა თავდაპირველად არ ცილდებოდა რუსუდანის დროს დაწესებულ ნორმებს, მაგრამ XIII საუკუნის ბოლოსათვის მკვლევანდება წონის თანდათანობითი დაცემის ტენდენცია. პარალელურად თანდათან ეცემა ტექნიკურ-მხატვრული შესრულებაც, შეიმჩნევა მათი მოჭრის დაუდევრობა და სინჯის დაკლება, წარწერათა დამახინჯება, განსაკუთრებით თარიღისა, რომლის გარჩევა მთლიანადაც რომ იყოს შემორჩენილი, ხშირად შეუძლებელია.

უკანასკნელ დრომდე ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ამ მონეტებს „საქართველოსათვის მოჭრილ“ ან „ქრისტიანულ-ჰულაგუიდურ“ დრამებს უწოდებდნენ.

ცხადია, რომ ასეთი განსაზღვრა ამ დრამების ლოკალიზაციისა და წარმოშობის საკითხს ზედმეტად ართულებდა და გაურკვეველობა შეჰქონდა ამ მონეტათა მოჭრის ადგილის დადგენაში, რომელიც უნდა გვეძებნა ჰულაგუიდთა გავლენის სფეროში მოქცეულ ყველა ქრისტიანი ხალხის ტერიტორიაზე. რადგან ამ მონეტების თბილისში მოჭრის შესახებ სრულიად გარკვეული მონაცემები არის, უფრო მართებულად მივიჩნით ვუწოდოთ მათ ქართულ-ჰულაგუიდური დრამები.

ამ დრამებთან ერთად ასეთივე ტიპის სპილენძის ფელსებიც ჩნდება. ამ ფელსების თარიღები თითქმის ყოველთვის დამახინჯებული ან გადასულია და მათი დაახლოებითი ქრონოლოგიური დადგენა ხერხდება მხოლოდ ელხანთა სახელის საშუალებით. დრამებსა და ფელსებს შორის არსებული აბსოლუტური მსგავსების გამო, ამ უკანასკნელი მონეტის გამოსახულება ტაბულაზე მოთავსებული არა გვაქვს.

ასეთ ფელსებს შორის ზოგჯერ ძალიან ორიგინალური ცალები ჩნდება: მაგალითად, ცნობილია ერთადერთი ნიმუში, რომელზედაც ქრისტიანული ლოცვა შეცვლილია მუსლიმანური რელიგიური სიმბოლოთი. მაგრამ საინტერესოა, რომ დამკვიდრებული ჩვეულებისა და ტრადიციით მონეტის იმ ადგილზე, სადაც ჩვეულებრივ ჯვარს ათავსებდნენ, მონეტის მომჭრელს ეს ქრისტიანული ნიშანი აქაც მოუთავსებია და ამით ერთგვარი ნუმიზმატიკური კუროზი შეუქმნია, — მუსლიმანურ რელიგიურ სიმბოლოს გვერდით ქრისტიანობის ემბლემა — ჯვარი მოათავსა.

დაწვრილებითი თარიღისა და ფრიალ სასარგებლო ცნობების შემცველი ასეთი მონეტა ძალიან დიდი რაოდენობით არის შერჩენილი XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და, რადგან ამ ნიმუშებზე მიმდინარე წლის გარდა გამოშვების სხვადასხვა თვეებსაც ნიშნავდნენ, ცალკე სახესხეობათა და ვარიანტების

რაოდენობაც სათანადოდ იზრდება, გამოშვების წლით აღბეჭდილი ყველა ნი-
პუში 12-ზე, ე. ი. თვეების სათანადო რიცხვზე უნდა გამრავლდეს. მაგრამ ჯერ-
ჯერობით ყველა ვარიანტი აღმოჩენილი არ არის — ზოგიერთი წლებისა თით-
ქმის ყველა თვე ჩანს, ზოგჯერ, პირიქით, გვხვდება ხარვეზები, როდესაც ამა თუ
იმ წლის მონეტები სულ არ არის აღმოჩენილი.

ამრიგად, რადგან ამ ტიპის მონეტებზე ყველა თარიღი არ არის აღმოჩენი-
ლი, ყოველი ახალი ნიმუშის აღმოჩენისას თარიღის ზუსტ დადგენას დიდი ყუ-
რადღებით უნდა მოვეყიდოთ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ განაკვეთში განხილული მონეტებით მასალა
ამოწურულად ვერ ჩაითვლება. ჩნდება ცალკეული ნიმუშები, რომლებიც აქ
აღწერილ მონეტებთან ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებს, მაგრამ ჯერჯერობით
შეუსწავლელია. ამიტომ დეტალური ცნობებისა და ფაქტების შემოწმებამდე,
ამ მასალის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ეთქვათ და შეეცხით მხოლოდ იმას,
რომელიც უკეთ არის ცნობილი, უფრო დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის და
უკეთ შეინარჩუნა მისი ინდივიდუალური ნიშნები.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ისეთ მონეტებს, რომლებიც ქართული
წარწერებითაა აღბეჭდილი და ეს წარწერები ქართულ მეფეთა სახელებს შეი-
ცავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ დროს მეტად მძიმე პირობებში
იმყოფებოდა, ასეთი ტიპის მონეტა არ გამქარა და XIII საუკუნის ბოლომდე
მათი გამოშვება არ შეწყვეტილა. როგორც გამოიკვია, ასეთი მონეტები XIV
საუკუნეშიც კი იჭრებოდა. მეტიც, საბოლოოდ დადასტურდა, რომ ეროვნული
ხასიათის ქართული ფულის გამოშვება XV და XVI საუკუნეებშიაც გრძელ-
დებოდა.

ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი მონეტა სპილენძისაა და დემეტრე
თავდადებულს ეკუთვნის:

№ 106. მონეტის შუ ბ ლ ი: რთული ორნამენტული ჩარჩო, რომე-
ლიც № 78-ით აღწერილი რუსუდანის სპილენძის მონეტაზე მოთავსე-
ბული ჩარჩოს მსგავსია. ცენტრში ასომთავრულად დემეტრეს სა-
ხელია დაქარაგმებული; ჩარჩოს გარე ბუდეებში — სხედასხვანაირად
განლაგებული ქართული წარწერები: „მეფე“ ან „მეფეთ მეფე“ და იშვიათ
შემთხვევაში ქორონიკონი 500 (=1280 წ.).

ზ უ რ გ ი: ცენტრში ისეთივე ნიშანია, როგორც თამარისა და და-
ვითის № 69 მონეტაზე, ოღონდ ის აქ უფრო მოხდენილად არის შესრუ-
ლებული. შემორკალულ საგვარეულო ნიშნის ირგვლივ ასომთავრულად
დაქარაგმებულია ზედწერილი, ქრისტიანული ლოცვა: „გერწამს მამი,
ძეი და სული წმინდაი“.

ამრიგად, დემეტრე მეორის ქართულწარწერიანი სპილენძის მონეტაზე მო-
თავსებული ლოცვა თითქმის ისეთივეა, როგორც ქართულ-პულაგუილურ №
103 დრამაზე და ეტყობა მასთან ერთდროულად (ან შეიძლება ცოტა ადრეც კი)
გაჩენილა. ამ სამონეტო ტიპის ვარიანტთა რიცხვი საკმაოდ მრავალია (იხ.,მა-
გალითად, № 107).

დემეტრე II მონეტაზე ქორონიკონის არსებობას პროფ. ე. პახომოვი ეკვის
ქვეშ აყენებდა, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ თელავის მახლობლად აღმოჩე-
ნილი და თელავის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცული დემეტრე II მონე-
ტათა განძი ამ საკითხს დადებითად წყვეტს, რადგან ერთ-ერთ ცალზე თარიღი

სავსებით გარკვეულად და მთლიანად არის მოთავსებული. მაგრამ აქ უკვე 506 ქორთნიკონია, ე. ი. 1286 წ. (იხ. № 108).

ქართულ მონეტაზე მოთავსებული ქრისტიანული ლოცვა, როგორც ვტყობა, უპირისპირდება იმდროინდელ მონღოლურ მონეტაზე აღბეჭდილ მუსლიმანურ რელიგიურ სიმბოლოს და უცვლელად გადადის დემეტრე მეორის უხლოეს მემკვიდრეთა — დავით მეშვიდისა და ვახტანგ მესამის მონეტებზედაც.

ამ მონეტების აღწერილობა მოყვანილი გვექნება დასახელებული ისტორიული პირების თანამიმდევრობის მიხედვით. პირველ რიგში დავითის ვერცხლის დრამას აღვწერთ:

№ 109. მონეტის შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ფადიშაჰი უზენაესი, სულთან მაჰმუდ ყაზან ყანი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“;

ზურგი: კვადრატულ ჩარჩოში არაბულად გადმოცემულია ისეთივე ოთხსტრიქონიანი ქრისტიანული ლოცვა, რომელიც უკვე № 103 მონეტაზე შეგვხვდა, მაგრამ აქ ჯერის ნაცვლად მოთავსებულია დაქარაგმებული ქართული წარწერა: „მეფე დავით“. სეგმენტებში თარიღი, რომელიც შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით 696 პიჯრას (=1296/97) აღნიშნავს.

ამჟამად, რომ აღწერილი მონეტა წარმოადგენს № 103 ქართულ-პულაგუიდური დრამის განმეორებას, იმ განსხვავებით, რომ შუბლის მონღოლური წარწერა აქ არაბულით არის შეცვლილი, ხოლო ზურგზე ჯერის ნაცვლად დავითის ტიტული და სახელია. ყაზან ყანსა და დავით VII შორის თავდაპირველად დამყარებული კეთილი დამოკიდებულება 1297 წლისათვის დაირღვა; რადგან მონღოლთა თავხედობამ საზღვარს გადააცილა: ელხანთა სამფლობელოში ყველა სხვა რაჯულის მოსახლეს სარწმუნოებაზე ხელის აღებისა და ისლამის მიღების წინადადება მიეცა. ამ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარის მთქმელს ზედმეტ გადასახადს აწერდნენ და დიაცის კაბის ტარებას ავალებდნენ. ამ წინადადებას და ტარების ნგრევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, დავითსა და ყანს შორის მწვავე კონფლიქტი მოხდა და მშვიდობიანი მოლაპარაკება შეწყდა. იმის შემდეგ, რაც ყაზანმა დავითთან შერიგებაზე უარი თქვა, სამეფო ტახტი დავითის ძმას, ვახტანგ მესამეს გადაეცა. როგორც ნუმიზმატიკური ფაქტებით დასტურდება, მთაში გახიზნული დავითი, რომელიც თავის თავს კანონიერ მეფედ თვლიდა და მთიულეთიდან ებრძოდა ყანს, საკუთარ ფულს თავისი სახელით კიდევ დიდხანს ქრიდა. ეს ნუმიზმატიკური ძეგლი საუცხოოდ ასახავს იმ დროისათვის საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას.

მართალია, ნუმიზმატიკური მასალის ქრონოლოგიური თანამიმდევრობა დაირღვევა, მაგრამ უკეთესი იქნება ჯერ დავით VII მონეტების აღწერილობა მოვითავოთ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დავით VII სპილენძის მონეტები დემეტრე II მონეტის თითქმის სრულ ანალოგიას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელებზე უფრო მცირე ზომისა და წონისაა. ვიძლევი ამ იშვიათი სპილენძის მონეტის მოკლე აღწერილობას:

№ 110. მონეტის შუბლი: ორნამენტულ ჩარჩოს ცენტრში ჩასმულია დავითის სახელის ასოთა შეწიადებული დაქარაგმება, ხოლო

ბუდეებში ქართულივე დაქარაგმებული წარწერა: „მეფეთა მეფე“ და ქვემოთ ზოგჯერ 530 ქორონიკონის (=1310 წ.) შემცველი ნიშნები.

ზ უ რ გ ი: მოხდენილად გამოყვანილი ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი, რომელსაც შემოვლებული აქვს ასომთავრულად შესრულებული ქრისტიანული ლოცვა. ზოგჯერ საგვარეულო ნიშნის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია 530 ქორონიკონი (=1310 წ.).

ამრიგად, ზოგ ცალზე თარიღი მონეტის შუბლზეა, ზოგზე კი ზურგზე. არის ისეთებიც, რომლებზედაც თარიღი სულ არაა.

რადგან ურჩი დავითი მთაში სიკვდილამდე იყო გახიზნული, საფიქრებელია, რომ ეს სპილენძის მონეტები სადღაც მთიულეთში ან ხევში იჭრებოდა.

1297 და 1310 წლების ე. ი. დავითის ვერცხლისა და სპილენძის მონეტათა შორის ხარვეზი ცარიელი არ დარჩენილა და შევსებულია ეროვნული ქართული ხასიათის მონეტებით. მაგრამ ეს ნიმუშები უკვე დავითის ძმის, ვახტანგ მესამის სახელით არის აღბეჭდილი, რომელიც აგრეთვე ვერცხლის და სპილენძის მონეტებს კრის. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ვახტანგის ვერცხლის დრამები ძირითადად ქართულ-პულაგუიდური დრამის მსგავსად იჭრება, მაგრამ ამ უქანასკნელის შესამჩნევ სახესხვაობას წარმოადგენს.

№ 111. მონეტის შუბლი: მონღოლური ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: „დიდი ხაყანის ნაცვლის ყაზანის სახელით ნაჭედა“;

ზ უ რ გ ი: ცენტრში — მორკალული ჯვრის ნიშანი, რომლის ირგვლივ არაბულად განლაგებულია ზემოხსენებული ქრისტიანული ლოცვა და მოცემულია ასომთავრული ნიშნების ორი მონოგრამა, რომელიც ნიშნავს „მეფე ვახტანგ“. ჩარჩოს გარეგან სეგმენტებში არაბულად აღნიშნულია თარიღი: „იჭედა წელსა 698“ (=1298/1299 წწ.) და გამოშვების რომელიმე ერთ-ერთი თვე.

ვახტანგ მეფის 699 ჰიჯრით (=1299/1300 წწ.) დათარიღებული დრამა ზემოაღწერილისაგან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდება: ჯვრის ტოტებს შორის აქ ჩასმულია თითო წერტილი ან ვარსკვლავი (იხ. № 112).

დადგენილია, რომ ვახტანგის ზოგიერთ დრამას მოჭრის ადგილის ცნობაც ახლავს. ასეთი დრამების ზურგის სეგმენტებში თარიღთან ერთად არაბული წარწერაა: „იჭედა თბილისს“.

ამ დრამებზე აღბეჭდილი თარიღები ვახტანგ მესამის ტახტზე ასვლის ვადების გადასინჯვისა და შესწორების საშუალებას იძლევა; მიღებული ქრონოლოგიით ვახტანგის ტახტზე ასვლას 1302 წლით ათარიღებენ, მაშინ როდესაც მრავალრიცხოვანი ნუმისმატიკური ძეგლების მიხედვით ეს ამბავი 3—4 წლით ადრე მომხდარა. უნდა ითქვას, რომ ეს ნუმისმატიკური შესწორება XIV ს. ქართულ „ეამთა-აღმწერლის“ იმ ცნობას ეთანხმება, სადაც საუბარია ყაზან ქაენის მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში მეფე ვახტანგის მონაწილეობის შესახებ.

არსებული მასალის მიხედვით, ვახტანგ მესამის დროს სამი ძირითადი ტიპის სპილენძის ფული იჭრებოდა. სრული თარიღი არც ერთ მათგანს არ შერჩენია, მაგრამ მათი დაახლოებითი დათარიღება მონეტებზე აღბეჭდილი სახელების საშუალებით ხერხდება.

ვინაიდან ვახტანგ მესამის სპილენძის ფულის პირველი ტიპი მისივე ვერცხლის დრამის სრულ განმეორებას წარმოადგენს, ამ მონეტის რეპროდუქ-

ცია და აღწერილობა არც გვქირდება. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის ზოგიერთი ცალი ვერცხლის წყალში ამოვლების საშუალებით ვერცხლისავე დრამებად საღებოდა. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ასეთი ნიმუშები იმდროინდელი ნაყალბევიც იყოს. დანარჩენი სპილენძის ფელსები ასეთი სახისაა:

მეორე ტიპი. № 113.

მონეტის შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ხელმწიფე მსოფლიოსი, ყაზან მაჰმუდ, ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი“. მესამე სტრიქონქვეშ ასომთავრული ორი მონოგრამაა ისეთივე, როგორც მისივე დრამაზე: „ვახტანგ მეფე“;

ზურგის: შემორკალულ ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა მხოლოისა, არა ჰყავს მას თანაგამზრახნი“. სეგმენტებში წარწერები. რომელთა წაკითხვა ჯერ ვერ მოხერხდა.

თბილისის ერთ-ერთ კოლექციონერს ეკუთვნის ორიგინალური ვარიანტი, რომელიც აღწერილობისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ასომთავრული ორივე მონოგრამა შებრუნებულად არის გადმოცემული.

ზემოხსენებული ორი ტიპის არცერთმა ნიმუშმა თარიღი არ შეინარჩუნა, მაგრამ ვინაიდან ვახტანგ მესამე 1298 წ. ასულა ტახტზე, ხოლო ყაზან ყაენი 1304 წ. გარდაიცვალა, მონეტების გამოშვებაც ამ ორ თარიღს შორის თავსდება.

ვახტანგ III სპილენძის ფელსის მესამე ტიპი ასეთია:

№ 114. მონეტის შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — „სულტანი უმაღლესი, ღიას ედ დუნია ვედდინი, ხუდაბენდე მუჰამედ, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“ — მოთავსებულია კვადრატულ ჩარჩოში. ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერაა.

ზურგის: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა. მუჰამედი ალლაჰის მოციქული“. ქვემოთ ვახტანგის სახელი, სამი ქართული ასოსაგან შემდგარი მონოგრამით.

ამ უკანასკნელი სამონეტო ტიპის 1304—1308 წწ. ფარგლებით დათარიღების საშუალებას გვაძლევს მონეტაზე მოთავსებული ხუდაბენდე მუჰამედის (ოლჯაითუ) სახელი, რომელიც მხოლოდ 1304 წ. ავიდა ტახტზე, ხოლო ვახტანგ მესამე 1308 წელს გარდაიცვალა.

ამავე კატეგორიას ეკუთვნის მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი მონეტა, რომელიც ზემოაღწერილის სრულ ანალოგიას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ვახტანგის მონოგრამა აქ გიორგის სახელის ინიციალური ასოთი არის შეცვლილი. რადგან ამ დროს ამ სახელის მატარებელი ერთადერთი პიროვნება გვეგულება, კერძოდ — გიორგი მცირე, მონეტაც ალბათ ამ პირს მიეკუთვნება. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი ამ ცალს ეჭვის ქვეშ აყენებს და ისეთი ნიმუშის აღმოჩენამდე, რომელმაც თარიღი, ან უკეთ შემონახული ასომთავრული ინიციალი შეინარჩუნა, გიორგი მცირისადმი დაჯერებით ამ მონეტის მიკუთვნებაზე თავი უნდა შეეკავებო.

თითქმის მთელი XIII საუკუნის მანძილზე გარეშე მტრების განუწყვეტელმა შეტევებმა (ჯალალედინის მოულოდნელი თავდასხმა, მონღოლთა მრავალგზისი შემოსევა) და ამის შედეგად ქვეყნის შიგნით მომხდარმა არეულობამ და უთანხმოებამ მძიმე გავლენა იქონია საქართველოზე. მისი ეკონო-

მიუზრი და პოლიტიკური მდგომარეობა შეიქცა, სამეფო საგვარეულო სახლი ლიხთამერთა და ლიხთიმერთა ორ დინასტიად დაიყო, რითაც ძალიან მოხერხებულად ისარგებლეს მონღოლებმა. საქართველოში დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას მონღოლთა ელხანებმა ხელოვნურად დაუპირისპირეს მეფის მორჩილებიდან გამოსული ცალკეული მსხვილი ფეოდალი.

ცნობილია, მაგალითად, XIII საუკ. მეორე ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალის — სადუნ მანკაბერდელის საქართველოსათვის დამლუპველი მოღვაწეობა. ქალაქი დმანისი და მთელი მისი მიდამოები ფაქტიურად მის სამფლობელოდ იქცა. ამდროინდელი ნუმისმატიკური ძეგლები გვიდასტურებს, რომ ცალკე ფეოდალურ სამფლობელოებად გამოყოფილი ანისი და ახალციხე XIII—XIV საუკ. მიწიდან უკვე თავის საკუთარ სამონეტო პროდუქციას იძლევა. მოსალოდნელია, რომ ასეთსავე ღონისძიებას სხვა ფეოდალებიც მიმართავდნენ. კერძოდ, დმანისში ეს იმიტომაც უნდა მომხდარიყო, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფულის მოჭრა აქ ჯერ კიდევ 1244 წელს დაწყებულა, და ამრიგად, ერთგვარ ტრადიციას ჰქონია ადგილი. ბუნებრივია, რომ ავტონომიური ანუ ე. წ. ფეოდალური მონეტა ისეთ ყაიდაზე უნდა მოჭრილიყო, რომელმაც ბაზარზე უკვე კეთილი რეპუტაცია დაიმსახურა და მოსახლეობაში ფართო გასავალით სარგებლობდა. ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულ-ჰულაგუიდურმა დრამებმა და ამავე ტიპის სპილენძის ფელსებმა XIII საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში განსაკუთრებული გავრცელება მიიღეს (მათი აღმოჩენები აღნუსხულია არა მარტო საქართველოში, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთში), და აი სწორედ ამ დროს ჩნდება ასეთივე ყაიდის ფრიად ორიგინალური და თავისებური სპილენძის მონეტები. მოგვყავს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ასეთი სპილენძის მონეტების აღწერილობა:

№ 115. მონეტის შუბლი: ოთხსტრიქონიანი მონღოლურა ზედწერილი: „ყანის სახელით ჭედა აბალამ“;

ზურგი: ტომეკლავა ჯვრის ტოტებს შუა სომხურად დაქარაგმებულია „ღმერთი იესო ქრისტეს“ ინიციალები. ჯვრის ტოტების პარალელურად ოთხივე მხრიდან არაბული ზედწერილია: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა“.

ამ მონეტის მოსაჭრელად პროტოტიპად გამოყენებული იყო № 103-ით აღწერილი ქართულ-ჰულაგუიდური დრამა, რომელთანაც აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს.

შემდეგი სამონეტო ტიპი ასეთი სახისაა:

№ 116. მონეტის შუბლი: ვახტანგ მესამის დრამებისა და ასეთივე ფელსების სრულ განმეორებას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ჯვრის გარშემო განლაგებული ზედწერილი ძალიან დამახინჯებულია. თარიღის ნაცვლად სეგმენტებში სრულიად გაურკვეველი ნიშნებია;

ზურგი: უხეშად შესრულებული მარჯვნივ მიმართული ლომი,

ზურგზე სხივოსანი მზის გამოსახულებით (ე. წ. „რანკ“).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ამავე ჯგუფის შემდეგი უნიკალური სპილენძის მონეტა.

№ 117. წონა—3,43 გრ.

მონეტის შუბლზე შემორკალულ კვადრატულ ჩარჩოში მო-

თავსებულია ჯვრის გამოსახულება. სეკემენტებში თარიღის ნაცულად გაურკვეველი ნიშნები.

ზ უ რ გ ი: რანკი, როგორც წინა მონეტაზე.

საქართველოში ამ დროს მოჭრილი სამონეტო ტიპების განსაზღვრული რაოდენობა ჯერ სრულად არაა შესწავლილი, მაგრამ უკანასკნელ დროს გახშირდა სულ ახალ-ახალი ტიპების გაჩენა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ხარვეზი მალე შეივსება. ზემოაღწერილი სამი ნიმუშის XIII საუკუნის დანარჩენ ქართულ მონეტებთან შედარება მათ შორის აუცილებელ და უდავო მსგავსებას ამჟღავნებს, მაგრამ ამავე დროს მათგან სრულიად დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენს. ქვემოთ საშუალება გვექნება გავეცნოთ ე. წ. ფეოდალურ მონეტებს (XIV საუკუნის ვამიყ დადიანისა, XV საუკუნის ყვარყვარე ათაბაგისა), რომლებმაც ქართულ ნუმიზმატიკაში სრულიად გარკვეული ადგილი დაიკავეს. ყველა ნიშნის მიხედვით აღწერილი სამი სპილენძის მონეტა საქართველოს რომელიმე ერთ-ერთ ფეოდალს, კერძოდ — სომხითის მმართველს უჭრია და, ამრავად, ქართულ-ფეოდალურ მონეტათა შორის ქრონოლოგიურად ჯერჯერობით პირველი ადგილი უკავია. აღსანიშნავია, რომ აღწერილ მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა (რომლებიც არც ისე ბევრია) აღმოჩენილი იყო 1937—1938 წწ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ამ მონეტების მოჭრის ადგილი საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ საკითხს, სახელდობრ დმანისში უშვებდნენ მათ თუ ანისში, არსებითი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს. უდავოა, რომ ამა თუ იმ პერიოდის ცალკე მძლავრი ფეოდალები ფაქტიურად დამოუკიდებელი იყვნენ და ქართველ მეფეს ზოგჯერ ებრძოდნენ კიდევ, მაგრამ უკანასკნელის უზენაესობას მაინც ცნობდნენ და, ამრავად, საქართველოს სამეფოს ნაწილს წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ასეთ სამფლობელოებში მოჭრილი მონეტებიც ქართულ ნუმიზმატიკურ მეგვიდრეობას წარმოადგენს.

XIII—XIV სს. მიჯნაზე სამონეტო საქმიანობაში ხდება ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებანი და ელხანთა სამფლობელოში შემავალ სახელმწიფოებში მკვიდრდება ყაზან-ყაენის რეფორმით დადგენილი საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტა. ეს ახლად შემოღებული სამონეტო ტიპი მტკიცედ მკვიდრდება და მისი მოჭრა უმნიშვნელო ცვლილებებით გრძელდება ელხანთა სახელმწიფოს დამხობამდე. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა თავის ორაგინალობასა და სპეციფიკურ თვისებებს კარგავს, ყოველივე ქართული ან ქრისტიანული მასზე ქრება. წარწერების ენა და მათი შინაარსი მთლიანად უცხოურია (მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო, მონღოლთა მფლობელების სახელები, ტიტულები და სხვ.), ქორონიკონი სულ აღარა ჩანს და თარიღი მხოლოდ ჰიჯრით არის მოცემული.

თბილისში მოჭრილმა ამ ტიპის ვერცხლის მონეტამ ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია, ხოლო სპილენძისა ნაკლებია. თავის ჭეშმარიტ წარმოშობას ეს სამონეტო ტიპი გარეგნულად ამჟღავნებს მხოლოდ მასზე აღბეჭდილი მოჭრის ადგილის აღნიშვნით (თბილისი, ანისი, ყარაღაჯი ან ახალციხე).

ახლად შემოღებული სამონეტო სისტემის მიხედვით, ვერცხლის ფულს საფუძვლად დაედო ღირჰემი (იგივე ქართული დრამა), რომლის წონა 2,15 გრ ფარგლებში დაკანონდა. რადგან დრამასთან ერთად სხვა ნომინალებიც იჭრე-

ზოდა (ნახევარი დრამა, ორდრამიანი, ექვსდრამიანი), სათანადო ნომინალის წონა შესაბამისად იცვლებოდა და 1,075, 4,30 და 12,90 გრ შეადგენდა.

მაგრამ ელხანთა სახელმწიფოს თანდათანობითი დაქვეითების შედეგად უკვე ოლჯაითუ სულთნის მმართველობის მიწურულში და აბუსაიდის ტახტზე ასვლისთანავე ღირებულების წონამ შემცირება იწყო და მალე 1,73 გრამამდე დაეცა (შესაბამისად ნახევარდრამიანისა — 0,87, ორიანისა — 3,5). ამ დონეზე ეს წონა 1333 წლამდე რჩება. XIV საუკ. მეორე მესამედიდან ღირებულების წონამ მორიგი დაცემა განიცადა და 1,40 გრამამდე დავიდა (შესაბამისად: ნახევარდრამიანი — 0,70 გრ, ორმაგი — 2,80). აბუ საიდის უახლოესმა მემკვიდრეებმა (არპაყაანი, მუსა და მუჰამედი) ღირებულების წონა ამ უკანასკნელ დონეზე შეინარჩუნეს, ხოლო დაახლოებით 1340 წლიდან მონეტის წონის მორიგი დაკლების გამო, ღირებულების გამოშვება საერთოდ შეწყდა და ორმაგიანი ღირებულების გამოშვება დაიწყო. უკანასკნელი ელხანის ანუ შირვანის დროს ვერცხლის ფულის წონა უფრო კლებულობს.

მონღოლთა ქვეშევრდომებმა ან მათი გავლენის სფეროში შეპავალმა სახელმწიფოებმა საკუთარ სამონეტო სისტემას საფუძვლად მონღოლთა ღირებულების წონა დაუდეს, ზემოაღნიშნული სტანდარტის მიხედვით ამ წონას იცავდნენ და ამ ნორმას ზოგჯერ აკლებდნენ კიდევ. მონეტის დამზადების ტექნიკაც ამ დროს სათანადო დონეზე არ იდგა, რის შედეგად წონის რემედიუმი, საერთოდ, მკვეთრად ირყევა. ეს განსაკუთრებით ემჩნევა სპილენძის მონეტას, რომლის წონის მერყეობა ძალიან შესამჩნევია (3—8 გრ ფარგლებში).

თბილური დრამის წონის შემცირებამ ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისიდან იჩინა თავი და შედარებით მოკლე ხნის მანძილზე, ე. ი. XIV საუკუნის 50-იანი წლებისათვის პირვანდელ წონას ძალიან დასცილდა. თემურლენგის მრავალჯონის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულად ეცემა და, ამასთან დაკავშირებით, ვერცხლის მონეტის წონა სულ უფრო და უფრო კლებულობს. ბოლოს, საქმე იქამდე მიდის, რომ ლითონის სიფრიფანა ფირფიტებს (წონით 0,5 გრ) თითქმის ეკარგება მონეტის გარეგნობა. მაგრამ ასეთი საბოლოოდ დაკნინებული მონეტის შესახებ საუბარი ერთ-ერთ შემდგომ განაკვეთში გვექნება. ახლა კი, ვიდრე XIV საუკუნის პირველი ნახევრის სამონეტო ტიპების აღწერილობას შევუდგებოდეთ, მოვიყვანთ იმდროინდელი ისტორიკოსის ხამდალაჰ-ყაზვინის ცნობაზე დამყარებულ აკადემიკოს ვ. ბართოლდის ფრიად საინტერესო გაანგარიშებს.

ირკვევა, რომ XIII საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, ე. ი. საქართველოში მონღოლთა პირველ შემოსევამდე, ჩვენი ქვეყნის ყოველწლიური სახელმწიფო შემოსავალი 500 თუმანს შეადგენდა. იმდროინდელი მონღოლური თუმანი ათი ათას ოქროს დინარს, ანუ 60 ათას ვერცხლის დრამას უდრიდა და, მაშასადამე, საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური შემოსავალი ყმადნაფიყ სამფლობელოების გარდა 30 მილიონ ვერცხლის დრამას შეადგენდა.

რადგან თანამედროვე ფულზე გაანგარიშებით ერთი მონღოლური თუმანი XX საუკუნის პირველი ათეულის ფასებში 7500 ოქროს მანეთს უდრის, მაშასადამე, 500 მონღოლური თუმანი 3.750.000 ოქროს მანეთს, ანუ 10 მილიონ ოქროს ფრანკს შეადგენს.

აკად. ვ. ბართოლდს შესაძარებლად მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ

1300 წელს ინგლისის ყოველწლიური შემოსავალი 4 მილიონ ფრანკზე ცოტა მეტს შეადგენდა, ხოლო საფრანგეთისა 1311 წ. 3 მილიონს უდრიდა.

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ დავუბრუნდეთ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მონეტათა აღწერილობას და შევიხერდეთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ძირითად ტიპებზე.

ყაზან ყაენის სახელით თბილისში მოჭრილი დრამები სამენოვანი მონეტების კატეგორიას ეკუთვნის და შემდეგი სახისაა:

№ 118. მონეტის შუბლი: ექვსსტრიქონიანი ზედწერილის მესამე სტრიქონზე არაბულად: „ყაზან მამკმულ“; დანარჩენი ხუთი სტრიქონი უკვე მონღოლურია: „სახელითა ღვთისათა მონეტა ყაზანისა“. მარცხნივ ვერტიკალურად განლაგებული სამი ტიბეტური ნიშანია, რომლებიც ელხანის სახელს იმეორებს.

ზურგი: ორმაგი რკალით შემოვლებულ ხუთკუთხედში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მისი წინასწარმეტყველი“, რომელზედაც მეორე და მესამე სტრიქონებს შორის მომცრო ნიშნებით არაბულადვე აღნიშნულია მოჭრის ადგილი (თბილისი, ანისი, ახალციხე და სხვ.), მარჯვენა და მარცხენა მხარეს: „აკურთხოს ღმერთმა“. ხუთკუთხიანი ჩარჩოს სეგმენტებში მოთავსებულია თარიღი ჰიჯრით.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ შექმნილი ასეთი დრამების მოზრდილი განძის შემადგენლობის მიხედვით ირკვევა, რომ ამ სახის თბილური დრამები უკვე 698 ჰიჯრას (= 1298—1299 წწ.) გაჩენილა.

ასეთი ტიპის თბილური დრამები ზოგიერთი ცვლილებებით ჰულაგუიდების დამხობამდე, ე. ი. XIV ს. შუაწლებამდე თითქმის ყოველწლიურად იჭრება. ირკვევა აგრეთვე, რომ თბილური დრამების მსგავსად ანური ზარაფხანის პროდუქციას ასეთივე ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონია.

რაც შეეხება ახალციხის ზარაფხანაში მოჭრილ ამავე ტიპის დრამებს, ისინი მხოლოდ XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე იჭრებოდა და შემდეგ გაქრა. სამაგიეროდ XIV ს. შუა წლებში უკანასკნელი ელხანების დროს ჩნდება ახალი ქართული ზარაფხანა ყარაღაჯის ნიშნით. მაგრამ ეს უკანასკნელი მონეტები შედარებით იშვიათებია.

ვიძლევიტ კიდევ ერთ, სახელდობრ, ოლჯაითუ სულთანის სახელით აღბეჭდილ ასეთი ვერცხლის დრამის აღწერილობას:

№ 119. შუბლი: ოთხ ნახევარკალისაგან შედგენილ ჩარჩოში მოთავსებულია შვიდსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მოიჭრა მფლობელობაში უმადლესი სულტანის, მეფეთა დამპყრობელის იმამის ოლჯაითუ სულტანისა. დიდება ქვეყნისა და სარწმუნოების, ხუდაბენდე მუჰამედი. განაგრძოს ღმერთმა მისი მეფობა“. ერთ სეგმენტში უღურულად: „ოლჯაითუ სულტანი“, დანარჩენ სამში არაბულად: „ალაჰს უფლება აწ და მარადი“, „წელსა შვიდას თერთმეტს იჭედა თბილისს“ (= 1311—12 წწ.).

ზურგი: ცენტრში ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედ მოციქული ალლაჰისა“, ამ ზედწერილის სამ მხარეს: „მოწყალე ალლაჰის სახელით“. რკალის გა-

რეთ არაბულად გარშემოვლებულია: „ღმერთო შეიწყალე“ და თერთმეტი იმამის სახელი.

ამდროინდელი სამონეტო ტიპები განიცდის სულ უფრო და უფრო ხშირ ცვალებადობას და ამიტომ საერთო ჰულაგუიდური ტიპის ჩვენში მოჭრილა ყველა ვარიანტის აღწერას რომ შეუდგეთ, ფაქტიურად შევიჭრებით მონღოლთა ელხანების მრავალრიცხოვანი ნუმისმატიკური ძეგლების აღწერა-შესწავლაში. დასახულ მიზანს ეს ძალიან დაგეაშორებდა და ამ წიგნის მოცულობასაც გაუმართლებლად გაზრდიდა.

ზემომოყვანილი მიზეზების გამო დავჯერდებით უბრალო სიით, სადაც მოყვანილი იქნება შემდეგი ცნობები: მონეტაზე აღბეჭდილი ამა თუ იმ ელხანის სახელი, მისი, მმართველობის თარიღი, ამა თუ იმ თბილური ღრამის ფაქტიური წონა, რაც ამ წონის თანდათანობითი დაცემის პროცესს დამაჯერებლად ასურათებს და ტაბულაზე სათანადო ნომრის ქვეშ მოთავსებული გამოსახულების ნომრები.

1. ყაზან ყაანის (1295 — 1304 წწ.) ღრამა, წონა — 2,1 — 2,3 გრ. № 118;
2. ოლჯაითუს (1304—1316 წწ.) ღრამა, წონა — 1,75—1,80 გრ, № 119;
3. აბუსაიდის (1316—1333 წწ.) ორღრამიანი, წონა — 3,41 გრ, № 120;
4. აბუსაიდის (1316—1333 წწ.) ღრამა, წონა — 1,72 გრ, № 121;
5. სატიბეკის (1333—1339 წწ.) ორიანი ღრამა, წონა — 1,54 გრ, № 122;
6. ჭულეიმანის (1339—1344 წწ.) ორიანი ღრამა, წონა — 1,35 გრ, № 123;
7. ანუშირვანის (1344—1353 წწ.) ორიანი ღრამა, წონა — 1,20, № 124.

ზემოაღნიშნული მონეტების აღწერილობას აუცილებლად უნდა დაერთოს ზოგადი ხასიათის განმარტებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მასალის წარმოშობის შესახებ შეიძლება არასწორი შთაბეჭდილება შეიქმნას. დამკვიდრებული ტრადიციით ამა თუ იმ მონეტის რომელიმე ქვეყნისადმი მიკუთვნება ჩვეულებრივ ხდება გარეგნული ნიშნების მიხედვით. მაგრამ ეს ყოველთვის სწორი არ არის. გაციხსნოთ ქართულ წარწერიანი მონეტა, რომელსაც ერთმხარეს აწერია „ტფილისი“, ხოლო მეორეზე — „ქართული ფული“ და, რომელიც იმ დროს იჭრებოდა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის ნაწილად იქცა. ცხადია, რომ ეს მონეტა რუსულია და არა ქართული, მაგრამ გარეგნულად ასეთი ფული იმიტომ იჭრებოდა, რომ რუსეთთან შეერთების პირველ ეტაპზე საიმპერატორო რუსეთის მოხელენი ცდილობდნენ ქვეყნის ათვისებას და ახალ ქვეშევრდომთა გულის მოგებას. ამ საჭიროების გასვლისთანავე სხვა პრივილეგიებთან ერთად გარეგნულად ქართული ფულის მოჭრაც შეწყდა და საქართველოში შემოღებული იყო რუსული სამონეტო ტიპი.

გარეგნულად ამის საწინააღმდეგო მოვლენას ეაწყდებით კონკრეტულ შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მოჭრილი მონეტების უცხო ენით გადმოცემული წარწერები უცხო მფლობელების სახელებს იუწყება, ეს მონეტები მაინც ქართულია და არა მონღოლური. მართალია, ამის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც არსებობს, მაგრამ, როგორც დავრწმუნდებით, ამ უკანასკნელ მოსაზრებას საფუძველი ეცლება.

უპირველეს ყოვლისა მოვიშველიებთ სათანადო ანალოგიას ისევე რუსუ-

ლი ნუმისმატიკიდან. გამოჩენილმა რუსმა ნუმისმატმა ი. ტოლსტოიმ თავის დროზე გამოაქვეყნა მონეტა, რომელზედაც არაბული წარწერით თოხთამიშ. ოქროს ურდოს ხანის სახელია აღბეჭდილი; რუსული წარწერა, მოჭრის ადგილი ან რუსი მთავრის სახელი მონეტაზე აღბეჭდილი არაა, მაგრამ მიუხედავად ამისა. სხვადასხვა ნიშნების მიხედვით, მეცნიერმა შესაძლოდ ცნო დიმიტრი დონელისადმი მისი მიკუთვნება.

ამ მონეტასთან შედარებით ჩვენში მოჭრილი ზემოაღწერილი მონეტები მეტი უფლებით ჩათვლება ქართულად თუნდაც იმიტომ, რომ მათი განსაზღვრული ნაწილის ზედწერილები ქართველების იდეოლოგიას ასახავს, ხოლო თბილისში მათი მოჭრის შესახებ ეჭვი არააის შეჰპარვია. სხვათა შორის, ეს დამახასიათებელი ნიშნები დიმიტრი დონელის მონეტას არ გააჩნია.

მაგრამ ასეთი ანალოგიის გარდა ჩვენს ხელთ არის საბუთები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობებს შეიცავს და, ჩვენი აზრით, ამ სადავო საკითხს საბოლოოდ წყვეტს. ყაზან ყაენის დროს ჩატარებული ფულის რეფორმის თანამედროვე ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი იუწყება, რომ რეფორმის ჩატარებამდე ელხანთა სახელმწიფოში შემავალ სხვადასხვა სამფლობელოებში მოჭრილი ფულის სინჯი დაკანონებულ ნორმაზე ნაკლებ ძვირფას ლითონს შეიცავდა და აღნიშნავს, რომ „ამ უწყისობათა აღმოფხვრა ისლამის ხელმწიფემ გადაწყვიტა ასე: უპირველეს ყოვლისა თავისი შეხედულებით მონეტის ნიმუში დაადგინა, ზედ ისეთი ნიშანი დასვა, რომლის დაყალბებას არაეინ შესძლებდა და ბრძანა, რომ მთელ მის სამფლობელოებში ოქრო და ვერცხლი ამ ნიმუშის მიხედვით მოჭრილიყო, მონეტებზე ალაჰისა და მისი მოციქულის სახელიც უნდა ყოფილიყო. საქართველოშიც კი, განაგრძობს ისტორიკოსი. სადაც მონეტები არასოდეს არ მოჭრილა ალაჰისა და მისი მოციქულის სახელით, აუცილებლობის გამო აგრეთვე იწყეს ასეთი ფულის მოჭრა, რადგან სხვა მონეტებს აღარსად ექნებოდა გასაყალი. ასე რომ, იმ მხარეებშიც საჭირო გახდა ასეთი მონეტის მოჭრა მიუხედავად იმისა, რომ ქართველები არ ცნობდნენ ყაენის ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფულს აღარსად მიიღებდნენ“.

ეს ცნობა იმდენად მკაფიო და ნათელია, რომ მოდავეთა ჩიუტობას ადგილი რომ არ ჰქონოდა, განმარტებათა მოყვანა საჭიროც არ იქნებოდა. ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ რეფორმამდე საქართველოში მოჭრილ მონეტაზე მამადის სახელს არ ახსენებდნენ, რაც, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, სინამდვილეს შეეფერება. ჩატარებული ანალიზების საშუალებით დასტურდება ცნობაც იმის შესახებ, რომ სხვადასხვა სამფლობელოებში მოჭრილ მონეტათა სინჯი სხვადასხვანაირი ყოფილა. ამ მონეტების შემოწმებით დადგენილია, რომ XIII ს. მეორე ნახევრის ერანული და სელჯუკური ფულის სინჯი ქართულ ფულთან შედარებით გაცილებით მაღალი ყოფილა. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ რეფორმის შემდეგ საქართველოში მონეტას კრიან კანონით დაწესებული ნიმუშის მიხედვით, „წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ა თ ფ უ ლ ს არ ს ა დ ლ ე ბ უ ლ ო ბ დ ნ ე ნ“.

ამრიგად, სხვადასხვა ხასიათის მონაცემები ერთნაირ და დამაჯერებელ ცნობებს იძლევიან უცხო ნიმუშების მიხედვით ჩვენში მოჭრილ მონეტათა ქვეშარიტი წარმოშობის შესახებ. რაც შეეხება ამ სახის მონეტებთან ერთად ჩვენშივე მოჭრილ ეროვნული ხასიათის მონეტებს, რომლებიც გაცილებით

ნაკლები რაოდენობით ჩნდება, ამასაც სათანადო ახსნა აქვს. ჰულაგუიდური ტიპის ქართული მონეტების მოჭრა გამოწვეული იყო წმინდა სავაჭრო-ეკონომიური მიზნებით და შეზობელ ქვეყნებთან ეკონომიური კავშირის დასამყარებლად. XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შექმნილმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა აიძულეს ქართველები თავისი მონეტებისათვის ისეთი სახე მიეცათ, რომელიც მას ფართო გავრცელების საშუალებას მისცემდა. ზემოაღნიშნულის გამო, საგარეო ბაზარზე გასატანად ჰულაგუიდური ყაიდის მონეტათა დიდი რაოდენობა იჭრება, ხოლო ქართველ მეფეთა სახელით აღბეჭდილი მონეტების შედარებითი სიმცირე და იშვიათობა ალბათ იმით აიხსნება, რომ მათ ხელისუფლების ერთ-ერთი რეგალიის განსახორციელებლად ჭრიდნენ.

უეჭველია, რომ ზემონათქვამი უნდა გავრცელდეს რეფორმის შედეგად ვაერთსახოვნებულ ჩვენში მოჭრილ მონეტებზედაც, რადგან ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ „საქართველოშიც კი... აუცილებლობის გამო აგრეთვე იწყეს ასეთი ფულის მოჭრა, რადგან სხვა მონეტებს აღარსად ექნებოდა გასაკალი“ და „წინააღმდეგ შემთხვევაში მათ (ე. ი. ქართველების — დ. კ.) ფულს აღარსად არ მიიღებდნენ“.

XIII — XV სს. დასავლურ-ქართული მონეტები

დაუსრულებელი ბრძოლა, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა თურქ-სელჯუკებთან, მონღოლ-თათრებთან და სხვა დამპყრობლებთან, სახელმწიფოს ძალიან აუძლურებდა. სუსტდებოდა სამეფო ხელისუფლებაც, ხოლო ცალკეული გავლენიანი ფეოდალები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ და ამით ხელს უწყობდნენ საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს დაშლას. ჩვენ ვნახეთ როგორ გამოიყენეს მონღოლებმა XIII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სამეფო ტახტზე ორი პრეტენდენტის (უღუ დაეითისა და ნარინ დაეითის) დანიშვნა, თუ როგორ შეუწყო ამან ხელი საქართველოს მთლიანობის დაშლასა და ლიხთამერისა და ლიხთიმერის ორი სახელმწიფოს შექმნას. საკვებით ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ორი სამეფოს დაარსებისთანავე ლიხთიმერში საკუთარი ფულის მოჭრის ტენდენცია უნდა წარმოშობილიყო. სახელდობრ რომელ წელს დაიწყო დასავლეთ საქართველოში საკუთარი ფულის მოჭრა, ამის უშუალოდ დამადასტურებელი ფაქტი წერილობითი საბუთის სახით ჯერჯერობით არ მოგვეპოვება და სათანადო სიმტიციის მითითებებს არც ნუმიზმატიკური მასალა იძლევა; მაგრამ ჩვენ მიწა-წყალზე აღმოჩენილ მონეტებს თუ გავცხრილავთ, დავრწმუნდებით, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე, ჩვენი საერთო სამშობლოს ეს ორი ნაწილი — ლიხთამერი და ლიხთიმერი, ძირითადად ერთიმეორისაგან განსხვავებული ფულის ნიშნებით იკვებებოდა.

მხოლოდ ზოგჯერ, როდესაც ძალით გათიშული და სხვადასხვა გზით მიმავალი ეს ორი ნაწილი მტრებთან ბრძოლის შედეგად თავისუფლდებოდა და საერთო გზას პოულობდა, მონეტაც საერთო ხასიათსა და იერს ღებულობდა, მაგრამ აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად უცვლელი რჩება, — დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ტიპები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. საყურადღებოა, მაგალითად, რომ XIII საუკუნის მონღოლური ან ქართულ-პულაგუიდური მონეტები დასავლეთ საქართველოში იშვიათ შემთხვევაში გვხვდება, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ნაწილში ძალიან ხშირია. ეს გარემოება ადვილად აიხსნება, თუ გავიხსენებთ, რომ იმერეთში ფეხის მოკიდება მონღოლებმა ვერ შეძლეს, იმერეთმა სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და დასავლეთ და სამხრეთ ქვეყნებთან კავშირას დამყარება ირჩია.

XIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის განსაკუთრებულად ვრცელდება ტრაპიზონული ვერცხლის ფული — ასპრები, რომლებიც საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს, რა თქმა უნდა, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმდროინ-

დელ პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ ვითარებასთან. მაგრამ აქვე და გაცილებით მეტი რაოდენობით ჩნდება ძალიან თავისებური და, უნდა ვაღიაროთ, ჯერ სუსტად შესწავლილი მონეტები, რომლებსაც ტრაპიზონულ ასპრებთან უდავო მსგავსების გამო ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ერთხანს „ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბადების“ სახელწოდება დაუმეკიდრდა.

ამ განსაზღვრასა და გავრცელებულ ტერმინს კრიტიკულად რომ მივეუდგეთ და ისტორიული ცნობების საფუძველზე სათანადო ანალიზი გავაკეთოთ, ცხადი გახდება, რომ ამ ტერმინს გადასინჯვა სჭირდებოდა. საქართველოს და ტრაპიზონის საკეისროს ურთიერთდამოკიდებულებაში საქართველო მუდამ აქტიურ როლს ასრულებდა: ეკონომიურად ან პოლიტიკურად ტრაპიზონის გავლენის ქვეშ საქართველო არასოდეს არ ყოფილა მაშინ, როდესაც ტრაპიზონის საკეისროს საქართველოსაგან ერთგვარი დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია.

არსებული ფაქტების სინათლეზე კატეგორიულად დაისვა ამ გავრცელებული ტერმინის („ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბადი“) გადასინჯვისა და ისტორიულ სინამდვილესთან სათანადოდ შეთანხმებული ტერმინით შეცვლის საკითხი. რადგან ამ მონეტის სახელწოდება — „კირმანეული“ ქართულ ხელნაწერებში ძველთაგანვე ყოფილა შერჩენილი, უკეთესად მივიჩნით ამ ტერმინის შენარჩუნება. საინტერესოა, რომ ეს ტერმინი ბერძნული სიტყვების „კირ მანულის“ დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს და ფართო გაგებით, ბატონ (კირ) მანულის ანუ მისი სახელით მოჭრილ მონეტას უნდა ნიშნავდეს.

1455 წელს გიორგი VIII მიერ ბოძებულ ვაჩნაძიანთ სიველში ნათქვამია: „ამა თეთრისა საქმე ასე უწოდეთ ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მიხეულად კირმანოელისეული ჰქუიან. არის წონითა ერთი თეთრი ერთისა დრამისა წმიდა და ხალასი ვერცხლი“.

ბაგრატ VI მიერ 1472 წ. დამტკიცებულ ჟურულიანთ სიველში ნათქვამია: „ვინცა კირმანეულისა ვითარება არ იცოდეს, კირმანეული თანგისა წონა არის“. (ს. კაკაბაძე, „სასისხლო სიველების შესახებ“. საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 41—42 და 63).

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ტრაპიზონის საკეისროში ყოველ ახლად გაჩენილ სამონეტო ტიპს ყოველთვის წინ უსწრებს საქართველოში მოჭრილი ანალოგიური მონეტა, ე. ი. ამა თუ იმ სამონეტო ტიპის გამოშვების წამომწყები ამ სარ სახელმწიფოთა შორის ყოველთვის საქართველოა და არა ტრაპიზონი. იმ გარემოებას, რომ ამ სამონეტო ტიპების გაცილებით უფრო აღრინდელი ანალოგიები ბიზანტიურ და სელჯუკურ ნუმიზმატიკაში გვხვდება, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ გადამცემ მხარეს საქართველო წარმოადგენდა და არა ტრაპიზონი, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა.

ტრაპიზონის ასპრის შუბლზე მოთავსებული მთელი ტანით პირდაპირ მდგომი კეისრის გამოსახულება პირველად 1235—1238 წწ. გაჩნდა, მაშინ, როდესაც სუსტად ასეთივე გამოსახულებაა მოთავსებული ლაშა გიორგის მიერ 1210 წელს მოჭრილ № 75 მონეტაზე.

ტრაპიზონის ასპრების ტიპში იოანე II და ალექსი II დროს, დაახლოებით 1297 წელს შეტანილია ცვლილება და მასზე თანამოსაყდრე ორი კეისრის გამოსახულება ჩნდება. ჩვენში კი ასეთი ორმეფიან გამოსახულებას ჯერ კიდევ

1261 წლის № 95 მონეტაზე ვხედავთ. დაბოლოს, ალექსი II დროს, ე. ი. XIII—XIV სს. მიჯნიდან, ტრაპიზონული ასპრის ტიპი ძირიანად იცვლება. მასზე გამოსახულია ამხედრებული კეისარი და წმ. ევგენი.

ეს ტიპი XV საუკუნეში საკეისროს დამხობამდეა შერჩენილი. საქართველოში კი გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულება 1247 წელს ჩნდება ნარინ დავითის № 91 დრამაზე.

ამრიგად, ეს უკვე სამი შემთხვევაა, როდესაც ტრაპიზონული მონეტის ტიპს საქართველოში მოჭრილი მონეტები უსწრებს წინ.

უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ გარეგნულად ტრაპიზონულ ასპრებს შორის გვხვდება ცალები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდება ტრაპიზონში მოჭრილი ორიგინალური მონეტებისაგან, მაგრამ თავის ქეშმარიტ წარმოშობას ოდნავ შესამჩნევი დეტალებით ამჟღავნებს. ცნობილია გარეგნულად ტრაპიზონული ასპრები, რომელთა მოსაჭრელად გამოყენებული ყოფილა თბილური დრამები (მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილი, ანონიმური ყაანური), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ასეთი ასპრების გადაჭედვისათვის ზოგჯერ ნახმარია ვაცილებით უფრო გვიანდელი ქართული მონეტა, რაც აშკარად ჩანს ახალი სიქის ქეშ შერჩენილი ამ გვიანდელი მონეტების დეტალებით. ფრიად საყურადღებო და უცნაურ ამ მოვლენას განვმარტავთ კონკრეტული მაგალითით: ცნობილია, რომ ტრაპიზონის კეისარი მანუილ პირველი 1263 წელს გარდაიცვალა. მისი სახელით აღბეჭდილ სხვა გადაჭედილი მონეტების ერთ-ერთ ასეთ ცალზე „ტრაპიზონული“ სიქის ქეშ აშკარად ჩანს ქართულ-ჰულაგუიდური დრამის გადარჩენილი დეტალები. ვაეიხსენოთ, რომ მანუილ I 1263 წელს გარდაიცვალა, მოვიგონოთ აგრეთვე, რომ № 103 ქართულ-ჰულაგუიდური დრამების მოჭრა მხოლოდ 1280 წ. დაიწყო, — გამოდის, რომ „ტრაპიზონული ასპრის“ მოსაჭრელად გამოყენებული ყოფილა ქართული მონეტა, რომელიც 17 წლის შემდეგ გაჩნდა.

ერთი შეხედვით ამ გაუგებარი მოვლენის ასახსნელად და იმის გასაგებად, თუ რა პირობებში შეიძლება მომხდარიყო ასეთი უცნაური ანაქრონიზმი, საჭიროა საკმარის ვრცელი ისტორიული ექსკურსი.

საქართველოში ტრაპიზონული ასპრების ფართო გავრცელების შემდეგ ახლად გაჩენილი სამონეტო ტიპი — კირმანეული თეთრი — დასავლეთ საქართველოში მტკიცედ იკიდებს ფეხს; მისი გაჩენა მთლიან საქართველოს დაყოფასა და დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მეთაურობით ახლად დაარსებულ სამეფოს უნდა დაეუკავშიროთ.

მისი სახელით მოჭრილი დმანისისა და თბილისის ზარათხანათა პროლექცია, როგორც აღვნიშნეთ, საკმაო რაოდენობითაა შემონახული, ხოლო 1259 წლიდან, ე. ი. დასავლეთ საქართველოში ნარინის გადასვლის შემდეგ, უშუალოდ დავით ნარინის სახელით აღბეჭდილი მონეტა ჭერჭერობით არ გამოჩენილა. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ დანარჩენ სამეფო რეგალიებთან ერთად ახლად დაარსებულ სამეფოში მან საკუთარი ფულის მოჭრის უფლებაც შეინარჩუნა.

სათანადო ფაქტიური მასალის უქონლობის გამო ამ კითხვაზე მტკიცე პასუხის გაცემა ჭერჭერობით გაგივირდება, რადგან ნარინ დავითის სახელით აღბეჭდილი დასავლურ-ქართული ტიპის რაიმე სხვა მონეტა № 95-ით აღწერილი ორი დავითის მონეტის გარდა არ მოგვეპოვება. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძ-

ლია ვივარაუდოთ, რომ ლიხთიმერში ნარიჩის გადასვლისა და აქ ახალი სამეფოს დაარსების შემდეგ მონეტის მოჭრის ტრადიცია უნდა შენახულიყო; ცხადია მხოლოდ, რომ აქ მოჭრილი მონეტა მუსლიმანური ან მონღოლური ყაიდისა არ იქნებოდა და სულ სხვა ტიპისა და შინაარსის უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ დროს გაჩენილი კირმანეული თეთრი, რომელსაც ქვემოთ აღვწერთ, თავისი გარეგანი ნიშნებით ამ პირობებს საცვებით უპასუხებს. ის ძალიან უახლოვდება XIII საუკუნის ტრაპიზონულ ასპრებს და ძირითადად მის ანალოგიასა და განმეორებას წარმოადგენს, მაგრამ ეს მსგავსება, როგორც ითქვა, ბრმა მიბაძვის შედეგი არაა. ვიძლევი ამ ვერცხლის მონეტის აღწერილობას:

№ 125. მონეტის შუბლი: პირდაპირ მდგარი მეფის გამოსახულება, მეტწილად დამახინჯებული ბერძნული წარწერებით, რომლებიც იუწყებიან ტრაპიზონის კეისრის (მანუილისა ან იოანეს) სახელს. უხეში გამოსახულებისა და დამახინჯებული ზედწერილის გარდა, კეისრის თეხთან მოთავსებულია ასპრებისაგან განმასხვავებელი ამ მონეტის ნიშანი — ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ე. წ. „სოლომონის ბეჭედი“.

ზურგი: მეტწილად უხეშად შესრულებული ტრაპიზონის საკეისროს მფარველის წმ. ევგენის გამოსახულება. მარცხნივ და მარჯვნივ — ბერძნული წარწერები, რომლებიც წმინდანის სახელის სხვადასხვანაირ შემოკლებასა და დამახინჯებას იძლევა. საინტერესოა, მაგალითად, ამ სახელის წმინდა ქართულით შეცვლა: — ΓΕΝΟ.

კირმანეული თეთრისა და ტრაპიზონული ასპრების გამოსახულებათა მსგავსება და ზედწერილების იგივეობა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აუცილებელ ნათესაობასა და ფულის სისტემის ერთიანობას ამჟღავნებს. მაგრამ ამ მასალას უფრო ღრმად რომ დაეუყვირდეთ და მის შინაარსს დაუფიქრდეთ, მრავალი საკითხი იზადება.

ამ საკითხების გარკვევისათვის საჭიროა სათანადო განმარტებანი, ფაქტიური მასალის დაპირისპირება და მისი ანალიზი. რადგან ამ წიგნის დანიშნულება და ხასიათი ამის საშუალებას არ იძლევა, ძირითადი აზრისა და მიმართულების მოსაცემად რამდენიმე კითხვის დასმით დავემყოფილდებით:

1. ტრაპიზონის საკეისროში ახალი სამონეტო ტიპის შექმნას რატომ უსწრებს წინ ყოველთვის საქართველოში ზუსტად ასეთივე მონეტის გაჩენა?

2. როგორ და რა პირობებში მოხდა ზემოხსენებული ანაქრონიზმი, როდესაც უფრო გვიანდელ ქართულ მონეტიდან აღრინდელი „ტრაპიზონული ასპრი“ გადაიქცეა?

3. რატომ შეინარჩუნა XIV—XV საუკუნეების დასავლურ-ქართულმა კირმანეულმა პირვანდელი თავისი ტიპი (პირდაპირ მდგომი კეისარი და წმინდანნი), ხოლო XIII—XIV საუკუნეთა მიწინიდან ტრაპიზონული ასპრის ტიპი მკვეთრად შეიცვალა (კეისარი და წმინდანი ცხენოსნებია)?

ესა და ამგვარი საკითხები მონეტათა მიბაძვით მოჭრის ძირითად პრინციპს ეწინააღმდეგება და ასეთი თეორიის უსაფუძვლობას ამჟღავნებს.

ნიუმიზმატიკურ ლიტერატურაში ადრე გავრცელებული თეორიის მიხედვით, უცხო ნიმუშების მსგავსად საქართველოში მოჭრილ მონეტათა უმრავლესობა მეზობელ სახელმწიფოთა მონეტების ბრმა მიწაბადს წარმოადგენდა. ამ თეორიას ზოგიერთი მკვლევარი ახლაც მხარს უჭერს. გამოდის, რომ უმე-

ტეს შემთხვევებში ჩვენი ქვეყანა სამონეტო ტიპების შექმნაში უშუალო მონაწილეობას არც ღებულობდა, მაგრამ რაც უფრო ღრმად შეისწავლება ჩვენი ქვეყნის წარსული და რაც უფრო უხვად ჩნდება ამ წარსულის ახალი ძეგლები, ამგვარ მოსაზრებებს ნიადაგი სულ უფრო და უფრო ეცლება. ახლა უკვე აღარ შეიძლება, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი, იმის მტკიცება, რომ უცხო ნიმუშების მიხედვით მოჭრილ ქართულ მონეტებს მკვეთრად არა აქვთ გამოხატული თავისებური იერი, — ფაქტიური მასალა ცხადყოფს ასეთი მტკიცების უსაფუძვლობას.

ნუმისმატიკური ძეგლებისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ნაშრომი შეიცავს საუკეთესო მაგალითებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მთელ რიგ ასეთ ე. წ. „მინაბადთა“ წარმოშობის მიზეზების შესახებ. ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების მწვავე შეჯახების შედეგად გაჩენილი ასეთი მონეტების მაგალითები ააშკარავენ მიზეზებს, რომლებიც ზოგჯერ აიძულებდნენ დამპყრობელს საკუთარი მონეტა ეჭრა დაპყრობილი ქვეყნის სამონეტო ტიპის ყაიდაზე. ამ მაგალითებს ისეთი დამაჯერებელი კომენტარები ახლავს, რომ საკითხი ქართული კირმანეულის მინაბადობის შესახებ ამ ფაქტების სინათლეზე თავისთავად იხსნება.

ქართული კირმანეულის ჰეშმარიტი ბუნების დასადგენად საკმარისია მათი შედარება ისეთ მონეტებთან, რომელთა გაჩენა ნაქარხანევი იყო წმინდა ეკონომიური მიზნებით. ასეთ, ე. წ. სავაჭრო მონეტას, ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ ძველი სამყაროს ფულად მიმოქცევაში, თუმცა ანტიკური მონეტების მიმართ ამ ტერმინის გამოყენებისას საჭიროა ზოგიერთი დათქმა და განმარტება. სავაჭრო მონეტას დღეს უწოდებენ ისეთ ნიმუშს, რომელიც იჭრება საგარეო ბაზარზე გასატანად გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს საჭიროა საშინაო ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სავაჭრო მონეტად შეიძლება დავსახელოთ ისეთი მონეტა, რომლის ტიპი ხმარებიდან დიდი ხანია გამოვიდა, საკუთარ სამშობლოში მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ მისი მოჭრა საგარეო ბაზარზე გატანის მიზნით სულ სხვა ქვეყანაში გრძელდებოდა.

საგარეო ბაზარზე კირმანეული თეთრის გატანის შესახებ კონკრეტული მაგალითები სამწუხაროდ არ მოგვეპოვება, რადგან თურქეთის თანამედროვე ტერიტორიაზე და კერძოდ ტრაპიზონის ოლქში ამ მონეტათა აღმოჩენის შესახებ საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია მივუყენოთ ქართულ კირმანეულს ზემოთქმული მოსაზრებანი ხმარებიდან გამოსულ და საკუთარ სამშობლოში მნიშვნელობადაკარგულ მონეტების სხვა. ქვეყანაში გამოშვების შესახებ. კირმანეული თეთრის პირველი საფეხურებიც კი, რომლებიც საკუთრივ ტრაპიზონული ასპრებისაგან არ განსხვავდება, როგორც ირკვევა, ფაქტიურად მოძველებული ტიპის ყაიდაზე მოჭრილა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მოძველებულ ტიპებს გასავალი უნდა ჰქონოდა როგორც საქართველოში, ისე ტრაპიზონში. XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და ტრაპიზონს შორის არსებულ ურთიერთობათა სინათლეზე კირმანეული თეთრის ასეთი ტიპის გაჩენა, ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო, არ შეიძლება აიხსნას ბრმა მიბაძვით და უცხოური სამონეტო ტიპის უბრალო სესხების აუცილებლობით. კიდევ უფრო ნაწლები საფუძველი გვაქვს მინაბადთა კატეგორიას მივაკუთვნოთ კირმანეულის შემდგომი თანდათან გაუხეშებული საფეხურები,

რომლებიც სულ ცოტა კიდევ ერთი საუკუნის მანძილზე იჭრებოდა. სინქრონული ტრაპიზონული ასპრების ტიპი XIII—XIV სს. მიწინიდან, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად იცვლება და მეფისა და წმინდანის ფიგურები საკეისროს დაცემამდე მხედრების სახითაა გადმოცემული, ქართულ კირმანეულზე კი მთელი ტანით პირდაპირ მდგომი ფიგურები თავიდან ბოლომდე უცვლელია.

ამრიგად, ამ შემთხვევაში სახეზე სწორედ ის ნიშნებია, რომლებიც ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების მძაფრი შეჯახების შედეგად ზოგჯერ დამპყრობელსაც კი აიძულებდა მოეჭრა ისეთი მონეტა, რომელსაც თავის დროზე დაპყრობილ ქვეყანაში ჰქონდა გასავალი, მაგრამ ხმარებიდან უკვე გამოსული იყო და დაკარგული ჰქონდა თავისი მნიშვნელობა. გამოთქმა — დამპყრობლები — ყოველთვის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით რომ არ იგულისხმება, ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითიდან ჩანს:

1. ძვ. წ. I საუკუნის პირველ მეოთხედში, მითრიდატე VI ეგპატორის ბატონობის დროს, ოდესაში გამოშვებული ვერცხლისა და პონტოს ოქროს მონეტები ორი საუკუნით ადრე გავრცელებული მონეტების მსგავსად იჭრება. კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის ტეტრადრაქმისა და ლისიმახეს სტატერის მსგავსად.

2. არაბები, რომლებსაც პირველ ხანებში თავისი საკუთარი მონეტა არა ჰქონდათ, კმაყოფილდებოდნენ ბიზანტიური ოქროსა და სასანური ვერცხლის მონეტებით. მაგრამ, როდესაც ფულადი მიმოქცევის საჭიროება გაიზარდა და საკუთარი მონეტების მოჭრა დაიწყეს, თავის პირველ მონეტებს არაბებმა დაპყრობილი ქვეყნის სასანური დრაქმის სახე მისცეს.

3. ოქროს ჰოლანდიური დუკატის (რომელსაც ერთ მხარეზე აბჯრიანი რაინდის გამოსახულება აქვს, ხოლო მეორეზე — ლათინური ზედწერილი) შესახებ არასპეციალისტ-წემიზმატს ფიქრადაც არ მოუვა, რომ ამ მონეტას მხოლოდ ჰოლანდიაში არ უშვებდნენ და საკმაოდ დიდხანს რუსეთშიც იჭრებოდა, სადაც ის ინტენსიურად იყო ჩაბმული ბრუნვაში. რუსეთში ოფიციალური მისი სახელწოდება იყო „ლობანჩიკი“ ან „ჰოლანდიური ჩერვონეცი“ და სრულიად სამართლიანად რუსულ მონეტათა რიცხვშია შეტანილი.

„ლობანჩიკების“ სრულიად აშკარა მსგავსება ნამდვილ ჰოლანდიურ დუკატებთან არავის არ აძლევდა საფუძველს ისინი „ჰოლანდიური დუკატების რუსულ მინაბაძებად“ ჩაეთვალათ, რადგან რუსეთში მათი მოჭრის ქეშმარიტი მიზეზი ყველასათვის გასაგებია. ქართულ კირმანეულს კი თავს ახევენ „ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბაძის“ სახელს, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაჩენის მიზეზი დაახლოებით ისეთივე უნდა იყოს, როგორც რუსული „ლობანჩიკებისა“.

მსგავსი სავაჭრო მონეტის გამოშვება თითქმის ყველგან და ყოველთვის ყოფილა პრაქტიკაში; ვფიქრობთ, რომ მოყვანილი მაგალითების შემდეგ კირმანეულის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი უფრო გასაგები იქნება.

სხვადასხვა სახით მოჭრილი კირმანეულების ვარიანტები იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ მათი უბრალო აღწერილობა სპეციალურ შრომასა და ცალკე წიგნის გამოშვებას მოითხოვს. ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე ვარიანტს დავასახელებთ და ტაბულაზე მოთავსებული რეპროდუქციებით დაკვამყოფილებით (იხ. №№ 126—130).

ჩნდება, მაგალითად, ცალები, რომლებზედაც კეისრისა და წმინდანის გა-

მოსახლეობა წელზევითაა, ან იმდენად დამახინჯებული ზედწერილებია, რომ ბერძნულთან საერთო არაფერი აქვს, ანდა იმდენად გადაგვარებულია ნიმუში, რომ სულ არ ემსგავსება პირველ პროტოტიპს და სხვ.

იშვიათ შემთხვევაში კირმანეულზე ქართული წარწერებიც ჩნდება: ცნობილია, მაგალითად, ცალი, რომელზედაც არის ასომთავრული ზ, ან მონეტის შუბლზე, კეისრის გამოსახულების გვერდით ასომთავრულათვე „მეფე“ წერია, ზოლო ზურგზე წმინდანის გამოსახულებასთან გიორგის დაქარაგმებული სახელი. ასეთი, სულ ორ ცალად ცნობილი ვარიანტი (იხ. № 131) ძალზედ იშვიათია და ახალი უკეთ შემონახული ცალის აღმოჩენა უდიდესი შენაძენი იქნება. გიორგის სახელით აღბეჭდილი ამ კირმანეულის უხეშად შესრულებული გამოსახულებისა და შემცირებული წონის (1, 14 გრ) მიხედვით მონეტა მოგვიანრო უნდა იყოს, XIV საუკუნის დამლევით უნდა დათარიღდეს და, ამრიგად, შესაძლებელია იმერთ მეფე გიორგი I (1389—1392 წწ.) ეკუთვნის.

XIII—XIV საუკუნეების სხვა მონეტების მსგავსად, კირმანეული თეთრიც თანდათანობით კნინდება და უარესდება, მაგრამ ძირითად ტიპს ბოლომდე ინარჩუნებს — ცალ გვერდზე გამოსახულია მეფე, მეორეზე — წმინდა ევგენი.

კირმანეული თეთრის ცალკე ნიმუშების ზუსტი თარიღის დადგენა ჭეშვარიტობით ვერ ხერხდება, მაგრამ საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოები აღდგენილია. პირველ ასეთ, შედარებით წესიერად შესრულებულ ნორმალური წონის (საშუალოდ 2,5 გრ) ნიმუშებს ზოგიერთი მკვლევარი დავით ნარინის ლიხთიმერში გადასვლის პირველივე წლებს უკავშირებს, ზოგი — 1285 წელს. ბოძდარ პოლიტიკურ ამბებს; მართლაც, სწორედ ამ დროს საქართველო ძალიან აქტიურად ერევა ტრაპიზონის საქმეებში და საეკისროს ტახტზე აპყავს საქართველოში გათხოვილი (დავით ნარინის მეუღლე?) ტრაპიზონის კეისრის ასული თეოდორა. რაც შეეხება საბოლოოდ დამახინჯებულ და დაკნინებულ კირმანეულის ვარიანტებს, რომლებიც ზოგჯერ 0,5 გრ იწონის, შესაძლებელია, რომ ასეთები XVI საუკუნის მიჯნასაც აღწევდეს.

ქ მონეტათა ამავე სერიას ეკუთვნის ჭეშვარიტობით მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც ადვილად თარიღდება ზედ აღბეჭდილი გარკვეული ისტორიული პირის სახელის მიხედვით. ვინაიდან კირმანეულის ამ სახეს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოგვყავს მისი სრული აღწერილობა.

№ 132. წონა 2,90 გრ. მონეტის შუბლი — ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებული ქართული ზედწერილი მხედრული ხელით „ქამეყ“ შებრუნებულად არის მოცემული.

ზურგე — მთელი ტანით პირდაპირ მდგარი ადამიანის სქემატური გამოსახულება, რომელიც წმინდა ევგენის უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მარცხნივ შერჩენილია ამ წმინდანის სახელში შემავალი ოთხი ბერძნული ასო, მაგრამ რადგან გამოსახულებას თავზე გვირგვინი ადგია (შერჩენილია გვირგვინის ტოტები), ზოლო ირგვლივ შარავანდელი შემოვლებული არ აქვს, შეიძლება მმართველადაც მივიჩნიოთ.

უდავოა, რომ მონეტაზე აღბეჭდილი სახელი ვამეყ პირველ დადიანს (1384—1396 წწ.) ეკუთვნის. ვერცხლის კარგი ხარისხი და მონეტის მაღალი წონა მოწმობს, რომ იმ დროს, მძიმე ეკონომიური პირობების მიუხედავად, საქართველოს ზოგიერთ ნაწილში სრულფასიანი მონეტა მაინც შენახულა.

ეს უნიკალური მონეტა ჩვეულებრივი ტიპის სხვა კირმანეულებთან ერთად აღმოჩენილი იყო სოხუმში. განძი მიიფანტ-მოიფანტა და საბედნიეროდ კერძო კოლექციონერის მიერ გადაარჩენილი რამდენიმე მონეტათა შორის ეს უიშვიათესი მონეტაც აღმოჩნდა. აი რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ზოგჯერ ცალკე პირებსაც ძველებური ფულის გადარჩენაში!

ირაკვევა, რომ კირმანეული თეთრის შემდეგ როგორც დასაქვლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი ფულის მოჭრა არ შეწყვეტილა, მაგრამ მონეტის ტიპი ამჯერად იმდენად შეიცვალა, რომ ამ საბოლოოდ დაკნინებულ ფულზე საუბარი გვექნება ცალკე განაკვეთში.

XIV—XVI საუკუნეების დაკნინებული მონეტები

გიორგი ბრწყინვალის (1314—1346 წწ.) დროს საქართველო კვლავ გაერთიანდა, დაწინაურდა და წინანდელი საერთაშორისო პოზიციები მოიპოვა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების აღმავლობა ამჯერად ხანგრძლივი არ გამოდგა: ბრწყინვალე გვირგვინოსნის გარდაცვალებიდან სულ 40-ოდე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1386 წელს საქართველოს შემოესია განთქმული დამპყრობელი თემურლენგი. ამ შემოსევას 1400 წლამდე კიდევ ოთხი გამანადგურებელი თავდასხმა მოჰყვა. ქართველი ერის გმირული წინააღმდეგობა თემურლენგის აღშფოთებასა და გაშმაგებას იწვევდა, იღვრებოდა ქართველთა სისხლი, რომელიც იმდროინდელი ერანელი ისტორიკოსის სიტყვით „თოვლს ლალისა და იაგუნდისფრად ღებავდა“. მოსახლეობასთან ერთად ნადგურდება შენობები, ნათესები და ნარგავები. „ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურლენგისაგან ჩადენილი მტარავლობის მსგავსი მას არასოდეს თავს არ დასტყდომია... საქართველოზე თემურლენგის შემოსევა-განადგურებამ წარუხოცელი კვალი დასტოვა. წინანდებურად ჩვენმა ერმა და ქვეყანამ აღორძინება ვეღარ შესძლო“ — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი. XV საუკუნეს საქართველო აოხრებული და სისხლით დაცილილი დაუხვდა.

XIV—XV საუკუნეების ქართული მონეტები უკანასკნელ დრომდე ისე იშვიათად ჩნდებოდა, ცნობაში მოყვანილ ცალკე ცალების რაოდენობა იმდენად მცირე და შეუსწავლელი იყო, რომ მათ არსებობას ზოგი მკვლევარი საეჭვოდ ხლდა; ფიქრობდნენ, რომ საკუთარი ფულის მოჭრა ამ მძიმე დროს საქართველოს არც შეეძლო და არც ეცალა საამისოდ. ამ აზრს ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ მონეტების შესახებ სპეციალური ლიტერატურული ცნობები ან ღარიბი და მცდარი იყო, ან მთლად უარყოფდა ამდროინდელი მონეტების არსებობას.

მაგრამ სოფ. ალში, მნაში და ქალ. გორში აღმოჩენილმა სამონეტო განძებმა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა გამოავლინა და საბოლოოდ დაადასტურა ამდროინდელი ეროვნული ხასიათის ქართული მონეტის არსებობა. უტყუარი ფაქტიური მასალის მიხედვით ამჟამად ირაკვევა, რომ დავით VII სპილენძის მონეტის შემდეგ XIV — XVI საუკუნეებში ეროვნული ხასიათის ქართული მონეტის მოჭრა არ შეწყვეტილა.

რა თქმა უნდა, მონეტის გარეგნობა და ზედწერილების შინაარსი ახლად

შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით კვლავ იცვლება და შემდგომ. საქართველოსთვის ყველაზე უფრო მძიმე ორი საუკუნის მანძილზე, სამონეტო ტიპების ეს ცვლა სულ უფრო და უფრო ხშირდება. ამჟროინდელი მასალის ზუსტი დათარიღება, დადგენა და განსაზღვრა ახლა ძალიან ფერხდება იმის გამო, რომ მონეტის დამზადების ტექნიკა სულ უფრო და უფრო ქვეითდება, მხატვრული გაფორმება მდარეა, ხოლო მონეტებზე აღბეჭდილი არაბული და ზოგჯერ ქართული ზედწერილები—დამახინჯებული; მონეტების დიდ უმრავლესობას თარიღი არა აქვს, მეფის სახელს მამის სახელი აღარ ახლავს. უთარიღო მონეტისათვის ეს უკანასკნელი ცნობა, რა თქმა უნდა, დიდად საყურადღებოა, რადგან ერთნაირი სახელის მატარებელი მეფენი, სამეფო ტახტის მძიებლები ან ცალკე მფლობელნი სწორედ ამ დროს მომრავლდნენ. ამგვარი მონეტების განსაზღვრისა და დათარიღებისათვის ახლა საჭირო ხდება არაპირდაპირი მაჩვენებლების გამოყენება, როგორცაა მაგალითად: მონეტის ზომა, წონა, ლითონის სინჯი, ტიპისა და ფაქტურის შედარება, მოჭრის ტექნიკისა და მხატვრული შესრულების დაპირისპირება უკვე ცნობილ ანალოგიებთან, განძების შემადგენლობის ანალიზი და სხვ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ისე სანდო აღარ არის როგორც გარკვეული თარიღი ან კარგად ცნობილი ისტორიული პირის სახელი, მაგრამ განძის შემადგენლობის, ამ შემადგენლობის მონეტათა კომბინაციებისა და სათანადო ანალოგიებისა და დამატებითი დამხმარე ცნობების გამოყენების საშუალებით ხშირად შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ მონეტის დადგენა. ამჟამად ქართული ნუმისმატიკის საერთო კლასიფიკაციაში უკვე გამოიყო XIV—XVI საუკუნეების გარკვეული სამონეტო ტიპები და რიგ შემთხვევებში ამა თუ იმ ისტორიული პირისადმი მონეტების მიკუთვნება მოხერხდა.

ზოგიერთი სამონეტო ტიპის განსაზღვრას ის გარემოებაც ართულებს, რომ, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ჯერ კიდევ XIII საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოცენდა ცალკე ზარაფხანები (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ანისი, ახალციხე). XIV საუკუნის დამლევისათვის საქართველოს დანაწევრება უფრო ღრმავდება, რის შედეგად ახლად გამოყოფილ პოლიტიკურ ერთეულებში საკუთარი ფულის მოჭრის ტენდენციას უნდა ეჩინათავე. ანალოგიური მოვლენა კარგად არის ცნობილი უცხოური ნუმისმატიკიდან, მაგრამ ქართული ნუმისმატიკისათვის ეს სულ აწალი ამბავი იყო. პირველსა და აშკარა ასეთ მაგალითს იძლევა სომხეთისა (№№ 115—117) და ვამიყ დადიანის სახელით მოჭრილი (№ 132) მონეტები.

ამ რეგალით ადრე, თუ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ე. ი. მთლიანი საქართველოს „მეფეთა მეფენი“ სარგებლობდნენ, ახლა განსაზღვრული დროიდან უკვე ცალკეულმა მძლავრმა ფეოდალებმაც დაიწყეს მისი გამოყენება და, პირველ რიგში, ალბათ ახლად გამოყოფილ იმერთა სამეფოში.

მაგრამ ვიდრე ასეთ ნიმუშებს გავცნობით, შევჩერდეთ საერთო სახელმწიფოებრივი ტიპის მონეტებზე. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ასეთ მონეტებს ჩვენში კიდევ დიდხანს ჭირდნენ. ზომის, წონის, ტექნიკური ხერხებისა და ტიპის მიხედვით, XIV საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს ვერცხლის ორიგინალური მონეტა, რომელიც, როგორც ეტყობა, დიდ იშვიათობას წარ-

მოადგენს, რადგან ჯერჯერობით სულ რამდენიმე ცალად არის შემორჩენილი. მონეტა შემდეგი სახისაა:

№ 133. მონეტის შუბლი: ცენტრში მორკალული მსხვილი წერტილია, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ არაბულად გადმოცემული რელიგიური ფორმულის („ღმთისათვის“) მსგავსი ნიშნები აქვს; მის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებული ფრჩხილისებრი ორი წრე ოვალურ ჩარჩოს ქმნის, რომლის გარეთ განლაგებულია დაქარაგმებული ქართული ზედწერილი — ზემოთ: „მეფეთა“, ქვემოთ: „მეფე გიორგი“;

ზურგზე: ორმაგი რკალით შემოვლებული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც, ზოგადად დამახინჯებული სუნიტურა რელიგიური ფორმულის მსგავსებას იძლევა.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, მონეტას თარიღი არ ახლავს, მაგრამ ტექნიკური შესრულებით, ზედწერილის მაღალი რელიეფით, ზომა-წონის მაჩვენებლებითა და ფაქტურული თავისებურებით ის უფრო XIV საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. ტიპოლოგიურადაც ის ძალიან ახლოს დგას ამ დროს გავრცელებულ სულეიმან ყაენის (1339—1344 წწ.) თბილურ დრამასთან (შევიდართთ ტაბულაზე მოთავსებული № 123), რომელიც ამ ჩვენი მონეტის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელობას მოკლებული არ არის აღბუღა ათაბაგის სამართლის წიგნის ცნობა იმის შესახებ, რომ „დიდისა მეფისა გიორგას ჟამს“ (იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე) გაჩენილა ახალი ყაიდის თეთრი, რომელიც უფრო გვიანდელ საბუთებში გიორგაულად იხსენიება.

„დიდისა მეფისა გიორგის ჟამის თეთრს“, ანუ იგივე გიორგაულს თ. ლომოური უპირისპირებს ამ დროს ჩვენში გავრცელებულ საერთო ჰულაგუიღური ტიპის სულეიმან ყაენის დრამას. ძირითადად სამართლიანი ეს მოსაზრება არსებითი ხასიათის განმარტებას მოითხოვს, რომელიც მკიდროდ არის დაკავშირებული რაშიდ აღ დინის შემოხსენებულ ცნობასთან. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ყაზან ყაენის რეფორმისა და ელხანთა ყველა სამფლობელოში უნიფიცირებული მონეტის შემოღების შემდეგ, საქართველოშიც კი, სადაც ყაენის ხელისუფლებას არ ცნობდნენ, იძულებული გახდნენ ამ ყაიდის მონეტა ექრათ, „რადგან სხვა მონეტას აღარსად ჰქონდა გასაყალი“. უეჭველია, რომ ძველ ხელნაწერებში „ყაზანაურად“ ხმარებული ტერმინი სწორედ ასეთ მონეტებს გულისხმობდა.

მაგრამ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ უნიფიცირებულ მონეტასთან ერთად სახელოვან მეფეს ტიპოლოგიურად მსგავსი, მაგრამ ეროვნული ხასიათის მონეტაც გაეჩინა. ზემოაღნიშნულის გამო მოულოდნელი არ იქნებოდა, რომ აღწერილი მონეტა სწორედ გიორგაულის ერთ-ერთ სახეობად გამოშვებულიყო.

ამ მონეტის შემდგემა, უკვე საგრძნობლად გამარტივებულმა საფეხურმა ძირითადი სქემა და საერთო გარეგნობა მაინც შეინარჩუნა და ასეთი სახისაა:

№ 134. მონეტის შუბლი: ცენტრში მსხვილი წერტილის გვერდით არაბული ზედწერილის ნაცვლად მოთავსებულია ასომთავრული ორი ნიშანი „მ“ და „ფ“, რომელიც სიტყვა „მეფე“-ს დაქარაგმებას წარმოადგენს. ქართული ზედწერილის ნაცვლად ზემოთ და ქვემოთ გაურკვეველი ნიშნებია.

ზურგი წინა, № 133, მონეტის მსგავსია, ოღონდ მუსლიმანური სიმბოლო აქ უფრო დამახინჯებულია.

ამ მონეტის უკანასკნელი, საბოლოოდ გადაგვარებული საფეხურია ნიშუში. რომელზედაც შუბლის ზედწერილები ან ცალკე ასოები გამჭარალა. ცენტრში მსხვილი წერტილის გვერდით მოთავსებულია მომცრო ორი წერტილი. ზურგზე მოთავსებული მუსლიმანური სიმბოლო საბოლოოდაა დამახინჯებული და ძლივსა იცნობა (იხ. № 135).

ტიპოლოგიური, სტილისტური და ტექნოლოგიური ნიშნებით აღწერილი სამონეტო ტიპები მკვეთრად განსხვავდებიან XIV საუკუნის დანარჩენი მონეტებისაგან (როგორც ეროვნული ზასიათისა, ისე ჰულაგუიდურ ყაიდაზე მოჭრილი ნიშუშებისაგან). დამახასიათებელია, რომ აღწერილი მონეტები მეტროლოგიური მონაცემებითაა შედარებით უკეთესია.

ამ მონეტების განსაზღვრა-დათარიღებისათვის ძალიან გამოგვადგა ხაშურის რაიონში სოფ. ალში აღმოჩენილი განძის შემადგენლობა. ანალიზის შედეგად გამოიჩვენა, რომ განძის ძირითად ბირთვს წარმოადგენს XIV საუკუნის მეორე ნახევრის 204 ჯუჩილური და XIV ს. მიწურულის გიორგი VII ბაგრატიის ძის კარგად ცნობილი 249 მონეტა; ძალიან მცირე შენარევის სახით აქ წარმოდგენილია ათიოდე სხვა მონეტა, მათ შორის ზემოაღნიშნული № 135 მონეტის ხუთი ცალი. როგორც გარეგნული ნიშნებით, ისე შინაარსით აღნიშნულ ხუთ ცალს საერთო არაფერი აქვს არც ჯუჩილურ მონეტებთან და, მით უმეტეს, გიორგი VII მონეტებთან, რომელთაგან მეტროლოგიური მონაცემებითაა განსხვავდება. ეს სხვაობა იმდენად აშკარაა, რომ XIV საუკუნის პირველი ნახევრით ამ უცნაური მონეტის დათარიღება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. რადგან ამ დროს გიორგი ბრწყინვალის გარდა ამ სახელის მატარებელი სხვა რომელიმე პირი არ გვევლინება, № 133 სამონეტო ტიპი მას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო დანარჩენი ორი — ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდს.

ამავე ნიშნების მიხედვით (ზომა, წონა, ფაქტურა, ზედწერილებისა და გამოსახულებათა მაღალი რელიეფი, განძის შემადგენლობის ანალიზი), დაახლოებით ასევე თარიღდება მეტად თავისებური შემდეგი ვერცხლის მონეტები.

№ 136. მონეტის შუბლი: ცენტრში ხაზიანი რკალით შემოვლებული ფრინველის (მტრედის?) გამოსახულება, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს დამახინჯებული არაბული ზედწერილი;

ზურგი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი, რომელიც მუსლიმანურ რელიგიურ სიმბოლოს მოგვაგონებს. სეგმენტებში გაურკვეველი ნიშნებია.

ზოგჯერ ფრინველის ნაცვლად რაიმე მხეცი ან ცხოველია გამოსახული, — მაგალითად, ლომი (იხ. № 137) ან ჭიხვი (№ 138). უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მეტად დამახინჯებული მუსლიმანური ზედწერილების მოხაზულობა სხვა არის და ჩვეულებრივ რელიგიურ სიმბოლოს არა ჰგავს.

ამ ტიპის მონეტები არსებითად დღემდე გარკვეული არ არის: ვარიანტების სიმრავლის მიუხედავად, მონეტის შუბლის ზედწერილი, სადაც თითქოს მოჭრის ადგილი და თარიღი უნდა იყოს აღბეჭდილი, იმდენად დამახინჯებულია, რომ არავითარ აზრს არ შეიცავს. ზოგიერთ ცალზე ცენტრში, ლომის გამოსახულებასთან ასომთავრული დონის მსგავსი ნიშანია მოთავსებული, მაგ-

რამ, რადგან ეს ნიშანი სულ სხვადასხვა ფორმისა ან მოყვანილობისაა, ასეთი წაკითხვა ეკვის ქვეშ რჩება.

ძალიან იშვიათ შემთხვევაში ამგვარ მონეტებზე ჯიხვის გამოსახულების ირგვლივ ქართული ზედწერილის ნაწყვეტებია შერჩენილი. მაგრამ მხოლოდ 2 თუ 3 ცალად შემორჩენილ ასეთ ცალებზე ასომთავრული წარწერის ძალიან მცირე ნაწილია გადარჩენილი, რომელიც თითქოს ბაგრატიის სახელში შემავალ ასოებს შეიცავს (იხ. № 139). თუ ეს წინასწარი დაკვირვება შემდეგში აღმოჩენილი ცალებით დადასტურდა, მონეტა XIV საუკუნეში ერთადერთ ცნობილ ბაგრატ მეხუთეს (1360—1393 წლები) უნდა მიეკუთვნოს.

ზემოსხენებული ალის განძის შემადგენლობაში ჯიხვის გამოსახულებიანი ორი მონეტაც შედიოდა, მაგრამ ამ ცალებს ქართული ზედწერილები არ ახლავს. ზემოაღწერილი №№ 133—139 მონეტების წონა დაახლოებით 1,0—1,20 გრ ფარგლებში მერყეობს და ამრიგად, XIV საუკუნის შუაწლების საერთო-პულაველური ტიპის მონეტათა წონას უახლოვდება.

ელხანთა სახელმწიფოს დაშლისა და ისტორიულ ასპარეზზე ახალი დამპყრობლის — თემურლენგის გამოჩენამდე, სხვადასხვა მუსლიმანური დინასტიები (ოქროს ურდო, ჯელაირთა სახელმწიფო) საქართველოზე გავლენის გავრცელებას ცდილობენ. მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით ამ ცდებს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია; ისტორიული წყაროები არაფერს იტყობინება იმის შესახებ, რომ საქართველო რომელიმე აგრესორის მსხვერპლი გამხდარიყო. არსებობს ცნობები, რომ სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ოქროს ურდომ სამხრეთისაკენ გამოილაშქრა და სადღაც კახეთში ან მის მახლობლად დაბანაკდა. თუ რა გავლენა იქონია საერთო მდგომარეობაზე ამ ლაშქრობამ, ამის გარკვევას არ შეუძლებელია, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ნუმიზმატიკურ ფაქტებზე ამ გარემოებამ თავისი კვალი დატოვა.

ასე მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ჩრდილო ულუსის მფლობელის ჩანი ბექ ხანის (1340—1357 წწ.) სახელით აღბეჭდილი შემდეგი სახის თბილური ვერცხლის ორი მონეტა:

№140. წონა — 1,0 და 1,01 გრ (საინფ. № 4795—4796). მონეტის შუბლზე მოთავსებულია ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულტანი სამართლიანი ჩანი ბექ ხანი“.

ზურგზე მოთავსებულია არაბული ზედწერილი ოთხ სტრიქონად: „იჰედა/თბილისს/წელსა/757“ (= 1356 წ.).

აღწერილი მონეტა იმდროინდელი ჯუჩილური ვერცხლის მონეტებისაგან მხოლოდ გამოშვები ზარათხანის ნიშნით განსხვავდება. ამ მონეტის გარდა მსგავსი თითო-ოროლა თუ მოიპოვება.

ასეთი მონეტები შეიძლება გაჩენილიყო ჩრდილო და სამხრეთ ულუსებს შორის სწორედ ამ დროს მომხდარ კონფლიქტსა და ჩრდილო ულუსის ლაშქრისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (დარიალანის ხეობით) საქართველოს მთავრობის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

ამ მონეტების გამოშვებას ოქროს ურდოს სამხრეთისაკენ გამოლაშქრებასთან რომ უშუალო კავშირი აქვს, ის გარემოება მოწმობს, რომ ასეთივე ყაიდის დრამები ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც მოჭრილა, სახელდობრ ბელაქანსა, ბაზარსა და ყარაღაჯში. დანარჩენები თუ არა, უკანასკნელი ქალაქი უდავოდ საქართველოს ეკუთვნოდა.

იმდროინდელ თბილურ მონეტაზე სხვა უცხო სახელებიც ჩნდება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია 1956 წ. ლენინგორის რაიონში აღმოჩენილი ფულადი განძი. ამ განძის თბილისში მოჭრილ ვერცხლის წვრილ მონეტებზე აღბეჭდილია შეიხ-ოვეის ჯელაირის (1356—1374 წწ.) სახელი.

საბოლოოდ დაკნინებული ამ ვერცხლის მონეტების გარეგანი სახე ასეთია: № 141. წონა 0,55 — 0,85 გრ შორის მერყეობს.

მონეტის შუბლი: სამი ნახევარწრისაგან შედგენილი ვარდულის ბუდეებში მოთავსებულია არაბული ზედწერილი: „უეეის/სულტანი/დაე განიგრძოს მეფობა მისი“. ბუდეებს შორის დარჩენილ ადგილებზე არაბულადვე — „იკვედა თბილისს“. თარიღი, რომელიც ბუდეებს გარეთ, მონეტის ნაპირზე უნდა ყოფილიყო, არც ერთ ცალს არ შერჩა.

ზურგზე: ნახევარწრეებისაგან შემდგარ ვარდულის ბუდეებში არაბულად — „არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამადი, მოციქული მისი“.

განძის 83 მონეტიდან თარიღი არც ერთ ცალს შერჩა. მათი დათარიღება ტიპის მიხედვით შეიძლება, რომელიც 1364/65 წწ. შემოუღიათ. მაშასადამე, განძის მონეტები 1365 წელზე ადრე არ მოიჭრებოდა.

ე. პახომოვის კოლექციასთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა მრგვალი მოყვანილობის დამღიანი ათიოდე ასეთივე მონეტა. დამღის არაბული წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ღმერთი ჩემი კმაყოფა“ (იხ. № 142).

როგორ და რა პირობებში გაჩნდა წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო მსუბუქი ნიმუშები, ან როგორ გაჩნდა ამდროინდელ თბილურ მონეტებზე თითქმის ერთდროულად სხვადასხვა უცხო ქვეყნის მფლობელთა სახელები, როდესაც საქართველო მათთან მტრულ განწყობაში არ ყოფილა და მისი სტატუსო ქალაქი მათ არ სჭერიათ; ყველა ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და ნუმისმატიკის ფარგლებს სცილდება.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მონღოლთა ბატონობის დროს მუდმივი, ასე ვთქვათ, სტაციონარული ზარაფხანების გარდა, მოქმედებდნენ მოძრავი ზარაფხანები. ეს ძირითადად ლაშქრობის დროს ხდებოდა ხოლმე, როდესაც ფულის ნიშნებით საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ხარჯების დასაფარავად დაბანაკებული ლაშქარი საჭირო რაოდენობის ფულს ქრიდა (ე. წ. „ორღუ ბაზარ“).

გასათვალისწინებელია აგრეთვე XIV საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა. ჰულაგუიდთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ამიერკავკასიაში თავისი გავლენის გასამტკიცებლად ერთმანეთს შეეჯახა ოთხი მოწინააღმდეგე (ჩრდილო ულუსიდან — ჯანიბეკი, ბერდი-ბეკი, ჯობანიდები — ჰასან ქუჩუკი, აშრაფი, ჯელაირნი — შეიხ ოვეისი, აჰმედი და მუზაფარიანი — მუფარიზ-ედლინი). ასეთ რთულსა და არეულ პირობებში იმ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი საქართველოს გადაკიდება არც ერთ მოქიშპეს ხეირს არ დააყრიდა. თავის მხრივ, გაუთავებელი ბრძოლით დაქანცული საქართველოც ომიანობას ერიდებოდა და, მოქნილი პოლიტიკის შედეგად მათთან კეთილი დამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა. ალბათ, ამ მიზეზის გამო, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს იხრებოდა უპირატესობა და გამარჯვება, საქართველოში სათანადო ყაიდის მონეტა იჭრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნუმიზმატიკური ჯაქტები მხოლოდ საქართველოსათვის არ არის დამახასიათებელი; მაგალითად, ამდროინდელი მსგავსი შარვანული მონეტების გაჩენის მიზეზებს პროფ. ე. ჰახოშვი სწორედ ასეთივე პირობებით ხსნის.

ასეთ „მეგობრობას“ ბოლო მოეღო, როდესაც ამიერკავკასიისა და მცირე აზიის საზღვრებს თემურლენგი მოადგა. ამის შედეგად საქართველოსა და მეზობელ ქელაირთა სახელმწიფოს შორის ჯერ მკვიდრო ურთიერთობა დაძვარდა, რაც მოგვიანებით სამხედრო კავშირით დაგვირგვინდა. ამან ნუმიზმატიკურ ძეგლებზე თავისი კვალი დააჩნია: ჩნდება საქართველოს მეფე გიორგი მეშვიდისა (1393—1407 წწ.) და სულთან აჰმად ქელაირის სახელით (ერთად) მოჭრილ მონეტათა დიდი რაოდენობა, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ახლად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას.

ასეთი მონეტის სხვადასხვა სიქით მოჭრილი რამდენიმე ვარიანტი უკვე ვ. ლანგლუას დროიდან არის კარგად ცნობილი. ვიძლევიტ ერთი ასეთი ვარიანტის აღწერილობას:

№ 143. მონეტის შუბლი: რკალით შემოვლებული ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულტანი აჰმედ, დემერთმა დღეგრძელ ჰყოს მისი მეფობა. მეფე გამარჯვებული გიორგი. იქედა თბილისს“;

ზურგი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — სუნიტური რელიგიური სიმბოლო. სეგმენტებში — ოთხი მართლმორწმუნე იმამის სახელი.

სოფ. აღში აღმოჩენილი განძის წყალობით აღწერილი მონეტა შედარებით დიდი რაოდენობით არის ცნობილი, მიუხედავად ამისა, ასეთი მონეტები არც ისე ხშირად ჩნდება. შედარებით უფრო ხშირია სახესხვაობა, რომელსაც, როგორც ეტყობა, ნაკლებად დახელოვნებული ოსტატი კრიდა: ზედწერილები დაუდევრად არის შესრულებული, ზოგჯერ დამახინჯებული და შებრუნებულიც კი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ზედწერილების გარჩევას ძალიან აფერხებს. შედარებით იშვიათია ასეთი მონეტის შემდეგი სახეობა:

№ 144. მონეტის შუბლი: ხაზიანი რკალით შემოვლებული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „იქედა თბილისს. მეფე გამარჯვებული გიორგი“. მეორე სტრიქონის სიტყვები მომცრო ვარსკვლავით არის გაყოფილი.

ზურგი: ორმაგი რკალით შემოვლებული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულტან აჰმედ ხანი“.

ამ მონეტის ყველა ზედწერილი მხოლოდ არაბულია, ნიმუშების წონა 0,60 გრ ფარგლებში მერყეობს. ქართული ზედწერილებით აღბეჭდილი ამავე ზომის, წონისა და ტიპის მონეტები უკვე დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

№ 145. მონეტის შუბლი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულად: „მეფეთ მეფე გიორგი“. სეგმენტებში გაურკვეველი ნიშნებია.

ზურგი: ზემოაღწერილი № 143 ვარიანტისაგან არ განსხვავდება.

საყურადღებოა, რომ გიორგის სახელი აქ უცნაურად არის დაქარაგმებული და ასო „რაე“ ყველა ცნობილ ცალზე (მათი რაოდენობა ათსაც არ აღწევს) შებრუნებულად არის მოცემული.

ყურადღებებს იპყრობს მონეტაზე აღბეჭდილი „გამარჯვებულის“ ეპითე-

ტი, რომლის გაჩენა ალბათ უშუალო შედეგია თემურლენგზე იმ ბრწყინვალე გამარჯვებისა. რომელზედაც მოგვიტხოვრობს იმდროინდელი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. მისი ცნობით, ქართველებმა არაქსის მთელი მარცხენა ნაპირი დაიპყრეს და აიღეს თემურლენგის მიერ დაკავებული ალინჯის ციხე. ვინაიდან ეს ამბები XIV საუკუნის მიწურულში მომხდარა, მონეტებიც ამ დროით უნდა დათარიღდეს.

ზრსებობს კიდევ ერთი ძალიან იშვიათი სახესხვაობა, რომელიც ტიპის, ფაქტურისა და ზომა-წონის მაჩვენებლებით საბოლოოდ დაკნინებულ XV საუკუნის მონეტებს უფრო უახლოვდება და გიორგი მეშვიდის მეფობის სულ უკანასკნელ წლებში უნდა იყოს მოჭრილი:

№ 146. მონეტის შუბლი: მორკალულ კვადრატში ორ სტრიქონად ასომთავრული ზედწერილის დაქარაგმება — „გიორგი მეფე“. სეგმენტებში წერილი წერტილებია;

ზურგი: ორმაგი რკალით შემოვლებული სრულიად დამახინჯებული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც შეიძლება მივამსგავსოთ რელიგიურ ფორმულას: „ღმერთი ჩემი კმაყოფა“.

ჩვენ ადვილად შეენიშნავთ, რომ ამ მონეტის ზურგზე მოთავსებული ზედწერილი ზუსტად იმეორებს შეიხ ოვეისის სახელით აღბეჭდილ თბილური მონეტის დამღას (შევადართ № 142-თან).

გაუგებარი მიზეზის გამო, გიორგი VII ზემოაღწერილი მონეტა და კონსტანტინე I მსგავსი ნიმუში ვ. ლანგლუამ თავდაპირველად ლაშა გიორგის მიაკუთვნა (1852 წლის გამოცემა, გვ. 28, ტაბ. IV, № 3-7), მაგრამ შემდეგ შეცდომა გამოასწორა და მონეტები XIV—XV სს. მიჯნით დაათარიღა („Essai de classification...“, გვ. 94, ტაბ. VIII, № 11).

ყველა თავისი გარეგანი ნიშნით ეს მონეტა უახლოვდება გიორგი მეშვიდის ძმისა და მეგვიდროს კონსტანტინე პირველისადმი მიკუთვნებულ და საბოლოოდ დაკნინებულ მონეტას. რომელსაც თავის დროზე აღვწერთ.

მუსლიმანური სახელმწიფოების მხრივ საქართველოზე დაუსრულებელი და გამანადგურებელი შემოსევებისა და განსაკუთრებით კი თემურლენგის მრავალჯერ თავდასხმის შედეგად, XV საუკუნეს საქართველო დაუძლურებული და გაპარტახებული დაუხვდა. აუტანელმა პირობებმა ჩვენი ქვეყნის შემდგომ ისტორიაზე საბედისწერო გავლენა იქონია და მის ნუმიზმატიკურ ძეგლებზედაც უღრმესი კვალი დატოვა. მძიმე ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით, ქართული ფულის გაუარესების პროცესმა, რომელმაც უკვე XIV საუკუნის დამდეგიდანვე იჩინა თავი, ერთი საუკუნის მანძილზე კატასტროფულ საზღვრებს მიაღწია: ქართული მონეტა საბოლოოდ კნინდება, მისი წონა და ზომა სულ უფრო და უფრო კლებულობს და ბოლოს საქმე იმით მთავრდება, რომ ნახევარგრამიანი ფირფიტები მონეტის უკანასკნელ მსგავსებას ჰქარავს. მაგრამ არც ეს კმარა, — ვერცხლის ხარისხი და სინჯადობა ამგვარივე კატასტროფულ დაცემას განიცდის და ფაქტიურად სპილენძით იცვლება, ფულის მოჭრის ტექნიკა და მისი მხატვრული გაფორმება საბოლოოდ უარესდება. ასეთია XV—XVI საუკუნეების ქართული მონეტის გარეგანი ნიშნები, რომლებიც ამ მძიმე პერიოდის ნუმიზმატიკური ძეგლების უმრავლესობას ახასიათებს. ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისი, როდესაც ვერცხლის ხარისხი

და ტექნიკურ-მხატვრული გაფორმება უმჯობესდება, აღნიშნული იქნება ტექსტის სათანადო ადგილას.

ამდროინდელი ნუმისმატიკური მასალა ბოლო დრომდე შეუსწავლელი და დაუმუშავებელი იყო. მართალია, ამ პერიოდის რამდენიმე სამონეტო ტიპი ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მასალის ნაკლებობისა და მონეტათა ცუდი შენახულობის გამო. ნიმუშების გარკვეული ნაწილი ქრონოლოგიურად ზუსტად ვერ დაადგინა, სწორად ვერ განსაზღვრა და ზოგჯერ აღწერილობა სინამდვილესა და მოცემულ გამოსახულებებს წესიერად ვერ შეათანხმა.

ქართული ნუმისმატიკის ამ მნიშვნელოვან ხარვეზს ნათელი მოჰფინა სოფელ მნაში (ხევი) და ქალაქ გორში აღმოჩენილმა განძმა. ქალ. გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ამ ორი ფრიად მნიშვნელოვანი განძის წყალობით, ქართული ნუმისმატიკის საგრძნობი ხარვეზები, რომლებიც აქამდე საუკუნეთა წყვილადში იკარგებოდა, თანდათან მზიურდება.

თუ მკირეწონიანი მონეტები აქამდე შედარებით კარგი ვერცხლისაგან იჭრებოდა, XV საუკუნის შუა წლებიდან სინჯადობა იმდენად ეცემა, რომ ხშირად სპილენძად ქცეული მონეტები მხოლოდ დავერცხლილია. ასეთსავე დაქვეითებას განიცდის მონეტის წონა, რომელიც ერ. ა. გრამს არც კი აღწევს ხოლმე. გადაგვარება ემჩნევა მონეტის ტექნიკურ და მხატვრულ შესრულება-საც: მონეტა იმდენად მდარე, პრიმიტიული და ზოგჯერ უხეშია, რომ მთლიანად შენახული გამოსახულებანი ან წარწერები განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო სრული სახით შერჩენილი ნიმუშის აღმოჩენა ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. ამ პირობებში ასეთი დეფექტური მონეტების ფორტორიზაციული უპირატესობები თავის დანიშნულებას ვერ ასრულებენ და ამიტომ მათი უმრავლესობა მოცემული გვაქვს სქემატური ჩანახაზების სახით და შოთავსებულა ტექსტში მონეტათა აღწერილობის გვერდით.

ამდროინდელი ქართული მონეტის ეს დამახასიათებელი ნაკლოვანებანი საუკეთესო მაჩვენებელია იმ გაჭირვებისა, მწვევე ეკონომიური და კულტურული დაქვეითებისა, რომელიც თან მოჰყვა XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოში მომხდარ ამბებს.

დამახასიათებელია, რომ ასეთსავე დაკნინებულ მონეტას ამ პერიოდში საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიც კრიდნენ (ყირიმი, თურქეთი და სხვა). რუსეთში, მაგალითად, ასეთი წვრილი მონეტა მხოლოდ პეტრე დიდის რეფორმების შემდეგ შეიცვალა. საქართველოში ამ დროს შექმნილი მძიმე პირობების შესახებ თუ აქამდე საკმაო რაოდენობის უტყუარი საბუთები გვაკლდა, ამჟამად, მონეტების წყალობით, ეს სურათი თანდათანობით ივსება. გამოშვლავნდა იმ ისტორიულ პირთა სია, რომლებსაც ამ დროს საკუთარი ფული უჭირათ; საბოლოოდ დადასტურდა, რომ სამონეტო რეგალია მხოლოდ და მხოლოდ მეფის უპირატესობას არ წარმოადგენდა და ამ უფლებებით მძლავრი ფეოდალებიც სარგებლობდნენ. მონეტის გარეგნობა, მისი სტილისტური და ტექნიკური ნიშნები, ლითონის ძალიან დაბალი სინჯადობა და წონის უკიდურესი დაცემა, ყოველივე ეს მოწმობს, რომ ასეთი ფულის მოჭრა მხოლოდ საბოლოოდ დასუსტებულსა და დონემოკლებულ სახელმწიფოში თუ მოხდებოდა. აღსანიშნავია, რომ XV ს. მთელ მანძილზე საქართველო ძირითადად საკუთარი ფუ-

ლით იკვებება, რაც მწვავე ეკონომიური იზოლაციის უტყუარი ნიშანია. უცხო მონეტებიდან იშვიათად შარვანული და თურქული მონეტები შემოდიოდა მხოლოდ.

XV საუკუნის ქართული ნუმიზმატიკური მასალა შეიძლება სამ უმთავრეს ჯგუფად დავყოთ, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ ცალკეულ ტიპად და ვარიანტად ნაწილდება:

I ჯგუფი — ქართული ზედწერილიანი მონეტები;


II ჯგუფი — მუსლიმანური ზედწერილიანი მონეტები და

III ჯგუფი — უწარწერო, ე. წ. „მუნჯი“ მონეტები, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებანია ან სულ გაურკვეველი ნიშნები.

გორისა და მნას ზემოაღნიშნული ორი განძი, სამწუხაროდ, XV საუკუნის დასაწყისის მონეტებს არ შეიცავს; ეს განძები XV ს. მეორე ნახევრითა და XVI ს. პირველი მეოთხედით თარიღდება. მაგრამ ამ ხარვეზს ვ. ლანგლუას ხელში ნამყოფი მასალა ავსებს.

№ 146-ით აღწერილ გიორგი მეშვიდის მონეტას, რომელიც ჯერ კიდევ

შედარებით კარგი ხარისხის ვერცხლისაა, მოყვება კონსტანტინე პირველის (1407—1411 წწ.) შემდეგი სახის ვერცხლისავე მონეტა (აქვე დართული ჩანახატის გარდა მოცემული გვაქვს ფოტორეპრო-



დუქცია).

№ 147. მონეტის შუბლი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სხვადასხვანაირად დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა, რომელიც კონსტანტინეს სახელს გვამცნობს.

ზურგი: 146 ნომრით აღწერილი მონეტის მსგავსია.

ეს მონეტა ვიქტორ ლანგლუამ კონსტანტინე მეორეს მიაკუთვნა, მაგრამ, როგორც მისივე მოცემული თარიღებიდან ჩანს. (სხვათა შორის, კონსტანტინეს მეფობის თარიღებსაც ფრანგი მეცნიერი სწორად არ იძლევა, 1407 — 1411 წწ. ნაცვლად ის 1407—1414 წწ. უჩვენებს), აქ სწორედ კონსტანტინე პირველია ნაგულისხმევი და არა მეორე. ამას, მართლაც, საუკეთესოდ ადასტურებს XV საუკუნის მეორე ნახევრის ქ. გორის და XVI საუკუნის პირველი მეოთხედის სოფელ მნას განძების შემადგენლობა. ორივე დასახელებული განძის ძირითადი ნაწილი კონსტანტინე მეორის მონეტებისაგან შედგება, მაგრამ, მიუხედავად ამ მონეტის საერთო სიმრავლისა და ვარიანტების დიდი რაოდენობისა, მათ შორის ზემოაღწერილი ტიპის მონეტა აქ არ აღმოჩნდა. აღწერილი მონეტა კონსტანტინე მეორისა რომ ყოფილიყო, ის ერთ-ერთ განძში მაინც აღმოჩნდებოდა. მრავალი ასეული ცალისაგან შემდგარ ამ განძებში რადგან ეს მონეტა არ აღმოჩნდა, ცხადია, რომ ის XV საუკუნის პირველი ნახევრისა უნდა იყოს, მით უფრო, რომ ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით გიორგი მეშვიდის № 146-ით აღწერილი მონეტის სრულ განმეორებას წარმოადგენს.

ამრიგად, გიორგი VII და კონსტანტინე II მონეტები ერთიმეორეს გადაჯვარედინებულად ათარიღებენ.

შემდეგი სამონეტო ტიპის დათარიღებისას ვ. ლანგლუა უფრო მეტად მერყეობს. მონეტა, რომელსაც ქვემოთ აღწერთ, მან ჯერ XIII საუკუნით დაათარიღა და რუსულან დედოფალს მიაკუთვნა (1852 წლის გამოცემა, გვ. 32.

ტაბ. V, № 6). მაგრამ შემდგომ თავის ნაშრომში ეს მცდარი შეხედულება შეცვალა და მონეტა XV საუკუნეში გადაიტანა და კონსტანტინე I შიაკუთვხა („Essai de classification...“ გვ. 97, ტაბ. VII, № 18), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ვიძლევი ამ მონეტის აღწერილობას:

№ 148. მონეტის შუბლი: ცენტრში მორკალული და ხშირად შებრუნებულად გადმოცემული ასომთავრული „რაე“. ირგვლივ განლაგებულია ქართული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე უნდა იკითხებოდეს: მეფ/ეთ/ა/ მ/ე/ფ/ე/ ალ/ე/ქ/ს/ანდრ/ე/ (ზედწერილი აქაე ხშირად შებრუნებულად არის მოცემული). ლანგლუსს მიერ ნაჩვენები სქემატური ჩანახატის მიხედვით წაკითხვა შეუძლებელი ხდება, რადგან არც რაიმე აზრს შეიცავს და არც კონსტანტინეს ან ალექსანდრეს სახელს.

ზუზგი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი, რომელსაც, როგორც ჩანს, ვ. ლანგლუსი სწორად კითხულობს: „სახელითა ღვთისათა“.

№ 148 რეპროდუქციის გარდა შესადარებლად ერთმანეთის გვერდით მოგვყავს ამ მონეტის ორი ჩანახატი: ერთი — ამოღებული ვ. ლანგლუსის ნაშრომიდან და მეორე — გორის განძის ერთადერთი ცალისა. თუმცა ამ ორი გამო-



სახელებს მიხედვითაც მეფის სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ, როგორც ვ. ლანგლუსი თავის დროზე აღნიშნა, ცენტრში მოთავსებული ასო უდავოდ ქართული ქორონიკონის აღმნიშვნელია (= 100, ე. ი. 1412). დადგენილია, რომ კონსტანტინე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო და, რადგან ეს რიცხვი ალექსანდრე პირველის მეფობის ინიციალურ თარიღს უდგება (1412 — 1442 წლები), მონეტაც სწორედ მას უნდა მიეკუთვნოს.

ამ ზედწერილების გახსნაში დამსახურება მიუძღვის ლორეს ციხესთან გასულ საუკუნეში აღმოჩენილ XV ს. პირველი ნახევრის განძს, რომელიც ლენინგრადის ერმიტაჟშია დაცული. ამ ტიპის მონეტები აქ საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა და ცალკე ცალებზე შერჩენილი ფრაგმენტების შექამების საშუალებით ზედწერილები მთლიანად აღდგა.

როგორც აღვნიშნეთ, ქ. გორში და სოფ. მნაში აღმოჩენილმა შესანიშნავმა განძებმა ქართულ ნუმიზმატიკას დიდი სამსახური გაუწია. მართალია, მონეტათა დიდი ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკის საგრძნობი ხარვეზი 1443 წლიდან, ვიდრე 1525 წლამდე აღდგენილია, აღწერილია იმდროინდელი ძირითადი სამონეტო ტიპები და გამოკვლეულია მონეტებზე აღბეჭდილი ისტორიული პირების სახელები. მაგრამ, რაც მთავარია, გორის განძის შემადგენლობაში აღმოჩენილი იყო თარიღის შემკველი მონეტები, რომლებმაც დიდი სამსახური გაგვიწია დანარჩენი მონეტების დათარიღებაში. სოფ. მნას განძი გაცილებით მცირერიცხოვანი აღმოჩნდა, სამაგიეროდ დამატებით რამდენიმე სამონეტო ტიპს შეიცავს და, ამრიგად, საგრძნობლად ამდიდრებს იმდროინდელ მასალას.

ლითონის სინჯის გაუარესება განსაკუთრებით ემჩნევა ვახტანგ მეოთხის

✓(1442 — 1446 წწ.) და მის მომდევნო შეფეთა მონეტებს. ამასთანავე ისინი საგრძნობ ტიპოლოგიურ ცვლილებას განიცდიან.

ძალიან დაბალი სინჯის ვერცხლისაგან მოჭრილ ამ მონეტებს შემდეგი სახე აქვს:

№ 149. მონეტის შუბლი: სამსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულით: „იმერთო ემარჯოს“;

ზურგი: სამსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულით — „მეფესა ვახტანგს“, რომელიც შუბლზე მოცემული ზედწერლის გაგრძელებაა.

ალბათ მასვე ეკუთვნის კიდევ ორი სამონეტო ტიპი, რომელიც, სამწუხაროდ, ისეთ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ კატეგორიულად ამის თქმა ჭერჯერობით არ შეიძლება და ამიტომ ამ მონეტებს აქ არ შევვებებით.

გიორგი მერვის (1446 — 1466—1476) მონეტებიდანაც ჭერჯერობით მხოლოდ ორი ტიპია აღმოჩენილი.

№ 150. მონეტის შუბლი: ოთხსტრიქონიანი ქართული ზედწერილი, გადმოცემული მოხდენილი ასომთავრულით — „მეფე შეფეთა, მონაღვთისა გიორგი“.

ზურგი: ცენტრში თანაბარტოტიანი ჯვარი, ჩასმული ფიგურულ ჩარჩოში.

მონეტას თარიღი არ უზის, მაგრამ 1466 წელზე გვიან, ალბათ, არ მოიჭრებოდა: ქართლიდან განდევნილი და მხოლოდ კახეთის მფლობელად (კახთ ბატონად) ცნობილი გიორგი მოერიდებოდა „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მონეტაზე მოთავსებას. ამ დროს მას სულ სხვა ტიპის მონეტა უნდა მოეჭრა. ცნობილია, რომ იმის შემდეგ, რაც იმერთ მეფე ბაგრატმა ქართლიდან გიორგი მერვე განდევნა, უკანასკნელი კიდევ ათი წლის მანძილზე განაგებდა კახეთს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებელ სამეფოდ კახეთის გამოცხადებისა და სათანადო წესების შემოღების შემდეგ ადგილობრივი მონეტა აქაც უნდა მოჭრილიყო. ეს მით უფროა მოსალოდნელი, რომ გიორგი კახთ ბატონის მეზობლები და მისი პირადი მტრები — იმერთ მეფე ბაგრატი და ყვარყვარე ათაბაგი სწორედ ასე იქცეოდნენ. ვიძლევიტ ამ სავარაუდო კახური ტიპის მონეტის ჩანახატსა და აღწერილობას.

მონეტის შუბლი: დაქარაგმებული ქართული ზედწერილი ასომთავრულით ორ სტრიქონად — „მეფე გიორგი“, გაყოფილი ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტული ხაზით;

ზურგის მხარე მთლიანად გლუვია.

გიორგი მერვის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, რომელმაც მას ქართლის ტახ-



ტი წაართვა და კახეთში განდევნა, სახელდობრ, იმერთ მეფე ბაგრატი (1466 — 1478 წწ.) შემდეგი ტიპის მონეტას ვეიტოვებს:

№ 151. მონეტის შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულით — „მეფე ბაგრატი“, გაყოფილი ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტული ხაზით;



ზ უ რ გ ი: მარცხნივ მიმართული ფრთოსანი მხეცის სქემატური გამოსახულება.

როდის არის მოჭრილი ეს მონეტა, — იმ დროს როდესაც ბაგრატი მხოლოდ იმერეთს განაგებს, თუ მაშინ, როდესაც მან ქართლიც ხელთ იგდო, — გარკვეულად ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, რადგან მონეტაზე არც თარიღია და არც სხვა რაიმე განმარტებითი ცნობა; ორივე ეს მოსაზრება თანაბრად შესაძლებელია, რადგან ირკვევა, რომ ამ არეულ დროს საკუთარ ფულს მართო „მეფეთა მეფენი“ კი არ ჰქონდნენ, არამედ ის მძლავრი ფეოდალებიც, რომლებიც ცალკე სამფლობელოებს განაგებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად. მესხეთის ათაბაგი ყვარყვარე, რომელმაც რამდენიმე სამონეტო ტიპი დაგვიტოვა. ერთ-ერთ ასეთ სამონეტო ტიპს შეცნეირება უკვე დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ ნიმუშის ცუდი შენახულობის გამო, სწორად არ იყო განსაზღვრული. მ. ბარათაშვილმა, მაგალითად, ეს მონეტა რუსუდან დედოფალს მიაკუთვნა. ამჟამად ჩვენს განკარგულებაში იმდენად მდიდარი მასალაა, რომ დაშვებული შეცდომის შესწორება სიძნელეს არ წარმოადგენს. აღწერით უკვე შედარებით კარგად შემონახული ვარიანტები იმ თანმიმდევრობით, რომელიც განსაზღვრაში დაგვეხმარება და არავითარ ეჭვს არ დატოვებს.

№ 152. მონეტის შუ ბ ლ ი: თანამედროვე მხედრულით გადმოცემული ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი — „ყრ/ყრ“, ე. ი. „ყვარყვარე“ შემბრუნებულია და მოთავსებულია ხაზოვან სწორკუთხედში;

ზ უ რ გ ი: თევზის სქემატური გამოსახულება. ზემოთ და ქვემოთ მომცრო ვარსკვლავები.

XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი ზემოაღწერილ სამონეტო ტიპს არ შეიცავდა, სამაგიეროდ გარეული იყო ამავე სახის რამდენიმე ორიგინალური ვარიანტი. მოგვყავს ზემოხსენებული ცალისა და ვარიანტების ჩანახატები და აღწერილობა.



№ 153. მონეტის შუ ბ ლ ი: ასევე ორ სტრიქონად დაქარაგმებული იგივე სახელი, ოღონდ უკვე ასომთავრულად და სწორად.

ზ უ რ გ ი: ზემოაღწერილის მსგავსია.

შემდეგი ვარიანტი სულ უმნიშვნელო დეტალით განსხვავდება: პირველი სტრიქონის ასომთავრული ორი ნიშანი ყ და რ ლიგატურულად არის გადმოცემული. სწორედ ამან შეიყვანა მ. ბარათაშვილი შეცდომაში, რომელმაც ეს ნიშნები ქორონიკონად (450=1230 წ.) მიიჩნია და მონეტა რუსუდანს მიაკუთვნა.

მ. ბარათაშვილის განკარგულებაში ეტყობა მხოლოდ ერთი და ისიც ძალიან ცუდად შემონახული ცალი იმყოფებოდა. ჩვენ კი ამ სამონეტო ტიპის კიდევ რამოდენიმე ვარიანტი გვაქვს, რომლებიც ასეთ განსაზღვრას უდავოდ ხდის. გარდა ამისა, XV საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მონეტებთან ერთად ასეთი ცალების აღმოჩენა ამ საკითხს საბოლოოდ ჰრის და არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, რომ საქართველოს მთლიანობის დარღვევისთანავე, უზენაესი

მკვლევების სხვა რეგალიებთან ერთად, ათაბაგმა საკუთარი ფულის მოჭრის უფლებაც მიითვისა. ყვარყვარეს სახელით აღბეჭდილ დანარჩენ ვარიანტებიდან ყურადღებას იპყრობს ცალი, რომელზედაც მისი სახელი მისივე საკუთარი ხელრთვით არის გადმოცემული. მაგრამ არც ამას და არც დანარჩენ წვრილმან ვარიანტებს ჩვენ უკვე აღარ აღწერთ და დავკმაყოფილდებით შენიშვნით, რომ ყველა ნიშნის მიხედვით ამავე პერიოდს და საქართველოს ამავე კუთხეს ეკუთვნის კიდევ ორი სახეობა: ამ სამონეტო ტიპების მოსაპრელად გამოყენებულია შედარებით მაღალ სინჯის ვერცხლი, ზომა (12 — 16 მმ) და წონა (0.68 — 0.7 გრ) ნორმალურია ამდროინდელი მონეტებისათვის.

პირველი მონეტის შუბლზე ყვარყვარე ათაბაგის სახელი გადმოცემულია მხედრული ნიშნით, რომელიც მის საკუთარ ხელმოწერას (ე. წ. ფაქსიმილეს) უნდა წარმოადგენდეს.



ზურგზე — ათაბაგის მონეტებისათვის დამახასიათებელი თევზის გამოსახულება.

მეორე მონეტის მეტროლოგიური მონაცემები ისეთივეა, როგორც ზემოაღწერილისა.

მონეტის შუბლი: ხაზიან სწორკუთხედში მოთავსებული სამსტრიქონიანი, დამახინჯებული არაბული ზედწერილი, რომელიც სუნიტურ-რელიგიურ ფორმულას უნდა წარმოადგენდეს.

ზურგი: ზემოაღწერილი ნიმუშების მსგავსი თევზის გამოსახულება აქ ორმაგი რკალით არის შემოვლებული, რომელიც რადიალური ხაზებითაა დაყოფილი. დარჩენილ ხარვეზებში გაურკვეველი ნიშნებია.

ნუმიზმატიკური მასალის ასეთი სიუხვე მოწმობს, რომ მეწაური ზარაფხანის პროდუქცია შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენი ქვეყნის ამ კუთხესაც მრავალრიცხოვანი და საკმაოდ მრავალფეროვანი სამონეტო პროდუქცია გამოუშვია.

უფრო უხვად არის წარმოდგენილი კონსტანტინეს სახელით აღბეჭდილი მონეტები, რომლებიც ქ. გორსა და სოფ. მნაში აღმოჩენილი განძების მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის შედეგად სრულ საფუძველს იძლევა XV საუკუნის მეორე ნახევრით დაეათარილოთ და კონსტანტინე მეორეს (1478 — 1505 წწ.) მივაკუთვნოთ.

XV. საუკუნის მეორე ნახევრის მონეტათა უმრავლესობას კიდევ ერთი შესამჩნევი თავისებურება ახასიათებს; მონეტის გამოშვების ტექნიკური პროცესების გამარტივების მიზნით, მას მხოლოდ ერთ მხარეს სკვდნენ და ზედ წარწერას ათავსებდნენ, ხოლო მეორე მხარე ხელუხლებელი და სრულიად გლუვი რჩებოდა. მონეტების მეორე, გაცილებით მცირე ჯგუფი ჩვეულებრივი წესით მზადდებოდა და ამ შემთხვევაში მონეტის ზურგზე რომელიმე მხეცის სქემატურ გამოსახულებას ათავსებდნენ.

გარდა ამისა, კონსტანტინეს სახელით აღბეჭდილ მონეტათა ორივე ეს ჯგუფი ერთმეორისაგან სხვა შესამჩნევი ნიშნითაც განსხვავდება: ერთი მხრიდან თუ ორივე მხრიდან მოჭრილ მონეტებზე აღბეჭდილ სახელს მეფის ტიტული ხან ახლავს, ხან — არა. ორმხრივ სიქადარტყმული მონეტები ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელი უნდა იყოს და აღწერილობასაც აქედან დავიწყებთ:




მონეტის შუბლი: დაქარაგმებული ქართული ზედწერილი ასო-

მთავრულად გადმოცემულია ორ სტრიქონად: „მეფე კონსტანტინე“ და გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტული ხაზით;


ზუ რ გ ი: მარცხნივ მცმართული უცნობი მხეცისა თუ ცხოველის გამოსახულება.

შემდეგი ვარიანტი ზემოაღწერილისაგან განსხვავდება მეფის სახელის სხვანაირი დაქარაგმებით და ამ შემთხვევაში მხეცის გამოსახულების ზურგზე მოთავსებულია ჯვარი.

ორი მხრიდან სიქანაკრავ მონეტათა ვარიანტები, რომლებზედაც კონსტანტინეს სახელს მეფის ტიტული არ ახლავს, ზოგიერთ შემთხვევაში იმდროინდელი სამონეტო ოსტატობის დაუდევრობისა და გამოუცდელობის საუკეთესო მაგალითს იძლევა.




ერთ-ერთ ნიმუშზე ორ სტრიქონად განლაგებული და დაქარაგმებული



კონსტანტინეს სახელი მთლიანად შებრუნებულია: ეს ე. წ. „სარკისებრი“ წარწერა ოსტატის გამოუცდელობის შედეგია, რადგან მას მხედველობაში არ მიუღია, რომ მონეტაზე ამ წარწერის სწორად გამოსაყვანად საჭირო იყო სიქაზე ეს სახელი შებრუნებულად ამოქრა. მონეტის მოჭრის შემდეგ ხელოსანმა თავისი უხეში შეცდომა შეამჩნია და მისი გამოსწორება დააპირა, მაგრამ უკვე შემდეგი ნიმუში ამჟღავნებს, რომ შეცდომა მხოლოდ ნაწილობრივ შეუსწორებია, პირველი სტრიქონი სწორად გამოუვიდა, ხოლო მეორე ისევ შებრუნებული დარჩა.

შედარებით მარტივი მონეტის დამზადების დროს დაშვებული ყველა დეფექტის შესწორება ხელოსანმა მხოლოდ მესამე ცდის შემდეგ მოახერხა და მონეტაზე ძლივს მოათავსა ამ ოთხი ასოს სწორი მოყვანილობა. მაგრამ გამოირიცხული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ასე დაუდევრად შესრულებულ ტალებს იმდროინდელი ყალბი ფულის მომჭრელნი ამზადებდნენ.

ასეთივე მრავალნაირია კონსტანტინე სახელის დაქარაგმება ერთი მხრიდან სიქადამსულ მონეტებზე. ასეთი მონეტების ვრცელი აღწერილობის მოყვანა საჭირო არ არის, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჭართული ზედწერილი აქაც ორ სტრიქონად არის დალაგებული და ამ ორ სტრიქონს ერთმანეთისაგან ორი ურთიერთგადამკვეთი ჰორიზონტული ხაზი ჰყოფს. ვიდრე ერთ დაქარაგმების იმ ვარიანტების ნახაზებს და ორ ფოტორეპროდუქციას (№№ 154 და 155), რომლებიც ერთი მხრიდან სიქანაკრავ ასეთ მონეტებზე ჩნდება. ერთი მხრიდან მოჭრილ ამ მონეტებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე გვერდი გლუვი, ხელუხლებელი რჩებოდა.




გორში აღმოჩენილი განძი, როგორც ეტყობა, 1505 წლამდე ყოფილა

ჩაფლული, რადგან დავით მეცხრის (1505 — 1525 წწ.) მონეტებს სულ არ შეიცავს. სამაგიეროდ, ქართული ნუმისმატიკისათვის აქამდე უცნობი ეს ნიმუში სოფელ მნასთან უფრო გვიან ჩაფლულ განძში უხვად იყო წარმოდგენილი.

დავით მეცხრის მონეტები მოჭრილია ვახტანგ მეოთხის უკვე აღწერილი მონეტის მსგავსად, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ სათანადო სახელია აღბეჭდილი, ამიტომ ჩანახატისა და აღწერილობის მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ამავე მონეტის რამდენიმე წვრილმან ვარიანტსაც აღარ აღწერთ, რადგან იმდროინდელი ქართული მონეტების შესახებ საჭიროა დაიწეროს სპეციალური მონოგრაფია. დამახასიათებელია, რომ ამდროინდელი ერთგული ტიპის მონეტებთან ერთად კიდევ სხვა ტიპის მონეტათა ორი ჯგუფი იჭრება. ეს მონეტები მკვეთრად განსხვავდება როგორც ზემო-

აღწერილებისაგან, ისე ერთიმეორისაგან. პირველი ჯგუფი ე. წ. „მუნჯი“ მონეტებია, ე. ი. ნიმუშები, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებანია და წარწერები არა აქვს. ხოლო მეორე—მინაბაძები, ე. ი. ჩვენში გავრცელებული უცხო მონეტების მსგავსი ნიმუშები.



ასეთი ნიმუშების მხოლოდ ძირითად დამახასიათებელ ტიპებს ჩამოვთვლით და მათი სქემატური ჩანახატების მოყვანით დავემყოფილდებით.

უპირველეს ყოვლისა, ე. წ. „მუნჯი“ მონეტების გამოსახულებას მოვიყვანთ:

მონეტა სიქადასმულია მხოლოდ ერთი მხრიდან და ზედ გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი (იხ. დართული ჩანახატი და № 156 რეპროდუქცია).

მეორე ვარიანტი, — ერთ მხარეზე გამოსახულია თანაბარტოტიანი ჯვარი, რომელიც ბოლოებზე წყვილ-წყვილი ბურთულებით არის შემკული; მეორეზე—მხეცისა ან ცხოველის სქემატური გამოსახულება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ექვსქიმიანი ვარსკვლავის მოტივი ქართულ მონეტებზე: ეს ნიშანი, ე. წ. „სოლომონის ბეჭედი“ პირველად ჩნდება დავით ნარინის 1247 წლის დრამაზე (№ 91), შემდეგ გადადის 1261 — 1279 წწ. თბილურ ყაანურზე (№№ 99 — 100) და ბოლოს მტკიცედ შევიდრდება დასავლურ-ქართულ კირმანეულ-თეთრზე (№№ 125 — 128). ცნობილია, რომ ქართველი ბაგრატიონები თავიანთ წინაპრად ებრაელთა მეფე დავითს თვლიდნენ და ამიტომ ეს ნიშანი ქართულ მონეტებზე პერალდიკურ ემბლემად უნდა მივიჩნიოთ.

უცხოური მონეტებიდან, როგორც ეტყობა, ჩვენში XV საუკუნეში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ყოფილა თურქული და შარვანული, რადგან ორივე დასახელებულ განძში ამდროინდელი თურქული აყჩასი და შარვანული მონეტის მინაბაძები საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა.

ორივე დასახელებული ნიმუში მხოლოდ ერთი მხრიდანაა სიქადასმული,

უცხოური მონეტებიდან, როგორც ეტყობა, ჩვენში XV საუკუნეში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ყოფილა თურქული და შარვანული, რადგან ორივე დასახელებულ განძში ამდროინდელი თურქული აყჩასი და შარვანული მონეტის ქართული მინაბაძების (ბ) გამოსახულებანი მოყვანილი გვაქვს ჩანახატის



ა

ბ

სახით. თურქული მონეტის მინაბადს თარიღიც კი შერჩა,—ჰიჯრის 886 (= 1482). (იხ. № 157). თუნდაც ერთ ნიმუშზე ამ პირდაპირი თარიღის გარეა არავითარ ექვს აღარ ტოვებს, რომ გორის განძის იმიწაში ჩამარხვა XV საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში მომხდარა და ამ განძის მონეტათა ძირითადი რაოდენობა XV საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის.

ყვარყვარეს სახელით აღბეჭდილი მონეტის გარდა, დანარჩენი მონეტებიც ქართლის მეფეებს უნდა მიეკუთვნოს, თუმცა შესაძლებელია, ბაგრატ მეექვსის მონეტები 1466 წლამდე იმერეთში მოექრათ, როდესაც გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგს ჰყავდა დატყვევებული. ამავე წლის შემდეგ კი, როდესაც გიორგი ქართლიდან განდევნილი იყო, „მეფე“ გიორგის სახელით აღბეჭდილი ნიმუშები ქახეთში მოიჭრა და ამრიგად გაჩნდა ახალი ზარაფხანის პროდუქცია.

დავით IX შემდეგ XVI საუკუნის ეროვნული ხასიათის ქართული მონეტები დიდხანს არ ჩანდა და ქართული ნუმიზმატიკის ეს ხარვეზი შეუვსებელი რჩებოდა. მართალია, იშვიათ შემთხვევებში ჩნდებოდა ნიმუშები, რომლებიც ქართულ წარმოშობას ამჟღავნებდა, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკის საერთო კლასიფიკაციაში სათანადო ადგილს ვერ პოულობდა, რადგან მათი განსაზღვრა, ამა თუ იმ ისტორიული პირისადმი მიეკუთვნება და მოჭრის ადგილის დადგენა ვერ ხერხდებოდა.

ასეთ მონეტებზე ზოგჯერ საკვებით აშკარა ქართული ზედწერილებიც კი ჩნდებოდა, მაგრამ ამ ზედწერილების გახსნა ფერხდებოდა, რადგან წარწერები დაუდევრად იყო შესრულებული ან ძალიან გადასული. განძის შემადგენლობა არ შეიცავდა რომელიმე სხვა თარიღიან ან უკვე ცნობილ მონეტებს და თვითონ მონეტა უხეშად და პრიმიტიულად იყო გაფორმებული. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან აძნელებდა მონეტის განსაზღვრა-დათარიღებას, რის შედეგად ადგილი ჰქონდა მრავალ გაუგებრობას.

1946 წელს სოფ. პატარა ჭიხაიში აღმოჩენილი იყო ვერცხლის წერილი მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად მიიფანტ-მოიფანტა. გადარჩა მხოლოდ სულ მცირე ნაწილი, რომელმაც ორიოდ სამონეტო ტიპის განსაზღვრისა და ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალება მოგვცა. ქვემოთ აღწერილია ორი სამონეტო ტიპი, რომლებმაც ქართულ ნუმიზმატიკაში გარკვეული ადგილი დაიკავა და საგრძნობი ხარვეზი შეავსო.

— № 158. წონა — 0,62 გრ, ზომა — 11 მმ;

შ უ ბ ზ ე მოთავსებულია გვირგვინით შემკული პირდაპირ მდგომი ალაშქრის თავის გამოსახულება.

ზ უ რ გ ზ ე — ერთ სტრიქონად დაქარაგმებული ქართული ასომთავრული ზედწერილი: „მეფე გიორგი“.

ეს მონეტა გამოქვეყნებული ჰქონდა ვ. ლანგლუას, რომელმაც თავდაპირველად გიორგი I (1014 — 1027 წწ.) მიაკუთვნა და მეფის გამოსახულება გაუგებარი მიზეზის გამო ფრაგტ III პართელს მიაშვავა (1852 წ. გამოცემა, გვ. 14 — 15, ტაბ. I, № 8), მეორე გამოცემაში კი ამ მონეტის შესახებ უკვე აღარაფერს ამბობს.

პარიზში გამოცემულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ექვთ. თაყაიშვილმა ეს მონეტა გიორგაულად მიიჩნია, მაგრამ შემდგომ, პატარა ჭიხაიშის განძის შე-

მადგენლობას რომ გაეცნო, ამ განსაზღვრაზე ხელი აიღო და გამოქვეყნებული მონეტა 1951 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა (საინვ. № 7484). ტიპოლოგიურად ეს მონეტა ზემოაღწერილ № 158-ის ზუსტი განმეორებაა, განსხვავდება მხოლოდ ზომითა ($= 13 \times 18$ მმ) და წონით ($= 1,44$ გრ) და შეიძლება პირველის ორმაგ ნომინალს წარმოადგენს. ამ უიშვიათესი მონეტის ფოტორეპროდუქცია მოცემულია ტაბულაზე 159 ნომრით.

ამავე სახელით არის აღბეჭდილი უჩვეულო გარეგნობის მეორე სამონეტო ტიპი, რომელზედაც გამოსახულება მოთავსებული აღარაა და ჩვენამდე მოღწეული რამოდენიმე ცალის მიხედვით შემდეგი სახისაა:

№ 160, 161. წონა — 0,75 — 0,79 გრ, ზომა — 6-16 მმ, შოგარძო მოყვანილობისაა.

შ უ ბ ზ ე მოთავსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი: „მეფე მეფეთა“.

ზ უ რ გ ზ ე — ერთსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი: „მეფე გიორგი“.

ვ. ლანგლუა ამ სამონეტო ტიპსაც იცნობდა, მაგრამ ზედწერილები სწორად ვერ გახსნა და მცდარად მიაკუთვნა იმერეთის მმართველ დემეტრეს (1447 — 1452 წწ. „Essai de classification...“, გვ. 100, ტაბ. VIII, №№ 1-2).

XIV — XV სს. დანარჩენ მონეტებთან შედარებით ეს ორი აღწერილი ნიმუში, ფულის მოჭრის ნამდვილი შედეგია: გამოსახულება ასე მხატვრულად არის შესრულებული, რომ ხელოვნებათმცოდნე ო. სანებლიძე ამ მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებას გელათის ერთ-ერთ ხატზე მოჭედილ გიორგი II გამოსახულებასა და ამავე ტაძრის ფრესკას ადარებს. ზედწერილის მოყვანილობაც განსაკუთრებით ლამაზი და მოხდენილია. სიფაქიზე და ხელოვნება, რომლებიც ხელოსანს გამოუჩენია ნახატისა და წარწერების გადმოცემის დროს, იმდენად მაღალია, რომ განციფრებას იწვევს; საოცარია როგორ შეძლო ხელოსანმა მცირე ზომის ლითონის ფირფიტაზე ასე ლამაზად, კობტად და მოხდენილად ასეთი მინიატურული გამოსახულებისა და წარწერის მოთავსება.

აღნიშნავთ აგრეთვე, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიაც იმ დროს დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა, გიორგი ბაგრატიის ძის მონეტები თავისი ტექნიკური და მხატვრული ნიშნებით, გაცილებით უკეთესია, ვიდრე მათი თანადროული თურქული მონეტები. საინტერესოა, რომ ლითონის სინჯი და წონაც უფრო მაღალია.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ განძი, რომელიც, ნხილველთა თქმით, მრავალ ასეულ ნიმუშს შეიცავდა და მათ შორის შესაძლოა ისეთებსაც, რომლებიც ქართული ნუმისმატიკის სულ ახალ ფურცლებს გადაგვიშლიდა, თითქმის მთლიანად დაიღუპა და უგზო-უკვლოდ გაიფანტა. ვაღარა მხოლოდ 18 ცალი, მაგრამ მეცნიერებას ამანაც დიდი სამსახური გაუწია. ვაღარჩენილ ნაწილში ქართულ მონეტებთან ერთად აღმოჩნდა 982 ჰიჯრით ($= 1574/75$ წწ.) დათარიღებული თურქეთის სულთან მურად III აყჩები (ვერცხლის წვრილი მონეტა). ზემოაღწერილი ქართული მონეტების თარიღის დადგენისა და განსაზღვრისათვის ამ თურქულ მონეტებს ვაღამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განძში, როგორც წესი, ყოველთვის სინქრონული მონეტები იყრის თავს და რადგან თურქული აყჩები XVI საუკუნისაა, ცხადია, რომ მათი თანმხლები ქართული მონეტებიც ამავე დროისა იქნება. აქედან ცხადი ხდება ისიც, რომ

რადგან იმერთ მეფე გიორგი მეორე (1564 -- 85 წწ.) სწორედ ამ დროს მეფობდა, ზემოაღნიშნული ქართულწარწერიანი მონეტებიც მას უნდა მიეკუთვნოს.

ეს იშვიათი მონეტები უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ ბოლო დრომდე შეუთანხმებლობას იწვევდა. ზემოაღწერილ მონეტას, რომელზედაც ბეფეა გამოსახული, მ. ბარათაშვილი, მაგალითად, XI საუკუნით ათარიღებდა და „სრულიად საქართველოს მეფე“ გიორგი II მიაწერდა. მეორე ტიპის წარწერიანი მონეტა ვ. ლანგლუამ, როგორც აღვნიშნეთ, იმერეთის მმართველ ღემეტრეს (1447—1452 წწ.) მიაწერა. მეფის გამოსახულებიანი მონეტა ექვთ. თაყაიშვილმა გიორგაულად მიიჩნია და, ამრიგად, XIV საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა, ზოგმა — იმერთ მეფე გიორგი I (1389 — 1392 წწ.) მიაკუთვნა.

ასეთი აზრთა სხვაობის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მკვლევართა განკარგულებაში საკმარისი და სანდო მასალა არ მოიპოვებოდა. მაგრამ ახლა, პატარა ჭიხაიშის განძის შემადგენლობის მეცნიერული ანალიზის შედეგად, ამ დავას ბოლო მოეღო.

ამასთანავე ისიც იკვეება, რომ მეფის გამოსახულებიანი აღნიშნული მონეტა გაცილებით ადრე დაუთარიღებია არასპეციალისტს. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება 1839 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც მ. ბროსეს გაუგზავნა ქუთაისის დეკანოზმა ნიკოლოზ ქუთათელაძემ. მოგვყავს დოცენტ შ. ხანთაძის მიერ თავაზიანად მოწოდებული ამ წერილის ამონაწერი: „თქვენ მიბრძანებთ ვითომც მეთექვსმეტე საუკუნითგან არ სჩნდნენ ფულები იმერელთა მეფეთა. ამისთანანი მგონია მრავალნი არიან“, —თავმდაბლად მოახსენებს გამოჩენილ მეცნიერს ამ წერილის ავტორი და განაგრძობს: „ესე იგი გიორგი ბაგრატი კურაპალატის ძისა და მისთა წინაპართა... ახლაც კსჩანან იმერეთში ფულნი ვერცხლისა. ერთ მხარეზე მისი სახე არის და მეორე გვერდზე აწერია ძველი ხუცური ასოებით ასრეთ“ და მოჰყავს წარწერის მოხაზულობა, რომელიც საოცრად ემსგავსება № 159 მონეტაზე ამოკვეთილ ზედწერილს. მართალია, ეს ცნობა უყურადღებო და გამოუყენებელი დარჩა, მაგრამ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია არასპეციალისტს.

ამ ორი მონეტის გარდა მ. ბარათაშვილსა და ვ. ლანგლუას რამდენიმე სხვა ნიმუშიც კქონდათ გამოქვეყნებული და მათ შორის ისეთი, რომელზედაც ბაგრატის სახელი გარკვეულად იკითხება.

პატარა ჭიხაიშის განძიდან შემორჩენილ ნაწილში ბაგრატის სახელით აღბეჭდილი მონეტა არ აღმოჩნდა, მაგრამ არსებული ნიმუშების დაპირისპირება და ტიპების შედარება შესაძლებლობას იძლევა ამავე პერიოდს დაუეკავშიროთ და 1510 — 1564 წლებით დაეთარიღოთ ქვემომოყვანილი ვერცხლის წერილი მონეტა, რომელიც ვ. ლანგლუამ თავის დროზე ბაგრატ III იმერთ მეფეს მიაკუთვნა.

№ 162. მონეტის შ უ ბ ლ ი: პირდაპირ მიმართული სქემატურად შესრულებული მეფის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით.

ზ უ რ გ ი: კორიზონტული ხაზით გაყოფილი ორსტრაქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულად, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: „მეფე ბაგრატ“.

საინტერესოა, რომ ქალ. ფსკოვის თანადროულ მონეტასა და ამ ნიმუშზე მოთავსებული მეფის გამოსახულებები ერთმანეთს ემსგავსება.

ამრიგად, ირკვევა, რომ სომხეთის, ოდიშისა და მესხეთის უკვე დადგენილ და ამჟამად კარგად ცნობილ მონეტების ჯგუფს კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, იმერული სამონეტო ტიპიც ემატება. ეს უკანასკნელი მონეტები გვიდასტურებს, რომ ჩვენში XVI საუკუნის დამლევამდე ეროვნული ხასიათის ქართული მონეტების იოკრა არ შეწყვეტილა და რადგან ასეთები იმერეთში აღმოჩნდა, ანალოგიურ მოვლენას, ალბათ, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ მოსაზრებას ისიც უწყობს ხელს, რომ, როგორც ირკვევა, ორიგინალური ქართული მონეტის პარალელურად ჩვენში სულ სხვა ტიპისა და შინაარსის მონეტებიც იჭრებოდა, რომლებსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

XVI — XVIII სს. ქართული მონეტაჟი

XV საუკუნეში მთელ მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვან ნაწილზე თურქ-ოსმალები გაბატონდნენ. კონსტანტინეპოლის აღებისა და შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდების შემდეგ თურქებმა დაარღვიეს ეეროპასა და აღმოსავლეთს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული ურთიერთობა და გადაჭრეს მცირე აზიისა და კავკასიის ყელის გავლით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული მსოფლიო სავაჭრო გზა. ამის შედეგად ახალი სავაჭრო ბაზრების მოსაპოვებლად ევროპის კაპიტალს ახლა სხვა მიმართულება მიეცა. სპარსეთის, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ ახალი გზები უკვე სხვა მიმართულებით იხსნება: პირველი — აფრიკის გარშემო, ხოლო მეორე — თეთრი ზღვით რუსეთის მიწა-წყალზე გავლით; ამ ახალი სავაჭრო გზებიდან საქართველო წოწყვეტილი აღმოჩნდა. შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ მის მიწა-წყლით მიმავალი ოდესღაც დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზა ყრუვდება; თურქეთი გარდაუვალ ჭეზირად აღიმაართა დასავლეთის კულტურულ ქვეყნებსა და ჩვენ ქვეყანას შორის; ამიერიდან შეწყდა დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარებისა და უშუალო კულტურული ურთიერთობის საშუალება. ყველაფერი ეს ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი დაქვეითება-დაცემის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცა.

XVI—XVII სს. საქართველოს ისტორია სისხლით არის დაწერილი. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ქვეყანა კვლავ შემოპილია. საგარეო და საშინაო არახელსაყრელი პირობების გამო, ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად დაყოფილ საქართველოს ბრძოლა უხდება ორ საშინელ და ძლიერ მტერთან: მომთაბარე დამპყრობელ თურქ-ოსმალებთან და მსოფლიო ასპარეზზე ხელახლად გამოცოცხლებულ ერანის სახელმწიფოსთან. ჩვენი ქვეყნის ძველ და დაუძინებელ მტერს სეფიანთ სეიპტრის ქვეშ აღორძინებულ ერანს კვლავ გაედევია საქართველოს დაპყრობის მისწრაფებანი, რამაც ახალი საბედისწერო ხიფათი მოუვლინა ჩვენს წინაპრებს.

სამთავროებად დაყოფილ საქართველოში საერთო ეკონომიური ცხოვრება დაირღვა; ცალკე მძლავრი ფეოდალები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს ეომებოდნენ და ანადგურებდნენ, ახლა რიგ-რიგობით იყენებენ ამ შინაბრძოლებში სპარსელებსა და თურქებს. ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე თურქეთისა და ერანის ინტერესების შეხლა-შეჯახება განშირდა.

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები ამ ორ დაუნდობელ, ძლიერ მტერს. XVII საუკუნის ისტორიკოსი გორგიჯანიძე გამოხატავს ჩვენ წინაპართა განწყობას და მოგვითხრობს, რომ ამ ორ ძლიერ მუსლიმანურ სახელმწიფოთა შორის მოქცეულმა ქართველებმა

„აქეთ იქნის ხმალი და იქით, მრავალი ნაწენებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს დარჩა, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა“.

ერან-თურქეთის 1555 წლის საზავო ხელშეკრულებით, აღმოსავლეთი საქართველო ერანის მძიმე უღელქვეშ მოყვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს თურქი დამპყრობლები აპარტახებდნენ. შესაბამისად ამისა, თურქეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იძულებულია ისარგებლოს თურქეთიდან შემოტანილი მონეტით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა—ერანიდან შემოტანილი მონეტით.

თურქული ფულის ბრუნვის ისტორიაში XVII საუკუნე ადგილობრივი მონეტის — აყჩას კატასტროფული დაკნინება-დაცემით ხასიათდება: ლითონის ხარისხი თანდათან უარესდება, მონეტის წონა სულ უფრო და უფრო კლებულობს, ზომა მცირდება. ასეთი დაკნინებული ფული ჩვენში ძალიან ვრცელდება. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ამ აყჩების განძების აღმოჩენათა შემთხვევები ძალიან ხშირი მოვლენაა. მაგრამ ირკვევა, რომ თურქეთიდან შემოტანილი წვრილი აყჩებისა და ზემოაღწერილი ეროვნული ხასიათის მონეტის გარდა ჩვენში იჭრებოდა უცხოური მონეტების მინაბაძებიც.

ასეთი მონეტების ქართული წარმოშობა არც წინათ იწვევდა ეჭვს, მაგრამ კონკრეტული მონაცემები, ანუ რაიმე სხვა მტკიცე საბუთი, მეცნიერებას ხელთ არ ჰქონია. ქალ. გორსა და სოფ. მნაში აღმოჩენილი ზემოთ დასახელებული XV საუკუნის ქართული ფულას ორ განძში შემავალი ასეთი მინაბაძებიც კი, ბოლოს და ბოლოს, მტკიცე საბუთს არ იძლეოდა და უნდობლად განწყობილ მკვლევარს ეჭვის გამოთქმის საშუალებას აძლევდა. მაგრამ, როდესაც განსაზღვრულ რაიონში ერთი და იმავე მონეტების აღმოჩენათა შემთხვევები სულ უფრო და უფრო ხშირდება და ამას სხვა დამატებითი ფაქტები ემატება, ეჭვებს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს და დასახელებულ მონეტათა ქვეშარიტი წარმოშობა სავსებით აშკარა ხდება.

ამის დამადასტურებელ კონკრეტულ მაგალითს იძლევა მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის მახლობლად 1945 წელს აღმოჩენილი განძი, რომელიც თავისი შემადგენლობით უდავო ქვეშარიტებად ხდის ამ მინაბაძების ქართულ წარმოშობას. განძი შეიცავს XVII საუკუნის ასიოდე ორიგინალურ, ნამდვილ თურქულ აყჩას, დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძსა და 20-ოდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის თხელ ფირფიტას. მინაბაძები სულ სხვადასხვა შტაპპით არის შესრულებული, მაგრამ ერთნაირად დამახინჯებულ წარწერებს იძლევა. დასახელებული ვერცხლის ფირფიტები სისქითა და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს უდგება და აშკარა ხდება, რომ ეს ფირფიტები მინაბაძების მოსაპრელი ნაშადაა, რომელსაც თურქეთიდან ან სხვა რომელიმე დაშორებული ადგილიდან, რა თქმა უნდა, აქ არ ჩამოიტანდნენ. მაგრამ მთავარი ის არის: რომ ამ ნაშადათა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა და ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას მოწმობს, რომ მინაბაძების მომჭრელი თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო, ქრისტიან მოსახლეთა შორის, ე. ი. ჩვენში, საქართველოში ცხოვრობდა.

ამ მინაბაძების ზედწერილები იმდენად დამახინჯებულია, რომ ნამდვილ ორიგინალებთან მათ არავითარი მსგავსება არა აქვთ, რის გამოც ზედწერილების

აღდგენა და მონეტის აღწერილობა შეუძლებელი ხდება. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ სიფრიფანა ფირფიტებზე გამზადებული ფულის ამ ნიშნების დიამეტრი 10-12 მილიმეტრს, ხოლო წონა ჩვეულებრივ გრამის მეოთხედსა ან მესამედს არ აღემატება. იმდროინდელი ევროპული მოგზაურის შარდენის გადმოცემით, აყჩა ისეთი პატარა ზომისა ყოფილა, რომ თითებს შორის ეკარგებოდა. ამ მონეტების შესახებ გარეგნული შთაბეჭდილება რომ ვიქონიოთ, წარმოიდგინოთ ახლანდელი კაპიციანის ერთი მესამედი. აღნიშნულის გამო ამ მინაბადების ფოტორეპროდუქციების გამზადებამ დამაკმაყოფილებელი შედეგი არ მოგვცა და მონეტათა გამოსახულებანი წიგნში მოთავსებული არა გვაქვს.

საქართველოზე თავისი გაელენის განსამტკიცებლად თურქეთსა და ერანს შორის გაუთავებელი ბრძოლა ქვეყნის ეკონომიურ დაქვეითებასა და დასუსტებას იწვევდა. ხან თურქეთისა და ხან ერანის უღელქვეშ მოქცეული ქართველები ძალაუნებურად მონაწილეობენ ამ სისხლისმღვრელ და მოშქანცველ ბრძოლებში და, იმისდა მიხედვით, თუ ვის რჩებოდა გამარჯვება, იმის ფულის ნიშნებით სარგებლობდნენ. მაგრამ ამ მძიმე ვითარებაშიც რომ ქართულ ზარათხანებს საკუთარი პროდუქციის გამოშვება არ შეუწყვეტია ამისი უტყუარი საბუთები არსებობს როგორც უშუალო ნუმიზმატიკური ფაქტებისა, ისე წერილობით წყაროებში შერჩენილი ცნობების სახით. საქართველოს საკუთარი ფულის მოჭრის შესახებ ფრიად საყურადღებო ცნობები მოჰყავს, მაგალითად, სპარსელ ისტორიკოსს ისკანდერ მუნშის; ის ამბობს, რომ ერანის შაჰის თაჰმასპ I (1524 — 1576 წწ.) საქართველოზე მრავალგზისი გალაშქრების შედეგად ქართველებმა იკისრეს ხარკის გადახდა და საკუთარ მონეტაზე შაჰის სახელის მოხსენიება.

ასეთივე კონკრეტული ცნობები მოგვეპოვება XVII საუკუნის შუა წლები-სათვის: ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, როსტომ მეფემ (1632 — 1658 წწ.) რიგი ღონისძიებანი ჩაატარა. ასე მაგალითად, თბილისის კარის მეციხოვნეებს მან დააწავა ბაჟის აკრეფა.

სომეხი ისტორიკოსი ზაქარია აკულინელი იტყობინება, რომ თბილისის ზარათხანა იჯარით ვინმე ხოჯა ბებუტს გადაეცა. აქედან აშკარაა, რომ ზარათხანას ამ დროს ქართველი მეფე განაგებს.

ამავე პერიოდის ევროპელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, რომ, როდესაც ლევან მეორე დადიანმა (1611 — 1657 წწ.) სამეგრელოში სომეხი ვაჭრები დაასახლა, ზარათხანას სპარსული ყაიდის აბაზანები მოაქრევინა. ლამბერტი განმარტავს, რომ ასეთ მონეტას უმთავრესად სომეხები ხმარობდნენ, რომლებიც „სავაჭრო მიზნებით ერანში ხშირად მოგზაურობდნენ“. ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ესპანურ, იტალიურსა და უნგრულ მონეტებს ეტანებოდა. ცნობას სამეგრელოში სპარსული ყაიდის აბაზანების მოჭრის შესახებ ოციოდე წლის შემდეგ კიდევ ერთი ევროპელი — შარდენი იმეორებს.

საქართველოში ფულის მიმოქცევის შესახებ დაწერილებით ცნობებს ტავერნიეც იძლევა. ის პირდაპირ ამბობს, რომ ქართველი მეფე ფულს კრის სპარსეთის მეფის სახელით. ასეთი ფულის მოსაქრელად თურმე იყენებდნენ ევროპულ მონეტებს.

საქართველოს მიწა-წყალზე ამ დროს მართლაც დიდი რაოდენობით ჩნდება ევროპის სახელმწიფოთა სხვადასხვა მონეტები. აღმოჩენილი მონეტების

განსაზღვრული ნაწილი წარმოდგენილია განძების სახით. ასე, მაგალითად, ხუთ-მეტრიოდე წლის წინათ ქალ. მახარაძეში ნაპოვნი იყო ესპანური, ავსტრიული, გერმანული და იტალიური მონეტების მოზრდილი განძი, რომელიც იწონიდა 8 კილოგრამზე მეტს. ანალოგიური განძები ნაპოვნია ზესტაფონში, ახალციხის რაიონში, თბილისში, თელავის მახლობლად და ა. შ.

ამავე პერიოდში ჩნდება განძები, რომლებიც სულ სხვა ტიპის მონეტებს შეიცავს. განსაკუთრებით შინაარსიანი და საინტერესოა თავისი შემადგენლობით 1909 წ. ამბროლაურის მახლობლად აღმოჩენილი ვეებერთელა განძი, რომელიც თითქმის მთლიანად დაიტაცეს, მაგრამ რამდენიმე ასეული ცალი მუზეუმისათვის გადაარჩა.

გადარჩენილი ნაწილი წარმოდგენილია შაჰ-აბაზის სახელით აღბეჭდილი, უხეშად შესრულებული ასიოდე აბაზიანით (იხ. № 164), რომლებიც ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს. დანარჩენი შვიდასიოდე ცალი წარმოდგენილია მოგრძო მოყვანილობის პაწაწინა მონეტებით. მონეტებზე მოთავსებული სპარსული ზედწერილი ისე უხეშად არის დამახინჯებული, რომ მისი ამოკითხვა შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ორიოდე ცალზე თითქოს იკითხება შაჰ-თახმასპის (1524 — 1573 წწ.) სახელი; თარიღი — 963 (= 1555/1556 წწ.). ტაბულაზე მოთავსებული № 163 რეპროდუქცია წარმოდგენას იძლევა ამ ნიმუშის შესახებ.

თარიღი, რომელიც ზოგიერთ მონეტაზე იკითხება, შეიძლება შემთხვევითიც არ იყოს, რადგან ერან-თურქეთის საზავო ხელშეკრულება და შეთანხმება საქართველოს დაყოფის შესახებ სწორედ ამ დროს მოხდა. საინტერესოა, რომ მეტროლოგიური მონაცემებით, მოყვანილობით და ფაქტურით ისინი გიორგი II იმერთ მეფის მონეტებს მოგვაგონებენ. ამ მონეტების ქართული წარმოშობის შესახებ მსჯელობა ზოგიერთი საკითხის დაზუსტებამდე თითქოს ნაადრევია, მაგრამ ისკანდერ მუნშისა და არქანჯელო ლამბერტის მოთხრობილი ამბების შუქზე ამბროლაურის განძის მონეტათა ქართული წარმოშობა დამაჯერებლად გამოიყურება.

თურქული აყჩის მინაბაძების მსგავსად, მცირე ზომისა და დაუდევრად შესრულებული ამ მონეტების ფოტოგრაფირება და რეპროდუქციების დამზადება ვერ მოხერხდა, რის გამო მისი სურათი ტაბულაზე მოცემული არაა.

რაც შეეხება ევროპულ მონეტებს, რომლებზედაც არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, საქართველოს შიწა-წყალზე ისინი ასე დიდი რაოდენობით ჩნდება, რომ მათი ასე ფართოდ გავრცელება მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება, პირველ რიგში, ამრეშუმით ვაჭრობით. არც ისაა გამორიცხული, რომ ამას უშუალო კავშირი აქვს კათოლიკე მისიონერების საქართველოში საქმიანობასთან. ცნობილია, რომ ზოგიერთი ევროპელი ხელმწიფე და განსაკუთრებით რომის პაპი ძალიან ცდილობდნენ კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ ჩვენი წინაპრების მოქცევას, მაგრამ იმედები გაუქარწყლდათ.

რა ტერმინს ხმარობდნენ ამ დროს ფულის აღსანიშნავად დასავლეთ საქართველოში? XV საუკუნის მოგზაური იოსაფატ ბარბარო, მაგალითად, გვაუწყებს, რომ სამეგრელოში „თეთრი“ ყოფილა გავრცელებული. იმერთ მეფე ბაგრატის 1545 წლის დათარიღებულ ერთ საბუთში „ათი მარჩილი თეთრია“ ნახსენები, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ხმარებული და დასტურლამალში ხსენებული სამაბაზიანი მარჩილი იგულისხმება აქ, თუ ეს იმერული

სპეციფიკური ტერმინია, ამის თქმა ძნელია. რადგან აკად. ნ. ი. მარის მოწმობით, იმერხვევლთა კილოკავში ამ ტერმინს შაურის მნიშვნელობაც ჰქონია.

უფრო მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ მარჩილის მაგივრობას ევროპული ტალერი ასრულებდა (ამის შესახებ საუბარი ქვემოთ იქნება).

ახალ პოლიტიკურ გავლენათა გავრცელებისა და ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო საქმიანობაში შესამჩნევი ცვლილებები ხდება.

XVII — XVIII სს. თბილურმა ვერცხლმა ეროვნული ნიშნები საბოლოოდ დაკარგა და სავსებით გადავიდა ერანული მონეტის ყაიდაზე. მონეტის ზომა და წონა შეეფარდება ერანში მიღებულ სტანდარტს; სპარსული ზედწერილი შაჰის სახელს იუწყება. ზედწერილის საკულტო ნაწილი არაბულია, თარიღი ჰიჯრით არის გადმოცემული. ქართული წარწერა, ქართველი მეფის სახელი ან ქრისტიანული ლოცვა ამ მონეტებზე სრულიად არა ჩანს. ერანული მონეტისაგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი მხოლოდ მოჭრის ადგილია — თბილისი. მონეტების გარეგნული ნიშნები, განსაკუთრებით კი ქართველები-სათვის უცხო იდეოლოგიისა და შინაარსის შემცველი ზედწერილები საბუთს გვაძლევდა ჩაკვეთვალა ეს მონეტები დიდი ერანის ზარაფხანის ერთ-ერთი ფილიალის პროდუქტად. მტკიცე მონაცემების გარეშე ამ მონეტათა ქართული წარმოშობის შესახებ მსჯელობა შეუძლებელი იყო. მაგრამ, როდესაც თბილური ვერცხლის ფულის არაჩვეულებრივ გავრცელებას წყაროებში შერჩენილი ცნობებიც ემატება, სურათი იმდენად მკლავდება, რომ სპარსულ ყაიდაზე თბილისში მოჭრილი მონეტების ქეშმარიტი წარმოშობის საკითხიც სავსებით აშკარა ხდება.

ამჟამად აგრეთვე, რომ ეს უნდა გავრცელდეს საქართველოში ამ დროს მოქმედ სხვა ზარაფხანებზედაც. წერილობითი წყაროების გარდა (ტავერნიე, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) ასეთი ზარაფხანების არსებობის შესახებ უშუალო ფაქტებიც არსებობს. გამოირკვა, რომ იმერთ მეფისა და დადიანის გარდა ამ დროს კახთ ბატონიც კრიდა საკუთარ ფულს. ეს სულ უკანასკნელ დროს, სახელდობრ 1967 წ. გამოირკვა, როდესაც ანშეტის რაიონის სოფ. ბირკიანში (პანკისის ხეობა) საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს ნაპოვნი იყო ქილაში მოთავსებული ვერცხლის მონეტები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანისა და აქ დამუშავების შემდეგ გამოირკვა, რომ განძი შედგება თბილისში, განჯაში და სხვა ქალაქებში XVII ს. პირველ ნახევარში მოჭრილი აბაზიანების, უზალთუნიანებისა და შაურიანებისაგან. განსაკუთრებით საინტერესოა ჰიჯრის 1039 წელს (=1629 წ.) ზაგეშში მოჭრილი ორი აბაზიანი. ზაგეში, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის საზღვრებშია, უკანასკნელ დრომდე საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო XV — XVII სს-ში კახეთის ერთ-ერთ მსხვილ ქალაქად ითვლებოდა.

ზემოხსენებული წერილობითი წყაროების გარდა ერანული ყაიდის თბილური მონეტის ქეშმარიტი წარმოშობის შესახებ არსებობს მრავალი სხვა უტყუარი საბუთი, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ:

დაახლოებით 1678 წელს ბატონიშვილი თეიმურაზი სწერდა რუსეთის მეფე თევდორე ალექსის ძეს, რომ სულეიმან შაჰი ომით ემუქრებოდა ვახტანგ V-ს მრავალი მიზეზის გამო და, კერძოდ საკუთარი ფულის მოჭრის უფლების მითვისებისათვის.

ვახტანგ VI კანონთა კრებული შეიცავს „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს. სადაც გათვალისწინებულია ფულის მოჭრის პროცედურა და წესები. ამავე დროისაა ამჟამად, სამწუხაროდ, დაკარგული ვახტანგ VI დროინდელი საბუთი, რომლის ამონაწერი აკად. ექვთ. თაყაიშვილის მზრუნველობით ჩვენს განკარგულებაშია. „ნასყიდა თავლდარს,—ნათქვამია აქ, — ასლანის აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების მოსაპყრელად. ოცდათვრამეტი შაური გამოგზავნა. ესეც ასლანას ავაწონიე. შეიღს მისხალს აკლდა ნახევარი მისხალი და ხუთი მუხზულო“.

„ქართლ-კახეთის XVII საუკუნის ქრონიკებიდან“ ვგებულობთ, რომ „თეიმურაზ მეფე მივიდა იბრემ ყაენთან და მორჩილება განუცხადა. იამა დიდად ყაენს თეიმურაზის მისვლა, უბოძა ურიცხვი ოქრო და ვერცხლი, ყოველივე შესაფერისი საქონელი, დაუმტკიცა ყაზახ-ბორჩალო და დაითხოვა — „წაღი შენს ქვეყანას მოეპატრონეო“. ამის შემდეგ ყაენს გამოგზავნა ზარაფხანა, „დაპყრეს სიქა და მოსპყრეს მარჩილი (სამაბაზიანი), შაურიანი და მანეთ-ნახევრიანი“. 3 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1752 წელს თეიმურაზ II და ერეკლე II „ზარაფხანა განაახლეს, მოსპყრეს ფლური და თეთრი, განახლდა სტამბა და ბეჭდვა წიგნთა“.

აღსანიშნავია აგრეთვე პაპუნა ორბელიანის ამავე დროის ცნობა იმის შესახებ, რომ „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა (თეიმურაზმა და ერეკლემ) თვისისა საღაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაპყრეინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჭარსა, ცდილობდნენ კიდევ შეყრასა ჭარისისა“.

ამ საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ XVI საუკუნის დაწყებისთანავე სახელმწიფო ხაზინასა და ზარაფხანას ქართველები განაგებენ, რომლებიც საქიროებისამებრ ოქროს ფლურსაც ჭრიან.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ საბუთების თანადროული ეროვნული ტიპის თბილისური ვერცხლის მონეტები სულ არა ჩანს მაშინ, როდესაც გარეგნულად ერანული ყაიდის თბილური მონეტები წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მატულობს. ამასთან დაკავშირებით იბადება ბუნებრივი კითხვა — რატომ ერიდებოდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და ფინანსისტები ეროვნული ხასიათის მონეტის გამოშვებას და რატომ აძლევდნენ მას ერანული ფულის სახეს?

ვფიქრობთ, რომ იმდროინდელი ევროპელი მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის ზემოხსენებული ცნობა ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა. ის მოგვითხრობს, რომ ლევან II დადიანის (1611 — 1657 წწ.) სამფლობელოში დასახლებულ სომეხებს, რომლებიც სავაჭრო მიზნებით ერანში ხშირად დაიარებოდნენ, თურმე სპეციალურად ამ მიზნებისათვის ადგილობრივ ზარაფხანაში გამოზადებული ერანული ყაიდის ფული გაჰქონდათ.

XVI საუკუნიდან ერანულმა მონეტამ საერთაშორისო ბაზარზე ფართო გავრცელება მიიღო. რადგან ერანის სფეროში მოქცეული ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით მჭიდროდ იყო გადახლართული ერანის ინტერესებთან, შექმნილი პირობების გამო აღმოსავლეთი საქართველოც ძალაუფლებურად ცნობდა ერანის ჰეგემონიას. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ეროვნულ-ქართული ხასიათის ფულის მოჭრა ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას; ასეთ მონეტებს.

გასავალი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ექნებოდა. მეზობელ ქვეყნებში ასეთები არ გავრცელდებოდა და ხაზინას შემოსავალი სათანადოდ მოაკლდებოდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მიზეზების გამო მეფე როსტომმა და ეახტანგ შაპნავაზმა მეზობლისა და ნათესავის ლევან დადიანის გამოცდილება გამოიყენეს და შეიერდნენ ისეთი მონეტის ტიპზე, რომელიც ერანისაგან დამოკიდებულებასაც ასახავდა და ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებსაც დააკმაყოფილებდა. შესაძლებელია, რომ სწორედ ეახტანგის მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა სულემან შაჰის წყრომა გამოიწვია. ამრიგად, ერანული ტიპის თბილისური ვერცხლის გაჩენა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირების შედეგად იყო გამოწვეული.

ეს სამონეტო ტიპი, რომელიც ერანისა და საქართველოს დამოკიდებულებას ასახავდა და ამავე დროს მისი ფართო გასავლის საშუალებას იძლეოდა. შერჩა საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარმდე და ზოგჯერ მაშინაც იჭრებოდა, როდესაც ამ დამოკიდებულებაზე მსჯელობაც არ შეიძლებოდა. მაგალითად, ნადირ-შაჰის სიკედილის შემდეგ, როდესაც ერანში არეულობა ატყდა და ერანის გავლენას საქართველო საბოლოოდ გაუხსლტა, აქ წლების მანძილზე განაგრძობენ ერანის შაჰის სახელით ფულის მოჭრას, თუმცა კარგადაა ცნობილი, რომ ამ დროს შაჰის ბატონობას ბოლო მოეღო. მაგალითად, რძროინდელი მოგზაური კაპიტანი იაზიკოვი პირდაპირ ამბობს: „Денъги Грузии имеют свои, только выше монеты нет как в 30 копеек серебром и называется абаз“.

მოტანილი მოსაზრებანი იმითაც მტკიცდება, რომ უცხოური ტიპის საკუთარი ფულის მოჭრა დამახასიათებელი ყოფილა არა მარტო საქართველოსთვის. ამგვარ მოვლენებს ძველთაგანვე აღგილი ჰქონდა მთელ რიგ ქვეყნებში. ერთ-ერთ მაგალითს, როდესაც საკუთარ მონეტას უცხო იერი ეძლევა, რუსული ნუმიზმატიკიდან მოვიტანთ. ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ ათეული წლების მანძილზე იჭრებოდა ოქროს მონეტა, რომელიც ჰოლანდიურისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესებით გამოწვეული ასეთი მონეტის კეშმარტ ხასიათსა და დანიშნულებას გამოჩენილი რუსი ნუმიზმატიკი ა. ზოგრაფი სავაჭრო პირობებით ხსნის და ამბობს, რომ მისი გაჩენა გამოწვეული იყო არა მარტო საშინაო ბაზრის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ მეზობელ ქვეყნებში და საერთაშორისო ბაზარზე გასატანად.

XVII — XVIII სს. თბილურ ვერცხლს, როგორც ვხედავთ, შერჩენილი აქვს „სავაჭრო მონეტისათვის“ დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ის ინარჩუნებს ფართო ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი ერანული მონეტის სახეს და ამ ბაზარზე გავრცელების უნარიანობას, რაც დასტურდება ამ მონეტების მრავალი აღმოჩენებით როგორც ჩვენ მიწა-წყალზე, ისე მთელ ამიერკავკასიისა და ზოგჯერ ჩრდილო კავკასიაშიც კი. ხოლო ერანსა და თურქეთში მონეტათა აღმოჩენის შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება.

ყველაფერი ეს საბოლოოდ აძლიერებს მოსაზრებას, რომ XVI ს. დასაწყისიდან, რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში იჭრებოდა საკუთარი ფული, რომელმაც განსაკუთრებული პირობების გამო ეროვნული იერი მთლად დაკარგა და ერანული ყაიდისა იყო. ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზის გამო თავის მოქ-

მედებაში შეზღუდული ქართული მთავრობა ფულის მოჭრას დროებით აჩერებს, მაგრამ სამონეტო საქმიანობის მთელი მსვლელობა ძირითადად მის ხელში იყო. ამიტომ ერანული ყაიდის თბილური ვერცხლის ფული აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს საკუთრივ ქართულ მონეტათა რიცხვში.

XVII — XVIII სს. თბილური ვერცხლის მონეტებზე აღბეჭდილია უცხო მფლობელების, ერანის შაჰების შემდეგი სახელები: აბას პირველი (1587 — 1628), აბას მეორე (1642—1667), სულეიმანი (1667—1694), ჰუსეინი (1694 — 1722) სეფიანთა გვარეულობიდან და ნადირ-შაჰი (1736 — 1747), იბრაჰიმი (1748 — 49) და შაჰ-როჰი (1748 — 1799) ამშარიანთა გვარეულობიდან (უკანასკნელისა მხოლოდ მმართველობის პირველი წლებისა).

საერთო ერანული ყაიდით მოჭრილ ამ მონეტაზე მორიგი შაჰის სახელის, მოჭრის ადგილისა და ჰიჯრის გარდა საკეთილმყოფელო მუსლიმანური რელიგიური ფორმულები ან ლოცვანია მოთავსებული, რის გამო ამ მონეტების სხვადასხვა წვრილმანი ვარიანტის რაოდენობა მრავალრიცხოვანია. ამ ვარიანტების დაწვრილებით აღწერას რომ შევუდგეთ, ფაქტიურად და უნებლიეთ ერანულ ნუმისმატიკაში უნდა შევიჭრათ. რადგან ასეთი აღწერილობა ამ წიგნის დანიშნულებას არ შეესაბამება, დავკმაყოფილდეთ ზემომოყვანილი მოკლე და სქემატური შენიშვნებით, რომლებსაც შევავსებთ საჭირო ცნობებით ჩვენში გავრცელებული ნომინალების შესახებ.

ყველაზე უფრო მეტი გავრცელება ჩვენში ვერცხლის აბაზიანს ჰქონია (იხ. ტაბულა №№ 164 — 170), შემდეგ მის წილადებს: ორშაურიანს, მაჰმუდს. ანუ როგორც მას კიდევ უწოდებენ, უზალთუნს (იხ. ტაბულა 171 — 173); შედარებით იშვიათად შაური ჩნდება, რომელიც აბაზის მეოთხედს უდრიდა (იხ. №№ 174 — 175), გაცილებით მეტ იშვიათობას წარმოადგენს მსხვილი ნომინალები: მარჩილი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ბრიტანეთის კატალოგის ჩანაწერით, შემდეგ — ნახევარმარჩილი (უდრის ექვსშაურიანს ანუ 1½ აბაზიანს, № 176) და ფანჯშაჰი (ანუ ხუთშაურიანი, № 177).

ვერცხლის ფულის უკნიესი ნომინალი ბისტი იყო (№ 178. 2,5 ბისტი შაურს უდრიდა), რომელსაც სპეციალური დანიშნულებისათვის, გამონაკლისის სახით და განსაზღვრული რაოდენობით ძალიან იშვიათ შემთხვევაში უჭრიდნენ; მაგალითად, ნოვრუზ ბაირამის დროს მოწყალების დასარიგებლად.

მაღალ წრეებში სასაჩუქროდ ოქროს შაურიანებიც უჭრიათ. ექვთ. თაყაიშვილმა თავის დროზე ვახტანგ VI დროინდელი შემდეგი შინაარსის საბუთი გადაწერა: „ქ. ნასყიდა თავლდარის ასლანის აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების, მოსაჭრელად. ოცდათვრამეტი შაური გამოგზავნა. ესეც ავწონე, შვიდს მისხალს აკლდა ნახევარ მისხალი და ხუთი მუხუდო“. მამასადამე, ოქროს შაურის წონა იმ დროს დაახლოებით 0,70 გრ. ყოფილა.

1789 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში წერია, რომ „ოქრო შაურებადაც მოჭრილა სანავრუზოდ“ (ე. ი. საახალწლოდ საჩუქრის გასაცემად).

თუმცა ასეთი ოქროს შაურიანები ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ ორმოციოდე წლის წინათ ერთ-ერთი თბილისელი ანტიკვარი ასეთი მონეტის მოტანას გვპირდებოდა, მაგრამ დაპირება ვერ შეასრულა. რადგან უეცრად გარდაიცვალა.

წერილობითი წყაროების მოწმობით, ხმარებაში ვერცხლის ფულის უფრო-

მსხვილი ნომინალებიც ყოფილა, სახელდობრ, მინალთუნი. მაგრამ ფაქტური მასალით, ამ ნომინალის არსებობა არ დასტურდება.

ერანში და მისი გავლენის ქვეშ მოხედრილ ქვეყნებში 50 ტალერი 150 აბაზი, ანუ სამი თუმანი ღირდა. მაშასადამე, თითო ტალერის ღირებულება სულ 3 აბაზს შეადგენდა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში წონის მიხედვით 4 აბაზი უნდა ღირებულებულიყო (იძულებითი კურსი).

ამის საფუძველზე ს. კაკაბაძემ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა, რომ მარჩილის (ე. ი. სამი აბაზის) მაგივრობას ძველად ევროპული ტალერი ასრულებდა.

ჩვენში რომ მსხვილ ნომინალებს მიმოქცევა არ ჰქონია ჩანს 1770 წ. რუსი მოგზაურის კაპიტან იაზიკოვის უკვე მოყვანილი ცნობიდან: „деньги грузины имеют свои, — ამბობს ის, — только выше монеты нет, как в 30 копеек серебром“.

იმდროინდელმა საბუთებმა შეგვიჩვენეს ცნობები მონეტათა რეალური ღირებულებისა და მათი ურთიერთშეფარდების შესახებ. დადგენილი იყო, მაგალითად, რომ ლიგირებული ვერცხლის ერთი მისხლიდან ორნახევარი შაური უნდა მოჭრილიყო. ფულის ძირითად ერთეულთან — აბაზთან სხვა ნომინალების შეფარდების წარმოდგენას იძლევა ქვემოთმოყვანილი ცხრილი:

ლითონი	ნომინალები	წონა (გრ)		ნომინალთა შეფარდება									
		ლაქონებელი	რეალური	თუმანი	მინალთუნი	მარჩილი	აბაზი	ორშაურიანი	შაური	ბისტი	1/2 ბისტი	ფული	ფულის უკნისი არას. ერთეული
მხოლოდ ვერცხლისათვის	თუმანი	354		1	10	16,66	50	-100	200	500	1000	2000	1000
	მინალთუნი	35,4				1,66	5	10	20	50	100	200	100
	მარჩილი	21,24	14,2				3	6	12	30	60	120	600
	აბაზი	7,08	7,0					2	4	10	20	40	200
	ორშაურიანი	3,54	3,2						2	5	10	20	100
ვერცხლი და სპილენძი	შაური	1,77	1,6							2,5	5	10	50
	ბისტი										2	4	20
მხოლოდ სპილენძისათვის	1/2 ბისტი											2	10
	ფული												5

თურქეთსა და ერანს შორის ხანგრძლივ ცილობას მოჰყვა 1723 წელს თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დროებითი ოკუპაცია და ქვეყნის

აოხრება. ოსმალთა ბატონობას მოჰყვა მოსახლეობის აღწერა, ხარკის დადება და „ამის გამო იქმნა ჳირი დიდი“.

ამის შემდეგ თბილისის ზარაფხანა თუტრქული ყაიდის მონეტის გამოშვებაზე გადავიდა. ვერცხლის ფულის ნომინალთა ურთიერთშეთარდება ძველ დროსა და მანამდე ბრუნვაში არსებული ერანული ფულის მსგავსად წარმოებდა. ცხადია, რომ ამ ახლად შემოღებულ მონეტებს ეს ღონისძიება საგრძნობლად უადვილებდა ბრუნვის უნარს.

ახლად შემოღებული ეს მონეტები წარმოდგენილია ორ ძირითად ჯგუფად; პირველი აღბეჭდილია სულთან აჰმედ III სახელით (1703—1730 წწ.). ხოლო მეორე — მაჰმუდ I სახელით (1730 — 1754 წწ.).

თითოეულ ჯგუფს თავისი დამოუკიდებელი და განსაკუთრებული სამონეტო ტიპი აქვს. აჰმედ მესამის სამონეტო ტიპის ძირითადი სახე ასეთია:

მონეტის შუბლი: სულთნის სახელისა და ტიტულის ასოებისაგან შემდგარი რთული მონოგრამა, ე. წ. „ტულრა“, რომლის ქვეშ არაბულად წერია: „იქედა თბილისს“ და შემდეგ — აჰმედის ტახტზე ასვლის ინიციალური თარიღი — 1115 ჰიჯრა;

მონეტის ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც ახსენებს „ორი ხმელეთის სულტანს და ორი ზღვის ყაენს სულტანის ძე სულტანს“ აჰმედს.

ტაბულაზე მოთავსებულია ამ საერთო ტიპით მოჭრილი სამი ნომინალის გამოსახულებანი: ონლიყის (იხ. 179), ბეშლიყის (იხ. 180) და ნიმბეშლიყის (იხ. 181), რომლებიც შესაბამისად სპარსული ყაიდის აბაზიანს, ორშაურაანსა და შაურაიანს უდრის. მსხვილი ნომინალი ონლიყი საკმაოდ გავრცელებული მონეტაა, დანარჩენები კი განსაკუთრებით ნიმბეშლიყი შედარებით იშვიათად ჩნდება.

მაჰმუდ პირველის დროს სამონეტო ტიპი მარტივდება და შემდეგ სახესღებულობს:

მონეტის შუბლი: მაჰმუდ პირველის „ტულრა“;

ზურგი: არაბულად — „იქედა თბილისს“ და ქვეშ მაჰმუდის ტახტზე ასვლის ინიციალური თარიღი — 1143 ჰიჯრა (= 1730/31 წწ.).

შედარებით უფრო იშვიათი მაჰმუდ I ეს ვერცხლის მონეტები სულ ბოლო დრომდე მხოლოდ ორ ნომინალად იყო ცნობილი — ონლიყი (ტაბულის № 182) და ბეშლიყი (№ 183). მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის პროფ. ე. პახომოვის მიერ ანდერძით გადმოცემულ კოლექციაში აღმოჩნდა უკინენის ნომინალი (მუზეუმის საინვ. № 5019), რომელიც ზომისა და წონის (= 1,19 გრ) მიხედვით ნიმბეშლიყად უნდა ჩაითვალოს. ამ უიშვიათესი მონეტის ფოტორეპროდუქცია მოთავსებულია ტაბულაზე 184 ნომრით.

პროფ. ე. პახომოვის კოლექციაში (ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა, საინვ. № 5020) აღმოჩნდა ამავე მაჰმუდ I სახელით აღბეჭდილი უნიკალური სპილენძის ფულუსი, რომელიც შემდეგი სახისაა:

№ 185. წონა 7,67 გრ, მოგრძო მოყვანილობისა.

შუბლი: მოთავსებულია წერტილოვან ჩარჩოში ჩასმული მაჰმუდ I ტულრა.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „იქედა თბილისს, 1143“.

ეს მონეტა დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. მას სტამბოლის კატალოგის შემდგენელი ისმაილ ჰალიბიცი არ იცნობს, არ გვევლება ის რომელიმე სხვა მუზეუმში ან კატალოგში, და ამიტომ ამ მონეტის აღმოჩენა მნიშვნელოვანი შენაქენია ქართული ნუმიზმატიკისათვის.

ჩნდება აგრეთვე იშვიათი ოქროს მონეტა — ალთუნი (იხ. № 186), რომელიც გარეგნულად მაჰმუდ I ვერცხლის მონეტის მსგავსია და ალბათ მის პროტოტიპს წარმოადგენს. მისი წონა (3,48 გრ) საკვებით ნორმალურია ამდროინდელი ოქროს მონეტებისათვის. გაცილებით მეტ იშვიათობას წარმოადგენს ამ მონეტის ორმაგი ნომინალი — ორალთუნიანი (იხ. № 187), რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთადერთი ცალის მიხედვით იწონის 6,15 გრ. თურქული ოკუპაციისას ოქროს მონეტა ალბათ მხოლოდ აჰმედის დროს იჭრებოდა. რადგან მაჰმუდის სახელით აღბეჭდილი თბილური ოქროს ალთუნი, ჯერჯერობით მაინც, არსად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ თურქული ყაადის ვერცხლის მონეტის წვრილი ნომინალები ზოგჯერ იჭრებოდა უფრო მსხვილი ნომინალისათვის განკუთვნილი სიქით და ასეთ შემთხვევაში ლითონის ფირფიტა, რომელზედაც მონეტა იჭრებოდა, ყველა დეტალს ვერ იტევდა, რის შედეგად ზედწერილის ნაწილი მონეტის ნაპირების გარეთ იკარგებოდა. მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია და ჩვეულებრივი, შესაფერისი სიქით მოჭრილი ნიმუშები გაცილებით უფრო ხშირია.

თურქთა ოკუპაცია დიდხანს არ გაგრძელდა; ერანის ნიჭიერი მხედართმთავრის — ნადირის ლაშქრობამ აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობას ბოლო მოუღო. მან კვლავ აღადგინა ერანის შერყეული პოზიციები, ყოფილი ძლიერება დაუბრუნა და სახელმწიფოს ძველი საზღვრები აღადგინა. აღმოსავლეთ საქართველოც კვლავ ერანის გავლენის ქვეშ მოყვა. ერანის ტახტზე ასვლისთანავე ნადირ-შაჰმა (1736 — 1747 წლები) თავისი სახელით ფულის მოჭრა დაიწყო, მაგრამ ახლა მონეტამ ერთგვარი ცვლილება განიცადა. ახალმა მბრძანებელმა ფულის სისტემა შეცვალა და ძველ აბაზიანს გვერდით ახალი ნომინალი — „ნადირი“ მიუყენა. დაახლოებით 11,5-გრამიანი ეს ახალი მონეტა იმდროინდელ ბაბურიდულ (ინდოეთი) რუფიას უდრიდა. თბილისის ზარაფხანამ 1150, 1151, 1152, 1153 ჰიჯრის წლებით დათარიღებული ასეთი ნადირი და ნახევარ-ნადირი საკმაო რაოდენობით დაგვიტოვა (იხ. № 188 და 189 ტაბულაზე). ამავე ტიპის უფრო წვრილი ნომინალი — შაჰი (ანუ შაურიანი) გაცილებით ნაკლები რაოდენობითა ჩანს (იხ. № 190). საინტერესოა და თავისებური ნადირ-შაჰის სახელით ჰიჯრის 1162 წელს (= 1748/49 წწ.) მოჭრილი რუფია (იხ. № 191). ცნობილია, რომ ამ დროს ნადირი მიცვალებული იყო და ამიტომ ეს ანაქრონიზმი უცნაურად გამოიყურება.

ნადირ-შაჰის მეკვლეობის შემდეგ ერანში ატეხილი ანარქიისა და ერანის გავლენისაგან საქართველოს თავის დაღწევის მიუხედავად, თბილისის ზარაფხანა, ეტყობა, უკვე ტრადიციულად გარკვეულ დროს კიდევ განაგრძობს საერთო ერანული ტიპის მონეტების გამოშვებას. ნადირის მემკვიდრეების — იბრაჰიმ-შაჰისა და შაჰ-როჰის სახელით აღბეჭდილი თბილური აბაზიანები იშვიათ; მოვლენას არ წარმოადგენს და ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოაღწია (მაგალითად, № 169). როგორც ძალიან იშვიათი გამოჩაყლისი, ასეთივე ტიპის 1160 ჰიჯრით (= 1747 წ.) აღბეჭდილი და თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი

ოქროს მონეტა აშრეფიც ჩნდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ აშრეფზე აღბეჭდილი თარიღი და ქართლ-კახეთის XVIII საუკუნის ქრონიკა, ისევე, როგორც პაპუნა ორბელიანის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ოქროს მონეტა — ფლური იჭრება, ერთმანეთს შესანიშნავად ემთხვევა. სამწუხაროდ, ეს ნიმუში ჩვენს განკარგულებაში არ იმყოფება და მისი რეპროდუქცია № 192 გამოგზავნილია ლენინგრადის ერმიტაჟიდან. შემდგომი სამონეტო ტიპები, რომლებსაც თბილისის ზარაფხანა უშვებს (№ 170) თანდათან უახლოვდება XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედის ქართულ სირმა-აბაზიანებს, რომლებზედაც ცალკე ვისაუბრებთ.

ამრიგად, როგორც წერილობითი საბუთებით, ისე უშუალო ნუმისმატიკური ფაქტებით დასტურდება, რომ ერანული ყაიდის ქართული ფულის მოჭრა ძირითადად ეკონომიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული, რასაც პოლიტიკური ვითარებაც ხელს უწყობდა, რადგან ქართლის მეფენი არ უარსყიდნენ ერანის შაჰის უზენაესობას.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ თუმცა XVII — XVIII სს. თბილურმა ვერცხლის მონეტამ მთლიანად დაკარგა ქართულ-ეროვნული ნიშნები და ერანული მონეტის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, მაგრამ მისი ქეშმარიტი წარმოშობა სხვა მონაცემებით მყდვანდება, რომლებსაც კიდევ ერთხელ შევაჯამებთ:

1. სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში პირდაპირ ამბობს, რომ ჭერ კიდევ XVI საუკუნის შუა წლებში ქართულ ფულზე აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო ერანის მბრძანებლის, შაჰ-თახმასპის სახელი;

2. არქანჯელო ლამბერტი კონკრეტულად აღნიშნავს XVII ს. პირველ ნახევარში სამეგრელოში ერანული ყაიდის ფულის მოჭრის მიზეზს;

3. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ XVII საუკუნის შუა წლებში თბილისის ზარაფხანას მეფე როსტომი განაგებს;

4. XVII ს. მეორე ნახევარში ბატონიშვილი თეიმურაზი იუწყება, რომ საკუთარი ფულის მოჭრის გამო ერანის შაჰი ვახტანგ V-ეს ომით ემუქრებოდა;

5. XVIII ს. დასაწყისში ფულის მოჭრის საქმიანობის გასაუმჯობესებლად ვახტანგ VI საგანგებო კანონებს წერს. საესებით აშკარაა, რომ ეს საკანონმდებლო ღონისძიებანი გათვალისწინებული იყო ქართველებისათვის და არა ერანელებისათვის;

6. პაპუნა ორბელიანის ცნობით, XVIII ს. შუა წლებში ხაზინასა და ზარაფხანას ქართველი მეფენი განაგებენ;

7. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტანი იაზიკოვი ამბობდა, რომ ქართველები საკუთარ ფულს ხმარობდნენ.

და აი, მიუხედავად ამ სრულიად გარკვეულ ცნობებისა, XVII — XVIII სს. მთელ მანძილზე ეროვნული ხასიათის ქართული ვერცხლის ფული სულ არა ჩანს, მაშინ, როდესაც ერანული ყაიდის თბილური ვერცხლი უამრავი რაოდენობითაა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ნიმუშების მიხედვით საკუთარ ფულის მოჭრა სხვა ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი, რაც უფრო დამაჯერებლად ხდის XVII — XVIII სს. თბილური ვერცხლის ფულის ქართულ წარმოშობას.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ერანული ყაიდის თბილური ვერცხლის გაჩენა ნაკარნახევი იყო, ერთი მხრივ, ირანისაგან დამოკიდებულებით,

ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი მონეტისათვის ფართო გასაყვლის მიცემის სურვილით. აქ ჩვენ ვხედავთ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირების საუკეთესო მაგალითს.

ერანული ყაიდის ასეთი მონეტის გამოშვება თბილისში დაახლოებით 1765 წლამდე გრძელდება, როდესაც ვერცხლის მონეტების გარეგნობაში შეტანილი იყო შესამჩნევი ცვლილებანი, რომლებიც სპილენძის მონეტებსაც შეეხო.

მაგრამ, სანამ ამ ცვლილებებს შეეცხებით, გავეცნოთ აღწერილ მონეტათა შესახებ ზოგიერთ დამატებით ცნობას.

XVIII საუკუნის თბილური ვერცხლის მონეტების ანალიზით ირკვევა, რომ შემოწმებული მონეტების სინჯი ძალიან მაღალია; მისი რემედიუმი 960 — 980% % შორის მერყეობს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ვერცხლის მონეტის სინჯი, ვახტანგის კანონით, 974 ოდენობით ყოფილა დაწესებული და, ამრიგად, აღნიშნულ მონეტებს შესანიშნავად უდგება.

დასასრულ, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა: კეთილშობილი ლითონისაგან მოჭრილი მონეტების გაჯანსაღება-გაუმჯობესების მიზნით დროგამოშვებით მიღებული ზომების მიუხედავად, ამ მიმართულებით წარმოებული ცდები თითქმის ყოველთვის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ უშედეგოდ რჩებოდა და მონეტა კვლავ უარესდებოდა. ასე-ოივე მოვლენა XVII — XVIII საუკუნეებში თბილისში მოჭრილ ვერცხლის მონეტასაც შეეხო.

შაჰ-აბას პირველის (1587 — 1628 წწ.) დროინდელი აბაზიანის წონა 8,5 გრ უდრიდა, მაგრამ საუკუნენახევარში მონეტის წონამ თანდათან დაიკლო: XVII საუკუნის დამლევისათვის 5,3 გრ დაეცა. ერანის მონარქიის აღმდგენელს ნადირ-შაჰს აბაზიანი ამ დონეზე შერჩა, მაგრამ სამონეტო სისტემის შეცვლის შედეგად და ახლად შემოღებული ნომინალის (ნაღრის) გაუქმების შემდეგ ნადირ-შაჰის მემკვიდრეებმა აბაზიანს წონა კვლავ დაუკლეს და თითქმის სამ გრამამდე დასწიეს. თბილისის ზარაფხანა თავიდანვე მიჰყვებოდა პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონიის მაგალითს და ამიტომ აბაზიანის ეს უკანასკნელი წონა რუსეთთან შეერთებამდე ჩვენში თითქმის შეუცვლელი დარჩა. ამრიგად, ცხრილი, რომელიც ზემოთ გვქონდა მოყვანილი, შეიცავს მხოლოდ XVII საუკუნისთვის შესაფერის წონით მონაცემებს, ხოლო ნომინალთა ურთიერთთანაფარდობა მთელი XVII — XVIII საუკ. მანძილზე უცვლელი რჩებოდა.



აღმოსავლეთ საქართველოში სპილენძის მონეტის გამოშვება XVII საუკუნის დამდეგიდანვე განახლდა, მაგრამ ამ საუკუნის მთელ მანძილზე ეს მონეტა უსახელოა, — არავითარი საკუთარი სახელი მასზე აღბეჭდილი არ არის. მონეტის ერთ მხარეს მოთავსებულია სპარსული ზედწერილი, რომელიც შეიცავს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს (ჰიჯრით); ხოლო მეორე მხარეს. — სხვადასხვა გამოსახულებანი, მაგალითად, ლომი, ირემი, მზის სახე ლომი მზით ზურგზე (ე. წ. რანკი), ცხენი, ფარშევანგი, მარტორქა და სხვა.

XVII — XVIII საუკუნეებში ერანისა და ერანის სფეროში მოქცეული ქვეყნების სპილენძის მონეტებზე ასეთი გამოსახულებების გაჩენას უკავშირებენ მონღოლურ-თათრული წელთაღრიცხვის მოქცევას. ამ თორმეტწლიანი მო-

ქვეყნის ყოველ წელიწადს ცალკე დასახელება ჰქონია (თაგვი, ხარი, ჯიქი, კურ-
დღელი, ნიანგი, გველი, ცხენი, ყოჩი, მაიმუნი, ქათამი, ძაღლი, ღორი).

მაგრამ ამა თუ იმ გამოსახულების ნაცვლად თუ ზოგჯერ მსგავსი ჩნდებო-
და (მაგალითად, ჯიქის ნაცვლად ვეფხვი, გველისა — ნიანგი ან ფრთოსანი ურჩ-
ხული, ყოჩისა — თხა, ქათმისა — მამალი, იხვი, ფარშევანგი და სხვა) და ამას
ერთგვარი გამართლება აქვს, გაუგებარია ისეთი გამოსახულებანი, როგორცაა,
მაგალითად, ხმალი, ყვავილი, მზის სახე, თევზი, ხომალდი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს უსახელო მონეტები დინასტიური ხასიათის
ნიშნებს არ შეიცავს, ისინი არსებითად სახელმწიფო და არა ქალაქური ფულის
ნიშნებს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სპილენძის ფულის მოჭრის ანალოგიური წესი
ერანის სხვა სამფლობელოებში და ქალაქებშიც იყო შემოღებული. აქედან
ცხადი ხდება, რომ XVII საუკუნის თბილური შავი მონეტაც ერანული ყაიდით
იჭრება.

მაგრამ უკვე XVIII საუკ. დაწყებისთანავე თბილურ სპილენძის მონეტას
შესამჩნევი ცვლილება დაეტყო: ჩნდება ქართლის მეფისა ან მმართველის
ქართულად გადმოცემული შემოკლებული სახელები, მაგრამ ამ სახელს ტიტუ-
ლი აღარ ახლავს. ამ სახის მონეტამ საქართველოს მეფობის დაცემამდე მიაღ-
წია და შესაბამისად ამისა მონეტათა ეს სერიაც ორ დამოუკიდებელ და განს-
ხვავებულ ჯგუფად იყოფა:

1. XVII საუკუნის თბილური უსახელო სპილენძის მონეტები და

2. XVIII საუკუნის ქართლის მეფეთა სახელებით აღბეჭდილი მონეტები.

თავის მხრივ ეს ჯგუფებიც მრავალ ცალკე ტიპსა და წვრილმან ვარიანტს
იძლევა, რომელსაც ჩვენ აქ არ აღწერთ, რადგან ძირითადი საერთო სახე
თითქმის უცვლელი რჩებოდა. ხშირად იცვლება მხოლოდ თარიღი და გამო-
სახულების სიუფეტი. XVIII საუკ. სპილენძის მონეტათა სახეობანი უფრო
მრავალფეროვანია, რადგან თარიღისა და გამოსახულების გარდა აქ სახელებიც
იცვლება.

მონეტის ტიპის ეს უკანასკნელი ცვლილება ისევე დიდმნიშვნელოვან პო-
ლიტიკურ ამბებთან არის დაკავშირებული. ოსმალებთან ძლევამოსილი ომე-
ბის შემდეგ რუსეთმა სწრაფი გაძლიერება დაიწყო, ხოლო XVIII საუკუნიდან
ოსმალეთი, პირიქით, დაუსტების გზას დაადგა და ბალკანეთისა და შავი
ზღვის სანაპიროების სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამუდამოდ
დაკარგა. ამის შედეგად პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმ-
ჯობესება საქართველოსაც შეეტყო. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას
შემდეგ, რაც რუსეთმა შავი ზღვის სანაპიროზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი და
თანდათან ახალი ტერიტორიები შემოიერთა. სულ მალე ჩრდილო კავკასიაც
გადადის რუსეთის ხელში, რომელიც ბოსფორის გზით ზღვით მოგზაურობის
უფლებას პოულობს. რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულმა ხელ-
შეკრულებამ საგრძნობლად შეასუსტა ის ეკონომიური დახშულობა, რომელ-
საც საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. საქართველო ძველ ჩაება
კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთობაში და საერთო საქონელბრუნებაში

თბილისის ზარაფხანა, რომელიც აქამდე მხოლოდ სპარსული ყაიდის ნი-
მუშებს უშვებდა, მონეტის გარეგნობას თანდათანობით ცვლის და ინდივიდუა-

ლურ ნიშნებს ღებულობს: ჩნდება მეფეთა სახელების მაუწყებელი ქართული ზედწერილი, ევროპული თარიღი, შემდეგ — ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი და ბოლოს საიმპერატორო რუსეთის სახელმწიფო ემბლემა — ორთავიანი არწივი. მაგრამ მოჭრის ადგილის აღმნიშვნელი წარწერა რუსეთთან შეერთებამდე კვლავ ერანულია.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ცნობა თბილური შავი ფულის გამოშვებისა და მოჭრის უფლებების შესახებ. ვერცხლის ფულის მოჭრას ქართველი მეფე თუ უზენაესი მფლობელის, ერანის შაჰის ნებართვით ანხორციელებდა და ზარაფხანა გამოსყიდული ჰქონდა, სპილენძის ფულის მოჭრა თურქეთის განუყოფელ და დამოუკიდებელ უფლებას წარმოადგენდა.

სპილენძის ფულის მოჭრისაგან კი ძალიან დიდი შემოსავალი რჩებოდა. ასე მაგალითად, XVII საუკუნის შუა წლებში გირვანქა სპილენძის ფასი ერთი აბაზი (ანუ 40 ფული) ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გირვანქა სპილენძისაგან 64 ფული იჭრებოდა, ადვილად გამოვიანგარიშებთ, რომ შომჭრელს ერთ მესამედზე მეტი მოგება რჩებოდა (ფულის გამოშვებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯიც რომ გავითვალისწინოთ).

რადგან XVII — XVIII საუკუნის თბილური შავის მრავალფეროვანი წერილმანი ვარიანტების დაწერილებითი აღწერილობა ბევრ ადგილსა და დროს წაგვართმევს, ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ძირითადი ტიპების ჩამოთვლით; აღენიშნავთ მხოლოდ საჭირო ცნობებს ზედწერილების შინაარსის, გამოსახულების ხასიათის, თარიღისა და სახელების შესახებ. ამ მონეტათა გარეგანი განმასხვავებელი ნიშნების შემცველი ნუსხა მოთავსებულია განაკვეთის ბოლოში ცხრილის სახით და შეიცავს შემდეგი ხასიათის დამატებით ცნობას:

1. ტიპებისა და სახეების საერთო რიცხვი, 2. სამონეტო ტიპების მოჭრისა ან გამოშვების თარიღი, 3. არსებული ნომინალების დასახელება და რაოდენობა, 4. წონა (რემდეიუმის მერყეობის აღნიშვნით), 5. მონეტაზე აღბეჭდილი გამოსახულება და საკუთარი სახელები.

ამ ცხრილს წინ უძღვის სამონეტო ტიპების ლაკონიური აღწერილობა, რომელსაც ვიძლევიტ ფაქტობრივი მასალის უფრო ადვილი ათვისების მიზნით.

XVII საუკუნის თბილური უსახელო სპილენძის მონეტებზე მოთავსებულია შემდეგი გამოსახულებანი და წარწერები:

№ 193 და 193ა. შუ ბ ლ ი: ლომი მარცხნივ, ორნამენტულ ჩარჩოში.

ზ უ რ გ ი: ასეთივე, ოღონდ მომცრო გამოსახულების ირგვლივ სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს წელსა 1014“ (= 1605/1606). ამას უნდა მოსდევდეს სამონეტო ტიპები, რომლებმაც თარიღი არ შეინარჩუნეს, მაგრამ გარეგნული ნიშნების მიხედვით XVII საუკუნის პირველ მეოთხედს უდგება.

№ 194. შუ ბ ლ ი: ირმის გამოსახულება მარცხნივ;

ზ უ რ გ ი: სპარსული ზედწერილი: „იქედა ფულუსი თბილისს...“ (მცირე რაოდენობით ცნობილ ამ მონეტაზე თარიღი შერჩენილი არა აქვს არც ერთს).

№ 195. შუბლი: ბრკყალუბიანი მხეცი მარჯენი;

ზურგი: სპარსული ზედწერილი: „იქედა ფულუსი თბილისს...“
ერთ ცალად ცნობილ ამ სამონეტო ტიპს თარიღი არ შერჩა (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

№ 196. შუბლი: გამოსახულია ლომი მზით ზურგზე (ე. ი. „რანკ“);

ზურგი: სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს წელსა 1033“
(= 1623/24)¹.

№ 197. შუბლი: მზის გამოსახულება;

ზურგი: სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს. 1075“.
(= 1664-65).

№ 198. შუბლი: გამოსახულია ხარი მზით ზურგზე, რომელიც ვე-
შაპს თელავს;

ზურგი: სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს 1081“
(= 1670/1671 წწ.).

ეს მონეტა ცნობილია ოთხ ცალად: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის—ორი, ხაშურის სამხარეთმცოდნეო მუზეუმისა და ერთ-ერთი თბილისელი კოლექციონერის თითო-თითო ცალი.

№ 199. შუბლი: ლომის გამოსახულება მარჯენი;

ზურგი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1090“ (= 1679-80).

№ 200. შუბლი: ცხენის გამოსახულება მარცხენი;

ზურგი: სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს“ და თარიღი: რომელიც ამ სამონეტო ტიპზე სხვადასხვანაირია, სახელდობრ, ჰიჯრის. 1091, 1093, 1094, 1095 ან 1096 წწ., რომლებიც ემთხვევა 1680-1685 წლებს.

№ 201. შუბლი: ფარშევანგის გამოსახულება მარცხენი;

ზურგი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1103“
(= 1691/92).

№ 202. შუბლი: მარტორქას გამოსახულება მარცხენი;

ზურგი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1112“
(= 1700-1701).

ამვე პერიოდს ეკუთვნის უკანასკნელ დროს აღმოჩენილი თითო-ორი ცალი სამონეტო ტიპი, მაგრამ მათთვის გარკვეული ადგილი ვერ მოგვიძებნია და გამოქვეყნებაზე თავს ვიკავებთ.

XVII საუკუნის სპილენძის მონეტებზე ჩნდება ქართული ასოებით დაქარაგმებული ქართლის მეფეთა ან მმართველთა სახელები:

№ 203 და 203ა. შუბლი: სამანძიანი ხომალდის გამოსახულება. ქვემოთ ტალღების ფონზე ევროპული თარიღი—1708 ან 1709, რომელიც გადმოცემულია შემდეგნაირად—178 ან 179;

ზურგი: ცენტრში ზოდიაკალური თევზები და ვახტანგის სახელის დაქარაგმება ქართულად („ვნგ“ ან „ვტგ“) ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის გარეთ სპარსული ზედწერილია: „ფულუსი იქედა თბილისს, წელსა 1120“ (= 1708-1709).

სამანძიანი ხომალდის გამოსახულება მიმართულია ხან მარცხენი, ხან მარ-

¹ XV ტაბულაზე № 196 მონეტის ზურგი შეცდომით მოთავსებულია №199-ზე და პირიქით.

№ 204 და 204ა. შ უ ბ ლ ი: ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულება, ირგვლივ სვიმონის სახელის დაქარაგმება ქართულად: „სმნ“;

ზ უ რ გ ი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1124“ (= 1712-13).

№ 205. შ უ ბ ლ ი: ფარშევანგის გამოსახულება მობრუნებულია მარჯვნივ (ზოგჯერ მარცხნივ), ზემოდან ბაქარის დაქარაგმება ქართულად: „ბქარ“;

ზ უ რ გ ი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1130“ ან 1131. (= 1717-18 ან 1718-1719).

ძალიან იშვიათ შემთხვევაში ჩნდება ცალები, რომლებზედაც წარწერა: „ბაქარ“ სულ არ არის. ასეთი მონეტა ჩვენთვის ცნობილია თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დაღეთში აღმოჩენილი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანილი ერთი ნიმუშით (№ 206).

აქვეა დაცული შესანიშნავი სიფაქიზით შესრულებული ბაქარის მსხვილი და მალაღწონიანი მონეტა, რომელიც გარეგანი ნიშნების მიხედვით შეიძლება საცდელად ჩაითვალოს (იხ. № 207).

№ 208. შ უ ბ ლ ი: გამოსახულია ლომი, რომელიც შველს გლეჯს;

ზ უ რ გ ი: სპარსულად: „ფულუსი იქედა თბილისს 1148“ (= 1735-36), ზემოთ არაბული აინის მსგავსი ნიშანი.

ქართული ასოების უქონლობის მხრივ ეს სამონეტო ტიპი XVIII საუკუნისათვის უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო თბილისითურთ თურქთა ოკუპაციის ქვეშ იყო მოქცეული. თბილისის გამგებლად რამდენიმე თვის განმავლობაში კახთ ბატონის შვილი ალექსანდრე იყო დანიშნული. ამიტომ მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული აინის მსგავსი ნიშანი, შეიძლება სწორედ მისი სახელის ინიციალს წარმოადგენდეს; ეს იმიტომაც არის მოსალოდნელი, რომ ბატონიშვილის სპარსული სახელიც (ალიმირზა) ამ ინიციალს უდგება.

№ 209 და 209ა. შ უ ბ ლ ი: ლომის გამოსახულება მარცხნივ, ირგვლივ თეიმურაზ მეორის სახელის დაქარაგმება ქართულად: „თმრზ“;

ზ უ რ გ ი: სპარსულად: „იქედა ფულუსი თბილისს, 1162“ (= 1748-49).

№ 210. შ უ ბ ლ ი: გამოსახულია შევარდენი, რომელიც წეროს ჰკორტნის;

ზ უ რ გ ი: სპარსულად სამ სტრიქონად: „მონა ღვთისა, 1166, ან 1168, ან 1169 (= 1752-56), იქედა თბილისს“.

თარიღის მარცხნივ და მარჯვნივ ქართულად: „თე“ და „ერ“ ე. ი. თეიმურაზისა და ერეკლეს სახელის შემოკლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელების ასეთი დაქარაგმება უცნაურად გამოიყურება.

თბილური ვერცხლის ფულის გარეგნული სახის შეცვლასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება აქაური სპილენძის მონეტის ტიპიც.

№ 211. შ უ ბ ლ ი: რთულ ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი: გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი;

ზ უ რ გ ი: სხვადასხვა მოყვანილობის ჩარჩოში მოთავსებული მეფე ერეკლეს სახელი ასომთავრულად; ქვემოთ სპარსულად: „იქედა თბილისს 1179“ (= 1765-66).

ტაბულაზე მოთავსებულია სამი ნომინალის, სახელდობრ, შაურიაინის (№ 211), ბისტაინისა (№ 212) და ნახევარბისტაინის გამოსახულებანი (იხ. №№ 213 და 214).

შაურიაინი ცნობილია მხოლოდ ორ ცალად, ერთი დაცულია ლევიიგრადის ერმიტაჟში, მეორე — მოსკოვის საისტორიო მუზეუმში. ხოლო ბისტაინი ჯერ-ჯერობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უნიკუმი.

№ 215. შუბლი: თევზის გამოსახულება;

ზურგე: ერეკლეს სახელი ასომთავრულად, ქვემოთ სპარსულად: „იქედა თბილისს 1190“ (= 1776-77).

მოცემულია ნახევარბისტაინისა (№ 215) და ფულის (№ 216) რეპროდუქციები.

№ 217. შუბლი: ორთავიანი არწივი. ქვემოთ ევროპული თარიღი.

ზურგე: ერეკლეს სახელი ასომთავრულად, ქვემოთ სპარსულად:

„იქედა თბილისს და სხვადასხვა წლები ჰიჯრით“.

ეს სამონეტო ტიპი წარმოდგენილია მრავალი ვარიანტით: მონეტის შუბლზე, ორთავიანი არწივის კუდას მოთავსებულია სხვადასხვა თარიღი — 1781, 1787, 1789 და სხვ. ზურგზე მოთავსებული თარიღი ჰიჯრით ხშირად ევროპულ თარიღს არ ეთანხმება. ტაბულაზე მოთავსებულია მხოლოდ რამოდენიმე ნომინალისა და ვარიანტის №№ 217 — 220 რეპროდუქციები.

საეტიკალორად შევჩერდებით ვარიანტზე, რომელიც 1781 წლით არის დათარიღებული. ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის საკავშირო ტრაქტატი 1783 წელს დაიდო და ამრიგად, ორთავიანი არწივის 1781 წლის ქართულ მონეტაზე გაჩენა უცნაურად გამოიყურება. დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ქართველმა ხელოსანმა შეცდომა დაუშვა და ციფრები 1 და 7 ერთმანეთში არია, მაგრამ რით ავსნათ, რომ რუსეთში გამოშვებული საცდელი ცალი (იხ. № 226, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი) ასეთსავე თარიღს ატარებს?

უცნაურია აგრეთვე, რომ 1791 წლით დათარიღებული ცალი, რომელიც პროფ. ე. პახომოვის საკუთრება იყო და დანარჩენ ქართულ მონეტებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა, დღემდე გამოუქვეყნებელი რჩებოდა. ვიძლევიტ ჯერჯერობით უნიკალური ამ ცალის აღწერილობასა და რეპროდუქციას:

№ 221. წონა — 11,40 გრ, საინვ. № 5330.

შუბლი: ორთავიანი არწივი და 1791 წ. თარიღი.

ზურგე: წინა ნომრების მსგავსი. ჰიჯრის (12) 06 წლის შერჩენილი ფრაგმენტი ევროპულ თარიღს ეთანხმება.

მომდევნო სამონეტო ტიპზე საიმპერატორო რუსეთის ემბლემა საგრძნობ ცვლილებას განიცდის.

№ 222 და 222ა. შუბლი: ცალთავიანი არწივი. ქვემოთ თარიღი 1796;

ზურგე: წინა ნომრის მსგავსი. თარიღი ჰიჯრით 1210 (= 1795-96). ხშირად 1210-ის ნაცვლად 1201 წელია.

№ 223-ით მოცემულია ამავე სამონეტო ტიპის მცირე ნომინალი.

№ 224. შუბლი: თევზის გამოსახულება, როგორც № 215-ზე;

ზურგე: გიორგი მეთორმეტის სახელი ასომთავრულად, ქვემოთ სპარსულად: „იქედა თბილისს, 1213“ (1798-99):

არსებობს კიდევ ერთი მონეტა, რომელსაც ამ სერიაში ქრონოლოგიურად ბოლო ადგილი უკავია და სრულიად განცალკევებით დგას. მონეტაზე სახელო აღბეჭდილი არ არის და მისი განსაზღვრა შეიძლება დადგინდეს აღბეჭდილ თარიღით (1215 ჰიჯრის წელი უდრის 1800 — 1801 წწ.). გარეგანი ნიშნების მიხედვით მონეტა ბაგრატიონთა გვარეულობის უკანასკნელ წარმომადგენელს. ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს უნდა ეკუთვნოდეს. ეს უნიკალური მონეტა მ. ბარათაშვილის კოლექციის სხვა ნიმუშებთან ერთად ბერლინის მუზეუმში მოხვდა და, რადგან დედანს ვერ მიეწვდით, ფოტორეპროდუქციის აღება შემთხვევით გადარჩენილი სუსტი სურათიდან მოგვიხდა. ვიძლევი მონეტის მოკლე აღწერილობას:

№ 225. შ უ ბ ლ ი: ფარშევანგის გამოსახულება მარცხნივ. ქვემოთ თარიღი ჰიჯრით: 1215 (= 1800-1801);

ზ უ რ გ ი: ქართულად ოთხი ასო: „ტფლს“, ე. ი. თბილისი. ჩასმული ჩარჩოში.

თავდაპირველად ეს მონეტა მ. ბარათაშვილმა გამოაქვეყნა, მაგრამ დავით ბატონიშვილისადმი მიკუთვნება მან დაჭერებით ვერ გახდა და მისი გამოსახულება ბაქარის მონეტებთან ერთად მოათავსა.

ზოგიერთი დამატებითი ცნობა ზემოაღწერილი მონეტების შესახებ მოიკვებულა ამ განაკვეთის ბოლოში დართულ ცხრილში.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად ამდროინდელი სპილენძის მონეტათა სიზრავლისა და ვარიანტთა მრავალფეროვნებისა, ამ სერიის თითქმის ერთი შესაძლებელი მეფე ერეკლეს მონეტებს უკავია. მაგრამ ამ მრავალრიცხოვან მონეტათა შორისაც ზოგი განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. სახელდობრ. 1179 ჰიჯრით დათარიღებული და ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბით აღბეჭდილი შაურიანი (ტაბულის № 211) სულ ორ ცალად არის ცნობილი, ერთი ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟშია, მეორე — მოსკოვის საისტორიო მუზეუმში. უნიკალურია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერეკლე II ამავე წლის ბისტი (№ 212) და 1791 წელს მოჭრილი ნახევარბისტიანი (იხ. № 221).

ცნობილია აგრეთვე სპილენძის მონეტის 1781 წლით დათარიღებული ერთი საინტერესო ვარიანტი ორთავიანი არწივის გამოსახულებითა და დამახინჯებული ქართული და სპარსული წარწერებით; მეფე ერეკლეს დანარჩენ მონეტებისაგან ეს ვარიანტი განსხვავდება შესრულების მაღალი ტექნიკით და, როგორც ფიქრობენ, მოჭრილი უნდა იყოს ეკატერინებურგის ზარათანაში. ერეკლეს მონეტათა გადათვლიერებულ მრავალ ასეულ ცალიდან ეს ვარიანტი (№ 226) ჩვენ მხოლოდ ხუთაოდე ცალად შეგვხვდა, ამიტომ უნდა გივარაუდოთ, რომ ასეთები მიმოქცევისათვის კი არა, არამედ საცდელად ყოფილა მოჭრილი. იშვიათობას წარმოადგენს აგრეთვე ისეთი მონეტები, რომლებიც თავიდან ერეკლეს არ ეკუთვნოდა, მაგრამ სპეციალური დადამღვის საშუალებით საკუთარ მონეტად გადაუქცევიან. მონეტის დადამღვის ასეთი ჩვეულება, რომელიც ჩვენში პირველად XII ს. ბოლოს გაჩნდა და XIII ს. მეორე ნახევრიდან დიდი ხნით გაქრა, XVIII საუკუნეში თეიმურაზ II დროს კვლავ აღორძინდა.

თეიმურაზის დამლა წარმოადგენს ჩარჩოში ჩასმულ მისივე საკუთარი სახელის ინიციალურ ასოს და ჭერჭერობით მხოლოდ მისივე მონეტებზე გვხვდე-

ბა. იშვიათ შემთხვევებში ეს დამლა ერეკლეს მონეტებზედაც ჩნდება, მაგრამ ეს იმით აიხსნება. რომ ძველი მონეტების გადაჭედვის დროს ახალმა სიჭამ და-ნარჩენი დეტალები მოშალა, ხოლო უფრო ღრმად ჩაჭედილი დამლა ხელუხ-ლებელი დარჩა.

ერეკლე II საკუთარი დამლა უფრო რთულია და მის სახელში შემავალი ასოების მონოგრამას წარმოადგენს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იმდროინდელ საბუთებზე მოთავსებული ერეკლე II პირადი ბეჭედი უდავო მსგავსებას ამჟღავნებს ამ დამლებთან. შესაძარებლად აქვე მოგვყავს ჩანახა-ტები: თეიმურაზ II დამლისა (ზედა ნახატი), ერეკლე მეფის პირადი ბეჭდისა (ბ) და მისივე თითქმის ასეთივე (ა) უფრო გამარტივებული დამლისა (გ), რომ-



ლითაც მის დროს მრავალი სხვადასხვა მონეტა ინიშნებოდა. მაგალითად, ცნობილია ერეკლეს დამლებით დანიშნული შემ-დეგი მონეტები: ბაქარისა, თეიმურაზ II, თავრევის (№ 227 ა) და ერეგენის XVIII ს. ფულუსები, 1749 წლის რუსული „დენგა“ (№ 227) და გაცილებით უფრო აღრინდელი მონეტებიც კი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მაგალითად, დაცულია XI ს. ბიზანტიური მონეტა, რომელიც შეიდი საუკუნის შემ-დეგ ერეკლეს საკუთარი დამლის დაკერის საშუალებით „გაუ-ცოცნებიათ“ და ბრუნვის უნარი დაუბრუნებიათ (იხ. № 228). 1823 წელს ლონდონში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნუმიზმატიკურ ნაშრომში მოთავსებულია თამარის 1200 წლის მონეტის ჩანახატი, რომელზედაც ერეკლეს დამლა აშკარად ემჩნევა.

მსატვარი (შთამომავლობით ალბათ ინგლისელი) ამ გამოსახულებას რომ ვადმოგვეცემა, ვერ დახატავდა იმას, რაც მონეტაზე არ იყო, თავისით ვერ ვამოიგონებდა ნახატს და ვადმოგვეცა ის, რასაც სინამდვილეში ხედავდა. ამრი-გად. თუმცა ეს მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში დ. ლენგმა ვეღარ მოძებნა, ამ



საუკუნუნახევრის წინ ინგლისში გამოცემულ წიგნში მოთავსებული ჩანახატი მაინც ფაქტიური მასალის დანიშნულებას ასრულებს.

აღნიშნავთ აგრეთვე, რომ აზერბაიჯანელმა ნუმიზმატმა ნ. სეიფადინიმ მო-ძებნა აბუბექრის (1191-1210 წწ.) მონეტა აღბეჭდილი ერეკლეს დამლით.

უცხო და ბრუნვიდან გამოსულ ძველ ე. წ. მკვდარ მონეტაზე ერეკლეს დამლა შედარებით იშვიათად ჩნდება, მაშინ როდესაც ამნაირად დანიშნული მისივე საკუთარი მონეტები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს (იხ. მაგა-ლითად, 222ა). ყველაფერი ეს ალბათ ეკონომიური კრიზისით იყო გამოწვეუ-ლი. მაგრამ ირკვევა, რომ ამ მძიმე დროსაც სახელოვან მეფეს ოქროს ფულიც უჭრია. იმის შესახებ. რომ მეფე ერეკლე ოქროს შაურებსა ჰქრიდა სანაერუზოთ.

წერილობითი ცნობების გარდა უშუალოდ ნუმიზმატიკური ფაქტებიც არსებობს.

№ 229. წონა — 7,14 გრ.

მონეტის შუბლი: № 222-ის მსგავსი ცალთავიანი არწივის გამოსახულება ევროპული თარიღით 1796;

ზურგით: სპარსულად: „იქვედა თბილისს 1203“ (= 1788/89 წლები). ევროპული თარიღისა და ჰიჯრის ამ მონეტაზე შეუფერებლობა, ამ ჩერვონეცის მოსაპრელად ორი სულ სხვადასხვანაირი მონეტისათვის გამზადებული სიქის გამოყენება (შუბლისათვის ზემოაღწერილი სპილენძის № 222 მონეტისა და ზურვისათვის № 232 აბაზიანისა, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით) და აგრეთვე ის გარემოება, რომ ოქროს მონეტა აღამაჰმად ხანის მიერ თბილისის ალებისა და მისი აოხრების მეორე წელსვე მოჭრილა, ძალიან გაუგებარს ხდის ამ ოქროს ჩერვონეცის გაჩენას.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის დროს მკვლევარი ზოგჯერ აწყდება მოულოდნელ შემთხვევას; შეგახვედრია, მაგალითად, სომხეთის მეფე ტიგრან II (97—56 წწ. ძვ. წ.) ოქროს მონეტა, რომელიც გადაჭედილი იყო რუსულ ხუთმანეთიანიდან (ტიგრანის სიქის ქვეშ აშკარად ჩანდა XIX — XX სს. რუსული მონეტის გაყევილი დეტალები — ორთავიანი არწივის კუდის ფრაგმენტები და თარიღის ნაშთები). ეს საინტერესო „ანაქრონიზმი“. ანუ შეუსაბამობა, ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო, რადგან პროფ. ე. პახომოვისაგან გაგებული გვექონდა, რომ ტიგრანის ოქროს მონეტები საერთოდ ყალბებია. დადგენილია, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ქალ. ალექსანდროპოლის (ახლანდელი ლენინაკანი) ერთ-ერთმა ხელოსანმა დაამზადა სიქა იმ დრაქმების მიხედვით, რომლებიც ახლო-მახლო მიდამოებში ხშირად ჩნდებოდა, ამ სიქით მოჭრა სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს მონეტების დიდი რაოდენობა და თავის ამ „პროდუქციას“ თანდათანობით ასაღებდა. ამ ამბის თვითმხილველი პროფ. ე. პახომოვი გვიამბობდა, რომ ლენინაკანში მას პირადად უნახავს ასეთი მონეტის სამივე სახის ნიმუში. ერთი და იმავე სიქით მოჭრილი ტიგრანის ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის აშკარად ყალბი მონეტები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშიც არის დატული. ამ ნაყალბთა წარმოშობის ისტორია ლენინაკანში საყოველთაოდ ცნობილი იყო და ამ ნიმუშებს უკვე ყიდულობდნენ როგორც გასართობს და ორიგინალურ სუვენირს და არა როგორც ნუმიზმატიკურ ძეგლს. აღსანიშნავია, რომ ყალბი მონეტის დამზადების ასეთი პრაქტიკა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, ჩვეულებრივ ამისთვის ჩამოსხმის საშუალებას ხმარობენ.

აღნიშნული ფაქტი ამ შემთხვევაში იმითმ მოვიტანეთ, რომ ერეკლე II ჩერვონეცის დამზადებაც შეიძლება ამდგვარი ხერხით მომხდარა. შესაძლებელია, რომ ერეკლე მეფის 1796 წლის სპილენძის მონეტისა და 1789 წლის ვერცხლის აბაზიანის სიქები თავის დროზე გატანილი პეტერბურგის რომელიმე არქივში, რომელიმე „წარჩინებულმა“ კოლექციონერმა (რომლებიც XIX საუკუნეში პეტერბურგში ბლომად იყვნენ) გამოიყენა თავისი პირადი კოლექციის შევსების მიზნით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებდა ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტი, როგორც პროფ. ე. პახომოვი.

ამდროინდელი ნუმიზმატიკური მასალა ამოწურულად ვერ ჩაითვლება, თუ ერთ ფრად საინტერესო ნიმუშს უყურადღებოდ დაეტოვებთ. მართალია, ეს

შეკამბული ცნობები XVII — XVIII სს. ობილური შავის შესახებ

ტაბულაციის და რიგითობის ტიპები	მონეტაზე აღბეჭდილი თარიღი (მოჭრა ჩვ. წ. -ზე გადაყენით)	ცნობილი ნომინალები და მათი წონა (მინიმალურ-მაქსიმალური შეფენებლები)			მონეტაზე აღბეჭდილი გამოსახულება და სახელი
		შუა	1/2 ბისტრი	1/2 ფული	
1	1014 = 1605/1606	—	9,7 — 10,95	4,5 — 5,37	ლომი
2	დადგენილი არ არის	—	8,18 — 8,49	—	ირემი
3	"	—	9,20 — 9,39	—	ბრკელებიანი მხეცი
4	1039 = 1623/24	—	8,92 — 9,01	—	რანცი
5	1055(?) = 1645/46	—	9,33, 10,03 და 11,65	—	რანცი
6	1075 = 1664/65	—	6,05 — 10,8	—	შვის სახე
7	1081 = 1671/72	—	8,0 და 8,44	—	ხარი და კეშაბი
8	1090 = 1679/80	—	7,89 — 9,07	—	ლომი
9	1091 = 1680	—	6,97	—	} } } სხენი
10	1093 = 1682	—	არ აწინილა	—	
11	1094 = 1682/83	—	6,48 — 7,51	არ აწინილა	
12	1095 = 1683/84	—	7,49 — 10,08	2,68 — 4,31	—
13	1096 = 1684/85	—	7,92 — 8,09	—	—
14	1103 = 1691/92	—	8,46 — 8,92	4,0	ფარშეანგი
15	1112 = 1700/1701	—	7,89 — 9,12	4,10 — 4,59	მარტორქა
16	1120 და „1708“	—	7,9 — 9,15	3,86 — 4,51	ხონალდი და „კახტანგ“
17	1120 და „1709“	—	8,67	—	—

18	1124 = 1712	—	8,30 — 9,64	9,29 — 4,10	—	გველქაბი და „სეიმონ“
19	1130 = 1717/18	10,20	7,6 — 8,61	8,17 — 4,27	—	ფარშუენგი და „ბაქარ“
20	1131 = 1718/19	—	7,98 — 8,69	9,65 — 4,41	—	„
21	1148 = 1735/36	—	7,55 — 9,54	9,67 — 4,33	—	ღობი და შველი (ქსახელი)
22	1162 = 1748/49	—	7,44 — 9,28	4,19 — 4,58	—	ღობი და „თუმუქარაზ“
23	1165 = 1752/53	—	7,71 — 8,99	9,85 — 4,70	—	შეგარდენი და კანა, „თემურაზ და ერეკლე“
24	1168 = 1754/55	—	7,91 — 10,6	4,01 — 4,65	—	„
25	1169 = 1755/56	—	8,27 — 8,59	4,38	—	„
26	1179 = 1765/66	44,90	6,91 — 8,96	9,85 — 4,71	1,98	ბაგრატიონთა ღვრი და „ერეკლე“
27	1190 = 1776/77	14,55	4,76 — 7,26	2,29 — 9,27	—	თუქი და „ერეკლე“
28	1201 = 1786/87	10,01 — 12,51	8,42 — 9,88	—	—	„
29	1201 და „1787“	16,75 — 20,85	7,67 — 9,06	2,59 — 4,50	—	„
30	1201 და „1781“	16,48 — 19,22	8,40 — 8,97	—	—	ორთავიანი არწივი და „ერეკლე“
31	1202 და „1781“	17,64 — 18,50	8,46 — 9,98	—	—	„
32	1203 და „1781“	15,68 — 18,05	7,81 — 9,64	—	—	„
33	1206 = 1791	—	11,40	—	—	„
34	1210 და „1796“	16,9 — 25,16	8,18 — 11,83	—	—	სალთავიანი არწივი და „ერეკლე“
35	1219 = 1798/1799	17,37 — 20,71	7,96 — 10,23	9,25 — 5,05	—	თუქი და „გიორგი“
36	1215 = 1800/1801	—	—	—	—	ფარშუენგი (ქსახელი)

ცნობები არ არის

ნიმუში თბილისის ზარაფხანასთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ ისე მკიდროდა გადაბმული საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებთან და იმდენად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებს ასახავს, რომ მისი აღწერილობა აუცილებელია. ეს ბრინჯაოს მედალია, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის ხელის მოწერისა და ეკატერინე მეორის მიერ ერეკლე მეფისათვის სამეფო რეგალიების ბოძების აღსანიშნავად მოიჭრა:

№ 230. მედალის შუბლი: ეკატერინე მეორის ბიუსტი გერშემოვლებული რუსული ზედწერილით, რომელიც იუწყება გამოსახული პიროვნების სახელსა და ტიტულს.

ზურგი: კვარცხლბეკი რეგალაებით — გვირგვინი, მანტია, ფარი და მახვილი. ზემოთ რუსულად: „Вере и верности“, ფარზე — ეკატერინე მეორის ვენზელი და რუსულადვე: „царю Ираклию. 1783 г.“. იგივე თარიღი ქვემოთაც არის მოთავსებული.

არსებობს ცნობები ანალოგიური ნიმუშის შესახებ, რომელიც აგრეთვე ერეკლეს გმირულ სახელთან არის დაკავშირებული. სამეფოს კანცლერმა სოლომონ ლიონიძემ ერეკლეს გარდაცვალების გამო სიტყვა რომ წარმოთქვა. ახსენა მედალი, რომელიც თითქოს პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორეს მოუპოვებია შემდეგი წარწერით: „მე ვარ დასავლეთში ჰერაკლე უძლეველი და აღმოსავლეთში საქართველოს გიორგიანთ მეფე ერეკლეო“. მაგრამ ამ მედალის დედანი ან თუნდაც ანაბეჭდი, ან სურათი დღემდე მოძებნილი არაა.

დასასრულ ვიძლევიტ შემაჯამებელ ცხრილს, რომელიც შეიცავს ცნობებს XVII — XVIII სს. თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტების შესახებ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უსახელო ვერცხლი

ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საერთო ერანული ტიპის ვერცხლის მონეტის გამოშვება შეწყდა და თბილისის ზარაფხანა სრულიად განსხვავებული ტიპის ვერცხლის ფულის მოჭრას შეუდგა. მართალია, მონეტის ზედწერილები ისევ მთლად სპარსულია, მაგრამ თვითონ მონეტის ტიპი იმდენად თავისებური და ორიგინალურია, რომ სავსებით ამართლებს ლიტერატურაში მიღებულ დასახელებას — „ბაგრატიონთა ვერცხლი“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ძველი თაობის წარმომადგენელნი არც ისე დიდი ხნის წინათ მას „სირმა ვერცხლს“ ან „სირმა აბაზს“ უწოდებდნენ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ეს ტერმინი შემორჩენილი ყოფილა ძველ საბუთებში და, მაგალითად, 1795 წლ. ერთ-ერთი ვალდებულების ხელნაწერში სწორედ ამ ფორმით იხმარებოდა.

ფაქტიური მასალის მიხედვით ეს სამონეტო ტიპი ოთხ ძირითად ნომინალად მოჭრილა: 1,5 აბაზიანი, ანუ ნახევარმარჩილიანი, აბაზიანი, 0,5 აბაზიანი, ანუ ორშაურიანი (მაკმუდი ან უხალთუნი) და შაურიანი, რომელიც აბაზიანის მეოთხედს შეადგენდა. პირველი ორი ნომინალის გარეგანი სახე შემდეგია:

№ 231, 232. მონეტის შუბლი: რვაკუთხიან ჩარჩოში მოთავსებულია სპარსული ზედწერილი, რომელიც გვამცნობს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს პიჯრით. ჩარჩოს ზევით მომცრო ოვალში, ჯერ

კიდევ ქერიმ ხან ზენდელის დროიდან ტრადიციულად შემორჩენილი გადანაშთი ფორმულა — „ია-ქერიმ“, ე. ი. „მოწყალეო“;

ზ უ რ გ ი: არაბული ზედწერილი უფალი ღმერთის განდიდებას გვაუწყებს.

ამავე ტიპის წერილი ნომინალები — ორშაურიანი და შაურიანი აღწერილისაგან შესამჩნევად განსხვავდება: ქერიმ ხანის ნიშანი მონეტის ზურგზეა გადატანილი, სადაც ღვთის განმადიდებელი რელიგიური ფორმულა უკვე აღარ არის. სირმა-აბაზიანის შუბლის ზედწერილის შინაარსი უცვლელად წერილი ნომინალის შუბლზევე რჩება, ოღონდ სიტყვებისა და თარიღის განლაგება აქ სხვადასხვანაირია.

ორშაურიანის და შაურიანის გარეგანი ასახულობა ისევე, როგორც მათი დიამეტრი, ერთნაირია, ხოლო ეს უკანასკნელი ნომინალი უფრო თხელი და წონითაც ორჯერ უფრო ნაკლები არის (გამოსახულება № 233 და 234).

მონეტაზე აღბეჭდილი თარიღების მიხედვით ეს ტიპი ჰიჯრის 1166 (= 1752-53 წწ.) უნდა შემოსულიყო და ჰიჯრის 1213-ში (1798-1799 წლ) შეწყდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებული პირველი თარიღის შემდეგ 1181 ჰიჯრამდე (= 1767/68 წწ.) გამოშვებული მონეტები არა ჩანს, მაშინ როდესაც 1181 ჰიჯრიდან ბოლომდე აბაზიანების ყოველწლიური გამოშვება განუწყვეტლივ წარმოებდა.

ლითონის ძალიან მაღალი ხარისხის გამო ამ სირმა-ვერცხლს ჩვენში ძალიან დიდხანს ჰქონია ბრუნვის უნარი: რუსეთთან შეერთების კარგა ხნის შემდეგაც კი სირმა-აბაზიანების თავისუფალი ხმარება დიდხანს არ შეწყვეტილა და მხოლოდ XIX საუკ. მეორე ნახევრიდან დაიწყო რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ მათი გამოსყიდვა.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული „სირმა-აბაზიანების“ ბრუნვის ასეთი ხანგრძლივობა საუკეთესოდ დასტურდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული კაჭრეთის რაიონის სოფ. ფხოველში 1955 წ. აღმოჩენილი განძის შემადგენლობით. ამ განძის ძირითადი ბირთვი წარმოადგენილია 1796 — 1842 წწ. შორის მოჭრილი რუსული, 1835 — 1840 წწ. რუსულ-პოლონური მონეტებით და 1807 — 1832 წწ. რუსულ-ქართული „თეთრით“. ამავე განძის მცირე ნაწილი, 1776 — 1797 წწ. „სირმა-აბაზიანები“, უდავოდ მოწმობს, რომ XVIII საუკუნის ქართულ ფულს XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე მაინც ისეთივე გასაყალი ჰქონია, როგორც რუსულს.

სირმა-აბაზიანების კარგი რეპუტაციის დამსახურება იმითაც დასტურდება, რომ მათი მინაბამები ერთ-ერთ ჩვენ მეზობელსაც უჭრია (ფიქრობენ, რომ ეს ნუხის სახანოში ხდებოდა), მაგრამ ეს მინაბამები უკვე უფრო უხეშია, მდარე სინჯისა და დაბალი წონისაც არის (იხ. № 235).

ამავე პერიოდს ეკუთვნის ერთი ფრიად საინტერესო სამონეტო ტიპი: ქართული ლაშქრის მიერ განჯის აღების შემდეგ, მისი დროებითი ოკუპაციის პერიოდში, მართალია, სულ მოკლე ხნის განმავლობაში (1201 — 1205 ჰიჯრისა = 1786 — 1791 წლ.) მეფე ერეკლეს ნაცელები აქ თბილური აბაზის მსგავს ფულებსა ჰქრიდნენ; მოჭრის ადგილი, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უკვე განჯა არის ნაჩვენები, ხოლო ზურგზე მოთავსებული ზედწერილი აღებულია თბილური აბაზიანისაგან. თუმცა თბილურ ზარაფხანასთან ამ ნიმუშს უშუალო კავ-

შორი არა აქვს. მაგრამ ქართული ნუმისმატიკისათვის თავისთავად იმდენად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს, რომ ასეთი აბაზიანების №№ 236, 237 ფოტორეპროდუქციები მოყვანილია დართულ ტაბულაზე.

რუსეთთან შეერთების შემდეგ მოხრილი თბილური მონეტები

სპარსეთთან და ოსმალეთთან განუწყვეტელი ბრძოლები და ლეკთა ფეოდალების გაუთავებელი ყაჩაღური თარეში ქართველ ხალხს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და პოლიტიკურად და ეკონომიურად სულ უფრო და უფრო ასუსტებდა და აუძლურებდა. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებში სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა რწმენა, რომ საბოლოო დაუძლურებისა და ფიზიკური განადგურებისაგან ქართველ ხალხს მხოლოდ ჩრდილოეთის დიდი სახელმწიფო, ერთმორწმუნე რუსეთი გადაარჩენდა. რუსეთსა და საქართველოს შორის უკვე წინათვე არსებული ურთიერთობა და რუსეთის გავლენის შეუჩერებელი ზრდა XVIII საუკუნის დამლევისათვის რუსეთის პროტექტორატით გვირგვინდება. 1783 წელს გიორგიევსკის ტრაქტატით ამ ორ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ შემდგომ, 1801 წელს, იმპერატორ პავლე პირველის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთს შეუერთდა. ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო დაეცა და რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა მიიღო ობიექტური პირობები გამოსულიყო იმ ეკონომიური ჩიხიდან, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა. ამერიიდან მისთვის შეიქმნა ეკონომიური და კულტურული განვითარების პირობები, მაგრამ ჩვენში ფეოდალურ-ბატონყმური დაქუცმაცებულობა რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებისთანავე ვერ მოისპობოდა. ძველ გადმონაშთებს და ტრადიციებს კიდევ დიდხანს ჰქონდა ჩვენში ადგილი და ახლანდელი საქართველოს ძალით გათიშული ან ჩამოშორებული ნაწილების (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, სამცხე) გაერთიანების პროცესი ათეული წლები გრძელდებოდა და თანდათანობით მიმდინარეობდა. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიური დაქუცმაცებულობა მოისპო ჩვენში მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა გაუქმდა ბატონყმობა, დაიწყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდა და განვითარებული გზების საშუალებით მჭიდრო კავშირი დამყარდა საქართველოს სხვადასხვა ოლქებს შორის.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ჩატარდა ადმინისტრაციული ორგანიზაციის და კერძოდ თბილისის ძველი ზარაფხანაც გაუქმდა. მაგრამ სულ მალე მისი ამოქმედება აუცილებლად საჭირო გახდა: ფულის ნიშნები, განსაკუთრებით წვრილი ნომინალები რუსეთიდან დიდი სიძნელითა და დაგვიანებით შემოდიოდა და მრავალ უხერხულობას იწვევდა.

რუსეთის ძალაუფლების საქართველოში დამყარების პირველ დღიდანვე ბევრჯერ დასმულა საკითხი გარეგნულად ქართულისა, მაგრამ რუსეთში არსებული სისტემის მიხედვით მონეტების გამოშვების შესახებ. იმ დროს „ლიბერალურად“ განწყობილმა რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე პირველმა იხემა, რომ ქართულ მონეტაზე „რუსული არაფერი არ ყოფილიყო“. ალბათ, სწორედ

ამ მიზეზით 1802 წლის 21 ოქტომბერს № 20476 ბრძანებით დაშტკიცებული სამონეტო ტიპი, რომლის ჩანახაზი აქვეა მოთავსებული. საერთოდ არც გამო-სულა.

ახალი ქართული მონეტის კიდევ რამდენიმე პროექტი იყო წარმოდგენი-ლი. დაბოლოს, ისეთ მონეტაზე შეჩერდნენ, რომელზედაც საყუთარი სახელი



მოხსენიებული არ უნდა ყოფილიყო; თუმცა ამ მონეტას სახელმწიფო კრიდი, ის ავტონომიური, ან უკეთ რომ ვთქვათ, ქალაქური უნდა ყოფილიყო.

ვერცხლისა და სპილენძის მონეტისათვის საერთო ტიპი იყო დაშტკიცე-ბული, ამიტომ ორივე ამ ლითონისა და ყველა ნომინალის აღწერილობაც გაერ-თიანებული გვაქვს:

მონეტის შუბლი: საქალაქო კბილანა გვირგვინის ქვეშ მოთავსე-ბულია ქართული მხედრული წარწერა „ტფილისი“, სულ ქვემოთ — პალმისა და ზეთისხილის ორი გადაჯვარედინებული ტოტი;

ზურგე: პირველ სტრიქონზე ნომინალის აღმნიშვნელი ქართული ასო, შემდეგ ორ სტრიქონად: „ქართული ფული“ (სპილენძისათვის) ან „ქართული თეთრი“ (ვერცხლისთვის). დაბოლოს, მეოთხე სტრიქონ-ზე, ევროპული თარიღი, რომელიც ქართული რიცხვითი ნიშნებით არის გადმოცემული. გარდა ამისა ვერცხლის მონეტაზე თარიღის ქვე-მოთ მონეტის მომჭრელის რუსული ინიციალებია.

ასეთი ტიპის მონეტები იჭრებოდა: ვერცხლისა 1804 — 1834 წლების, ხო-ლო სპილენძისა 1804 — 1810 წლების მანძილზე. გამოშვებული იყო შემდეგი ნომინალები: ვერცხლისა — 40,20 და 10 კაპიკი (შესაბამისად იხ. №№ 238, 239, 240) და სპილენძისა — 2,1 და 1/2 კაპიკი (იხ. №№ 241, 242, 243). თარი-ღის მსგავსად, ნომინალებსაც ქართული ანბანის რიცხვითი ნიშნების საშუალე-ბით იძლეოდნენ: „უ“ (=400), „ს“ (=200) და „რ“ (=100) 40,20 და 10 კაპიკი-სათვის და „კ“ (=20), „ი“ (=10) და „ე“ (=5). — 2, 1 და 1/2 კაპიკისათვის. ვერცხლის მონეტების თარიღის ქვეშ მოთავსებული მომცრო ზომის რუსუ-ლი ინიციალები შემდეგნაირად იხსნება П. 3. — პეტრე ზაიცევი: А. Т. — ალექსანდრე ტრიფონოვი; А. К. — ალექსი კარპინსკი; В. К. — ვასილ კლეიმე-ნოვი.

1828 წლით დათარიღებულ სამივე ნომინალის ზოგიერთ ნიმუშს, რომე-ლიც საცდელად პეტერბურგის ზარაფხანამ გამოუშვა, ზარაფების ინიციალები არა აქვს. ფაქიზად და ლამაზად დამზადებული ეს მონეტები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ზოგიერთ დამატებით ცნობებს ამ მონეტების შესახებ მკითხ-ველი 165 გვერდზე გაეცნობა.

ქართული ფულის უკანასკნელი სერიის ნომინალთა ეს შეფარდება უნებ-
ლიეთ გვაგონებს სულ პირველი ქართულივე ფულის კოლხური თეთრის შე-
ფარდებას. აქაც და იქაც შეფარდება 4:2:1:1/2 იყო; ტეტრადრაქმა, დიდრაქმა.
დრაქმა და ნახევარდრაქმიანი შეესაბამება ორაბაზიანს, აბაზიანს, ორშაუ-
რიანსა და შაურიანს.

მართალია, მონეტათა ამ უკანასკნელ სერიაში შაურიანის ნომინალი არ
მოჭრილა, მაგრამ XVII — XVIII საუკუნეთა ნომინალებს თუ გავიხსენებთ:
და XIX საუკუნის ორშაურიანს დაეუპირისპირებთ, შევნიშნავთ, რომ ეს უკან-
ასკნელი ნომინალი ორი უფრო მცირე ერთეულისაგან, სახელდობრ შაურია-
ნისაგან შედგება.

ამრიგად, ამ ორი ერთიმეორისაგან თითქმის 25 საუკუნით დაშორებულ
მონეტათა სერიის ნომინალთა შეფარდება ერთნაირი ყოფილა და ქართულმა
ნუმიზმატიკურმა ძეგლებმა ისეთივე სისტემით დაამთავრეს თავისი არსებობა,
როგორითაც დაიწყო.

თბილისის ზარაფხანამ, რომელიც 1804 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა და
1834 წლის 13 თებერვლამდე არსებობდა¹, ამ ხნის განმავლობაში 1.060.714
მანეთის და 30 კაპ. ვერცხლისა და 8310 მანეთის და 89,5 კაპ. სპილენძის ფული
გამოუშვა. მაგრამ მონეტის გამოშვება რეგულარულად არ ხდებოდა; ზოგიერთ
წლებში მონეტა სულ არ უჭრიათ (სახელდობრ 1825 წელს); ხდებოდა ხოლმე.
რომ ამა თუ იმ წელს მხოლოდ ესა თუ ის ნომინალი იჭრებოდა; ზოგჯერ ფუ-
ლის გამოშვების ტირაჟი დიდი იყო, ზოგჯერ — მცირე. შესაბამისად ამისა ამა
თუ იმ წლის ესა თუ ის ნომინალი ან ძალიან არის გავრცელებული, ან პირიქით,
იშვიათობას წარმოადგენს. იშვიათებია მაგალითად 1804, 1810 და 1811 წლების
ვერცხლის ყველა მონეტა, განსაკუთრებით იშვიათობას წარმოადგენს 1804
წელს მოჭრილი სპილენძის ყველა ნომინალი და ა. შ.

თუ რა ნომინალი იჭრებოდა ამა თუ იმ წელს, ან რომელია მათგან იშვია-
თი, ამის შესახებ საჭირო ცნობებს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა
165 გვერდზე მოთავსებული ცხრილით.

XIX საუკუნემდე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ძალიან მაღალი
სინჯის ვერცხლის მონეტა იჭრებოდა, ამან ახლად გაჩენილ მონეტაზე გავლენა
იქონია და უკანასკნელიც მაღალხარისხოვანი, თუმცა ძველთან შედარებით
უფრო დაბალსინჯიანი ვერცხლისა იჭრება. ამ მონეტის მოსაპყრელად შემო-
ღებულ იყო შემდეგი რიგი: ერთი გირვანქა ვერცხლისაგან 130 აბაზი (ან
26 მანეთი) უნდა მოჭრილიყო, ხოლო ერთი ფუთი სპილენძისაგან 21 მანეთი.
ამისდა მიხედვით რუსულ-ქართული აბაზიანის წონა დაახლოებით 3,15 გრამ
ვერცხლს უდრიდა, ხოლო ერთი კაპიკისა—7,8 გრ სპილენძს.

ამ ე. წ. რუსულ-ქართული მონეტის შესახებ შერჩენილია დაწერილები-
თი და მრავალრიცხოვანი ცნობები (სხვადასხვა აქტები, ბრძანებულებანი და
სხვა საბუთები), ამავე მონეტების შესახებ დაწერილია საფუძვლიანი ნაშრომე-
ბი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფულის მოჭრისა და გამოშვების შესახებ ზო-
გიერთი მომენტი სათანადო სისრულით გაშუქებული არ არის. მაგალითად.

¹ 1834 წელს გამოშვებულ მონეტებს 1833 წლით ათარიღებდნენ.

3. ფონ ვინკლერის ამომწურავ ნაშრომში მოყვანილი ტაბულები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სიქების ცვლა ყოველთვის თარიღის ცვლას ზუსტად არ ემთხვევა, რომ წინა წლის დაკვეთას ახალ წელს ძველი შტამპებით ამთავრებდნენ და ამის გამო ცნობები ირევა. გაუგებბარი მიზეზების გამო, გამოუქვეყნებელი დარჩა 1806 წლის (A. K.) და 1812 წლის (A. T.) ორშაურიანები და ა. შ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მასალა, რომელიც ჩვენგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დროის მანძილითაა დაშორებული და რომლის შესახებ წერილობითი ან სხვა რაიმე დამატებითი ცნობები ან სულ არ მოიპოვება, ანდა ძალიან მცირე რაოდენობით, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელი და გასარკვევი ხდება.

მიუხედავად დამტკიცებული მუდმივი სამონეტო ტიპისა და ზედწერილის ერთნაირი სტანდარტის დადგენისა, ამ რუსულ-ქართულ მონეტათა შორის ზოგჯერ ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი გადახრები და სხვადასხვა ვარიანტი ჩნდება. მაგალითად, 1828 წლის ზოგიერთ ორშაურიანზე აღბეჭდილი ზედწერილის ასო „თან“ ყველგან შებრუნებულად არის მოცემული (ა); გვხვდება სხვადასხვანაირი დამახინჩებანი, რომლებიც ალბათ უმთავრესად იმდროინდელ კერძო ფალსიფიკატორთა ნახელავს უნდა წარმოადგენდეს და სხვ.

მაგრამ აღწერილმა სამონეტო ტიპმა მაინც იმდენად კეთილი და მტკიცე რეპუტაცია დაიმსახურა, რომ მას ფართო გასავალი ჰქონდა მთელ ამიერკავკასიაში; მაგალითად, ნუხის სახანოს სინქრონულ მონეტათა ნაწილზე გამოსახული გვირგვინის მოყვანილობა ნახესხებია თბილური მონეტებიდან.

თბილისის ზარაფხანის გახსნის აღსანიშნავად მოიჭრა ვერცხლის მედალი, წონით 8,23 გრ, რომელიც, როგორც ჩანს, იშვიათობას წარმოადგენს:

№ 244. მედალის შუბლი: ცენტრში რუსეთის ემბლემა — ორთავიანი არწივი, რომელსაც ბრჭყალებში ოქროს საწმისი უბყრია. ზემოთ მონეტის არეზე მოთავსებულია დიდი დთვის თანავარსკვლავედი, ქვემოთ დედამიწის სფეროს ნაწილია, რომელსაც რუსული წარწერა აქვს — „Иберия“ „Колхида“. მედლის კიდეებზე გარშემოვლებულია ზედწერილი: „Похищенное возвращает“.

ზურგის: ხუთსტრიქონიანი რუსული ზედწერილი: „Тифлисский монетный двор открыт 15 сентября 1804 г.“

ცნობილია ამ მედალის ვარიანტი, რომელსაც ზურგის ზედწერილში უმნიშვნელო ცვლილება აქვს — „Тифлисский монетный двор“-ის ნაცვლად აწერია „Тифлисской монетный двор“ (იხ. № 245). პროფ. ე. პახომოვის თქმით, ერთ-ერთ ნუმისმატიკურ აუქციონზე, რომელიც ძველ რუსეთში იმარტებოდა ხოლმე, მას უნახავს ოქროს ასეთივე მედალი. სულ უკანასკნელ დროს ანალოგიური ნიმუში ლენინგრადის ერმიტაჟშიც აღმოჩნდა.

მოკლე და ზოგადი ცნობები საქართველოში ფულის მოჭრისა და სამონეტო საქმის განვითარების შესახებ, რომლებიც ასე ლაკონურად არის გადმოცემული ამ წიგნში უზარმაზარ, 2500 წლიან დიპაზონს შეიცავს.

ჩვენ თვალწინ იშლება უძველესი დროიდან (ძვ. წ. VI ს.) მოყოლებული და თათქმის თანამედროვეობით დამთავრებული საკუთრივ ქართული და ად-

გლობრივ მოქრილი ფულის გამოშვების ისტორია. ამ ფულის მოჭრა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნით. ეტყობა, არასოდეს არ შეწყვეტილა) ზოგიერთ სამონეტო ტიპს. როგორც დავრწმუნდით, ხანგრძლივი ბრუნვის უნარი ჰქონია და რუსულ-ქართულ უკანასკნელ მონეტებსაც თითქმის ერთი საუკუნე უცხოვრია. არქეოლოგ მ. ივაშჩენკოს გადმოცემით, პირადი თავისი ნუმიზმატიკური კოლექცია რუსულ-ქართულ მონეტებით მან იოლად იმიტომ შეავსო, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ხაზინა გამოსყიდვის წესით იძენდა ამ მონეტებს ადგილობრივ მოსახლეობისაგან (მეტწაწილად სვანეთიდან, ლეჩხუმიდან, ზემო-რაჭიდან). ამ მონეტების სიცოცხლის ხანგრძლივობა წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.

1901 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით. თბილისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა გაიხსნა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად მოქრილი იყო ვერცხლისა და სპილენძის მემორიალური მედლები:

№ 246. მედალის შუბლი: რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი და ტახტზე მჯდომი ქალი; ტახტის საფეხურთან ჩამომჯდარია ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი (რუსეთისა და საქართველოს ემბლემა). ქართველ ქალს ხელი აქვს გაწვდილი მედალზე გამოსახულ ამოკვეთილ მზისაქენ. რომელზედაც საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღია აღბეჭდილი „1801“. მთელი ამ კომპოზიციის ქვეშ მეორე თარიღია „1901“.

ზურგე: გამოფენისადმი მიძღვნილი რუსული წარწერა „За труды и знания“ და დაფნის შტო. რომაული ციფრი ზემოთ „С“, — საქართველოს შეერთების 100 წლისთავი; ქვემოთ „L“ სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის 50 წლისთავი, ირგვლივ ზედწერილი — „Кавказская выставка сельск. хозяйства и промышленности“.

ეს მედალი, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთების საუკეთესო მხატვრობით შესრულებულ ემბლემატურ სიუჟეტს შეიცავს, ჩვენი წარსულის ნუმიზმატიკური ძეგლების, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლითონის ნიშანთა შორის ქრონოლოგიურად ჭარბობით უკანასკნელი ნიმუშია.

* * *

ამ წიგნში აღნუსხული ქართული ნუმიზმატიკური ფაქტები განსაკუთრებული სიზუსტით ასახავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანსა და სახელოვან, მაგრამ მძიმე და რთულ გზას. აღწერილი ნიმუშების ცალკეული წვრილმანი დეტალები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებს მოწმობენ, და რომლებსთვის შორეულ წარსულში, ალბათ სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ და ხშირად შეუმჩნეველად დაუტოვებიათ, ამჟამად ჰეშმარიტი სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. ამ ნიმუშებისა და მათზე გამოსახული წვრილმანი დეტალების წყალობით ჩვენი წარსულიც ჩვენ თვალწინ მთელი სისრულითა და სიღიადით დგება..

თარიღი	რორი აბაზი	აბაზი	უხადოური	2 კაბ.	1 კაბ.	1/2 კაბ.
	უ (=400) ფული	ს (=200) ფული	რ (=100) ფული	კ (=20) ფული	ნ (=10) ფული	ქ (=5) ფული
1804	რყღ	(ლჰ)	(ლჰ) (ლჰ)	(ლჰ)	○	○
1805	რყჯ	(ლჰ)	(ლჰ)	(ლჰ)	○	○
1806	რყჰ	(აკ)	(ლჰ) (აკ)	(აკ)	○	○
1807	რყზ	(აკ)	(აკ)			
1808	რყწ	(აკ)	(აკ)		○	○
1809	რყძი	(აკ)	(აკ)			
1810	რყნი	(აღ)	(აღ)		○	○
1811	რყნბ	(აღ)				
1812	რყნგ	(აღ)	(აღ)			
1813	რყნდ	(აღ)	(აღ)	(აღ)		
1814	რყნე	(აღ)	(აღ)			
1815	რყნვ	(აღ)	(აღ)			
1816	რყნზ	(აღ)	(აღ)			
1817	რყნწ	(აღ)	(აღ)			
1818	რყნძ	(აღ)	(აღ)			
1819	რყნძი	(აღ)	(აღ)			
1820	რყნქ	(აღ)	(აღ)	○		
1821	რყნკ	(აღ)	(აღ)	○		
1822	რყნგ	(აღ) (აკ)	(აღ) (აკ)	(აკ)		
1823	რყნდ	(აკ)	(აკ)	(აკ)		
1824	რყნე	(აკ)	(აკ)	(აკ)		
1825	რყნვ					
1826	რყნზ	(აღ) (აღ)	(აღ) (აღ)	(აღ)		
1827	რყნწ	(აღ)	(აღ)	(აღ)		
1828	რყნძ	(აღ) ○	(აღ) ○	(აღ) ○		
1829	რყნძი	(აღ)				
1830	რყნე	(აღ)	(აღ)			
1831	რყნვ	(აღ) (ბკ)	(აღ)	(აღ)		
1832	რყნზ	(ბკ)		(ბკ)		
1833	რყნძ	(ბკ)		(ბკ)		

ქანგმოკიდებული და გარეგნულად ცივი და მუნჯი, მაგრამ განვლილი ჩვენი ცხოვრების ეს უტყუარი მოწმენი, განსაკუთრებული პირუთენელობითა და სიმძლავრით შეტყველებენ ჩვენი დიადი წარსულის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის გამირობისა და რაინდობის, სიმტკიცისა და თავგანწირულობის შესახებ¹.

¹ ამ წიგნში არაა შეტანილი ისტორიული წარსულის ამსახველი მრავალი სხვა ლითონის ნიშანი—მედლები, ექვთონები, პლაკატები და სხვა, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს „განმანათლებელ“ წმ. ნინოსი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, რუსთველისა, დავით და კონსტანტინესი, აკაკი წერეთლისა, სურამის გვირაბის გაყვანისა და სხვა, რომლებიც ძირითადად კერძო გამოშვებებს ეკუთვნის.

მონეტათა გამოშვების ცენტრები ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში ფულის მოჭრის ისტორიისა და მონეტათა აღწერილობის გადმოცემის დროს ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობდით გავეყრკვიათ თუ სად იჭრებოდა ესა თუ ის სამონეტო ტიპი. ხშირად ეს არც წარმოადგენდა რაიმე სიძნელეს, რადგან სათანადო ცნობა მოთავსებულია უშუალოდ თვითონ მონეტაზე, მაგრამ როდესაც ეს ცნობა მონეტას არ ახლავს, საქმე რთულდება და საჭირო ხდება დამატებითი, ირიბი მონაცემების გამოყენება და ცოტად თუ ბევრად დამაჯერებელი მოსაზრებების მოყვანა.

შევეცადით ახლა თავი მოუყაროთ წიგნში გაფანტულ ამ ხასიათის ცნობებს და შევაჯამოთ დაკვირვებანი.

ანტიკური პერიოდის ქართულ მონეტათა უმრავლესობას ცნობები მოჭრის ადგილის შესახებ არ ახლავს. ცნობები ამის შესახებ არც იმდროინდელ წერილობით წყაროებში მოიპოვება. ერთადერთ გამონაკლისს ამ შემთხვევაში № 20 დიოსკურიული (ახლანდელი სოხუმი) მონეტა წარმოადგენს, რომელზედაც ამოკვეთილია სათანადო წარწერა. ამრიგად, მიუხედავად კოლხური თეთრის განსაკუთრებული გავრცელებისა და სიმრავლისა, ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას კონკრეტულად დავასახელოთ მონეტის მოჭრის იმდროინდელი რომელიმე ცენტრი. არსებობს მოსაზრება, რომ კოლხურ თეთრს ჰრიდნენ ფასისში და სხვა სანაპირო პოლისებში, მაგრამ არსებული ფაქტობრივი მასალისა ან მონეტათა გავრცელების არეალით ეს არ დასტურდება. მეტი დამაჯერებლობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ უძველესი ქართული ზარაფხანის არსებობაზე თბილისში, სადაც უნდა მოჭრილიყო ჩვ. წ. VI საუკუნის გურგენის, ვახტანგის, სტეფანოს I და სტეფანოს II დრამები.

VIII საუკუნის დაწყებისთანავე სურათი იცვლება, ჩნდება ჩვენთვის საჭირო ცნობების შემცველი მონეტები. ამ დროიდან იწყება მონეტების თანმიმდევრული გამოშვება; მონეტას ახლავს ამა თუ იმ ზარაფხანის ნიშანი, ეს კი სრულ უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ძველ საქართველოში ფულის ლეგალური მოჭრის ხუთი ცენტრის არსებობის შესახებ.

პირველი ასეთი მონეტა თბილური ანონიმური დრამაა, მოჭრილი პიჯრის 85 წელს (= 704/705 წწ.). IX საუკუნიდან მას დროგამოშვებით და ზოგჯერ შესამჩნევი ხარვეზებით მიჰყვება დანარჩენი თბილური დრამები, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. ასეთი დრამები ჯერ არაბთა ხალიფას სახელით იჭრებოდა, ხოლო შემდეგ X ს. მეორე ნახევრიდან მათზე თბილისის ამირათა სახელებიც ჩნდება. არსებული ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ეს უკანასკნელი მონეტები დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე იჭრებოდა.

მომდევნო XI—XII სს-ში ქართულ მონეტებს გამოშვების ადგილის

ცნობა უკვე აღარ ახლავს, მაგრამ მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ე. ი. XIII ს. ორმოციანი წლებიდან, ეს წესი კვლავ შემოდის და XV ს-ის დაწყებამდე თბილური მონეტების უმრავლესობისათვის მოჭრის ადგილის ცნობა თითქმის აუცილებელია, რის შემდეგ დროებით კვლავ ქრება.

საქართველოში ერანის გავლენის დამყარებისთანავე მონეტებზე მოჭრის ადგილის აღნიშვნის წესი XVII ს. დასაწყისში აღორძინდა და XIX ს. შუა წლებამდე, ე. ი. საქართველოში ფულის მოჭრის შეწყვეტამდე იარსება. ამ დროიდან მოღწეულია ჩვენთვის საინტერესო ცნობების შემცველ მონეტათა დიდი რაოდენობა. ასეთებია ერანის შაჰის სახელებით აღბეჭდილი XVII და XVIII სს. ვერცხლისა, XVII ს. უსახელო და XVIII ს. ქართველ მეფეთა სახელებით აღბეჭდილი სპილენძის მონეტები, XVIII ს. მეორე ნახევრის სპეციალური თბილური „სირმა-ვერცხლი“ დაბოლოს. 1804 — 1833 წლ. რუსულ-ქართული ფული.

დამახასიათებელია, რომ ქართულ მონეტაზე მოჭრის ადგილის გაჩენის წესი ჩვეულებრივ ემთხვევა მუსლიმანურ ქვეყნებთან მჭიდრო დაახლოების მომენტებს. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ მუსლიმანი მმართველები უფრო საღად ეკიდებოდნენ სამონეტო საქმიანობას, ვიდრე მათი ქრისტიანთა მეზობლები.

ამრიგად, მეტ-ნაკლები ხარვეზებით თბილისის ზარაფხანა თერთმეტ საუკუნეზე მეტხანს მოქმედებდა.

დანარჩენი ქართული ზარაფხანების მოქმედება ასეთი ხანგრძლივი აღარ იყო. 465 ქორონიკონს (=1245 წ.) მოჭრილი დავით ნარინის სპილენძის მონეტა აშკარაავეს ზარაფხანის არსებობას ძველი საქართველოს მეორე მსხვილ ქალაქში — დმანისში. შესაძლებელია, რომ პირველად ამოკვეთილი ამ თარიღით ეს მონეტები შემდეგშიც იჭრებოდა, მაგრამ ამ ზარაფხანის ხანგრძლივი მოქმედების არსებობა საუკუთა, რადგან ამავე ტიპის მონეტებს 1247 წლის თარიღით უკვე თბილისის ზარაფხანა უშვებს. უკეთეს შემთხვევაში დმანისის ზარაფხანის პროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს XIII ს. ბოლო წლების თითო-ორჯოლა „სომხითის“ სამონეტო ტიპი, რომელიც იმეორებს იმ დროს გავრცელებულ ქართულ-ჰულაგუიდური დრამის ტიპს (№№ 115 — 117).

XIII ს. მიწურულში ამოქმედდა კიდევ ერთი მსხვილი ქართული ქალაქის — ახალციხის ზარაფხანა, რაც დასტურდება საერთო ჰულაგუიდური ტიპით მოჭრილი ყამან-ყაენის სახელით აღბეჭდილი, პიჯრის 698 წლის (=1298/99 წწ.) დრამებით და ამავე ტიპის ოლჯაითუ სულთნის, პიჯრის 715 წლის (=1316/17 წწ.) მონეტებით. ასეთი მონეტების შემდეგი გამოშვებანი უკვე აღარა ჩანს და ამიტომ საფიქრებელია, რომ საქართველოში ცენტრალური სამეფო ხელისუფლებას გაძლიერებასთან დაკავშირებით ამ ზარაფხანის მოქმედება შეწყდა. მაგრამ XV ს-ში სამეფო ხელისუფლების მორიგ დასუსტებასთან დაკავშირებით, ეს ზარაფხანა კვლავ ამუშავდა, რასაც მოწმობს ყვარყვარე მესხეთის ათაბაგის სახელით მოჭრილი შედარებით დიდი რაოდენობისა და სხვადასხვა ვარიანტების მონეტები. ამ მონეტათა გამოშვების ხანგრძლივობა შეგვიძლია რამდენიმე ათეული წლით განვსაზღვროთ. ამრიგად, მხედველობაში რომ მივიღოთ ზოგიერთი გაურკვეველი მონეტაც (I-თეზი. II-დამახინჩებული მუსლიმანური ზედწერილი), რომლებიც სავარაუდოდ ახალციხურ პროდუქციადაა მიჩნეული, ამ ზარაფხანის არსებობის ხანგრძლი-

ვობა ორ საუკუნეს არ გადასცილდება. ორივე შემთხვევაში ახალციხური მობე-
ტის გაჩენა ემთხვევა საქართველოსთვის არახელსაყრელ ისტორიულ პირო-
ბებს და აქედან გამომდინარე პარტიკულარულ მისწრაფებებს. პირველ — ამ
მონეტის მოჭრის ხარვეზები ემთხვევა სამეფო ხელისუფლებას გაძლიერების
მომენტებს.

ორი თუ სამი წლის შემდეგ, ე. ი. მხოლოდ XIV ს. დასაწყისში შეუდგა
მოქმედებას კიდევ ერთი მსხვილი ქართული ქალაქის ანისის ზარათხანაც. ყო-
ველ შემთხვევაში, ყველაზე ადრინდელ ანურ მონეტად ქერჯერობით მიჩნეუ-
ლია ჰიჯრის 700 წლის (= 1300/1301 წწ.) სამენოვანი ორმაგი დრამა. ანისი ისევე
როგორც სომხეთის ჩრდილო ნაწილი შეუერთდა საქართველოს ჯერ კიდევ
XII საუკუნეში და „გურჯისტანის ვილაიეთის“ ნაწილს წარმოადგენდა მონ-
ღოლთა ბატონობის დროსაც. ამრიგად, იმდროინდელი ანური მონეტებიც
ქართულ ნუმისმატიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ ზარათხანის პრო-
დუქციის შესახებ დაწვრილებით ცნობებს რომ არ გავყვეთ, დავიმოწმით
პროფ. ე. პახომოვის ცნობა, რომ „უკანასკნელ ანურ მონეტად“ ჩითვლება ჰიჯ-
რის 810 — 823 წლებში მოჭრილი (= 1407—1420 წწ.) ყარა-იუსუფის და პარ-
ბუდაყის მონეტები. ამრიგად, ანურ ზარათხანას ერთ საუკუნეზე მეტი არსე-
ბობა ჰქონია და ამ ხნის განმავლობაში შედარებით რეგულარულად უშუშავია.

1877 წ. ყარსის მახლობლად აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი განძი, რომე-
ლიც შეიცავდა ჰიჯრის 745—754 წწ. (= 1344 — 1354 წწ.) ელხან ანუშირვან-
ის მონეტებს. ამ განძის რამდენიმე მონეტას ახლავს კახეთის ერთ-ერთი ქა-
ლაქის ყარა-ლაჯის ნიშანი.

დაახლოებით ამავე დროის, მაგრამ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი
განძი (2347 ცალი) 1934 წ. ჩამოუტანიათ ქ. ბაქოს მუზეუმში. ქალ. ყარაღაჯის
ნიშანი ახლავს ამ განძის 756-763 ჰიჯრით დათარიღებულ ჰულაგუიდურ, ჯუ-
ჩიდურ და ჯელაირიდულ მფლობელთა სახელით აღბეჭდილ მონეტებს.

ამ ზარათხანის მონეტათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება საზღვარგარე-
თულ კოლექციებში დატული ცალების წყალობით. მუჰამადისა — ჰიჯრის
738 წ., სულეიმანისა — ჰიჯრ. 740 და 741 წწ. და ანუშირვანისა — ჰიჯრის 745.
746, 748, 750 და 752 წწ. ამრიგად, იმ მასალით, რომელიც ქერჯერობით ჩვენს
ხელთაა, ამ ზარათხანის მოქმედება სულ ოციოდე წლით განისაზღვრება.

იმ მონეტებთან ერთად, რომლებსაც ამა თუ იმ ზარათხანის ნიშანი ახლ-
და, ძველ საქართველოში ხშირად ისეთებიც იჭრებოდა, რომლებსაც ეს საჭირო
ცნობა არ გააჩნია. ასეთი მონეტების გამოშვების ადგილის გარკვევა ყოველ-
თვის როდია შესაძლებელი, მაგრამ ზოგჯერ ამ მონეტებს ისეთი დამატებითი
მონაცემები აქვთ, რომლებიც გვიადვილებენ საქმეს. სხვადასხვა ხასიათის მო-
ნაცემების ერთმანეთთან შედარებით (თარიღი, ისტორიული პირობის სახელი,
მონეტის ტიპი, ფაქტურა და ა. შ.) და ამა თუ იმ დროს საქართველოში მოსხ-
დარ პოლიტიკურ ამბებთან დაპირისპირებით შეიძლება მტკიცედ ეკონსტრუქციით
საქართველოში კიდევ სამი ზარათხანის არსებობის შესახებ.

მაგალითად, XI ს. ქართული მონეტების (ბაგრატ IV, გიორგი II და დავით
აღმაშენებლის) თბილისში გამოშვების შესაძლებლობა გამორიცხულია. რად-
გან ამ დროს ეს ქალაქი მუსლიმანთა ხელში იყო. საქართველოს სატახტო ქა-
ლაქად იმ დროს ქუთაისი ითვლებოდა და დასახლებული მონეტებიც, აღბათ,
აქ იჭრებოდა. საფიქრებელია, რომ იქვე იჭრებოდა რუსუდან დედოფლის

1227 წლის მონეტები, რადგან ამ დროს აღმოსავლეთ საქართველო თბილისი-თურთ ჯალალედინის ხელში იმყოფებოდა და რუსუდანი ქუთაისში იქდა. ამავე ზარათხანის პროდუქციას უნდა მივაკუთვნოთ ორი დაეითის (ულუსი და ნარინს) ვერცხლის მონეტა (№ 95), მოჭრილი იმ დროს, როდესაც ისინი ერთად განაგებდნენ დასავლეთ საქართველოს. XVI საუკუნის იმერთ მეფენი ბაგრატ III და გიორგი II უდავოდ ქუთაისის ზარათხანიდან უშვებდნენ №№ 158 — 162 თავის მონეტებს. ამრიგად, ქუთაისის ზარათხანის არსებობა ხუთი საუკუნით მაინც განისაზღვრება.

ისტორიისათვის უკვე კარგად ცნობილი ოდიშის მმართველის ვამიყ დადიანის (1384 — 1396 წწ.) ვერცხლის მონეტა № 132 უდავოდ მის სამფლობელოში და ალბათ ზუგდიდში იჭრებოდა. ამ მონეტის გამოშვება ემთხვევა თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევების გამო საქართველოში შექმნილ მძიმე პირობებს, რის შედეგად ვითარდება პარტიკულარული მისწრაფებანი. მომდევნო პერიოდის მეგრული ზარათხანის არსებობის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ მხოლოდ წერილობითი წყაროებიდან. არქანჯელო ლამბერტი პირდაპირ იტყობინება, რომ ლევან II დადიანის დროს (1611—1654 წწ.) აქ ზარათხანა მოქმედებდა. მტკიცე ანუ მიზმატიკური ფაქტებით ეს ცნობა სამწუხაროდ არ დასტურდება, მაგრამ ამ ცნობისა და ვამიყ დადიანის მონეტის არსებობა საშუალებას იძლევა ამ ზარათხანის მოქმედება 250-წლიანი პერიოდით შემოვფარგლოთ.

ცნობილია, რომ ყაზან ყაენთან კონფლიქტის გამო მთაში გახიზნულმა დადიანმა VII თითქმის მთელი თავისი მეფობა მონღოლებთან ბრძოლაში გაატარა. ამიტომ თ. ლომოურის მოსაზრება, რომ 1296 წლით დათარიღებული მისი დრამები (№ 190) თუ არა, 1310 წელს მოჭრილი მისი ფელსები მაინც (№ 110) სადღაც ხევში ან მთიულეთში და ალბათ ვინვალში იჭრებოდა, სავსებით დამაჯერებელია. მაგრამ ამ ზარათხანის არსებობა ალბათ ძალიან ხანმოკლე იყო და ზემოხსენებული ორი თარიღით იფარგლება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქართულ მონეტას მოჭრის ადგილის შესახებ სათანადო ცნობა არ გააჩნია. ამა თუ იმ ზარათხანისადმი მათი მიკუთვნება ექვს არ უნდა იწვევდეს.

ქართულ მონეტების განსაზღვრული ნაწილი საფუძველს იძლევა ვიშნელოთ კიდევ სამი ზარათხანის არსებობის შესახებ. მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში უშუალოდ მონეტებს საჭირო ცნობები არ ახლავს, ჩვენ დაყინებით ამის თქმა არ შეგვიძლია და იძულებულნი ვართ გამოთქმული მოსაზრებებით დაეკმაყოფილდეთ.

დასავლეთ საქართველოში არაბული დრამები არ გავრცელებულა და ამიტომ ამ ტიპის მიხედვით მოჭრილი ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) № 46 მონეტა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გამოშვებულიყო. რადგან ქართლის დიდ ნაწილს ბაგრატი განაგებდა და, რადგან ამ დროს თბილისი არაბებს ეკავათ. ხოლო ბაგრატის ძირითადი ბაზა უფლისციხე იყო, შეიძლება ეს მონეტა სწორედ აქ მოიჭრა.

ასევე სავარაუდოა დავით კურაპალატის მონეტების X ს. დამლევის მოჭრის საკითხი. ტიპითა და ფაქტურით ის არ უდგება უფრო გვიანდელ XI ს.

¹ გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ამ დროს (1227 წ.) ქართველებმა შელუს დედაქალაქის დროებით დაბრუნება და შესაძლებელია მოჭრეს კიდევაც აქ ეს მონეტა.

ქართულ მონეტებს და, ალბათ, სადღაც სხვაგან იჭრებოდა. ცნობილია, რომ დავით კურაპალატის მოღვაწეობა ძირითადად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა და ამიტომ, რადგან მისი რეზიდენცია ტაო-კლარჯეთის მთავარი ქალაქი არტანუჯი იყო, მონეტებიც, ალბათ, იქ იჭრებოდა.

XV ს. მეორე ნახევრისა და XVI ს. დასაწყისის ქართულ მონეტათა წარმოშობა და ამა თუ იმ ისტორიული პირისათვის მათი მიეკუთვნება დღესაც არ არის საბოლოოდ დამთავრებული, უკვე განსაზღვრული მონეტების გარდა ამდროინდელ განძებში ისეთებიც გვხვდება, რომლებიც გაურკვეველნი დარჩნენ. მთავარი სიძნელე იმაშია, რომ ფულის გამოშვების პრეტენდენტები ცალკე ნაწილებად დაყოფილ საქართველოში იმდენად მომრავლდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ მონეტის განსაზღვრა და მიეკუთვნება დღევანდელ პირობებში შეუძლებელი ხდება. ყვარყვარე ათაბაგის მონეტის გარდა ცნობილია ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის მონეტები და მათ შავალითს ალბათ მიჰყვა კახთ ბატონი. ამას ხელს უწყობდა შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია. მძლავრ ფეოდალებთან უშედეგო ბრძოლის შემდეგ გიორგი VIII 1466 წ. თბილისიდან კახეთში გაიხიზნა და იქ დაარსებულ სამეფოს სიკვლამდე, ე. ი. 1476 წლამდე განაგებდა. სრულიად საქართველოს მეფეთა-მეფობის დროს საკუთარი ფულის მოჭრას დაჩეუული გიორგი VIII ალბათ კახეთშიაც განაგრძობდა ხელისუფლების ამ რეგალიის განხორციელებას. მით უმეტეს, რომ მისი მეზობლები და პირადი მტრები ბაგრატი და ყვარყვარე ფართოდ იყენებდნენ მას. მაგრამ, სახელდობრ სად უნდა მოჭრილიყო „კახური ტიპის“ იმდროინდელი მონეტა, რომელიც არცაა აღმოჩენილი, ეს საკითხი დღესაც გაურკვეველია. დაახლოებით ამ დროისათვის კახეთის სამეფოს ერთ-ერთ მსხვილ პუნქტად გრემი ითვლებოდა. სადაც კონცენტრირებული იყო ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრება. 1944 წელს აქვე იპოვნეს მონეტის მოსაპრელი ორი სიქა, რომლებიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია. მართალია, ეს სიქები უკვე გვიანდელია, მაგრამ საბუთი მაინც არსებობს ვიფიქროთ, რომ კახური ტიპის ფულის მოჭრა იმ დროს გრემში წარმოებდა. ხოლო 1967 წ. ახმეტის რაიონის სოფ. ბირკიანში აღმოჩენილი განძის შეშვეობით ჩვენ უკვე ვტყობილობთ, რომ კახეთის სამეფოს მეორე მსხვილ ქალაქში, სახელდობრ ზაგემში XVII ს. პირველ მესამედში ზარადხანა მოქმედებდა, რომელმაც თავისი პროდუქციიდან ჯერჯერობით აზაზიანები დაგვიტოვა

იმდროინდელი განძების შედგენილობა, — გორისა, მნასი და პატარა ჭიხაიშის, განძების ანალიზი გვარწმუნებს, რომ XV — XVI სს. ქართული ფულის მრავალი სახესხვაობანი ჯერ კიდევ გასარკვევია. ამ მონეტებზე მტკიცედ მხოლოდ ის ითქმის, რომ ისინი ქართულია და განსაზღვრულ პერიოდს მიეკუთვნება. მათი ზუსტი განსაზღვრა ძნელდება იმის გამო, რომ მონეტების წონა დაყვანილია მინიმუმამდე, მაშასადამე, სათანადოდ მცირდება ზომა და ამის გამო გამოსახლება და წარწერა მათზე მთლიანად ვერ თავსდება; უარესდება მოჭრის ტექნიკა, მრავლდება ფულის გამოშვების პრეტენდენტების რიცხვი, რომლებიც სწორად ერთნაირ სახელებს ატარებენ. ყველაფერი ეს აძნელებს კვლევას პროცესს და მასალის შესწავლას, რასაც ისიც ართულებს, რომ მისი ძირითადი ნაწილი ცუდად არის შემონახული.

მიუხედავად ამ არახელსაყრელი პირობებისა, უკანასკნელ დროს ჩვენს განკარგულებაში მოხვედრილმა უმდიდრესმა მასალამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ საქართველოში საკუთარი ფულის მოჭრის უფლებით სარგებლობდნენ არა მარტო „მეფეთა მეფენი“, არამედ ცალკე გავლენიანი ფეოდალებიც. აღრე ნუმისმატიკურ ლიტერატურაში არც კი ასახელებდნენ რომელიმე სხვა ზარაფხანას, გარდა თბილისისა. მართალია, ზოგჯერ ახსენებდნენ ანისსაც. მაგრამ ისიც საქართველოს ისტორიისაგან დამოუკიდებელივ. მოსაზრებანი საქართველოში მონეტის მოჭრის რომელიმე სხვა ცენტრებზე შესახებ მხოლოდ უკანასკნელ დროს გამოთქვა, რადგან არსებობს მტკიცე საბუთები, რომლებიც საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ძველ საქართველოში ათი ზარაფხანა მანც მოქმედებდა; აღსანიშნავია, რომ ამ ზარაფხანების დიდი უმრავლესობა უშვებდა მრავალფეროვან, მაგრამ ძირითადად ეროვნული ხასიათის პროდუქციას. მეცნიერების განკარგულებაში გროვდება სულ ახალ-ახალი ფაქტობრივი მასალა, რომელიც თანდათანობით ავსებს არსებულ ხარვეზებს.

საქართველოში ძველად ხმარებული ტერმინები

მრავალ საუკუნეთა მანძილზე ჩვენში მოჭრილი ფული, როგორც დავრწმუნდით, მკიდროდ იყო დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების ფულის მიმოქცევისა და ეკონომიკასთან. ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით მიზეზებს, რომლებიც ცვლიდნენ მონეტის გარეგნობას, მასზე აღბეჭდილი ზედწერილის შინაარსს და გამოსახულების სიუჟეტს. შესაბამისად იმისა, თუ რომელი ქვეყნის საფასე ვრცელდებოდა და უპირატესობას იღებდა საერთაშორისო ბაზარზე. იცვლებოდა ქართული მონეტის გარეგნობა და ხშირად მისი სახელწოდებაც კი. უკანასკნელი გარემოება, რა თქმა უნდა, ართულებს ჩვენი ფულის სისტემების ცვალებადობის მიზეზების გარკვევას. აშკარა ხდება, რომ ქართული ნუმისმატიკური ფაქტების შესწავლა და ძველ ხელნაწერებში შერჩენილი ტერმინების გაგება გაგვიძნელებდა, თუ მეზობელი ქვეყნების, უმთავრესად კი აღმოსავლური სახელმწიფოების ანალოგიურ მასალას არ ავითვისებთ.

აკად. ივ. ჭავჭავიძემ თავი მოუყარა ძველ ხელნაწერებში ქართული ფულის შესახებ შემონახულ მრავალრიცხოვან ცნობებს, დაურთო საჭირო განმარტებანი და აღნიშნა, რომ ქართული ნუმისმატიკის საბოლოო დაძლევისათვის მონეტათა აღწერილობას აუცილებლად უნდა მოჰყვეს თეორიული და შედარებითი მასალაც.

ჩვენი წიგნის ძირითად ნაწილში ეს დამხმარე მასალა შეძლებისდაგვარად გამოყენებული გვქონდა. მაგრამ საკითხის გაღრმავებას ვერიდებოდით, რადგან ვშიშობდით, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და მონეტათა კლასიფიკაცია დაირღვევა და საგნის ათვისება გართულდება. მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ცალკე თავად მოვიყვანთ მოკლე ცნობებს ჩვენში გავრცელებული ძირითადი ტერმინების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ფულის მოსაჭრელად ჩვენში სამ ლიონს — ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს ხმარობდნენ; ლიონების ფერის მიხედვით მოჭრილ ფულსაც შესაბამისი ზოგადი დასახელება ჰქონია: „წითელი“ — червонное, აქედან червоный. „თეთრი“ (ბერძნულში „ასპრონი“

რაც აგრეთვე თეთრსა ნიშნავს) და „შავი“. ზოგჯერ ფულის ამსახველ ტერმინად იმ ლითონის სახელს ხმარობდნენ, რომლიდანაც მონეტა იჭრებოდა. ფართო ხმარებაში იყო, მაგალითად ტერმინი „ოქრო“ (რუსულად — ЗОЛОТОЙ), „ვეცხლი“ ან „ვერცხლი“ (შვედაროთ ფრანგულ argent-ს). ფართოვე გაგებით ჩვენში სხვადასხვა დროს შემდეგ ტერმინებსაც ხმარობდნენ: „ხვასტაგი“. „საფასე“, „ფული“ და ა. შ.

წესაბამისად იმისა, თუ რომელი ლითონი იხმარებოდა ფულის მოსაქრელად, ანდა რომელ უცხო მონეტას ჰქონდა უპირატესობა საერთაშორისო ბაზარზე, იცვლებოდა საქართველოში ხმარებული ფულის ძირითადი ერთეულის სახელწოდებაც.

ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ძვირფასი ლითონების ურთიერთშეფარდების განსაზღვრა, რადგან არც ეს შეფარდება იყო ყოველთვის სტაბილური. პროფ. ნ. ქოიავამ დაადგინა, რომ ოქროს ღირებულებასთან შედარებით ვერცხლის ღირებულება ჩვენშიაც თანდათან ეცემოდა: ძველ აღმოსავლეთში ოქროს შეფარდება ვერცხლთან თავდაპირველად თუ 1:6 იყო, შემდეგ ის 1:10-მდე დაეცა. საიმპერატორო რომში ესპანეთის ვერცხლის მდიდარი საბადოების დამუშავებასთან დაკავშირებით ეს შეფარდება უკვე 1:16 დავიდა, თუმცა დროგამოშვებით ვერცხლის უფრო მეტ გაუფასურებას ჰქონია ადგილი. შუა საუკუნეებში ეს შეფარდება 1:10 ან 1:12 შეადგენდა და ცალკე შემთხვევებში 1:8-დან 1:13,6-მდე მერყეობდა.

უძველესი ტერმინი ოქროს ფულის ძირითადი ერთეულის აღსანიშნავად ქართულ მწერლობაში „პერპერაა“ დასახელებული; „პერპერა“ ბერძნულად: სიტყვაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საკუთრივ ქართული ოქროს ფული არ იჭრებოდა, პირველად მეთავე საუკუნეში შემოღებული ეს ტერმინი შემდეგშიც იხმარებოდა. პერპერა, მაგალითად, რამდენჯერმე მოხსენიებულია შოთა რუსთველის უკვდავ პოემაში, ხმარობს მას ევროპელი მოგზაური პლანკარბინი და მეცამეტე საუკუნის ისტორიკოსი ზაქარია ყაზვინი.

მაგრამ უკვე მეთერთმეტე საუკუნეში ოქროს ფულის ერთეულის აღსანიშნავად „დრაჰკანიც“ შემოდის. ბიზანტიური ფულის ნიშანდობლივი ერთეულის აღსანიშნავად ამ ტერმინს ხშირად სხვა სიტყვასაც უმატებდნენ ხოლმე, მაგალითად: დრაჰკანი კონსტანტინატი, დრაჰკანი დუკატი ან დრაჰკანი ვოტანიატი; (ზოგჯერ ბოტანიატი). ეს ტერმინები წარმოიშვა ბიზანტიის კეისრების კონსტანტინე მეათის (1059—1067 წწ.), მიხეილ მეშვიდე დუკასი (1071—1078 წწ.) და ნიკიფორე მესამე ბოტანიატის (1078—1081 წწ.) სახელებისაგან. ტერმინი დრაჰკანი XV—XVI საუკუნემდე შერჩენილა.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ოქროს ერთეულის აღსანიშნავად უკვე შემოღებულია „ფლური“, რომელიც XVI და განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეებში ჩვეულებრივ ტერმინად გამხდარა და დრაჰკანის მნიშვნელობითა და დამოუკიდებლადაც არსებობდა. თავდაპირველად ეს ტერმინი დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით იტალიის ფულისაგან—ფლორინისაგან წარმოიშვა. სიგელებში, მაგალითად, ზოგჯერ „ვენეტუკური ფლური“ იხსენიება. მაგრამ შემდეგ ფლური საერთოდ ოქროს ფულის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. მაგალითად, ოთმანური (ე. ი. ოსმანური) ოქრო.

ოქროს ფულის ერთეულის აღსანიშნავად სხვა ტერმინებსაც ხმარობდნენ,

მაგალითად, დინარსა და ზოგჯერ უბრალო „ოქროსაც“ კი, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვები შედარებით იშვიათია.

ვერცხლის ფულის ერთეულის აღსანიშნავად ძველად ჩვენში „დრამა“ ყოფილა გავრცელებული. უფრო ადრე თუ არა, XIII საუკუნიდან მაინც ვიდრე XV საუკუნემდე ეს ტერმინი ხმარებაში ყოფილა და თავისი მნიშვნელობით ბერძნულ დრამას და შემდეგ არაბულ დირჰემს უდრიდა.

მაგრამ XIV და შემდეგ საუკუნეებში ზოგი გადასახადი—სახელმწიფო თუ სხვაგვარი—„თეთრად“ არის დაწესებული. ვინაიდან ვერცხლის ფულის ერთეულის აღმნიშვნელი ეს ორივე ტერმინი—„დრამა“ და „თეთრი“—ერთხანს ერთად იხმარებოდა, გასარკვევი ხდება, თუ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო მათ შორის. მაგალითად, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში, განსაკუთრებით საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, „კირმანეული“ ძალიან ფართოდ გავრცელდა და „კირმანეული თეთრის“ სახით XVI საუკუნემდე შერჩა.

ამრიგად, ირკვევა, რომ „ოქრო“ და „თეთრი“ (ზოგჯერ „ვერცხლიც“) საფასის აღმნიშვნელი ტერმინიც ყოფილა და ფულის ერთეულსაც აღნიშნავდა. ამიტომ საკითხი, თუ ამ ორი მნიშვნელობიდან სახელდობრ რომელთაა გვაქვს საქმე, აქაც ყოველთვის ნათელი არ არის.

წერილობითი საბუთებიდან ჩანს, რომ XI საუკუნიდან ჩვენში „აჟურა“ ყოფილა შემოდებული, რომელიც ბერძნულ „არავირასაგან“ უნდა იყოს წარმომობილი. ეს აჟურა, როგორც ეტყობა, წვრილი ფული ყოფილა და მას ხანგრძლივი სიცოცხლე არ ჰქონია.

XVI საუკუნის დამდეგიდან ჩვენში ვრცელდება ვერცხლის ფული „ყაზანური“, რომელიც ამავე საუკუნის მეორე ნახევრისთვის უკვე გამქრალია. სულ ახლახანს გამოირკვა, რომ ეს ყაზანური ყაზან ყანის (1295—1304 წწ.) რეფორმის შედეგად შემოდებული ვერცხლის ფული და ამ ფულის მსგავსად ჩვენში მოკრილი მონეტები იყო.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდება „გიორგაული“, რომელიც მალე გამქრალა. გიორგი ბრწყინვალის დროს გაჩენილი ეს სამონეტო ტიპი ჭერჯერობით არაა საბოლოოდ გარკვეული. თ. ლომოურის აზრით, ამ ტერმინს ხმარობდნენ იმ დროს საქართველოში გავრცელებული ელხანური ფულის აღსანიშნავად. მაგრამ თავისთავად მართებული ეს მოსაზრება განმარტებასაც მოითხოვს. რადგან ბრწყინვალე მეფის მმართველობის დროს საქართველოში იჭრებოდა ელხანური ყაიდისა და ამის მსგავსი ეროვნული ხასიათის მონეტებიც. ცხადია, რომ ტერმინი „გიორგაული“ ასეთებზედაც უნდა გავრცელდეს.

„თანგა“ თათრული ტერმინია, რომელსაც მონღოლთა ბატონობიდან მოყოლებული ხმარობდნენ როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც. ძველ რუსეთში, მაგალითად, ის ფულის საზოგადო ტერმინადაც იქცა—таига, деньги, деньги. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ თანგა ჩვენში ფულად ყოფილა შემოდებული XV—XVI სს. განმავლობაში. რის შემდეგ ფულის სხვა ნიშნებსა და ტერმინებს უთმობს ადგილს.

XVI საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება ფულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“, რომელიც დასტურლამალის განმარტებით 3 აბაზს ან 12 შაურს უდრიდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ტერმინი აბაზი მხოლოდ XVII საუკუნის დამდეგიდან ჩნდება, ხოლო შაური (ანუ შაჰი), რომელიც აბაზის ერთ

მეოთხედს შეადგენდა, ამაზე ცოტა უფრო ადრე, სახელდობრ XVI ს. მეორე ნახევარში. მაშასადამე, გასარკვევია — რას ნიშნავდა მანამდე არსებული მარჩილი? გამოირკვა, რომ სიტყვა მარჩილი იტალიური წარმოშობისაა, რომელიც როგორც რ. ქებულაძემ დაადგინა, გავრცელებულა ჩვენში ევროპულ ტალერებთან ერთად. ამრიგად, რადგან ერანში და ერანის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ევროპული ტალერი 3 აბაზად ფასობდა, პროფ. ს. კაკაბაძის განმარტებას იმის შესახებ, რომ ევროპული ტალერის ღირებულების ტერმინად ძველად მიღებული ყოფილა მარჩილი, ანგარიში უნდა გაეწიოს.

ცნობილია, რომ შაური და აბაზი, როგორც საანგარიშო ერთეული, ჩვენში შემორჩენილია დღემდე. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენებს, როგორიცაა. მაგალითად, უკვე სხენებული მარჩილი, ან კიდევ მინალთუნი, უზალთუნი (ორშაურიანი, ან მაჰმუდი) და სხვა, ისინი უკვე დავიწყებულია. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ტერმინი უზალთუნი შერჩენილი იყო მიმდინარე საუკუნის პირველ წლებში. მარჩილის, როგორც ფულის ერთეულის (ტერმინის) აღდგენის ცდას, როგორც ეტყობა, ადგილი ჰქონდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს; ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მხატვარლანსერეს ოცდახუთმარჩილიანის (ე. ი. 15 მანეთიანის) პროექტი, მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელება მენშევიკურ მთავრობას არ დასცალდა.

„მინალთუნი“ (დამახინჩებულიად მილანთუნი) ქართული სიტყვა არაა. — თურქულად 1000 ალთუნს ნიშნავს და ხუთ აბაზს შეიცავდა. მაშასადამე, აბაზ-200 ალთუნს უდრის და აქედან მისი ნახევარი—100 ალთუნის შემცველი „უზალთუნი“ — ორ შაურს შეიცავს. ამ უკანასკნელს „მაჰმუდი“-საც უწოდებდნენ. XVIII საუკუნის მოგზაური აკად. გიულდენშტედტი იტყობინება, რომ საქართველოში ქართული ან სპარსული მინალთუნი ხმარებაში არ ყოფილა. ეს ცნობა მართლაც დასტურდება ფაქტიური ნუმიზმატიკური მასალით: მსხვილი ნომინალები, ხუთი აბაზის შემცველი მინალთუნი ან სამაბაზიანი მარჩილი ჩვენ არსად გვევლება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთის კატალოგის ჩანაწერის მიხედვით ცნობილია XVIII საუკუნის ერთი თბილური მინალთუნიანი. შეიძლება, რომ ეს ერთადერთი ცალი საჩუქრად იყო მოქრილი, ისე კი, — მსხვილი ნომინალები, ალბათ, საანგარიშო ერთეულებად ითვლებოდა ისევე, როგორც „თუმანი“ — 10.000 ალთუნი, ანუ 50 აბაზი.

ამრიგად, ჩვენში XVII — XVIII სს. ფულად მიმოქცევაში ფაქტიურად ვერცხლის ფულის შემდეგი ნომინალები ყოფილა გავრცელებული: ექვსშაურიანი (ნახევარმარჩილიანი), აბაზი, ორშაურიანი და შაურიანი, იშვიათ შემთხვევაში ჩნდება სპარსეთიდან შემოღებული ფანჯშაპი (ხუთშაურიანი) და უკნინესი ვერცხლის მონეტა „ბისტა“. 1637 წლის მოგზაურობის დროს ოლეარიუსი შაურის შემდეგ ვერცხლის ბისტს ახსენებს (შაური ორნახევარ ბისტს უდრის).

ძველ წყაროებში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც ჩნდება, მაგალითად, დანგი, ცხუმური თეთრი, ჩითახური, დინარი, სომი, თუმანი და სხვა, მაგრამ ამ ტერმინებს შედარებით იშვიათად ხმარობდნენ. ამიტომ მათ უკვე აღარ შეეხებოდა და უშუალოდ შავი ფულის ნომინალებზე გადავალთ. მაგრამ მანამდე აღვნიშნავთ, რომ ცხუმური თეთრი და ჩითახური აშკარად გეოგრაფიული ხასიათის ტერმინებია. ცხუმური, ე. ი. სოხუმური თეთ-

რო თუ გასაგებია. ტერმინი ჩითახური განმარტებას მოითხოვს. ჩითახევი, რომელიც ადრე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, მდებარეობს ამჟამად ტრაპიზონის ვილაიეთში და ძველთაგანვე განთქმული იყო ვერცხლის საბადოებით. რისთვისაც ბერძნები უწოდებდნენ არგვირიკასტრას. ეს ტერიტორია თურქებმა რომ დაიპყრეს, ჩითახევის სახელი შეუცვალეს და გიუმშიშხანე უწოდეს. რაც ბერძნული სახელწოდების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა მ. ანთაძემ გიუმშიშხანეში ძოკრილი თურქული მონეტებიც კი აღმოაჩინა. მაგრამ ეს მონეტები შედარებით გვიანდელია. XVIII საუკუნის შუა წლებისა.

შავი ფულის ნომინალების შესახებ ძველ ქართულ საბუთებში გაცილებით ნაკლები ცნობები მოიპოვება. უძველესი ტერმინი, რომელიც სპილენძის ფულს გულისხმობს „კერმა“ არის, რომელიც ზოგჯერ „რვალით“ იცვლება. მაგრამ უკვე XI საუკუნიდან შემოდის ტერმინი „ფოლი“. საუკუნეთა მანძილზე ამ ტერმინმა მრავალნაირი ცვლილება გამოსცადა, — ბერძნულ „ფოლის“-იდან წარმომობილი, არაბების დროს ის „ფელსად“ გადაიქცა და ამ სახით მონღოლთა დრომდე შემორჩა. მაგრამ XVII საუკუნიდან „ფელსის“ ნაცვლად შემოდებულ იყო სპარსული „ფულუსი“, რომელიც ჩვენში „ფულის“ სახით დამკვიდრდა.

„ფულს“ თავდაპირველად ღირებულების ერთეულის მნიშვნელობა ჰქონია. მაგრამ შემდგომ ის უკვე საფასის ზოგად დასახელებად ქცეულა და ამ სახით დღემდეა შემორჩენილი.

ფულა (ანუ კაპეკის) საფასის სხვა ერთეულებთან შეფარდება შემდეგია: ერთი ფული თურქმე 5 დინარს უდრიდა. რომელიც ღირებულების უკნინეს ერთეულს წარმოადგენდა და სინამდვილეში იმ დროს არც კი იჭრებოდა. ფაქტიურად ის მხოლოდ საანგარიშო ერთეულად ითვლებოდა. მაგრამ რადგან 4 ფული ერთ ბისტს შეადგენს, ხოლო 2,5 ბისტი — შაურს და ორშაურიანი კი (ანუ უზალთუნი), ოოგორც ვიციით, ას ალთუნს შეიცავს, აქედან გასაგები ხდება, რომ ალთუნი და დინარი ერთ და იგივე საანგარიშო ერთეულს წარმოადგენს. რადგან აბაზი უდრის 2 უზალთუნს = 4 შაურს = 10 ბისტს = 40 ფულს = 200 ალთუნს (დინარს). აქედან გასაგები ხდება რიცხვითი მნიშვნელობა იმ ნომინალებისა, რომლებიც შემოდებულ იყო XIX საუკუნის უკანასკნელ ქართულ ფულზე:

ორაბაზიანზე	უ = 400	დინარს ან ალთუნს
აბაზიანზე	ს = 200	„ „
ორშაურიანზე	რ = 100	„ „
2 კაპიკზე	კ = 20	„ „
1 კაპიკზე	ი = 10	„ „
1/2 კაპ.	ე = 5	„ „

ზრომების სია,
რომელიც შეიცავს ცნობებს ქართული ნუმიზმატიკის შესახებ

1. აბრამიშვილი თ. ა) ახალი სახე კირმანელისა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XVI — B, 1950.
 - ბ) ორი დავითის მონეტა, იქვე.
 - გ) „XIII-XIV სს. დასავლურ ქართული ფული (კირმანელი)“, 1959
 - დ) 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XX-B, 1959.
 - ე) ქართულ და ბიზანტიურ ფულზე მოთავსებული დამღები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XXI-B, 1961.
2. გუგუშვილი პ. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, VI, 1938.
3. დონდუა გ. „სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში“, 1964.
4. კაკაბაძე ს. ა) „სასისხლო სიგელების შესახებ“.
 - ბ) პროფ. ივ. ჯავახიშვილი: ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, „საისტორიო მოამბე“, ტ. II, 1925.
 - გ) „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“.
 - დ) ფულის გაჭირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 1, 1925.
5. კაკაბაძე დ. ა) XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, „საქართველ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, X-B, 1940.
 - ბ) ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისათვის, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XI-B, 1941.
 - გ) დემეტრე თედადებულის სპილენძის ფულის ზედწერილის შინაარსი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. III, № 8, 1942.
 - დ) ქართული ფულის სინჯადობა, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. IV, № 6, 1943.
 - ე) „X საუკუნის თბილური ღრამა ალი ბენ ჯაფარისა“.
 - ვ) „გიორგისა და თამარის სახელით მოჭრილი ფულის შესახებ“.
 - ზ) ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XII-B, 1944.
 - თ) რამდენიმე შენიშვნა ე. წ. ქართულ-სასანური ღრამების შესახებ, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. VI, № 1, 1945.
 - ი) XIII—XIV სს. მოჭრილი რამდენიმე სადავო სპილენძის მონეტის შესახებ, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. VII, №№ 1-2, 1946.
 - კ) უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-B, 1947.
 - ლ) შენიშვნები ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XV-B, 1949.
 - მ) „ფული ძველ საქართველოში“, 1950.
 - ნ) „ქართული ნუმიზმატიკა“, 1950.

- ო) მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937 — 1951 წწ. ნუმისმატიკური მონაოვარი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, ტ. I, 1955.
- ბ) ნუმისმატიკური მასალა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციამი“, 1956.
- გ) უცხო ნიმუშების მიხედვით საქართველოში მოპოვილი ზოგიერთი მონეტის წარმოშობის საკითხისათვის, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XXII, № 1, 1959.
- რ) ზარათუხანათა და მონეტათა გამოშვებები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XXIII, № 4, 1959.
- ს) „წარსულის მაცნეები“, 1965.
- ტ) ქართული ნუმისმატიკის სიახლენი, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, კრებული მიძღვნილი აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი, 1966.
- უ) რუსთაველის ეპოქის ერთი გაურკვეველი მონეტის დათარიღებისათვის. „ძველთა მეგობარი“, № 8, 1966.
6. ლო მო უ რ ი თ. ა) თამარის ფულის განძი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, I, 1936.
- ბ) ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, 1938.
- გ) XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, X-B, 1940.
- დ) ახალციხის ზარათუხანა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XII-B, 1944.
- ე) ქოდალას განძი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-B, 1947.
- ვ) დავით VII და ვახტანგ III ფულები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XV-B, 1948.
- ზ) პატარა ჩიხაიში აღმოჩენილი XVI საუკუნის განძის გამო, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XVII-B, 1953.
- თ). ქართული ნუმისმატიკის საკითხების კრებული.
7. შ ა კ ა ლ ა თ ი ა ს. ა) კოლხური დიდრაქმა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, VII, 1931 — 1932.
- ბ) ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-B, 1947.
8. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ. საქართველოს ვენეციური ოქროს ღუჯატების მიმოქცევის საკითხისათვის, „მაცნე“, ტ. IV, 1965.
9. ქ ო ი ა ვ ა ნ. ა) ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენიშის“ მოამბე“, III, 1938.
- ბ) საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XXVIII, 1946.
- გ) „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის საქართველოში“, 1963.
10. წ ე რ ე თ ე ლ ი გ. დმანისის მონეტების გამო, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944.
11. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ე. „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“, 1925.
12. ჭ ა ლ ა დ ა ნ ი ა ი რ. ა) მონღოლური დროის უცნობი თბილური დირაკები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XVIII-B, 1954.
- ბ) უსახელო მონღოლური დრამები თბილისში (XIII ს. 30 — 40-იანი წწ.), „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIX-B, 1956.
- გ) XIV ს. თბილური მონეტების ლენინგორის განძი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XXII, № 2, 1958.
13. Б а р а т а е в М. П. «Нумизматические факты грузинского царства», СПб., 1844.
14. Б ы х о в А. А. Грузинские монеты XII—XIII вв. Сборник «Памятники эпохи Рус-тавели», Гос. Эрмитаж, Ленинград, 1938.
15. В и н к л е р П. «Из истории монетного дела в России. Чеканка монет для Грузии (1804—1833 гг.)», СПб., 1898.

16. Воронкевич, Бассанд. «Описание мер, весов и монет Закавказского края с приведением их к русским и французским мерам и разными применениями, с местном их употреблении и взаимных отношениях». Журнал Министерства внутренних дел, № 9, 1880.
17. Георгий Михайлович. «Русские монеты, чеканенные для Пруссии, Грузии, Польши и Финляндии». СПб., 1893.
18. Голенико К. В. а) О монетах, приписываемых Савмаку. «Вестник древней истории», 1951, № 4.
 б) Кобулетский клад серебряных монет середины IV в. до н. э. «Советская археология», т. XXVII, 1957.
 в) Клад монет из сел. Тобанпери. «Византийский временник», т. XVI, 1959.
 г) Новый тип монет Сав(лака) (на груз. и русском яз.). «Сообщения АН Груз. ССР», т. XXV, № 1, 1960.
 д) Клад синопских и колхидских монет из Кобулет. «Вестник древней истории», 1961, № 1.
 е) Еще о монетах, приписываемых Савмаку. «Вестник древней истории», 1963, № 3.
 ж) Монеты из находок в Сухумской крепости 1957 г. «Труды АИЯЛИ», т. XXXIII—XXXIV, Сухуми, 1965.
 з) «Денежное обращение Колхиды в римское время». Ленинград, 1964.
 и) Монеты из раскопок Анакопийской крепости в 1957—1958 гг. «Византийский временник», т. XXIV, 1964.
 к) Четыре клада колхидок. «Нумизматика и эпиграфика», т. VI, 1966. (совместно с Капанадзе Д. Г.).
19. Джавахишвили И. А. «Е. А. Пахомов. «Монеты Грузии». Критическая статья в «Христианском Востоке», т. I, СПб., 1912.
20. Джалагани И. Л. а) «Из истории монетного дела в Грузии XIII века», Тбилиси, 1958.
 б) Ленингорский клад монет тбилисской чеканки XIV в., «Сообщения АН Груз. ССР», т. XXII, № 2, 1959.
21. Зограф А. Н. а) Античные золотые монеты Кавказа. ИГАИМК, вып. 110, 1935.
 б) Распространение находок античных монет на Кавказе. «Труды отдела нумизматки Государственного Эрмитажа», т. I, Ленинград, 1945.
22. Капанадзе Д. Г. а) О нескольких спорных медных монетах XIII—XIV вв. «Сообщения АН Груз. ССР», т. VII, №№ 1—2, 1946.
 б) Новые материалы к изучению статов царя Аки. «Вестник древней истории», 1948, № 1,
 в) О достоверности имени, выбитого на статере базилевса Аки. «Вестник древней истории», 1949, № 1.
 г) О медной монете с именем Георгия и Тамары. Краткие сообщ. ИИМКа, вып. XXIV, 1949.
 д) О древнейших золотых монетах Грузии. «Вестник древней истории», 1949, № 3.
 е) Так называемые «грузинские подражания трапезундским аспрам». «Византийский временник», т. III, 1950.
 ж) Заметки по нумизматике древней Колхиды. «Вестник древней истории», 1950, № 3.
 з) Несколько добавочных замечаний по поводу статьи К. В. Голенико. «Вестник древней истории», 1951, № 4.
 и) О назначении монет варваризованной чеканки, находимых на территории Грузии. «Вестник древней истории», 1953, № 1.
 к) «Грузинская нумизматика», Москва, 1955.
 л) Монетные находки михетской археологической экспедиции. «Вестник древней истории», 1955, № 1.

- м) Изображения знаков власти на древнегрузинских монетах, «КСИИМК», 66, 1956.
- н) Новый тип монеты Давида Стронтеля. «Византийский временник», VIII, 1956.
- о) Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах. «Нумизматический сборник», М., вып. XXVI, 1957.
- п) О некоторых определениях М. Баратаева и В. Ланглау. «Сообщения АН Груз. ССР», т. XVIII, 1957.
- р) Ауреусы армазского некрополя. «Советская археология», III, 1957.
- с) К вопросу о происхождении колхидок. «Вестник древней истории», 1957, № 4 (совместно с К. В. Голенко).
- т) «Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия», «Эпиграфика Востока», XII, 1958.
- у) D. Lang. Studies in the numismatic history of Georgia in Transcaucasia «Советская археология», № 3, 1958.
- ф) О происхождении некоторых монет, чеканившихся в Грузии по иноземным образцам. «Сообщения АН Груз. ССР», т. XXII, № 1, 1959.
- х) К локализации монетных дворов и центров монетной чеканки в древней Грузии. «Сообщения АН Груз. ССР», т. XXIII, № 4, 1959.
- ц) Незданный вариант грузинской монеты XI века. «Труды Абхазского института языка, литературы и истории», т. XXX, 1959.
- ч) Клад монет тбилисского эмира Али ибн Джафара. «Эпиграфика Востока», т. XIV, 1961.
- ш) О продолжительности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Иберии. «Советская археология», № 4, 1962.
- щ) Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. «Советская археология», № 2, 1964.
- э) Нумизматические находки пицундской археологической экспедиции 1953—1958 гг. «Вестник древней истории», 1966, № 4.
- ю) Монеты, найденные в сел. Згудери (Грузинская ССР) в 1964—1965 гг. «Вестник древней истории», 1968, № 1.
- я) Триморфия Геката с колхидской дидрахмы V в. до н. э. Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья. Ленинград, 1968 г. (совместно с И. Г. Шенгелия).
23. Кебуладзе Р. В. К вопросу об обращении польских монет в Грузии. „Folia orientalia“, t. IV, Krakow. 1962.
24. Копава Н. Н. Денежное обращение в Грузии в эпоху Руствели: Сборн. «Руставели» к 750-летию «Вепхисткаосани», Тбилиси, 1938.
25. Комаров А. В. Чекашлась ли в Грузии золотая монета? «Известия Кавказ. общества истории и археологии», т. I, вып. 2, 1884.
26. Макалатия С. И. а) О находке нового клада колхидских монет. «Вестник древней истории», 1939, № 4.
б) Археологические находки из сел. Ахриси (Картли). «Вестник древней истории», 1951, № 3.
27. Пахомов Е. А. а) «Монеты Грузии», ч. I, СПб., 1910.
б) «Несколько слов о происхождении рисунка колхидок», Батуми, 1911.
в) Незданные грузинские монеты XI в. «Известия Кавказского музея», т. IV.
г) Как отражались исторические события на монетах Грузии. Сборн. «Летопись Грузии», 1913.
д) О монете Корике Куропалата. «Известия Кавказского историко-археолог. инст-та», т. III, 1925.
е) «Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв.» Баку, 1928.
ж) «Монетные клады Азербайджана и Закавказья». Баку, 1926.
з) Борьба феодальных династий за Восточное Закавказье с половины XIV в.

- до начала XV в. по монетным данным. «Краткие сообщения Института истории материальной культуры», вып. 66, 1956.
28. Ретовский О. Драхма Аристарха Колхидского. «Труды Московского нумизматического общества», т. III, 1905.
 29. Скуднова В. М. Находки Колхидских монет и пифосов в Нимфее. «Вестник древней истории», 1952, № 2.
 30. Харитонов А. О бывшем в Тифлисе монетном дворе и количестве выделенной серебряной монеты. «Записки Кавказского отделения импер. русского географического об-ва», кн. 3, 1853.
 31. Харко Л. П. Существовал ли царь Аки? «Вестник древней истории», 1948, № 2.
 32. Bartholomaei I. a) Classement de médailles géorgiennes au type sassanide. du point de vue de l'art, 1847.
b) Lettres sur la numismatique géorgienne. „Mélange asiatique“, t. III, 1857.
c) Lettres numismatiques et archéologiques relatives à la Transcaucasie, St. Pb., 1859.
 33. Blaki R. P. Some Byzantine accounting practices illustrated from Georgian sources, „Harvard Studies in Classical Philology“, LI, 1940.
 34. Brosset M. a) Dissertation sur les monnaies géorgiennes, „Journal asiatique“, 1836.
b) Revue de numismatique géorgienne.
c) Rapport sur l'ouvrage intitulé „Нумизматические факты Грузинского царства“ et „Revue de numismatique géorgienne“, SPh., 1847.
d) Notice sur une médaille de l'an 1790, se rapportant à l'histoire de la Géorgie. Bullet. hist-philos., t. XI, № 3, 1851.
 35. Cutschmid A. Saulakes, König von Kolchis, „Z. f. N.“ III, 1876.
 36. Golenko C. W. a) Ein Schatz mit Silbermünzen aus Kobuleti von der Mitte des 4. Jahrhundert v. n. Z.
b) Ein Schatz mit sinopischen und Kolchischen Münzen aus Kobuleti (1949). „Bibliotheca classica orientalis“ Z. Jahrgang, 1962, Heft 3.
c) Nochmals zu den dem Saulakos zugeschrieben Münzen. „Bibl. Class. Orient.“ 10, Jahrgang, 1965, Heft 2.
 37. Jenkins. Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum., Numismatic Chronicle, Sixth Series, vol. XIX.
 38. Kapnadze D. a) Die Münzfunde der Mzcheta—Expedition (1937—1948 und 1951) „Bibliotheca Classica Orientalis“, H. I, 1956.
b) Die Darstellung von Zeichen der Macht auf altgrusinischen Münzen.
c) Grusinische Numismatik.
d) Zur Entstehung der kolchischen Münzen (mit Golenko) „Bibliotheca classica orientalis“, H. 5, 1959.
e) Über die Umlaufdauer der Denaren Augustus und der Drachmen des Gotarzes in alten Iberien. „Bibliotheca classica orientalis“, H. 4, 1966.
f) Zhistorie gruzinskeho mincovnictvi „Numism. Listy“. N 5—6, 1967, Praha.
g) Numismatische Funde der Archäologischen Pizunda—Expedition in den Jahren 1953—1959. „Bibliotheca Classica Orientalis“, H. 2, 1963.
h) Les trouvailles des monnaies européennes du XV—XVIII ss. sur le territoire de la Géorgie. „I międzynarodowi Kongress archaeologii slowianickiej“ t. VI. Warszawa, 1968.
j) Vier Hortfunde mit Kolchiki „Bibliotheca Classica Orientalis“, Heft 9, 1963.
 39. Karst J. Precis de numismatique géorgienne. Publicat. de la Faculte de lettres de l'Université de Strassburg. Paris, 1938.
 40. Koehn S. Drachme d'Artistarque, roi de Colchide. „Num. Chr.“, 1877; „Revue belge de numismatique“, 1878.

41. Lang David a) Studies in the Numismatic History of Georgian in Transcaucasia, New York, 1955.
 b) Notes on Caucasian numismatics. „Numismatic Chronicle“, Sixth Series, vol. XVII, 1957, London.
 c) Coins of Georgia in Transcaucasia acquired by the American Numismatic Society, 1953—1955, „Museum Notes“ XII, New York, 1966.
 d) Numismatic Data for the History of Georgia, Bedi Kartlisa, „Revue de Kartvelologie“, XIX/XX (№ 48—49), Paris, 1965, pp. 173—177.
42. Langlois V. a) Numismatique de la Géorgie, 1852.
 b) Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'à nos jours, Paris, 1860.
 c) Supplément à l'essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'à nos jours. Revue belge de numismatique, 1861.
43. Pochitonov. Poznamky adoplínky k Nejstaršim zažham Kolhidy, „Numismaticke listy“, 3/4. 1959, Praha.
44. Retowsky O. Die Münzen der Komnen von Trapesunt, Moskau, 1910.
45. Saller A. Saul... oder Saum... ein Kolchischer, oder scythischer König. Z. f. N. III. 1876.
46. Valentin W. Modern Copper Coins of the Muhammadan States, London 1911.

ГРУЗИНСКАЯ НУМИЗМАТИКА

Резюме

Основным фактическим материалом, использованным в процессе работы над этой книгой, явились нумизматические фонды Государственного Музея Грузии. Однако это богатейшее собрание грузинских монет оказалось недостаточным, и отсутствующие экземпляры приходилось пополнять из других собраний, обращаться к другим источникам и старым изданиям, в которых в свое время публиковались те или иные уникальные монеты.

Но даже при этих условиях мы не можем претендовать на полноту собранного материала — может случиться, что после выхода этой книги в ней окажутся некоторые пробелы, так как почти каждый год появляются неизвестные до настоящего времени экземпляры.

На пути своего многовекового развития нумизматические памятники Грузии точно и беспристрастно отображали все ее исторические судьбы, поэтому описательная часть каждого раздела этой книги снабжена историческими справками, сообщающими о событиях, влиявших на внешность монеты, сюжет изображений, содержание ее надписей и т. д.

Право чеканить монету принадлежало государству. Представляя собой одну из регалий власти и являясь ее внешним признаком, монета в угоду ей меняла свой внешний облик, обслуживая нужды широких масс, являлась для господствующей в то или иное время власти не только источником дохода, но и проводником ее идей. За две с половиной тысячи лет обращения в Грузии монет власть менялась неоднократно, и так как воздействие внешнего фактора на власть исключительно сильно, то естественно, что и монеты, описанные в книге, неоднородны.

